ნორჩი თაობის მოამაგენი

თეიმურაზ ჯაფოლიშვილი

ჩაფიელ ეროსთან

„ნაკადული", თბილისი, 1986

83.3Гр
ჯ. 133

რაფიელ ერისთავის სახელი ქართველი კაცის ცნობიერებაში ბავშვობიდანვე არის დამკვიდრებული. დედაენიდან თანშეზრდილი სიტყვები: „სამშობლო დედის ძუძუი, არ გაიცვლების სხვაზედა“ ბავშვობაშივე აცნობიერებს სამშობლოს მცნების თვითშეგრძნებას. ეს მონოგრაფია მოგითხრობთ გულმხურვალე მამულიშვილის ღრმაშინაარსიანი ცხოვრების გზაზე, გაგაცნობთ იმ გარემოს, სადაც ხდებოდა რაფ. ერისთავის სულიერი ფორმირება, წარმოგიდგენთ მის სამოქმედო ასპარეზს. მარტო მწერლობით არ შემოიფარგლება რაფ. ერისთავის ღვაწლი, მის ისტორიულ, ეთნოგრაფიულ, ფოლკლორისტულ, ენათმეცნიერულ, ლექსიკოგრაფიულ გამოკვლევებს დიდი ეროვნული ღირებულება აქვს.

ავტორი ქმნის რაფ. ერისთავის პიროვნულ პორტრეტს და აანალიზებს მის მოქალაქეობრივ მრწამსს, მიმოიხილავს რაფ. ერისთავის შემოქმედებას.

პირველი გამოცემა

© „ნაკადული“, 1986

61005 — 167
Дж ——————— 148—86
М 603(08)—86

შ ე ს ა ვ ა ლ ი

რაფიელ ერისთავის სიუსვიოა და მრავალმხრივობით გამორჩეული მემკვიდრეობა აკაკი წერეთელმა თავის დროზე „მთასა და ზღვას“ შეატოდა. მართლაც რომ, გვაოცებს პოეტის მიერ ჩვენი სულიერი ცხოვრების მრავალ სფეროში გაწეული შრომა. თუ მისი პოეტური შემოქმედება იმთავითვე გადაიქცა მთლიანად ერის კუთვნილებად, შემდგომში უკვე დროთა სვლამ სულ უფრო და უფრო წარმოაჩინა რაფიელ ერისთავის ისტორიული, ეთნოგრაფიული, ფოლკლორისტული, ენათმეცნიერული, ლექსიკოგრაფიული გამოკვლევების დიდი ეროვნული ღირებულება.

საზოგადოდ, შემოქმედის პირუთვნელი მსაჯული დროა; ჟამთა მდინარება არკვევს, რამდენად მდგრადია მისი სახელი. ისტორიამ და დროითმა მანძილმა კიდევ უფრო თვალსაჩინო გახადა ამ მშვენიერი პოეტის, გულმსურვალე მამულიშვილისა და მოღვაწის მნიშვნელობა ქართველი ერისათვის.

საყოველთაოდ არის ცნობილი XIX საუკუნის პირველი ნახევრის საქართველოს უმძიმესი მდგომარეობა. ისტორიულად შეჭირვებას ნაჩვევი ქართველობაც კი შეაცბუნა ცარიზმის გამარუსებელი პოლიტიკის სიმძაფრემ. ცხადი შეიქნა, რომ ქართველობას დაემუქრა ეროვნული სახიერების დაკარგვის საფრთხე. მძიმე ვითარებაშიც ჩვენში კვლავ აღორძინდა მეცნიერული კვლევა-ძიების განვითარების პერსპექტივა. ამ მხრივ კი „სამკალი ფრიადი იყო, მუშაკი — ცოტა“.

ერთ-ერთი პირველი, ვინც ეს მძიმე საეროვნო საქმე იტვირთა, რაფიელ ერისთავი იყო.

რაფიელ ერისთავმა თავისი მსატვრული აზროვნებით და პრაქტიკული მოღვაწეობით გაამყარა ნიადაგი ქართულ სინამდვილეში ეროვნული თვითშეგნების გამოსაღვიძებლად, დაკარგული ეროვნული მეობის აღსადგენად. ამ თვალსაზრისით მისი პიროვნული ცხოვრება ერი-

საკმი სამსახურის ერთ-ერთ ბრწყინვალე მაგალითად წარმოდგა. რაფიელ ერისთავის პოეზიის ღირებულების განსაზღვრა, მისი უკვდავების პირობა „სამშობლოს მნიშვნელობის ყველაზე დიდი არგუმენტის“ პოვნაშია დანახული. ეს კი თავისთავად იმაზე მეტყველებს, რომ რაფიელ ერისთავის პოეტური სიტყვა შემდგომში გარკვეულად ქართველთა მხატვრული ენერგიის ერთ-ერთ მკვებავ ძარღვად იქცა.

რაფიელ ერისთავის ცხოვრების გზა

1895 წლის შემოდგომა იდგა თბილისში. ქართული ჟურნალ-გაზეთები აგერ უკვე მერამდენედ იუწყებოდნენ ცნობილი ქართველი პოეტისა და მამულიშვილის რაფიელ ერისთავის იუბილეს ჩატარებას, მერამდენედ აქვეყნებდნენ ამ იუბილესათვის მზადების ამბებს. აი, რას წერდა მაგალითად ა კ ა კ ი წ ე რ ე თ ე ლ ი გაზეთ „კ ვ ა ლ შ ი“ 1895 წლის მაისში (№ 22): „ყოველ ქვეყანაში, ყოველ ხალხისგან, გარდა ველურისა, მიღებულია, რომ თავიანთი გამოჩენილი შვილების 25 წლის მოღვაწეობა იდღესასწაულონ ხოლმე. ამ დღესასწაულს ეძახიან „იუბილეის“. ჩვენ, ქართველები, არ მივდევთ ამ ჩვეულებას, ალბათ იმიტომ, რომ ოცდახუთი წელიწადი არ მიგვაჩნია საკმარისად და მეტსა ვთხოულობთ. კეთილი და პატიოსანი! მაგრამ დღეს გამოდის, რომ ორმოცდაათიც თურმე არა კმარა... ისე გვიყვარს ჩვენი მოღვაწეები, რომ სასიკვდილოთ არ გვემეტებიან, სულგრძელობით მოველით და ვუცდით საუკუნის შესრულებას... სწორედ ორმოც-და-ათი წელიწადია, რაც გამოსულია სალიტერატურო ასპარეზზე ჩვენი საყვარელი მოხუცი, პატიოსანი მოღვაწე თ. რაფიელ ერისთავი და დიდი უმადურობა იქნება ჩვენგან მის [მიმართ] გულმავიწყობა და ჩვეულებრივი დაუდევრობა“.

ამ მოვლენით საყოველთაოდ დაინტერესებულ ქართველ საზოგადოებას გაზეთები ამცნობდნენ აგრეთვე იუბილეს ჩატარების დროს, რიგს და წესს. იუბილეს მოსამზადებელი კომიტეტის წევრები ძ ა რ ი ა მ ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი, ი ლ ი ა ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, ა კ ა კ ი წ ე რ ე თ ე ლ ი იუბილეს ჩატარების დღედ აცხადებდნენ 1895 წლის 22 ოქტომბერს. იუბილეს აღმასრულებელი კომიტეტის წევრები სახელოვანი ქართველი მოღვაწეები: გ. წ ე რ ე თ ე ლ ი, ლ. მ ე ს-

ხიშვილი, ნ. ცხვედაძე, ვ. გუნია, კ. მესხი დაინტერესებულ პირებს აცნობდნენ ორგანიზაციულ საკითხებს.

ინტერესს ამ „სახალხო დღესასწაულისადმი“ ისიც აძლიერებდა, რომ ქართულ ეროვნულ სინამდვილეში ამგვარი ღონისძიება პირველად ტარდებოდა. ქართველი საზოგადოება თავისი არსებობის მანძილზე პირველად ემზადებოდა საქვეყნოდ საჩინო ადგილზე, სავარძელში ჩაებრძანებინა ღვაწლმოსილი მოღვაწე და სიცოცხლეშივე პირადად ეთქვა მადლობა, გამოეხატა აღტაცება და სიყვარული. უჩვეულო აღმოჩნდა ქართველი საზოგადობისათვის ეს მოვლენა იმიტომაც, რომ იუბილეს ჩატარება ქართველი ერისათვის მისი ეროვნული ცნობიერების გამოღვიძების დასტურიც იყო. XIX საუკუნე დიდ გარდაქმნათა მოლოდინში იწურებოდა, ჯერ კიდევ არ განელებულიყო 1893 წელს ნ. ბარათაშვილის ნეშტის ჩამოსვენებით აღძრული ეროვნული გრძნობები, რომ მას მოჰყვა რაფიელ ერისთავის იუბილე.

1895 წლის 22 ოქტომბერი სახალხო დღესასწაულად იქცა ქართველი ხალხის ცხოვრებაში. 22 ოქტომბერს მშვიდი, მყუდრო და მზიანი დღე გათენდა. დილიდანვე ქაშუეთის წმინდა გიორგის ეკლესიას დიდძალი ხალხი მიაწყდა. მალე ხალხი გალავანშიც ვეღარ დაეტია და მიმდებარე ქუჩებიც აავსო. დილის ათი საათი რომ მიიწურა, ეკლესიას თეთრ ცხენებშებმული ლანდო მოადგა. ეტლში დარბაისელი ჭაღარა პოეტი, რაფიელ ერისთავი, დაბრძანებულიყო. მის პირდაპირ ილია ჭავჭავაძე და აკაკი წერეთელი ისხდნენ. აქ ივყნენ ქართული საზოგადოებისა და ხელისუფლების წარმომადგენელნი: ქართლ-კახეთის თავადაზნაურობის წინამძღოლი თავადი კონსტანტინე მუხრან-ბატონი, კავკასიის კორპუსის სარდალი ივანე ამილახვარი, თბილისის ქალაქის თავი არღუთინსკი, ქართულ-სომხურ-რუსული ჟურნალ-გაზეთების წარმომადგენელნი, საქართველოს მრავალი კუთხის დეპუტაციები...

ეკლესიის გუმბათი გუგუნით შეძრა თბილისის სათავადაზნაურო სასწავლებლის მოწაფეთა გუნდის მრავალჟამიერმა. ალექსანდრე ეპისკოპოსმა და არქიმანდრიტმა ლეონიდმა პარაკლისი გადაიხადეს. შემდგომ ქართული სამღვდელოების სახელით მათ პირველებმა მიულოცეს პოეტს, მე-19 საუკუნის ქართული მწერლობის პატრიარქს, მოღვაწეობის 50 წლის იუბილე. ამის შემდეგ საიუბილეო

პროცესია ქართული თეატრისაკენ გაემართა. ხალხი ქუდმოხდილი ესალმებოდა პოეტს და ამით გამოხატავდა თავის უსაზღვრო მადლიერებას. ფშავ-ხევსურთა გუნდი ხალხური სიმღერით მიაცილებ-ბდა პროცესიას.

ქართველ თავადაზნაურთა ქარვასლის წინ ხალხი „ვაშას“ ძახილითა და ქართული მარშის მუსიკით მიეგება რაფიელ ერისთავს. თეატრის დარბაზი ყვავილებით, გვირგვინებითა და ყვავილწნულებით იყო მორთული. სცენის მარჯვნივ იუბილარის სავარძელი იდგა, მარცხნივ პირმშვენიერი ქართველი მანდილოსნები და დედა საქართველოს სხვადასხვა კუთხეთა წარმომადგენელნი იდგნენ ეროვნულ ტანისამოსში გამოწყობილნი, ადრესებით ხელში.

გაისმა ქართული სიმღერის ხმა, გურულებისა და მ. რატილის გუნდის გუგუნში იუბილარი სცენაზე შეიყვანეს. რაფიელს უკან მიჰყვებოდნენ ილია ჭავჭავაძე და აკაკი წერეთელი. იუბილარმა დიდი ოვაციების შემდეგ დაიკავა თავისი ადგილი. რაფიელის მარჯვნივ და მარცხნივ ილია და აკაკი დასხდნენ. ეროვნული სიმღერის ხმა თანდათან მიწყდა და დაიწყო მილოცვები. პოეტს სიტყვებით მიმართეს: ილია ჭავჭავაძემ, აკაკი წერეთელმა, გიორგი წერეთელმა, ივანე მაჩაბელმა, ეკატერინე გაბაშვილმა, წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების სახელით ივანე ელიაშვილმა, რუსი მწერლების სახელით ვასილ ველიჩკომ, გაზეთ „კავკაზის“ რედაქტორმა იური მილიუტინმა, „ნოვოე ობოზრენიეს“ რედაქტორმა ვასილ თუმანიშვილმა, სომხური გაზეთის „არაძაგონქის“ რედაქტორმა აბგარ იოანესიანმა, „მშაკის“ რედაქტორმა ალექსანდრე ქალანტარმა, „ტარაზ აგბიურის“ რედაქტორმა ტიგრან ნაზარიანმა, გაზეთ „ნორ-დარის“ წარმომადგენელმა. წარმომადგენლები გამოგზავნა საქართველოს ყველა მხარემ, ყველა ქალაქმა და თითქმის ყველა სოფელმა. საიუბილეო კომისიის სახელზე მოლოცვები მოვიდა სომხური, რუსული გაზეთების რედაქციებიდან, პეტერბურგის, მოსკოვის, კიევის, ოდესის ქართველი სტუდენტებისაგან, საინგილოს, განჯის, ყარსის, ოდესის. პოლტავის, ირკუტსკის, დორპატის, ხარკოვის, ტომსკის, იალტის, დაღესტნის ქართველობისაგან.

პოეტს გვირგვინები მიართვეს ქართული ჟურნალ-გაზეთების რედაქციებმა, რუსული ოპერეტის დასმა, ქართულმა დრამატულმა საზოგადოებამ, სომხურმა დრამატულმა დასმა.

იუბილარს საკუთარი ლექსები უძღვნეს: კნეინა ნინო ორბელიანმა, დიმიტრი მაჩხანელმა, იროდიონ ევდოშვილმა, ალექსანდრე ახნაზაროვმა, გრიგოლ აბაშიძემ, „მეჩექმეთა“ წარმომადგენელმა გარსევანიშვილმა, ბ. იურკევიჩმა (რუს-იმერელმა), ა. წულაძემ, სემინარიელმა სოსო ჯუღაშვილმა, რომელიც ამ დროს ცნობილი იყო როგორც იმედისმომცემი დამწყები პოეტი. რაფიელ ერისთავის ნაღვაწში დიდ ღირსებად, სხვათა მსგავსად, მანაც ეროვნული ცნობიერების გასააქტიურებლად მიმართული ძალისხმევა მიიჩნია. ამ აზრს ნათლად წარმოაჩენს მისი ლექსის შემდეგი ნაწყვეტიც: „როს დაჰგალობდი სამშობლოს, ის იყო შენი ტრფიალი, მისთვის გაჰქონდა შენს ჩანგსა გულის-წარმტაცი წკრიალი... მაშინ, მგოსანო, ქართველი თუ-რმე ციურ ძეგლს გიგებდა და წარსულ შრომა-ვაებას აწყმოთი გიგვირგვინებდა“. წაიკითხეს პოეტის ლექსები.

დამსწრე საზოგადოებაზე განსაკუთრებული შთაბეჭდილება მოახდინა ქართულ „ეროვნულ ტანისამოსში“ გამოწყობილმა აჭარაქობულეთისა და თუშ-ფშავ-ხევსურების დეპუტაციამ“. გაზეთი „კ ვ ა ლ ი“ აღნიშნავდა: „დიდი წამი იყო, როცა ჯაჭვ-ჯავშანში ჩასხმული ფშავ-ხევსურნი წარმოდგნენ წინ. ვითომც ზღაპრული დევგმირები ყოფილიყვნენ და მიულოცეს იუბილარს მოკლეთ: „ღმერთმა დაგლოცოს, დიდხანს გაცოცხლოს, გადღეგრძელოს!..“

საიუბილეო ზეიმი მთელ დღეს გაგრძელდა. საღამოს სხდომაზე ქართულმა თეატრალურმა დასმა წარმოადგინა რაფიელ ერისთავის პიესები „ჯ ე რ დ ა ი ხ ო ც ნ ე ნ, მ ე რ ე ი ქ ო რ წ ი ლ ე ს“ და „ბ ი ძ ი ა ს თ ა ნ გ ა მ ო ხ უ მ რ ე ბ ა“. ამის შემდეგ ქართველ თავად-აზნაურთა ქარვასლის „საზამთრო ბაღში“ გაიმართა ნადიმი, რომელსაც სამასზე მეტი პირი დაესწრო. ქართულ საკვირაო სკოლაში შედგა „საიუბილეო დილა“, ავჭალაში გაიმართა წარმოდგენები ხალხისათვის, სადაც იუბილარის კომედია „ა დ ვ ო კ ა ტ ე ბ ი“ დადგეს. მსახიობობდნენ მასწავლებელი ქალები და ხელოსნები. რაფიელ ერისთავის საიუბილეო დღე მთელ საქართველოში უქმე დღედ იქცა.

ასე აღნიშნა ქართველმა ხალხმა XIX საუკუნის თვალსაჩინო პოეტისა და საზოგადო მოღვაწის რაფიელ ერისთავის იუბილე. ასე იქცა ეს დღე „ეროვნულ დღესასწაულად“. პოეტის იუბილეს ასეთი საყოველთაო სახალხო დღესასწაულში გადაზრდის მიზეზი ყველაზე კარგად გაზეთმა „ი ვ ე რ ი ა მ“ გამოხატა. გაზეთის მოწინავეში გი-

ორგი ლასხიშვილი აღნიშნავდა: „დღეს ქართველ ერს დღესასწაული აქვს! დღეს ყოველი ქართველი, ვინც უნდა იყოს, დღესასწაულობს დიდ ეროვნულ დღეს. მრავალ მხრით შესანიშნავია ეს დღესასწაული ქართველი ერისათვის და დიდად მნიშვნელოვანი. საქვეყნოთ გამოთქმა თავისი მხურვალე გრძნობისა, თავისი ღრმა პატივის-ცემისა საყვარელ მგოსნისა და საზოგადო მოღვაწის მიმართ, ღირსეული დღესასწაულობა მგოსნის ცხოვრებაში დიდებული დღისა, სწორედ დიდმნიშვნელოვანი გარემოებაა. ეს არის სიმპტომი ერის მოქალაქეობრივი მომწიფებისა და განვითარებისა. ეს მაჩვენებელია ერის გაღვიძებისა და საუკეთესო ცხოვრებისაკენ მისწრაფებისა. თუ ერი ერთი გულწრფელი გრძნობით ივსება და საჯაროთ პატივისცემას და სიყვარულს უცხადებს მას, ვინც მის სულიერ მხარეს ემსახურებოდა, თუ ის ღირსეულად აფასებს მოღვაწის შრომასა და ღვაწლს, ეს ყოველთვის და ყველგან ითვლება იმ საიმედო მდგომარეობის მაჩვენებლად, რომ ერს მომავლისაკენ აქვს თვალყური მიქცეული. რომ ის დღიური ვარამით და ყოველდღიური ბრძოლით კი არ არის მარტო სულდგმული, არამედ გულში უღვივის მაღალი იდეალი, რომლის მიღწევასაც ფიქრობს მომავალში“.

რაფიელ ერისთავის მოღვაწეობის ამნაირი შეფასება არა ყოფილა ერთადერთი და გამონაკლისი. ქართველი ერის პოლიტიკური და სოციალური ცნობიერების გამოღვიძება, ქართველი ხალხის ერთიანი აზრით შეკავშირება ჩაითვალა რაფიელ ერისთავის ნაღვაწის დიდ საეროვნო ღირებულების მქონე ფაქტად, საზოგადოდ. თითითქმის ყველა მილოცვასა და ნარკვევში ასეთნაირად იყო ახსნილი რაფიელის პოეზიის ზემოქმედების დიდი ძალა. განსაკუთრებით საყურადღებო ის იყო, რომ პოეტის შემოქმედების დიდ ღირსებად ეროვნული ცნობიერების გამოკვეთა და ხალხის ერთიანი აზრით შეკავშირება მიიჩნია საქართველოს საზღვრებს გარეთ მცხოვრებმა ქართველობამაც. აი, მაგალითად რა ჩაწერეს მისალოც ადრესში დაღესტანში მცხოვრებმა ქართველებმა: „თქვენი სულის ძლიერება და თქვენ მიერ დათესილი სიკეთე, რომელნიც ღრმათ ჩაინერგნენ ჩვენს გულში და ოქროს ასოებით აღიბეჭდნენ ჩვენს გონებაში, კეთილად იმოქმედებენ ჩვენს გრძნობებზე ეროვნული თვით-ცნობიერების გასაღვიძებლად და ეროვნული თვითარსებობის დასაცველად“.

იუბილედან ოთხი წლის შემდეგ, 1899 წელს, თავი მოუყარეს

საიუბილეო მასალებს, ერთ დიდ წიგნად აკინძეს და გამოსცეს სათაურით „საერო დღესასწაული თ. რაფ. ერისთავის იუბილეს გამო". თავისთავად ამ ფაქტსაც მრავლისმეტყველი მნიშვნელობა ჰქონდა.

ამ წიგნში თავმოყრილი მასალის მიხედვით ღირსეულად შეაფასა ქართველმა ხალხმა რაფიელ ერისთავის პოეტური შემოქმედების ეროვნული ღირებულება ჯერ კიდევ მის სიცოცხლეში. მისი პიროვნება და შემოქმედება ჩვენი ხალხის ცხოვრების ერთ-ერთ რთულ პერიოდში ერის სულიერი სასიცოცხლო ინტერესების მყარ და უტყუარ ორიენტირად აღიქვა.

* * *

რაფიელ ერისთავი არაგვის ერისთავთა შთამომავალია. საყოველთაოდ არის ცნობილი ძველი საქართველოს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადმინისტრაციული ერთეულის — არაგვის საერისთავოს — დიდი როლი საქართველოს პოლიტიკურ და ეკონომიკურ ცხოვრებაში. ქართულმა საისტორიო წყაროებმა და ზეპირსიტყვიერმა ტრადიციამ არა ერთი ფაქტი შემოგვინახა არაგვის ერისთავთა ზღვარგადასული აღზევებისა და ქართლისა თუ კახეთის სამეფო სახლებთან პოლიტიკური მეტოქეობისა.

წერილობით საისტორიო წყაროებში არაგვის ერისთავები უკვე 1498 წლიდან მოიხსენიებიან.[1] სხვადასხვა დროის მატიანეში არაგვის ერისთავებად დასახელებულია შაბურიძეები, სიდამონიძეები, ბაზალიძეები, თექთურმანიძეები, ქარმეულები.

ეს საერისთავო საგვარეულოები ცალ-ცალკე განაგებდნენ არაგვის ხეობაში არსებულ რამდენიმე, ერთმანეთისაგან დამოუკიდებელ საერისთავოს. XV საუკუნეში პატარა-პატარა საერისთავოები გაერთიანდა, ხოლო XVI საუკუნეში გაერთიანებული არაგვის საერისთავოს განმგებლად გვეკლინება ზვიადი ფეოდალი ნუგზარ ერისთავი.

არაგვის საერისთავო საკმაოდ ვრცელ და პოლიტიკური თვალსაზრისით სტრატეგიულ ტერიტორიას მოიცავდა. მისი საზღვრები აღმოსავლეთით ფშავ-ხევსურეთს სწვდებოდა, დასავლეთით —

---

[1] თ. ჟორდანია, ქრონიკები, II, 1897 წ., გვ. 203.

ქსნის საერისთავოს, ჩრდილოეთით — დარიალის კარამდე აღწევდა, ხოლო სამხრეთით — მუხრან ბატონების კუთვნილ მიწებს ემეზობლებოდა. საერისთავოს მნიშვნელოვანი დასახლებული პუნქტები იყო დუშეთი, ჟინვალი და ანანური. XXVII საუკუნის დასასრულს არაგვის საერისთავოში 114 სოფელი შედიოდა და 3300-ზე მეტი კომლი ცხოვრობდა („კ ვ ა ლ ი", 1898 წ. № 1).

არაგვის ერისთავებმა არა ერთი ბრწყინვალე ფურცელი ჩაწერეს საქართველოს ისტორიაში, განსაკუთრებით XVII-XVIII საუკუნეებში. მაგალითად, ზ ა ა ლ ე რ ი ს თ ა ვ მა დიდი მამულიშვილობა გამოიჩინა. მან საკუთარი სიცოცხლე მსხვერპლად მიიტანა ჩვენი ერის სა.ი.ცოცხლო ინტერესების სამსხვერპლოზე. ზაალმა 1659 წელს ბ ი ძ ი ნ ა ჩ ო ლ ო ყ ა შ ვ ი ლ თ ა ნ, შ ა ლ ვ ა და ე ლ ი ზ ბ ა რ ქ ს ნ ი ს ე რ ი ს თ ა ვ ე ბ თ ა ნ ერთად მონაწილეობა მიიღო ბახტრიონთან გამართულ ბრძოლაში და კახეთის განთავისუფლებაში სპარსელთა ბატონობისაგან. საქართველოს ისტორიაში კარგად არის ცნობილი, თუ როგორ მკაცრად იძია შური დაუნდობელმა შაჰ აბასმა ქართველ გმირებზე. 1660 წელს ზაალი სპარსელებმა სიკვდილით დასაჯეს.

აჯანყებული გლეხებისა და ქსნის ერისთავთა თავდასხმების გამო რაფიელ ერისთავის წინაპრები 1743 წელს კახეთში გადმოსულან.

1760 წ. არაგვის საერისთავო მეფე ერეკლემ გააუქმა და ამ ერისთავებს ჩამოართვა წოდება „არაგვისა". ამასთანავე არაგვის ერისთავებს აუკრძალა საერისთავოში ცხოვრება, აჰყარა ისინი და კახეთში ჩაასახლა. შემდეგში, საქართველოს რუსეთთან შეერთებამდეც და მერეც, არაგვის ერისთავთა შთამომავალნი ბევრს ცდილობდნენ მამაპაპეული მამულისა და „არაგვის ერისთავთა" წოდების დასაბრუნებლად. წლების მანძილზე გრძელდებოდა საქმის განხილვა რუსეთის მეფის მთავრობის სხვადასხვა ინსტანციებში. დავასა და ძიებაში მონაწილეობდა ჩვენი სასიქადულო პოეტი რაფიელ ერისთავიც, მისი დაც, — ცნობილი მწერალი ბ ა რ ბ ა რ ე ჯ ო რ ჯ ა ძ ე, მაგრამ ამ ძიებებს შედეგი არ მოჰყოლია. 1828 წელს სენატმა უსაფუძვლოდ სცნო არაგვის ერისთავების მემკვიდრეთა ძიებანი და საბოლოოდ დაუსვა წერტილი მათ თავისი უარით.

ერთგული სამსახურისა და ლეკების წინააღმდეგ ბრძოლებში თავის გამოჩენისათვის ერეკლე მეორემ რაფიელის წინაპარს, ბ ე-

ჟან ერისთავს, სამკვიდროდ მიუჩინა სოფელი ქისტაური, რომელსაც ადრე მუქიეთსაც უწოდებდნენ. ამ ხნიდან მოყოლებული პოეტის მამა-პაპათა საცხოვრებელ ადგილად სამუდამოდ დარჩა კახეთის ეს ლამაზი სოფელი.

რაფიელის წინაპარს, ბეჟანს, სამკვიდროდ წილხვედრილი სოფელი მუქიეთი ქისტებისაგან აოხრებული და გაჩანაგებული დახვედრია. მას ბევრი შრომა დასჭირვებია ნასოფლარისათვის სიცოცხლის დასაბრუნებლად. იგი საქმეს კარგად გასძღოლია და უკვე მე-18 საუკუნის დასასრულს სოფელიც აყვავებულა და ქისტაურელ ერისთავთა ოჯახსაც გაუთქვამს სახელი გულადობით, პურადობით და სტუმართმოყვარეობით. ბეჟანის შთამომავლობასაც დიდად უსახელებია თავი ლეკიანობის წინააღმდეგ ბრძოლაში. პოეტის პაპა, რაფიელიც, სამხედრო პირი იყო და მონაწილეობდა რუსეთ-თურქეთის ომებში.

რაფიელ ერისთავი დედულეთში, გორის მაზრის სოფელ ჭალაში დაიბადა 1824 წლის 24 აპრილს. ბავშვობა და ყრმობა მან სოფელ ქისტაურში გაატარა და თავისი სულიერი ინტერესებით მთელი სიცოცხლე ამ სოფელთან იყო დაკავშირებული.

ქისტაური განუმეორებელი კოლორიტით იპყრობს ყურადღებას. სოფელი საუკუნოვანი ტყით შემკული მთების კალთებზეა შეფენილი. გარდასულ ეპოქათა უტყვ მემატიანეებად დგანან მრავალგზის დარბევას სასწაულებრივად გადარჩენილი ხუროთმოძღვრული ძეგლების ნაშთები. სოფელი დიდი ალაზნის ველს დასავლეთიდან მოჰქცევია და ციცგომბორის მთების კალთების გაგრძელებას შერწყმია.

ქისტაურში ერისთავების საგვარეულო სახლი თავისებურ პოეტურ გარემოშია აშენებული. ქვიტკირით ნაგებ ერთსართულიან სახლს ოდნავ მოშორებით საუკუნოვანი კაკლის ხეებში ჩაკარგული კარის ეკლესია ახლავს. მეორე მხრიდან კი ძველისძველი საყარაულო კოშკი დასცქერის, ვითარცა ძველი დროების მეხთატეხისაგან ოჯახის მფარველი ბურჯი. სახლი თავის დროს განთქმული იყო დიდებული ქართული მარნითა და ხეხილის ფართო ბაღებით. რაფიელის ყოფითი გარემოს ძირძველ, ქართულ იერს თავისებურად ამთლიანებდა შორს, ალაზნის ველზე, ბროლის ყელად აღმართული ალავერდის დიდებული ტაძრის სილუეტი.

აი, ასეთ გარემოში გაიზარდა რაფიელ ერისთავი, რომელმაც ბავშვობაშივე გაუფაქიზა პოეტს სმენა და ხედვა ეროვნულისადმი.

რაფიელის მამა, დავით რაფიელის ძე ერისთავი, მთელ კახეთში ცნობილი პიროვნება იყო. იგი განთქმული ყოფილა სტუმარმასპინძლობით, განათლებულობითაც და წიგნიერებისადმი გასაოცარი ინტერესით. დავით ერისთავს ოჯახში ხელნაწერების და ბეჭდური გამოცემების უჩვეულოდ მდიდარი ბიბლიოთეკა ჰქონია. ამ ბიბლიოთეკას თავის დროს აღტაცებაში მოუყვანია მათ ოჯახში სტუმრად მყოფი ცნობილი მეცნიერი მარი ბროსე.

პოეტის დედა, ნინო ავთანდილის ასული ამილახვარი, გორის მაზრის სოფელ ჭალის მკვიდრი, ძველ ქართულ ტრადიციებზე აღზრდილი ქალი იყო. იგი ყველა იმ თვისებით ყოფილა შემკული, რაც ქმნიდა დარბაისელი ქართველი ქალის ზნეობრივ-ეთიკურ და ესთეტიკურ იდეალს. ნინო ამილახვარი ხიბლავდა ირგვლივ მყოფთ სათნოებითა და ქართული ენის შესანიშნავი ცოდნით.

რაფიელი ოჯახში სიყრმისშვილი იყო. ნინოსა და დავითს მის გარდა კიდევ სამი შვილი ჰყავდათ: იოსები, ბარბარე, და ანა.

პოეტის მომდევნო ძმა, იოსები, თანამედროვეთა დახასიათებით მეტად თავისებური ხასიათის კაცი ყოფილა. ერთხანს რაფიელთან ერთად გიმნაზიაშიც სწავლობდა, მაგრამ შემდეგ სწავლა მიუტოვებია და ქისტაურის საგვარეულო მამულის მოვლა-პატრონობისათვის მოუკიდია ხელი. იოსებს პირველ ცოლად ჰყავდა ჩვენი სასიქადულო მწერლის ალექსანდრე ყაზბეგის და — დარია.

და რაფიელისა, ბარბარე (1833-1895 წ.) ქართველი საზოგადოებისათვის ცნობილია ბარბარე ჯორჯაძის სახელით. იგი ჟურნალ „ცისკრის" თანამშრომელი იყო და როგორც „ძველი" ბანაკის ერთ-ერთმა მნიშვნელოვანმა წარმომადგენელმა აქტიური მონაწილეობა მიიღო XIX საუკუნის 60-იან წლებში ჩვენს ეროვნულ სინამდვილეში გაშლილ ე. წ. „მამათა" და „შვილთა" კამათში. ბარბარე ჯორჯაძის სათნოებას, მის ღვაწლსა და მამულიშვილობას გახაზავს თავის წერილებში დიდი აკაკი წერეთელი, რომელმაც ლექსიც კი მიუძღვნა ამ კეთილშობილ მანდილოსანს.

ჩვენი პოეტის უმცროსი და — ანა (1835-1878 წ.) დედასავით სათნო, კეთილი და ქართული მწერლობისა და ისტორიის შესანიშ-

ნავი მცოდნე ყოფილა. ანა ყვარელში იყო გათხოვილი. მისი ქმარი რუსეთ-თურქეთის ომში დაიღუპა. დაქვრივებული ანა ქმრის კვალს გაჰყოლია, ქველმოქმედთა წრეში ჩაწერილა და ბრძოლის ველისაკენ გამგზავრებულა მოწყალების დად. ანა ტიფით დაავადებულა და იქვე გარდაცვლილა.

პატარა რაფიელს წერა-კითხვა დედამ შეასწავლა. მანვე აზიარა პოეტი „ვეფხისტყაოსნის“ ჯადოსნურ სამყაროს, „ქართლის ცხოვრების“ მადლს და ქართველი ხალხის გმირულ წარსულს, თავისუფლებისათვის უწმინდესი მსხვერპლგაღების ამბებს, ზეპირსიტყვიერების საოცრებით აღსავსე მხატვრულ სამყაროს. პატარა რაფიელის ცნობიერებას უხვად კვებავდა ყოფითი გარემო, ხალხის ყოველდღიური ცხოვრება. ამ გარემოებამ, თავისი შეუმღვრეველი, ეროვნული ტრადიციებით უაღრესად კეთილისმყოფელი ზემოქმედება იქონია მგრძნობიარე ყრმაზე. ეს ყოფითი გარემო აზიარებდა „პატარა პოეტს იმ ულეველ საუნჯეს, რომელსაც ჰქვია ერის ინდივიდუალური ცხოვრება, ეროვნული ზნე-ჩვეულებებით, ავითა და კარგით განმტკიცებული“. ეს აზრი გაზეთმა „კ ვ ა ლ მ ა“ (1895, № 45) გამოთქვა პოეტის საიუბილეო დღეებში და მასში სხვა ღირსებებიც იგულისხმა: რაფიელ ერისთავს ამგვარ გარემოში აღზრდა დიდ ბედნიერებად ჩაეთვალა. დღეს ჩვენ თანამედროვეს შესაძლოა ეს აზრი უცნაურად ეჩვენოს, მაგრამ იმ დროისათვის ეს, მართლაც, ბედნიერებას წარმოადგენდა. ამას, სხვათა შორის შესანიშნავად უძებნის ახსნას „კ ვ ა ლ ს“ დასახელებული წერილის ავტორი: „ბევრი ჩვენგანი შეჰნატრებს ამ შემთხვევაში მოხუც პოეტს. იგი დაიბადა, აღიზარდა თავისიანებში და მოშორდება ამ უმადურ წუთისოფელს თავისიანებში. ამას იმ აზრით მოგახსენებთ, რომ ჩვენს უკუღმართ დროში ერთი-ერთმანეთისა აღარა გვესმის-რა. ერთსა და იმავე ოჯახში მისწრაფებანი, ზნე-ჩვეულება, ხასიათი, ენა, სარწმუნოება და საგანი ცხოვრებისა ხშირად სულ სხვადასხვაობენ. ამიტომ მოხუც იუბილარს კმაყოფილებით, და თუ გინდათ, ჩვენს წინ თავგამოდებითაც შეუძლია პოეტ ვახტანგ ორბელიანთან ერთად წარმოთქვას: „ჩემთვის მამაჩემს სიმღერის ხმა სხვა უმღერია, აკვანი ჩემი სხვა ნანაზედ დედას ურწია“... მალე ერისთავის ოჯახში რუსული ენის მასწავლებელი, ვინმე კრასნოსკულოვი, მიიწვიეს და პოეტს რუსულის სწავლა დააწყებინეს. ცოტა ხნის შემდეგ მასწავ-

ლებელი სოფელ გრემს გადასულა, იქ მოწაფეთა ჯგუფი შეუქმნია და რაფიელსაც ამ ჯგუფთან ერთად გაუგრძელებია რუსული ენის შესწავლა. ამ ჯგუფს მცირე ხანს უარსებია, რადგან მოწაფეებს ვერ აუტანიათ მასწავლებლის სიმკაცრე და უჯიათი ხასიათი. მასწავლებელს მხოლოდ თვინიერი, წყნარი და ბეჯითი რაფიელი შერჩენია. კრასნოკულოვი ცოტა ხანში გრემიდან თელავს გადასულა და მას რაფიელიც თან გაჰყოლია.

სკოლის ასაკი რომ დასდგომია, მამას რაფიელი თელავის სამაზრო სასწავლებელში შეუყვანია. არ მოიპოვება დაწვრილებითი ცნობები იმის შესახებ, თუ როგორ გრძნობდა თავს ბუნებით ჩუმი რაფიელი თელავის სასწავლებელში; პოეტი ამის შესახებ შემდგომშიაც არაფერს ამბობს. მაგრამ გარკვეული წამოდგენის შექმნა მაინც არის შესაძლებელი ამ სასწავლებლის ნამოწაფარი დიდებული ქართველი პოეტის ვაჟა-ფშაველას მოგონებითაც: „სასწავლებელში ყოფნამ ჩემს გულსა და გონებას ვერაფერი შეჰმატა. გონების მოთხოვნილებას ვერ აკმაყოფილებდა ლათინური და ბერძნული ფრაზების ზეპირობა“ (ვ ა ჟ ა-ფ შ ა ვ ე ლ ა, „მ ო გ ო ნ ე ბ ა“).

მართალია, რაფიელის მოწაფეობიდან საკმაოდ დიდი ხნის შემდგომ სწავლობდა ვაჟა-ფშაველა თელავის სასწავლებელში, მაგრამ, ეტყობა, იქ თავიდანვე დამკვიდრებული სწავლის სისტემა ბევრით არ იყო შეცვლილი, რადგან ვაჟა-ფშაველაც იმასვე უჩიოდა, რამაც რაფიელი სასწავლებლიდან გააქცია.

არც სულითა და გულით ქართველს, დიდ მამულიშვილს, დავით ერისთავს, მოსწონებია ამ სასწავლებელში გამეფებული რეჟიმი, განსაკუთრებით ქართული ენის შევიწროება და დევნა. ამის გამო რაფიელი იქიდან წაუყვანია.

რაფიელი ახლა შუამთის მონასტერში მიაბარეს სასწავლებლად. ამ მონასტერში გახსნილ სასწავლებელს იმ დროს შესანიშნავი ქართველი მოღვაწე ფ ი ლ ა დ ე ლ ფ ო ს კ ი კ ნ ა ძ ე ხელმძღვანელობდა. რაფიელი პირადად მას მიაბარეს ქართული ენისა და მწერლობის შესასწავლად. შუამთის მონასტერთან არსებული სასწავლებელი მთელ კახეთში ერთადერთი იყო, სადაც ყმაწვილის სათუთ და მეოცნებე ბუნებას შინაგანი თავისუფლება ჰქონდა მინიჭებული. აქ სავალდებულო საგნებს — გრამატიკას, რიტორიკას, ღვთისმეტყველებას და სხვ. მშობლიურ ენაზე ასწავლიდნენ. ფ. კიკნაძე ყოველ-

ნაირად ცდილობდა სასწავლო პროცესის მშრალი სქოლასტიკის შერბილებას. ცოცხალ ყოფით გარემოსთან მჭიდრო კავშირის გზით იგი შეგირდებში წარმოსახვისა და აღქმის უნარს ააქტიურებდა, თეორიული ცოდნის პრაქტიკასთან შერწყმით მოსწავლეებს აზროვნების ჩვევებს უვითარებდა.

თვითონ პოეტი შემდგომში მოწაფეობის წლებს შორის ყველაზე ბედნიერ დროდ შუამთის მონასტერში გატარებულ წლებს თვლიდა, როდესაც „ბერი კიკნაძე... მინდორში გაიყვანდა ხოლმე ბავშვებს და ლექსებს ათქმევინებდა“, ანუ ლექსთა თხზვაში წვრთნიდა. პოეტის თანამედროვენიც ერთხმად აღნიშნავენ შუამთის მონასტერთან არსებული სასწავლებლის კეთილნაყოფიერ გავლენას რაფიელის პიროვნულ და მოქალაქეობრივ ცნობიერებაზე. პოეტის საიუბილეო დღეებში, (1895 წლის ოქტომბერში) გაზეთი „კ ვ ა ლ ი“ წერდა: „აქ (შუამთის მონასტერში) პირველად გამოიჩინა პატარა რაფომ თავისი ნიჭი. აქ შეიძრა მის ნორჩ ბუნებაში ის თესლი, რომელიც დედის ძუძუსთან ერთად ბუნებამ უწყალობა მას“.

ფილადელფოს კიკნაძე მალე დააპატიმრეს 1832 წლის შეთქმულებაში მონაწილეობისათვის. როგორც ცნობილია, მან შეადგინა შეთქმულთა სამოქმედო პროგრამა „აქტი გონიერის“ სახელწოდებით. რაფიელი მოწმე იყო ქართველ მამულიშვილთა იდუმალი შეხვედრებისა შუამთის მონასტერში, ფილადელფოს კიკნაძესთან გიორგი ერისთავის და სხვათა სტუმრობისა. ამ შეხვედრებმა, სიფრთხილის და იდუმალების ატმოსფერომ პოეტის ცნობიერებას თავისებური კვალი დააჩნია. მას მთელი სიცოცხლის მანძილზე გაჰყვა და ხასიათის თვისებებად ჩამოუყალიბდა: გულჩათხრობილობა, წინდახედულობა, ფარული რიდი, ყოფითი მოვლენების შეფასებისას ტაქტისა და ზომიერების უნარი. თუმცა ეს თვისებები არასოდეს ქცეულა პიროვნული არასრულფასოვნების შეგრძნების, თავისთავში დაეჭვების საფუძვლად თუ მიზეზად. პირიქით, ისინი პოეტის ბუნებრივად გაბედული, მტკიცე და შეუპოვარი ხასიათის ერთგვარ გამაწონასწორებლადაც კი გადაიქცა, რითაც მის პიროვნებას მეტი სიდარბაისლის იერი მიენიჭა.

აი, რა თქვა აკაკი წერეთელმა ამის თაობაზე, 1901 წლის 11 მარტს თავად-აზნაურთა თეატრში რაფიელ ერისთავის ხსოვნისად-

მი მიძღვნილ ლიტერატურულ საღამოზე წარმოთქმულ სიტყვაში: „ის იყო ფრთხილი, ამწონ-გამზომი საქმისა და გარემოებისა, გრძნობამოუყიდველი და გამბედავ-შეუპოვარი“. („ი ვ ე რ ი ა“, 1901, № 57).

ფილადელფოს კიკნაძის დაპატიმრების შემდეგ რაფიელი დიდხანს აღარ გაუჩერებიათ შუამთის მონასტერში. 1833 წელს იგი გორში მიაბარეს რუსული ენის მასწავლებელს ნ. კოჩერგინს. ეს კაცი შესანიშნავი პიროვნება და პედაგოგიური ნიჭით დაჯილდოებული ადამიანი იყო. მასწავლებელმა არა მარტო რუსული ენა შეასწავლა რაფიელს, არამედ გორის რუსი ინტელიგენციის ცხოვრებაც გააცნო. ჭაბუკი რაფიელი ორ წელიწადს იმყოფებოდა გორში. ამის შემდეგ იგი თბილისში გადაიყვანეს. თბილისში მომავალი პოეტი ერთხანს კერძო სასწავლებელში აგრძელებდა რუსული ენის შესწავლას. და აი, 14 წლის რაფიელმა მისაღები გამოცდები ჩააბარა თბილისის გიმნაზიაში. საკმაოდ შთამბეჭდავი ცოდნის გამოვლენის გამო იგი პირდაპირ მესამე კლასში ჩარიცხეს. გიმნაზიაში სწავლის პერიოდში რაფიელი გიმნაზიის მოსწავლეებისათვის დაარსებულ, ე. წ. ვოლტერის პანსიონში ცხოვრობდა. ეს პანსიონი საიმდროოდ განთქმული ყოფილა თავისი კეთილმოწყობითა და მაღალეთიკური ატმოსფეროთი. იგი 1837 წელს რუსეთის იმპერატორსაც კი დაათვალიერებინეს, როგორც სამაგალითო დაწესებულება.

გიმნაზიაში სწავლის წლებში თანდათან გამოიკვეთა ჭაბუკი რაფიელის პოეტური ნიჭიც. ლექსების წერა, მართალია, მან ჯერ კიდევ ბავშვობის წლებში სცადა (10-12 წლისამ უკვე დაწერა რამდენიმე ლექსი, რომელთაც ზეპირად უკითხავდა ტოლ-ამხანაგებს), მაგრამ პირველი სერიოზული პოეტური ნაწარმოები — „დარიგება“ — გიმნაზიის უკანასკნელ კლასში სწავლისას შექმნა.

1844 წელს რაფიელ ერისთავმა დაამთავრა თბილისის გიმნაზია და მშობლიურ სოფელს, მამისეულ სახლ-კარს მიაშურა.

პოეტს ძალიან უნდოდა სწავლის გაგრძელება უმაღლეს სასწავლებელში, მაგრამ განგებამ სხვაგვარად ინება მისი ცხოვრების წარმართვა. ჯერ კიდევ გიმნაზიაში სწავლის დროს რაფიელს თვალის ავადმყოფობა დასჩემდა. იგი ვაქკაცურად შეეგუა თავს დატეხილ სენს. ერთი სიტყვითაც კი არ გაუმეღავნებია სინანული. არ დაუწყია წუწუნი. ჭაბუკური ოცნებები გულშივე ღრმად ჩაიმარხა

და სულიერი ძალების მოსაკრებად, სულიერი წონასწორობის დასაბრუნებლად თავის მშობლიურ გარემოს დაუბრუნდა. ორი წლის განმავლობაში კახეთში ცხოვრობდა, გულდაგულ ეცნობოდა და სწავლობდა ამ კუთხის აწმყოსა და წარსულს. დადიოდა და გულისყურით აკვირდებოდა თავისი ხალხის ყოფას, მის ლხინს, მის ჭირსა და ვარამს. მარტო ყოფითი მოვლენების გარეგანი სახიერების „აღნუსხვით" არ კმაყოფილდებოდა ჭაბუკი, მას მოვლენისა თუ ფაქტის თავისებურებათა განმაპირობებელ, მკვებავ იმპულსთა დადგენის სურვილიც ამოძრავებდა. იგი ხედავდა, თუ რაზე იცინოდა და ტიროდა კახელი გლეხი, ხედავდა, მაგრამ ამით არ კმაყოფილდებოდა, ცოდნის წადილი უფრო ღრმა ლაბირინთებისაკენ ეწეოდა, სურდა ჩაწვდომოდა ეროვნულ წეს-ჩვეულებების მისტერიალურ იდუმალებებს, სურდა ახსნა მოეძებნა ბევრი უკვე შინაარსგაბუნდოვანებული ყოფითი ფაქტისათვის. არადა, იგი თვითმხილველი იყო, თუნდაც, იმ საოცარი ტრადიციული ხატობისა, ალავერდობა რომ ჰქვია და ალაზნის ველზე გვერდიგვერდ რომ ალოცვინებდა ქრისტიანებსა და მუსლიმანებს. ეს დაკვირვებები და შთაბეჭდილებები ჯერჯერობით საუბისწიგნაკო ჩანაწერებად ინახებოდა, ილექებოდა პოეტის ცნობიერებაში, პოეტური აზროვნებისათვის ქვეცნობიერად მასაზრდოებელ წყაროდ იქცეოდა, მაგრამ თანდათან პოეტისათვის საგრძნობი ხდებოდა, რომ ეს ცოდნა გამოხატვის სხვაგვარ ფორმას ითხოვდა, სათქმელი ლექსში ვერ ეტეოდა და იმდროინდელ პერიოდულ პრესაში გაჩნდა ქართული ყოფის ამსახველი უხვი კორესპონდენციები რ. ერისთავის ხელმოწერით. 1846 წლიდან მოყოლებული სიცოცხლის ბოლომდე გრძელდებოდა პოეტის საუბრები იმაზე, რაზედაც დუმილი მის სულს არაფრით აღარ შეეძლო. ეს იყო რაფიელის პუბლიცისტური, ისტორიული, ფოლკლორული, ეთნოგრაფიული დაკვირვებები და შთაბეჭდილებები, ხშირად ჭეშმარიტ მეცნიერულ გამოკვლევებში რომ გადაიზარდა.

1846 წლის 29 მაისს რაფიელ ერისთავი თიანეთს განაწესეს თუშ-ფშავ-ხევსურეთის საოლქო სამმართველოს თარჯიმნად. თიანეთში რაფიელ ერისთავი თარჯიმნის მოკრძალებული მდგომარეობით არ დაკმაყოფილებულა. ბუნებით მუყაითმა პიროვნებამ სამსახურეობრივ ბეჯითობასთან ერთად აქტიური მეცნიერულ-პუბლიცისტური მოღვაწეობაც გააჩაღა. მან შესანიშნავად გამოიყენა რუ-

სული ენის ცოდნა და რუს მკითხველს თუშ-ფშავ-ხევსურეთის ოლქის სიძველეთა, ყოფის, რწმენა-წარმოდგენათა ამსახველი კორესპონდენციები შესთავაზა. პოეტის ეთნოგრაფიულ-ფოლკლორისტული დაკვირვებები მეფის რუსეთის ოფიციალურ ორგანოში — გაზეთ „კ ა ვ კ ა ზ შ ი“ — იბეჭდებოდა. ამ ფაქტს მრავალმხრივი მნიშვნელობა ჰქონდა. იმ დროს საქართველოში ბევრი რუსი ჟურნალისტი, მკვლევარი და კულტურის საკითხებით დაინტერესებული ჩინოვნიკი ჩამოდიოდა. ბევრი მათგანი ვერ ერკვეოდა ქართველი ხალხის ეროვნულ თავისებურებებში, ყოფის, კულტურის სპეციფიკაში. ახლადშემოერთებული ქვეყნის გაცნობა-შესწავლის მიზნით ისინი ბეჭდავდნენ ნაირ-ნაირ ინფორმაციას ქართველი ხალხის შესახებ, ქართული ეროვნული ყოფისა და ეროვნული კულტურის თავისებურებათა აღწერა-დახასიათებებს და, ნებსით თუ უნებლიეთ, არასწორ წარმოდგენას უქმნიდნენ მკითხველს. ზოგიერთი რუსი მოღვაწე განზრახაც ჩქმალავდა ქართული ყოფის, კულტურის თავისთავადობისა და ძირძველობის ფაქტებს. ასეთ დროს, ბუნებრივია, უაღრესად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მცოდნე კაცის ზუსტი, ობიექტური თვალთახედვით დაწერილი წერილებისა თუ კორესპონდენციების ბეჭდვას რუსულ ჟურნალ-გაზეთებში. ამას ხელს უწყობდა პოეტის სახელმწიფო სამსახურიც. რაფიელ ერისთავმა, რაკი განგებამ უმაღლესი სასწავლებლისაკენ მიმავალი გზა გადაუღობა, ერისადმი მსახურების სხვა ფორმა აირჩია. თავისი დიდებული წინამორბედის, ნიკოლოზ ბარათაშვილის, მსგავსად მეფის რუსეთის სამსახურში შევიდა. არც ამ შემთხვევაში დაუწყია პოეტს ყოყმანი, არავისთვის უგრძნობინებია თავისი სულიერი ინტერესების განუხორციელებლობით განპირობებული სევდა-მწუხარება, არ წამოსცდენია ბედისადმი სამდურავი. პოეტი კარგად გრძნობდა, რომ რუსი მოხელის მუნდირიც ერის ინტერესებისადმი მსახურების საშუალებად უნდა გამოეყენებინა. მისი ღრმა რწმენით იმჟამად შექმნილ ვითარებაში რუსული ცარიზმის წინააღმდეგ ბრძოლის ფორმად არ გამოდგებოდა ადმინისტრაციულ საქმიანობაში ქართველთაგან უარის თქმა.

XIX საუკუნის 40-იან წლებში საქართველოში ცარიზმის მმართველობის ახალი ხანა დაიწყო, სამხედრო მმართველობა სამოქალაქოთი შეიცვალა. დღის წესრიგში დადგა საქართველოს ეკონომი-

კურ-კულტურული დაპყრობის საკითხი. ცარიზმის ადმინისტრაციული სისტემა სულ უფრო ღრმად იჭრებოდა ქართული საზოგადოებრივი ცხოვრების წიაღში, ანგრევდა ჯერ კიდევ შემორჩენილ, საუკუნეებით განმტკიცებულ ეროვნულ ფორმებს და სანაცვლოდ კაპიტალისტურ პრინციპებს ამკვიდრებდა. ქართველ ხალხს მძიმე ტვირთად აწვებოდა ახალი ადმინისტრაციული წესრიგი, რომელთან შეგუებას, სხვასთან ერთად, რუსული ენის უცოდინარობაც ამძიმებდა. სწორედ აქ იყო ქართველ მამულიშვილთა მძიმე, ფრთხილი, გარეგნულ ეფექტებსა და ურაპატრიოტიზმს მოკლებული სამოღვაწეო ასპარეზი. ეს იყო გულცივი და განურჩევლობას დაფუძნებული რუსული ადმინისტრაციისა და ქართველ ხალხს შორის შუამდგომლობის ასპარეზი. შუამდგომლობისა, რომელსაც ორი უცხო საზოგადოებრივი ცხოვრების სისტემის ბუფერის როლი უნდა ეთამაშა. ამ გზას დამდგარი კაცის ცხოვრება პიროვნული ამბიციების დაკმაყოფილების, პიროვნული აღზევების თვალსაზრისით სახარბიელოს და პერსპექტიულს არაფერს შეიცავდა. ამგვარ გზაზე დამდგარი კაცი მაინც მუდმივი ეჭვისა და უნდობლობის ატმოსფეროში მყოფ ადგილობრივ მკვიდრად რჩება. თავად რაფიელ ერისთავიც ამგვარად დარჩა რუსული ადმინისტრაციისათვის და მან საკმაოდ იწვნია ამის სიმწარე. მაგრამ ეს შემდგომ... მანამდე კი ამ ჭეშმარიტებას იგი მხოლოდ წარმოსახვით ჭვრეტდა და მომავალი იმედგაცრუების ანაზღაურებას მრავალ საეროვნო საქმის კეთების მოსწრებით ფიქრობდა.

რაფიელ ერისთავმა სწორედ ჩუმი შეუმჩნეველი მოღვაწეობის სარბიელი აირჩია და რუსულ ადმინისტრაციასა და ქართველ ხალხს შორის შუადგომის გზას დაადგა. პოეტი არა მარტო ოფიციალური სახელმწიფო სამსახურით, არამედ თავისი სულიერი შემოქმედებითი ინტერესებითაც თავისი ხალხის სასიცოცხლო მისწრაფებების დამცველად დარჩა სიცოცხლის უკანასკნელ წუთებამდე. ეს მძიმე საქმე იყო. ქართული ყოფის ცოდნასთან ერთად ასეთი ადამიანს დიდ ტაქტთან და ზომიერებასთან შერწყმული გამბედაობაც ესაჭიროებოდა, რათა ცარიზმის ოფიციოზის სურვილისათვის — საქართველოს უკულტურო, ველურ ქვეყნად წარმოდგენის ტენდენციისათვის —სრულიად საწინააღმდეგო დაეპირისპირებინა. რაფიელ ერისთავს საამისოდ ყველაფერი აღმოაჩნდა: ბუნებრივი ზო-

მიერების გრძნობაც, პიროვნული სიმტკიცეც, გამბედაობაც და, რაც მთავარია, ქართული ყოფის ღრმა ცოდნაც. სწორედ ამ ცოდნით გააოცა მან თავისი თანამედროვენი.

იმ დროს პერიფერიებში მრავალი ქართველი მოღვაწე მუშაობდა, მაგრამ მათ შესახებ ბევრმა არაფერი იცოდა. რაფიელ ერისთავმა კი მიუხედავად იმისა, რომ თიანეთში სულ რაღაც წელიწადნახევარი დაჰყო, საყოველთაო ყურადღება მიიპყრო როგორც უნიჰიერესმა მკვლევარმა და ყოველმხრივ განათლებულმა პიროვნებამ. მისი ნაღვაწით თვით რუსეთის სამეცნიერო წრეებიც კი დაინტერესდნენ და იგი ავტორიტეტად სცნეს.

კანცელარიის მოხელეობის ერთფეროვანი საქმიანობა რაფიელმა ქართული ეროვნული ყოფის შესწავლით გააშინაარსიანა.

1847 წელს ქვეყნის არქეოლოგიური შესწავლის მიზნით საქართველოში იმოგზაურა ცნობილმა ფრანგმა მეცნიერმა, რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილმა წევრმა მ ა რ ი ბ რ ო ს ე მ. განგებამ ინება და ეს ორი ადამიანი შემოდგომის ერთ მშვენიერ დღეს კახეთში, სოფელ მატანში ერთმანეთს შეახვედრა. პირველ შეხვედრას მოჰყვა მარი ბროსეს სტუმრობა რაფიელის ოჯახში, სოფელ ქისტაურში. დიდი მეცნიერი გააოცა ცოდნისადმი იმ თაყვანისცემამ, რაც ქისტაურელ ერისთავთა ოჯახში ნახა. დაკვირვებული თვალი უმალვე მიხვდა, რომ ძველი ხელნაწერი წიგნებითა და ახალი გამოცემებით დამძიმებულ წიგნის თაროებს გიმნაზიადამთავრებული ჭაბუკის სულიერი სამყარო გარკვეული ინტერესებით გაეშინაარსებინა. მეფის სამსახურში ჩამდგარი რაფიელის გონება სხვა სულიერ საზრდოს ითხოვდა, სხვა ასპარეზს ელტვოდა. იგი ელოდა მოძღვარს, რომელიც ხელშესახებად დაანახვებდა ამ ასპარეზს, გაუხსნიდა და გაუთვალსაჩინოებდა მის რაობას. მარი ბროსე ქისტაურში მიხვდა, თუ რატომ ექცეოდა მას ჭაბუკი რაფიელი გამორჩეული პატივისცემით. მარი ბროსემ თავისი მეცნიერული ჩანაფიქრით და ინტელექტით მოხიბლა რაფიელი. მარი ბროსემ საქართველოში ჩატარებული მეცნიერულ სამუშაოთა შედეგები 1850 წელს გამოაქვეყნა წიგნში „არქეოლოგიური მოგზაურობა საქართველოსა და სომხეთში 1847-1848 წ.“ ამ ნაშრომში ავტორი ქისტაურში მიღებულ შთაბეჭდილებებსაც უზიარებდა მკითხველს. სხვასთან ერთად მარი ბროსე ამ წიგნში წერდა: „რაფიელ ერისთავმა, თავად დავი-

თის შვილმა, საფუძვლიანი განათლება მიიღო თბილისის გიმნაზიაში და თავი გამოიჩინა გაზეთ „კავკაზში“ მოთავსებული თავისი კარგი სტატიებით“.

მარი ბროსესა და რაფიელის ნაცნობობა შემდგომში აქტიურ მეცნიერულ თანამშრომლობაში გადაიზარდა. დიდი ხნის განმავლობაში რაფიელი მარი ბროსეს ერთ-ერთი ადგილობრივი კორესპონდენტი იყო. პოეტი მეცნიერს მეტად ღირებულ მასალასთან ერთად სამუზეუმო ექსპონანტებსაც (ჯიხვის ტყავებს და სხვ.) აწვდიდა. მათ შორის წარმოებულმა მიმოწერამ ამის დამადასტურებელი ბევრი ფაქტი შემოგვინახა. თვითონ პოეტიც დიდი აღტაცებით იგონებდა მარი ბროსესთან შეხვედრის ამბავს, ბედნიერ დღეებად თვლიდა 1847 წლის სექტემბერს, როცა პირველად გაიცნო საქვეყნოდ ცნობილი მეცნიერი, როდესაც მასთან ერთად იმოგზაურა ბოჭორმაში, იხილა ბოჭორმის ბათქაშჩამოყრილი ეკლესიის კედლებზე შემორჩენილი წარწერები. ერთ-ერთ პირად წერილში პოეტი გამოთქვამს კიდევაც თავის გულისტკივილს მარი ბროსესთან მალე გამოთხოვების გამო (კ. კეკელიძის სახ. ინსტიტუტის რაფ. ერისთავის ფონდი № 138).

მარი ბროსესთან შეხვედრამ კვლავ გაუცხოველა რაფიელ ერისთავს უმაღლესი განათლების მიღების სურვილი. მან კიდევ ერთხელ სცადა ბედი. 1848 წლის აპრილში თავი მიანება სახელმწიფო სამსახურს, გაწყვიტა კავშირი კანცელარიასთან და სულის სწრაფვას, შინაგან გულისხმას აჰყვა. პოეტმა აქტიურად დაიწყო მზადება რუსეთში გასამგზავრებლად უმაღლესი განათლების მისაღებად, მაგრამ მასაც ის „ავბედითი შავი ყორანი“ გადაეღობა წინ, რომელმაც არა ერთი ნიჭიერი მამულიშვილის ოცნებას შეაკვეცა ფრთები. უსახსრობამ რაფიელს უკვე საბოლოოდ ააღებინა ხელი განზრახვაზე. ცხოვრება, არსებობა თავისას ითხოვდა და იგი კვლავ დაუბრუნდა სახელმწიფო სამსახურს, მაგრამ ამჯერად რაფიელი უფრო ძლიერი იყო. გაჭირვებამ იგი ვერ გატეხა, ვერ დათრგუნა მისი პიროვნული ძალა, რადგან პოეტს უკვე გააჩნდა სხვა სულიერი სამყარო, რომელიც ყოველდღიურზე ამაღლების საყრდენს აძლევდა. ამიერიდან რაფიელის პიროვნებაში ჩასახლდა ორი „მე“, „მე“ მამულიშვილისა, რომელსაც თვითგამოვლენის შემოქმედებითი ასპარეზი ჰქონდა გადაშლილი და „მე“ მეფის მოხელეობის გზაზე დამდგარი მსახუ-

რისა. ასეთად დარჩა რაფიელ ერისთავი სიცოცხლის ბოლომდე, ორსახოვანი და ძლიერი. ხოლო საბოლოოდ პირველმა რომ სძლია მის მეორე „მეს“, ამაში ცხოვრების დიდი კანონზომიერება გაცხადდა. მამულისათვის ნამუშაკევმა აჭარბა მოხელეობის ნამსახურეობის ნუსხას, რადგანაც ეს უკანასკნელიც წინასწარგამიზნულობით პირველს იყო დაქვემდებარებული იმთავითვე.

თიანეთში სამსახურის წლებმა ბევრი რამ შესძინა რაფიელ ერისთავს. ქართული ყოფა თავისი თვითმყოფადობის უთვალავი გამოვლინებით, პირველ ყოვლისა, თვით პოეტს აოცებდა და ხიბლავდა, ხოლო შემდგომ ეს ხიბლი მის მკითხველზე გადადიოდა. გასაოცარი და გასაოგნებელი კი არც თუ ისე ცოტა იყო. რაფიელს უკვე ამ დროს აღმოაჩნდა არა მარტო ამ საოცრებათა შემჩნევის, არამედ მკითხველამდე მისი მიტანის ნიჭიც. აი, ერთი კონკრეტული მაგალითი. ერთხელ თიანეთის ახლოს რაფიელ ერისთავი უჩვეულო და მისთვის გაუგებარ ამბავს შესწრებია. იმხანად დიდი გვალვა მდგარა. გვალვას ხალხი ძალიან შეუღონებია და მასაც მამა-პაპათა ჩვევისათვის მიუმართავს. თიანეთელ გოგონებს გუთანი გამოუტანიათ მდინარის პირას, თვითონ უღელში შებმულან და წყალში „ხვნა“ დაუწყიათ. რაფიელი გაოცებულა ამ სანახაობით და მოახლოებული ფშაველებისათვის უკითხავს, რას შვრებიან თიანეთელი გოგოებია? ფშაველს უპასუხია: —ხომ ხედავ, ბატონო ჩემო, როგორი გვალვა დგას, ჰოდა, გოგონები წვიმას ხნავენო. ასე გაეცნო ჩვენი პოეტი ერთ-ერთ ძველქართულ რწმენა-წარმოდგენას. მისი მაძიებელი გონებისათვის ეს ფაქტი იქცა საგანგებო ინტერესის ერთგვარ იმპულსად. სულ მალე რაფიელმა ძირისძირობამდე გამოიკვლია ამ ხალხური ჩვევის არსი და შექმნა შესანიშნავი ფოლკლორულ-ეთნოგრაფიული ნარკვევი „ლაზარობა“, რომელიც ჯერ ცალკე წერილად გამოაქვეყნა გაზეთ „კავკაზში“, ხოლო შემდეგ თუშ-ფშავ-ხევსურეთის ოლქის შესახებ დაწერილ მონოგრაფიულ ნაშრომშიც შეიტანა. აი, რას მოუთხრობდა მკითხველს რაფ. ერისთავი: „კახეთში, ივლისში, დიდი სიცხეები იცის. მზე აცხუნებს, ჰაერი იხუთება, სუნთქვაც ჭირს, გვალვა ანადგურებს ყანებსა და ვენახებს: ფოთლები დაბლა ხრიან თავს, ცვარის ნამცეციც კი არაა, რომ გააცოცხლოს ისინი. უფრო მეტად ჩაუკიდია თავი აქაურ კაცს, მჭმუნვარე და დაფიქრებული დადის. სულ ტყუილად გასცქერის კავკასიონს.

იქ, ხეობებში, ყინულის ლოდებივით გადებულან ღრუბლები, მაგრამ წვიმა არა და არ ჩანს... და აი, გაბეზრებული გლეხი მიმართავს თავის გოგონებს: — ნეტა რას უსხედხართ სახლში და არ ჩამოიელით ლაზარეთი?

გოგონები უხმობენ თავიანთ სწორებს, აკეთებენ თოჯინებს და ჩამოიელიან სახლებს. ყველა სახლთან მღერიან:

„ღმერთო მოგვე ტალახი,
აღარ გვინდა გორახი".

წარმატება მოჰყვება ამ ჩვევას თუ არა მე ვერ გეტყვით, მაგრამ გოგონები იქამდე იელიან ხოლმე ასე, ვიდრე ზეცას წვიმას არ გამოსტყუებენ...".

1849 წლის 29 ივნისს რ. ერისთავი ისევ სახელმწიფო სამსახურში შევიდა და კავკასიის მთავარი სამმართველოს საბჭოს კანცელარიის შტატგარეშე მოსამსახურე გახდა. თავისი მუყაითობის წყალობით ორი წლის შემდეგ უკვე კავკასიის მეფისნაცვლის კანცელარიის მაგიდის უფროსის თანაშემწეობას მიაღწია, ხოლო კიდევ რამდენიმე თვის შემდეგ „გუბერნიის სეკრეტარის" ჩინი მიიღო. ეს დიდზე დიდი მიღწევა იყო იმ დროს გიმნაზიადამთავრებული ახალგაზრდა ქართველი კაცისათვის.

სახელმწიფო სამსახურში ჩინოვნიკური იერარქიული კიბის საფეხურებზე საოცრად სწრაფი ზეაღსვლა, რასაკვირველია, ჩვენი პოეტის დიდი მუყაითობის, კეთილსინდისიერების უკუგება იყო, რაც თავისთავად რაფიელისაგან შინაგან ენერგიასთან ერთად დროსაც მოითხოვდა. მაგრამ, მიუხედავად ამისა, იგი უფრო მეტ სულიერ ენერგიას ქართული ეროვნული საქმის კეთებას ახმარდა.

თბილისში რაფიელ ერისთავის შემოქმედებითი პროდუქტიულობა კიდევ უფრო გაიზარდა. ჯერ კიდევ 1855 წელს დაუფასდა პოეტს ის დიდი შრომა, რასაც უკვე 1846 წლიდან მოყოლებული ბეჭდავდა გაზეთ „კავკაზში" მხატვრული ნარკვევების სახით თუშ-ფშავ-ხევსურეთზე და რომელიც შემდეგ, როგორც აღინიშნა, ცალკე წიგნადაც დაიბეჭდა. რაფიელი ამ ნაშრომისათვის რუსეთის საიმპერატორო გეოგრაფიულმა საზოგადოებამ ოქროს მედლით დააჯილდოვა, ხოლო ამ საზოგადოების კავკასიის განყოფილებამ იგი თავის ნამდვილ წევრად აირჩია. ეს ფაქტი რაფიელ ერისთავის მეცნიე-

რული საკვლევაძიებო ნიჭის აღიარება იყო და ახალგაზრდა პოეტის პიროვნებას სრულიად ახალი კუთხით წარმოაჩენდა მის თანამედროვეთა თვალში.

თიანეთიდან რაფიელის თბილისში ჩამოსვლა დაემთხვა ერთი დიდი ეროვნული საქმის დასაწყისს. ეს იყო ქართული მუზეუმის დაარსებისათვის მზადების პერიოდი. რაფიელ ერისთავი იმთავითვე აქტიურად ჩაერთო მუშაობაში. მუზეუმის დირექტორის, ცნობილი მოღვაწის ვლადიმერ სოლოგუბის მიწვევით რაფიელმა საქართველოში შეკრებილ-დაგროვილი მასალა ევროპული მუზეუმების დონეზე გადააქცია სამუზეუმო ექსპონატებად. პარალელურად ამ დროს იგი „გუბერნიის სეკრეტრის“ ჩინით მეფისნაცვლის კანცელარიაშიც მუშაობდა. მან პირდაპირ კოლოსალური შრომა დახარჯა მუზეუმის შეწირულობათა სახელწოდებების დასადგენად, დასაზუსტებლად. ჩვენს ეროვნულ სინამდვილეში პირველმა შეადგინა კატალოგი, მოამზადა საგამოფენოდ სამუზეუმო ექსპონატები და (1855 წლის აპრილიდან ივლისის ჩათვლით) მუზეუმის მდივნის მოვალეობასაც ასრულებდა. აღსანიშნავია, რომ პოეტმა ახლადაარსებულ მუზეუმს (1852 წ.) თავადაც შესწირა ბევრი საინტერესო მასალა. მუზეუმის დაარსებიდან რამდენიმე წლის შემდეგ მისი პირველი დირექტორი ვლადიმერ სოლოგუბი კვლავ რუსეთში დაბრუნდა. დღის წესრიგში დადგა ახალი დირექტორის მოძებნის საკითხი.

ქართული საზოგადოებრივი აზრი საგულდაგულო ძიების შემდეგ ორ პიროვნებაზე შეჩერდა. ერთი იყო ცნობილი მოღვაწე, ნუმიზმატიკის აღიარებული სპეციალისტი ი. ბ ა რ ტ ო ლ ო მ ე ი, ხოლო მეორე გეოგრაფიული საზოგადოების ნამდვილ წევრად პატივგებული რ ა ფ ი ე ლ ე რ ი ს თ ა ვ ი. გეოგრაფიულ საზოგადოებას სპეციალური კენჭისყრის ჩატარება მოუხდა დირექტორის ასარჩევად. ორივე კანდიდატმა ხმების თანაბარი რაოდენობა მიიღო. მუზეუმის დირექტორობა მაინც ი. ბარტოლომეის ერგო, როგორც თბილისში მცხოვრებს, რადგან არჩევნების ჩატარების დროს, 1855 წლის ივლისში რაფიელ ერისთავი უკვე დასავლეთ საქართველოში, ქუთაისში, იმყოფებოდა.

რ. ერისთავი ქუთაისში გადაიყვანეს ქუთაისის გუბერნატორის თავად ივანე მუხრანბატონის წარდგინებით. იგი ახალგაზრდა რაფიელს ადრიდანვე იცნობდა. ივანე მუხრანბატონი მოხიბლული იყო

რაფიელის სიდინჯით, თავდაჭერის საოცანი უნარით, სიფრთხილით და ტაქტიანობით. რაფიელის ამ პიროვნულ ღირსებებში ივანე მუხრანბატონმა სწორედ ისეთი თვისებები აღმოაჩინა, რაც აუცილებელი იყო ამ დროს მეფის მოხელის მუნდირში გამოწყობილი მოღვაწისათვის. ამიტომ მან იშუამდგომლა მეფისნაცვლის წინაშე და 1855 წლის 23 ივლისს რ. ერისთავი დაინიშნა ქუთაისის გუბერნატორის განსაკუთრებულ მინდობილობათა უფროსი მოხელისა და თარჯიმნის თანამდებობაზე.

რაფიელ ერისთავის ცხოვრებაში სრულიად ახალი ხანა იწყებოდა.

1855 წლის ივლისი იწურებოდა. პოეტი ქუთაისს გასამგზავრებლად ემზადებოდა სამსახურის ახალ ადგილზე. ბედისწერასთან გაჯიბრებულ, გაკერპებულ პოეტს მგზავრობის დღედ, თითქოს საგანგებოდ, არასასიკეთოდ მიჩნეული ორშაბათი აერჩია.

ჩვეული სიდინჯით ადევნებდა იგი თვალს წინა სამგზავრო ფუსფუსს. ახლის, მომავლისადმი ფარული ინტერესით ეთხოვებოდა პოეტი თბილისს, შეჩვეულ ყოფას, ჭაბუკურ ოცნებებსა და გზნებებს. თბილისიდან მიმავალი რაფიელი პირველი სიყვარულის აუხდენელ გზნებასაც ეთხოვებოდა. თბილისში რომელიღაც ქართველი დიდებულის ასულის მშვენიერებამ დაიმორჩილა ჭაბუკი რაფიელი და მისი პოეტური მუზა. რაფიელმა ბავშვობის პოეტური ცდები სატრფიალო-სამიჯნურო ლექსებს თხზვით გაასრულა და ტრადიციულ სამიჯნურო განწყობილებათა ერთგვარ გამგრძელებლად წარმოსდგა. ეს იყო რაფიელის პოეტური ხმის, სათქმელის ძიების წლები. ეს ადრეული პოეტური ქმნილებები მაინცა და მაინც არ გამოირჩევიან პოეტური აზროვნების სიახლით.

დიდ ხანს გაჰყვა რაფიელს პირველი სიყვარულის შთაბეჭდილებანი. ალბათ იმიტომაც, რომ სიყვარულში მარცხი იწვნია ჩვენმა პოეტმა. სიყვარულის ჭეშმარიტი არსი პოეტისათვის მარცხნაგვემ სიყვარულში გამქღავნდა და ამ განცდათა გამოჩატულებად მისი მრავალი სატრფიალო ლექსი შემოგვრჩა.

იმერეთი რაფიელს ახალ, შეუცხობელ საოცრებად ესახებოდა. ამ საოცრებათა ხილვის სიხარულს უქვემდებარებდა იგი თავის გულისთქმას, სულის ძახილს.

მძიმე და მომქანცველი აღმოჩნდა რაფიელ ერისთავის მგზავ-

რობა ქუთაისისაკენ. გზის გასწვრივ სანახები ხან გულისწამღები ერთფეროვნებით ამძიმებდნენ პოეტის წარმოსახვას. ხანაც, ჩვენი ერის სულიერი ცხოვრების აშკარა მატიანეებად წარმომდგარნი, შინაგანი სიამაყით ავსებდნენ მის სულს.

თბილისსა და ქუთაისს შორის გაწოლილი გრძელი გზა რაფიელმა რამდენიმე დღეში განვლო და მონდომებული მოგზაურის გულმოდგინებით აღწერა და აღნუსხა ყველაფერი

ახალგაზრდა რაფიელზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა მოგზაურობამ. მან თავის განწყობილებები გაზეთ „კ ა ვ კ ა ზ შ ი“ (1855 წ.) გამოაქვეყნა მხატვრული ნარკვევების სახით, რომლებსაც უწოდა „წ ე რ ი ლ ე ბ ი ი მ ე რ ე თ ი დ ა ნ“.

ძნელი და რთული აღმოჩნდა ჩვენი პოეტის სახელმწიფო სამსახური ქუთაისში. საგანგებო საქმეთა მოხელეობა ავალდებულებდა მას ეკეთებინა მრავალნაირი და, არცთუ იშვიათად, მისი პატრიოტული სულისკვეთებისათვის შეუთავსებელი საქმე. მაგრამ ეს სამსახური ერთი ასპექტით მაინც აღმოჩნდა რაფიელისათვის სასიკეთო და საინტერესო. ამიერიდან პოეტს მიეცა მთელს იმერეთში ხშირი მოგზაურობის საშუალება და ამ მხარის საგულდაგულოდ გაცნობის შესაძლებლობა.

1856 წლის ზაფხულის მიწურულს პოეტმა ზემო იმერეთი შემოიარა, ინახულა სიმონეთი, ძევრი, ჩხარი, საჩხერე. საჩხერეში ალექსანდრე წერეთლის წიგნსაცავში მან მიაკვლია ა. გრიბოედოვის კომედიის „ვაი ჭკუისაგან“ დედანს. თავის შთაბეჭდილებებსა და დაკვირვებებს რაფიელმა კვლავ მხატვრული ნარკვევების ფორმა მოუძებნა და შემდეგ დასტამბა კიდეც.

ქუთაისში მოღვაწეობის პერიოდში რაფიელ ერისთავი ჩვეული მუყაითობითა და გულისხმიერებით ეკიდებოდა ოფიციალურ სამსახურებრივ მოვალეობასაც და ქართული ყოფისა და კულტურის უძველესი მასალის ძიება-პუბლიკაციას. ამაზე მეტყველებს ერთი მხრივ, რაფიელის სწრაფი დაწინაურება სახელმწიფო სამსახურში, მეორე მხრივ, მისი აქტიური საზოგადოებრივი საქმიანობა.

როგორც ცნობილია, ეს ხანა ჩვენი ერის ცხოვრებაში გარკვეული მღელვარებით გამოირჩევა. ამ დროს დასავლეთ საქართველოში ჯერ კიდევ გრძელდებოდა რუსული ადმინისტრაციული მმართველობის დამკვიდრების პროცესი. განსაკუთრებით თავისებური ვი-

თარება იყო შექმნილი სამეგრელოში. სხვა ქართულ პოლიტიკურ ერთეულებთან შედარებით ეს მხარე დიდხანს ინარჩუნებდა ფორმალურადღა შემორჩენილ იურიდიულ დამოუკიდებლობას.

რუსეთის იმპერია, ერთი მხრივ, საქართველოს საბოლოო შემომტკიცებას ესწრაფოდა. ამ მიზნით რუსეთი უკვე XIX საუკუნის 60-იან წლებში აწარმოებდა დიდ ომს თურქეთის წინააღმდეგ. თურქეთთან ომს განსაკუთრებული სასოებით შეჰყურებდა ქართველი საზოგადოება, რადგან საქართველოს ვერაგ მეზობელს უამრავი ქართული მიწა ჰქონდა მიტაცებული. ჩვენი ლამაზი აჭარა მტერს ეპყრო, სახელმწიფო საზღვარი აჭარა-გურიის მიჯნაზე, მდინარე ჩოლოქის გაყოლებაზე გადიოდა. თურქი სარდლის ომარ ფაშას დიდი ლაშქარი გურიასაც ემუქრებოდა დაპყრობით. რუსულ პოლკებთან ერთად ამ ომში აქტიურად მონაწილეობდა ქართული ლაშქარიც. მათ თურქეთთან საუკუნოვანი დავა ჰქონდათ გადასაწყვეტი, დედასაქართველოს უნდა დაბრუნებოდა მტრის მიერ მიტაცებული ქართული მიწა-წყალი. რუსულ-ქართული ლაშქარი წარმატებით იბრძოდა. ყოველ დღეს ახალი სასიხარულო ამბები მოჰქონდა. თურქი დამპყრობლები უკან-უკან იხევდნენ, ხორცი ესხმოდა ქართველი ხალხის საუკუნოვან ოცნებას — აჭარა თავისუფლდებოდა. ამ დროს რაფიელ ერისთავი განსაკუთრებული ინტერესით ადევნებდა თვალს საომარ მსვლელობას და ქართველ საზოგადოებას დიდი პატრიოტული სულისკვეთებით აღსავსე საგაზეთო ნარკვევებით მოუთხრობდა წარმატების ამბებს.

1854 წლის 4 ივნისს დიდი ბრძოლა გაიმართა გურიაში, რომელიც ჩოლოქის ბრძოლის სახელით შევიდა ისტორიაში. ამ ბრძოლაში განსაკუთრებით ისახელეს თავი ქართულმა რაზმებმა. ომარ ფაშას 12 ათასიანი ლაშქარი სასტიკად დამარცხდა. პოეტმა დაწვრილებით აღწერა ამ ბრძოლის მსვლელობა ერთ-ერთ თავის ნარკვევში და 1855 წელს გაზეთ „კავკაზში" გამოაქვეყნა სათაურით „ჩვენი მილიციონერების ნაამბობი". თურქეთთან ბრძოლის ამბებს რაფიელმა ბევრი სხვა მხატვრული ნირკვევიც უძღვნა.

ამავე პერიოდში მნიშვნელოვანი ამბები ხდებოდა თვით საქართველოს საზოგადოებრივ ცხოვრებაშიც. 50-იანი წლების მიწურულს აჯანყდა მეფის რუსეთის მმართველობისაგან, მებატონეთაგან უკიდურესად შევიწროებული სამეგრელოს გლეხობა. აჯანყებამ

მთავრობისათვის ფრიად საშიში ხასიათი მიიღო. აჯანყებულებმა ნიჭიერი გლეხი უტუ მიქავა ისარდლეს და მედგრად შეუტიეს მჩაგვრელთ. მეფის მთავრობამ გადაწყვიტა მაქსიმალურად ესარგებლა ამ სიტუაციით და საბოლოოდ გაეუქმებინა სამეგრელოში შემორჩენილი ადგილობრივი მმართველობის სისტემა — სამეგრელოს მთავრის ინსტიტუტი. ამ მიზნით, ვითომდა აჯანყებულთაგან დასაცავად, სამეგრელოს მთავარი ეკატერინე ჭავჭავაძე პეტერბურგს გაიწვიეს.

აჯანყებულთა დასაწყნარებლად და აჯანყების მიზეზთა გამოსაძიებლად ქუთაისის გუბერნატორმა 1857 წლის 17 მარტს ზუგდიდს რაფიელ ერისთავი გაგზავნა და მას საგანგებო რწმუნება მიანიჭა. რაფიელმა დიდი ტაქტითა და სიფრთხილით წარმართა საქმის ძიება. მან არ ისარგებლა თითქმის შეუზღუდავი უფლებებით, რეპრესიებით და სადამსჯელო ღონისძიებებით, არ უცდია აჯანყების დათრგუნვა. პირიქით, ზეპირგადმოცემა პოეტს გარკვეულად აკავშირებს კიდეც უტუ მიქავასთან. არსებობს ზეპირგადმოცემა, თითქოს პოეტი დაეხმარა უტუ მიქავას და დააწერინა სიტყვა, რომელიც აჯანყების ხელმძღვანელმა გენერალ კოლუბიაკინს წარუდგინა, როგორც ბრალდება და აჯანყების მიზეზი.

პეტერბურგში ეკატერინე ჭავჭავაძის წასვლის შემდეგ სამეგრელოში შემოღებული იქნა სამთავროს დროებითი მმართველობა. 1857 წლის 9 სექტემბრიდან ამ თანამდებობის შესრულება დაევალა რაფიელ ერისთავს. ამ დროიდან რაფიელ ერისთავი სამეგრელოს მართვა-გამგეობის სათავეში თითქმის ათი წელიწადი იმყოფებოდა. პოეტი მის წინაშე გადაშლილ ფართო სახელმწიფოებრივი მოღვაწეობის ასპარეზს არ შეუცბუნებია. არადა რთულზე რთული იყო სამეგრელოს დროებითი მმართველის მდგომარეობა. ფეოდალური წყობის ისედაც რთული სახელმწიფოებრივი სტრუქტურა კიდევ უფრო ჩახლართული იყო სამეგრელოში. საზოგადოების სოციალური ფენების ურთიერთდამოკიდებულების ურთულესი მექანიზმი კიდევ უფრო იყო დამძიმებული ადგილობრივი მებატონეების დაუწერელი კანონის რანგში აზიდული თვითნებობის უამრავი გამოვლინებით. მეგრელი გლეხობა წელში წყდებოდა გადასახადების სიმრავლით და სიმძიმით. რაფიელ ერისთავი სამეგრელოს მართვა-გამგეობას მისი ყოველმხრივი შესწავლის საფუძველზე შეუდგა.

ქმედითი ზომების გატარებამდე იგი საფუძვლიანად გაერკვა სამეგრელოს ყოფით თავისებურებებში, მეგრელთა ადათ-წესებსა და ყოფით ტრადიციებში და ამ თავისებურებათა გათვალისწინებით შეუდგა მმართველობის ახალი პრინციპების დამკვიდრებას. ამ საქმის წარმატებას ხელი შეუწყო რაფიელ ერისთავის დამტკიცებამ სამეგრელოს მაზრის უფროსის თანამდებობაზე.

1857 წლის 14 სექტემბრიდან ასრულებდა რ. ერისთავი ზუგდიდის მაზრის უფროსის მოვალეობას. ამ დროისათვის, როგორც ცნობილია, სამეგრელოს მთავრის მემკვიდრეს, ნიკოლოზ დავითის ძე დადიანს, უარი ათქმევინეს ტახტზე. სამაგიეროდ, მას ერთი მილიონი მანეთი უბოძეს და გვარი დადიანი მინგრელსკიდ შეუცვალეს. ეკატერინე ჭავჭავაძე შვილთან ერთად სამუდამოდ ჩამოაშორეს სამეგრელოს მართვა-განმგებლობას და სამთავრო ცალკე ადმინისტრაციული ერთეულის — მაზრის სახით შეუერთეს რუსეთს. ეს 1857 წლის სექტემბერში მოხდა. კავკასიის მეფისნაცვალმა ახლადდაარსებული ზუგდიდის მაზრის უფროსად 1857 წლის 15 ოქტომბერს რაფიელ ერისთავი დაამტკიცა. სულ მოკლე ხანში პოეტმა შეძლო სამეგრელოს მართველობის და საზოგადოებრივი ყოფის მოწესრიგება.

რაფიელ ერისთავმა განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია ქალაქ ზუგდიდს. მას ამ შესანიშნავ ქალაქში ბევრი რამ დახვდა აოხრებული და გაჩანაგებული. პოეტმა დიდი მზრუნველობით შეაკეთებინა დადიანის სასახლე, გააყვანინა წყალი, გააშენა ჭადრების საუცხოო ხეივანი. რაც მთავარია, მან ადგილობრივი მოსახლეობის დიდი სიყვარული და პატივისცემა მოიპოვა. რაფიელ ერისთავის დიდი წელილი მაზრის აწეწილ-დაწეწილი საქმეების მოწესრიგებაში არც მეფის მთავრობას დარჩენია უყურადღებოდ. იგი ჯერ დაჯილდოვდა წმინდა სტანისლავის ორდენით, შემდეგ 1853-1856 წლების რუსეთ-თურქეთის ომის სამახსოვრო ბრინჯაოს მედლით, იმავე წელს ებოძა ახალი სამოხელეო ჩინიც „ტიტულიარნი სოვეტნიკობა“. ამასთან ერთად რაფიელს გაუდიდეს ოფიციალური რწმუნებანიც. ძირითად სამსახურებრივ მოვალეობასთან ერთად იგი 1861 წელს დანიშნეს სამეგრელოს საეკლესიო მამულების მზრუნველად, კიდევ უფრო დააწინაურეს ჩინით, „კოლეჟსკი ასესორობა“ უბოძეს, დააჯილდოეს „წმინდა ანას“ ორდენით, 1866 წელს მიანიჭეს

„ნადვორნი სოვეტნიკის“ ჩინი, დანიშნეს სამეგრელოს ყმა-გლეხთა ყოფა-ცხოვრების გამაუმჯობესებელი კომიტეტის წევრად, სამეგრელოს, სვანეთისა და სამურზაყანოს მაღალი წოდების პირთა უფლებების განმსაზღვრელი კომისიის წევრად, ქუთაისის გუბერნიის საგლეხო საქმეთა საკრებულოს წევრად და მიანდეს სამეგრელოს საქმეების წარმოება. სამეგრელოში სახელმწიფოებრივი რეფორმის წარმატებით გასრულებისათვის რაფიელი 1867 წელს კვლავ მეფის მთავრობის მაღალი ჯილდოთი — „წმინდა ანას“ კიდევ ერთი ორდენით დააჯილდოეს.

რაფიელ ერისთავის ასეთი თავბრუდამხვევი სისწრაფით ზეაღსვლა სახელმწიფო სამსახურის იერარქიულ კიბეზე სრულყოფილად არ გამოხატავს მის დიდ ღვაწლს სამეგრელოს საზოგადოებრივ ცხოვრებაში. ეს ყველაფერი მაინც მეფის მოხელის რანგში გაწეული საქმე იყო, წმინდა ადმინისტრაციული, რაც, რასაკვირველია, სწორედ დიდი მამულიშვილური სიყვარულითა და ტაქტით იყო გაწონასწორებული. უფრო მნიშვნელოვანი იყო ის ყველასათვის ძნელად შესამჩნევი, საგულდაგულოდ დაფარული, რასაც პოეტი აკეთებდა ქართველი ერის, სამეგრელოს, საკეთილდღეოდ.

სამეგრელოში რაფიელ ერისთავის მოღვაწეობის სულიერ საყრდენს ჭეშმარიტი მამულიშვილის შინაგანი ხმა შეადგენდა. მეფის დიდმოხელის მუნდირში ცარისტული რეჟიმისადმი ამხედრებული მამულიშვილის გული ძგერდა. ურთულესი ამოცანა იდგა სამეგრელოში რ. ერისთავის წინაშე. რუსეთის გამგებლობაში ახლადშესულ ამ უძველეს კუთხეში უნდა დამსხვრეულიყო ძველი, პატრიარქალური ყოფის ტრადიციები, მისი ფეოდალური სტრუქტურა და ახალი მმართველობითი სისტემის შესაბამისი ფორმები უნდა დანერგილიყო. ქართული ეროვნული გარემოსათვის უცხო—რუსული სისტემის შემოტანა-დამკვიდრების დაჩქარებას რ. ერისთავს სამეგრელოში ძველი საზოგადოებრივი ურთიერთობის დამახინჯებული ფორმების მოსპობის აუცილებლობაც აიძულებდა. პოეტი გააკვირვა სამეგრელოში ბატონყმური ჩაგვრის ურთულესმა სისტემამ. აქ არა მხოლოდ დიდ მებატონეებს, არამედ თვით გლეხებსაც კი თავისი ყმები ჰყავდათ. ასე რომ, იყვნენ მებატონეთა გლეხები და გლეხების გლეხები. ყმათმფლობელობის ეს სამწუხარო ტენდენციები ისე იყო სამეგრელოში გავრცელებული, რომ ადამიანის პიროვნული კეთილ-

დღეობის უპირველეს გამოხატულებად ყმის ყიდვის უნარი იყო მიჩნეული. აქედან გამომდინარე არნახულად იყო ფესვგადგმული სოციალურ ფენებს შორის კასტური სიძულვილი.

მალე, სამსახურებრივი მდგომარეობის გამო კიდევ უფრო ახლოს გაეცნო რ. ერისთავი სამეგრელოში ბატონყმური ჩაგვრის საშინელებებს. 1865 წელს იგი დაინიშნა სამეგრელოს ყმა-გლეხთა ყოფა-ცხოვრების გამაუმჯობესებელი კომიტეტის წევრად. პარალელურად მუშაობდა სამეგრელოს, სვანეთისა და სამურზაყანოს მაღალი წოდების პირთა უფლებების დამდგენ კომისიაში. ამ წლებში არაჩვეულებრივად გამახვილდა რ. ერისთავის ყურადღება ბატონყმობის, როგორც უსასტიკესი სოციალური ჩაგვრის, პრობლემებისადმი. ბატონყმობის სიძულვილი პოეტის არსებაში უკვე მოქალაქეობრივი პროტესტის ფორმას იძენდა. ეს პროცესი კიდევ უფრო დააჩქარა სამეგრელოს გლეხობის აჯანყებამ, რომელმაც 1857 წელს იფეთქა. რ. ერისთავი ახლოს გაეცნო აჯანყებულთა სოციალურ მოთხოვნებს, მათ მეთაურს უტუ მიქავას. პოეტს საიდუმლო კავშირიც კი ჰქონია აჯანყებულ გლეხობასთან. რ. ერისთავმა უტუ მიქავას ისტორიული სიტყვაც კი ჩაიწერა სოფ. ქვაშიხორში. ეს სიტყვა შემდეგ შევიდა სამეგრელოსა და სვანეთის ეთნოგრაფიის ცნობილი მკვლევარის კ. ბოროზდინის ნაშრომში „სამეგრელო და სვანეთი". უტუ მიქავამ ამ სიტყვით თავის დროზე მიმართა სამეგრელოში აჯანყების ჩასაქრობად ჩამოსულ ქუთაისის სამხედრო გუბერნატორ ნიკოლოზ კოლუბიაკინს. მალე რ. ერისთავმა უკვე საჯაროდ გამოხატა თავისი დამოკიდებულება ბატონყმობისადმი. 1866 წელს მან დაწერა გამოკვლევა „ბატონყმობა სამეგრელოში". ამ ნაშრომში მან სამეგრელოს ტრადიციული ეთნოგრაფიული ყოფის ღრმა ანალიზის საფუძველზე ამხილა ბატონყმური ჩაგვრის საშინელებანი. ეს ნაშრომი პოეტმა მოხსენებით ბარათთან ერთად მეფისნაცვალს წარუდგინა და ბატონყმობის გაუქმების მოთხოვნა წამოაყენა.

ზუგდიდში ათი წლის სამსახურის ჟამს რაფიელ ერისთავმა შემოქმედებითადაც ბევრის გაკეთება მოასწრო. პოეტი ქართველი ხალხის ჟირისა და ლხინის მოზიარე იყო. ჭაბუკურ ოცნებებს იგი სამეგრელოშიც ერთგულებდა. თავისი სულიერი ცხოვრების უმთავრეს მიზნად აქაც ქართული ეროვნული კულტურის, მისი მკვლევავი წყაროების ძიება და მათ რაობაში გარკვევა ჰქონდა ქცეული. რა-

ფიელ ერისთავმა იმ პერიოდში პრესაში რამდენიმე ნაშრომი გამოქვეყნა და სამეგრელოს ისტორიის, მისი სულიერი და მატერიალური კულტურის, ყოფის ბრწყინვალე ცოდნა გამოამჟღავნა. განსაკუთრებით საინტერესოა ამ მხრივ ჟურნალ „კავკაზსკაია სტარინაში“ 1873 წელს გამოქვეყნებული ნაშრომები: „მოგზაურობა სამეგრელოს გარშემო“, „გლეხთა წოდების შესახებ სამეგრელოში“, „პრივილიგირებული წოდების შესახებ სამეგრელოში“. მიუხედავად ამისა, რაფიელის მიერ სამეგრელოში წარმოებული კვლევა-ძიების მთელ სიღრმესა და სიუხვეს სრულყოფილად მაინც მისი პირადი არქივი წარმოაჩენს. რა სახის მასალა არ არის შეკრებილი პოეტის მიერ, რას არ მისწვდენია მისი მაძიებელი გონება. აქ არის თავმოყრილი რაფიელის მიერ ჩაწერილი მეგრული რწმენა-წარმოდგენები, ადათ-წესები, ზნე-ჩვეულებები, მასალა მეგრული ენის ლექსიკის, გრამატიკის შესახებ, სახალხო გართობა-თამაშობათა აღწერილობები, რელიგიურ დღესასწაულებთან დაკავშირებული ჩვევები და მრავალი სხვა.

დიდი მუშაობა ჩაატარა რაფიელმა მეგრულ-სვანური შედარებითი ლექსიკონის შესაქმნელად. პოეტის არქივში ამ მხრივ საკმაოდ საინტერესო მასალა არის დაცული. თითოეულ ყოფით ფაქტში რაფიელი ამჩნევს ჩვეულებრივი თვალისათვის უხილავს, შეუმჩნეველს, განსაკუთრებულს და გაუმეორებელს თავისი გამოვლენით, რომელიც პოეტის ანალიტიკური გონების მიერ ზოგად ქართულის რანგშია აზიდული და ამ სიბრტყეზეა გაანალიზებული. სანიმუშოდ ერთი ფაქტის მოტანაც იკმარებდა. სამეგრელოში, სოფელ ბანძაში, რაფ. ერისთავი წმინდა გიორგობას დაესწრო. პოეტი გააკვირვა ერთმა ხალხურმა ჩვევამ. ხალხი გარს შემოერტყა წმინდა გიორგის ეკლესიის ახლო მდგარ ერთ დიდ ხეს. ზოგი ზედ ავიდა ხეზე, ზოგი ტოტებზე დაეკიდა. დანარჩენებმა ხის ძირს მიაშურეს და ხეს რყევა დაუწყეს. იქამდე არყიეს, ვიდრე ფესვებიანად არ მოთხარეს. შემდეგ მოთხრილი ხე თავდაყირა მიაყუდეს ეკლესიას და ქვის სროლა დაუწყეს. დამსწრეთაგან ვერავინ განუმარტა პოეტს ამ მოქმედების შინაარსი. იგივე ამბავი რაფ. ერისთავმა შემდეგ სოფელ ოფშკვითშიც იხილა. აქაც საგულისხმოა ვერაფერი შეიტყო. გული დასწყდა პოეტს იმის გამო, რომ ვერ გაერ-

კვა უძველესი ხალხური ჩვევის არსში. იგი გრძნობდა, რომ მასში შორეულ საუკუნეთა წიაღში შემონახული იდუმალება იმზირებოდა. პოეტი იმასაც კარგად ხედავდა, რომ დღეს-ხვალ ისიც გაქრებოდა უკვალოდ, რისი ხილვაც თვითონ შეძლო. ამიტომ დაწვრილებით აღნუსხა ამ ხალხური ჩვევის ყველა ნიუანსი და იმ შეგნებით გამოაქვეყნა, რომ მნიშვნელოვანი მასალა მოძებნა სამერმისო მეცნიერული კვლევა-ძიებისათვის. დრომ ნათელყო, რომ პოეტი მართალი იყო. შემდგომში ამ ჩვევის კვალი სხვა მკვლევარებმაც მოიძიეს საქართველოს სხვა კუთხეებში. მისმა მეცნიერულმა შესწავლამ დაადგინა, რომ მასში შემორჩენილი იყო წარმართული სამყაროს უარყოფის და მის ნაცვლად ქრისტიანული რელიგიური რწმენა-წარმოდგენის დამკვიდრების მისტერია. მოთხრილი ხე იყო მსოფლიოს ხალხთა მითოლოგიაში კარგად ცნობილი მითური სამყაროს სამი სკნელისაგან: ზესკნელისაგან, შუასკნელისაგან და ქვესკნელისაგან შემდგარი მოდელის მაერთიანებელი ხე. მისი წვერი ზეცაში, ანუ ზესკნელშია, ფესვები კი ქვესკნელში. მითური მსოფლგანცდით ზეცაში მყოფი ღმერთი თავის ნება-სურვილს ღვთისშვილების მეშვეობით ატყობინებს ხალხს. ეს ღვთისშვილები ზეციდან მიწაზე ხის დახმარებით ჩამოდიან. ხეს წვერზე შებმული აქვს ოქროს შიბი (ჯაჭვი). ღვთისშვილები ჯერ ჯაჭვს მოჰყვებიან. შემდეგ ხის წვერს და ისე ჩამოდიან დედამიწაზე. ქართულმა ხალხურმა პოეზიამ უამრავი ცნობა შემოგვინახა ქართულ მითოსში ამ ხის არსებობის შესახებ. რაფ. ერისთავის მიერ სამეგრელოში ნანახი ხის მოთხრა სიმბოლური შინაარსისა არის და ნიშნავს სამყაროს ძველი მითოსური მოდელის დამსხვრევას, ანუ წარმართული ღმერთების დამხობას და მათ ნაცვლად ქრისტიანული წმინდანის — წმინდა გიორგის — კულტის აღიარებას.

ზუგდიდში კიდევ უფრო გაფართოვდა პოეტის მოქალაქეობრივი ცნობიერება. მის შემოქმედებაში წინ წამოიწია ეროვნული და სოციალური პრობლემატიკა. ამან კიდევ უფრო განავრცო მისი შემოქმედებითი სამყაროს გავრცელებისა და ზემოქმედების არეალი. უაღრესად გამრავალფეროვნდა პოეტის შემოქმედებითი თემატიკა. ლირიკური ნაწარმოებების კვალდაკვალ პოეტმა კალამი სცადა პროზასა და დრამატურგიაშიც. გამოქვეყნდა მისი მოთხრობები: „ნ ი ნ ო“, „ლ ი ტ ე რ ა ტ უ რ უ ლ ი ს ა ღ ა მ ო“, რითაც რაფ.

ერისთავი გამოეხმაურა ქართული მწერლობისა და საზოგადოებრივი ცხოვრების ინტერესებს. ამავე წლებში დაიბეჭდა მისი სატრფიალო ლირიკის რამდენიმე ნიმუში: „ნ ა ტ ვ რ ა“, „ს ი ნ ა ნ უ ლ ი“, „ს ი ყ ვ ა რ უ ლ ი“, „ჩ ვ ი დ მ ე ტ ი წ ლ ი ს ქ ა ლ ს“ და ამით თითქოს დაასრულა მან ჭაბუკურ გზნებათათვის ხარკის გადახდა. მისი პოეტური ნიჭი განსაკუთრებული ჟღერადობით გადაიშალა სოციალური თემატიკის სფეროში. რაფ. ერისთავის პოეტური ცნობიერება სულ უფრო მეტად დაუახლოვდა ყოფითობას, მშრომელი ხალხის სასიცოცხლო ინტერესებს. ლექსებში: „მ თ ხ ო ვ ნ ე ლ ი მ ს ა ჯ უ ლ ი ს ა დ მ ი“, „ყ ა დ ი ს ჯ ო რ ი“, „მ ა თ ხ ო ვ ა რ ი გ ლ ა ხ ა კ ი“, „ღ ა რ ი ბ ი“ უკვე ნათლად გამოიკვეთა რაფ. ერისთავის ლირიკის ხალხური ბუნება, მისი ღრმა სოიცალური შინაარსი. ცხოვრებაში წარმატებული სახელმწიფო მოხელის სულიერი ინტერესები შემოქმედებით სფეროში პოულობს სრულ გამოვლენას და რაფ. ერისთავის მოქალაქეობრივი პოზიციის ჭეშმარიტ შინაარსს წარმოაჩენს. ამ წლებში შექმნილ პოეტურ თხზულებებში უკვე ჩანს აგრეთვე პოეტის შინაგანი გულაცრუება კანცელარიის მოხელეობისადმი და, საერთოდ, მეფის რუსების მმართველობითი სისტემისადმი. პოეტის სულში მძაფრი ჭიდილი მიმდინარეობს და მისთვის არსებითი ხდება მამულიშვილური ინტერესები. შინაგანი სულიერი ამბოხი უკვე სცილდება პოეტის არსებას და თანდათან უკიდურესად თამამ და გაბედულ პოეტურ სიტყვად იქცევა. რაფიელის ამგვარი სულიერი ამბოხის აშკარა გამოხატულებად იქცა ლექსი „მთხოვნელი მსაჯულისადმი“, სადაც მთელი სიშიშვლით წარმოჩნდა სოციალური ჩაგვრის მთელი სისასტიკე ქართულ ეროვნულ სინამდვილეში. ლექსში ჩაქსოვილი სულიერი ამბოხი იმდენად აშკარა იყო თვით პოეტისათვისაც, რომ მან საჭიროდ სცნო ლიტერატურულ ფსევდონიმს ამოფარებოდა და ლექსი ი ო ს ე ბ მ ი ქ ა ბ ე რ ი ძ ი ს სახელით გამოექვეყნებინა. სწორედ ამ ლექსით დაედო სათავე ჩვენს მწერლობაში ბატონყმობის სასტიკ კრიტიკას. ამ თვალსაზრისითაც წარმოდგა რაფიელ ერისთავი ნოვატორად. პოეტის ამ ლექსის ღირსება მხედველობიდან არ გამოჰპარვია არც თანადროულ ქართულ ლიტერატურულ კრიტიკას და არც მეფის ადგილობრივ ხელისუფლებას. ლექსი „მთხოვნელი მსაჯულისადმი“ გადაიქცა რაფიელისათვის სამოხელეო კარიერის უცაბედი დასრუ-

ლების მიზეზად. ეს აზრი აკაკი წერეთელმა საჯაროდ გამოთქვა მოგვიანებით, 1901 წელს გაზეთ „ივერიაში“ (№ 168). აკაკი წერეთელი სიმართლეს ბრძანებდა. „მთხოვნელი მსაჯულისადმი“ რაფიელ ერისთავმა ზუგდიდში დაწერა და 1861 წელს გამოაქვეყნა ჟურნალ „ცისკარში“ (№ 1). მაზრის უფროსისაგან არსებული წყობის მძაფრი კრიტიკა მოულოდნელი იყო მეფისნაცვლის ადმინისტრაციისათვის. რუსული ადმინისტრაციული მმართველობის მესვეურნი კარგად მიხვდნენ, რომ რაფიელის სახით მათ საქმე ჰქონდათ არა მეფის მთავრობის ერთგულ მოხელესთან, არამედ ჩინოვნიკის სამოსში შენიღბულ ეროვნულ ძოღვაწესთან. ამიტომაც აურზაურის გარეშე, ვითომდა შეუმჩნეველად, იწყეს უაღრესად პატივდებული პიროვნების დევნა. ამას ისიც დაერთო, რომ 1867 წლის ზაფხულისათვის სამეგრელოში, საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში, დასრულდა რეფორმები, დამყარდა მმართველობის ერთიანი სისტემა და ის საერთო ქართულს გაუთანასწორდა. მეფის მთავრობამ დასრულებულად ჩათვალა რაფიელ ერისთავის მისია სამეგრელოში და იგი უკან, ქუთაისში, გაიწვია.

დიდი გულისტკივილითა და სინანულით გამოეთხოვა პოეტი სამეგრელოს, საქართველოს ამ უძველეს მხარეს, რომელთანაც ათი წლის სრულიად შინაარსიანი ცხოვრება აკავშირებდა. თავის გულწრფელი განცდები რ. ერისთავმა შთამბეჭდავად გამოხატა თავის „სამეგრელოს ჩანაწერებში“, რომელიც მან მოგვიანებით, 1872 წელს დასტამბა ჟურნალში „კავკაზსკაია სტარინა“: „მშვიდობით, უძველესო კოლხიდავ, მშვიდობით, ისტორიულო მხარევ, ბუნებითა და ბარაქიანი მიწებით მდიდარო ქვეყანავ!... მშვიდობით, სამეგრელოს თვისებიანო და ჭკვიანო ხალხო, განათლებასა და სკოლებს მოწყურებულო“.

* * *

დასავლეთ საქართველოში ყოფნამ და ქართული კულტურული ცხოვრების ცენტრიდან (თბილისიდან) დაცილებამ მაინც ვერ ჩამოაშორა რაფიელ ერისთავი იმდროინდელი საზოგადოებრივი ცხოვრების მაჯისცემას. იგი ქუთაისიდან და ზუგდიდიდანაც აქტიურად ეხმაურებოდა თანადროულ ლიტერატურულ ცხოვრებას. ნაყოფიე-

რად თანამშრომლობდა ჟურნალ „ცისკრის“ რედაქციასთან, აღფრთოვანებული მიეგება ახალი ქართული გაზეთის „საქართველოს მოამბის“ გამოსვლას. რაფიელს თავის ღირსეულ წევრად თვლიდნენ როგორც „ცისკრის“ ირგვლივ შემოკრებილი უფროსი თაობის წარმომადგენლები და, უპირველეს ყოვლისა, მისი რედაქტორი ივანე კერესელიძე, ასევე თერგდალეულები. პოეტისათვის ერთიანად მნიშვნელოვანი იყო როგორც „მამების“, ასევე „შვილების“ ლიტერატურული ღვაწლი, რადგან მისთვის ეს ყველაფერი ქართული სალიტერატურო ცხოვრების სიცოცხლისუნარიანობისა და სისხლსავსეობის კონკრეტული გამოვლინებანი იყო, ხოლო აზრთა სხვადასხვაობა ქართული მწერლობის წინსვლის აუცილებელ ფაქტორებად ესახებოდა. თუმცა, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ რაფიელ ერისთავი თავისი სულიერი ინტერესებით საერთოს უფრო თერგდალეულებთან პოულობდა. მაგალითად, „ცისკრის“ რედაქტორ ივანე კერესელიძესთან ახლო მეგობრულ ურთიერთობას სრულიადაც არ შეუშლია მისთვის ხელი, რომ ამ ჟურნალში მოღვაწე ზოგიერთი ლიტერატორის მცდარი პოზიცია გაეკრიტიკებინა მოთხრობაში „ლიტერატურული საღამო“. სწორედ ამ წლებში მომწიფდა რაფიელ ერისთავის შემოქმედებითი ინტერესები. ქუთაისსა და ზუგდიდში იგი დაძაბულ ლიტერატურულ და საზოგადოებრივ მუშაობას ეწეოდა.

რაფიელი ამ პერიოდში განსაკუთრებით დაინტერესდა ქართული თეატრის პრობლემებით. იგი კარგად ხედავდა მის უმწეო მდგომარეობას, რეპერტუარის სიღარიბეს და თავის მოქალაქეობრივ მოვალეობად ჩათვალა, რომ გარკვეული სამსახური გაეწია ქართული თეატრისათვის. ეს გამოიხატა დრამატურგიისადმი პოეტის საგანგებო ინტერესში. 70-იან წლებში იგი ზედიზედ ქმნის პიესებს „ჯერ დაიხოცნენ, მერე იქორწინეს“, „მბრუნავი სტოლები“, „იჭვიანი“, „დედაკაცმა თუ გაიწია, ცხრა უღელი ხარის უმძლავრესია“ და სხვა. ქართული თეატრისათვის ამ პიესების გამოჩენა იმჟამად ხსნა იყო. მით უფრო რომ, რაფიელის დრამატული ნაწარმოებები თანამედროვეობით სუნთქავდა, თანამედროვეობის აქტუალურ პრობლემებს პასუხობდა. დრომ ნათელყო, რომ რაფიელ ერისთავის ცალკეული პიესა თანამედროვეობის იმდენად ზუსტ მხატვრულ ანარეკლს წარმო-

ადგენდა, რომ მათ თავისი მნიშვნელობა არც შემდეგ დაუკარგავთ და დღესაც ასაზრდოებენ ქართული თეატრის რეპერტუარს.

რაფიელ ერისთავის კავშირი თეატრთან მარტო დრამატურგის პოზიციით არ შემოიფარგლა. ჯერ კიდევ 1867 წელს, პოეტის თაოსნობით ქუთაისში სცენისმოყვარეთა დასი ჩამოყალიბდა. რაფიელი იყო ამ დასის ხელმძღვანელიც და იმავდროულად მსახიობიც. 1867 წლის 12 დეკემბერს სცენისმოყვარეთა დასმა ქუთაისში წარმოადგინა პოეტის დის, ბ ა რ ბ ა რ ე ჯ ო რ ჯ ა ძ ი ს, პიესა „რ ა ს ვ ე ძ ე ბ დ ი დ ა რ ა ვ ი პ ო ვ ე“. რაფიელმა სირაჯ ავეტიკას როლი შეასრულა და მაყურებლის დიდი მოწონება დაიმსახურა. ამ დასს დასადგმელად მოუმზადებია მოლიერის „ძალად ექიმი“ და სხვა პიესებიც. ქუთაისის სცენისმოყვარეთა მუშაობაში აქტიურად ყოფილა ჩართული ჩვენი სასიქადულო პოეტი ა კ ა კ ი წ ე რ ე თ ე ლ ი. სწორედ მან 1912 წელს ასე გაიხსენა ქუთაისის სცენისმოყვარეთა წრე: „რუსეთიდან რომ დავბრუნდი, იმ დროს ქუთაისში მომრიგებელ მოსამართლედ იყო პოეტი რაფ. ერისთავი და მისი მეცადინეობით შედგა სცენისმოყვარეთა წრე. მუდმივი მოთამაშეები ქალთაგან იყვნენ: ქ.-ნ ეფროსინე კლდიაშვილისა, ყიფიანის ქალი, კაცებიდან მე, თქვენი უმორჩილესი მონა და ჭეიშვილი. სხვები ხან ის და ხან ეს გვეხმარებოდნენ. რეპეტიციები ხან რაფიელის სახლში იყო ხოლმე, ხან ეფროსინე კლდიაშვილისას. თვითონ რაფიელი სუფლიორობდა, სწერდა სათამაშო პიესებს და ორ-სამჯერ კიდეც ითამაშა“.

საინტერესო ცხოვრებით ცხოვრობდა რაფ. ერისთავი. სიცოცხლის მშვენიერებას. და სიხარულს საქვეყნო საქმით წვაში ჰპოვებდა. საზოგადო მოღვაწეობის ასეთი მრავალმხრიობის მიუხედავად მისი სული რაღაც უკმარისობის გრძნობით იყო მოცული, ის თითქოს თვითგამოვლენის სხვა ფორმებს ეძებდა ქვეშეცნეულად. და აი, 38 წლის პოეტის გული კიდევ ერთხელ შეიძრა სასიყვარულოდ... დადიანების სასახლეში პოეტი გაეცნო ზემო გურიის ცნობილი თავადის, დავით ერისთავის, მშვენიერ ასულს ფეოდოსიას. იშვიათი ქართული სილამაზის განსახიერება იყო ფეოდოსია. საყურადღებოა ის ფაქტი, რომ „ვეფხისტყაოსნის“ დასურათებისას ცნობილმა მხატვარმა მ ი ხ ა ი ზ ი ჩ მ ა ულამაზეს ქართველ ვაჟკაცებსა და ქალებს შორის ფეოდოსიაც ამოარჩია და „ვეფხისტყაოსნის“ ნესტან-დარეჯნისა და მ. ლერმონტოვის თამარის („დემონი“) სახის შე-

საქმნელად იგი „ცოცხალ სურათად“ გამოიყენა. უმშვენიერესი სილამაზის ქალმა რაფიელის პიროვნებაში გულის სწორის ქვეცნობიერ ლტოლვებს კონკრეტული შინაარსი შესძინა. სიყვარულში შიშნაჭამი რაფიელი ძალზე უიმედოდ შეჰყურებდა ფეოდოსიასთან რომანის პერსპექტივას, მაგრამ მისმა ადამიანურმა ღირსებამ გადალახა ასაკობრივი სხვაობის ზღუდეები (იგი რაფიელზე გაცილებით ახალგაზრდა იყო). 1863 წლის 21 იანვარს რაფიელი დაქორწინდა ფ ე ო დ ო ს ი ა ე რ ი ს თ ა ვ ზ ე. ფეოდოსიამ დიდი ადამიანური ბედნიერება შეიტანა პოეტის ცხოვრებაში, ერთგულ მეგობრად გაუხდა მას, ხუთი ასული შესძინა და არც თუ იოლი ცხოვრების გზაზე ოჯახური გარემო გადუქცია სულიერი სიმშვიდისა და შემოქმედებით ძალთა მოკრების საოცნებო კერად. ამიერიდან თითქოს ყველაფერი ჰქონდა რაფიელ ერისთავს იმისათვის, რომ თავი ბედნიერად ეგრძნო, მაგრამ ქუთაისის გუბერნატორის სამმართველოში უკვე გადაწყვეტილი იყო პოეტის თანდათან, შეუმჩნეველად თავიდან მოცილება.

ზუგდიდიდან ქუთაისში დაბრუნებული რ. ერისთავი დანიშნეს ქუთაისის გუბერნიის სამმართველოს ერთ-ერთი განყოფილების უფროსად და დაავალეს სამეგრელოს მმართველობის საბჭოს მიერ დაუმთავრებელი საქმეების მოგვარება. ერთდროულად იგი ასრულებდა სამმართველოს მრჩეველის მოვალეობასაც. პოეტს გარეგნულად ჯერ კიდევ დიდი პატივით ეპყრობოდნენ. იგი ბატონყმობის გაუქმების რეფორმის გატარებასთან დაკავშირებით გამოცემული ვერცხლის სამახსოვრო მედლითაც კი დააჯილდოეს, მაგრამ მაინც იგრძნობოდა მისი თანდათანობითი თავიდან მოცილების ფარული სურვილი. გუბერნიის ადმინისტრაციას პოეტი წამდაუწუმ სხვადასხვა თანამდებობებზე გადაჰყავდა, თანაც ყოველ ახალ შემთხვევაში უწინდელზე უფრო დაბალზე. რაფიელი ყველაფერს შესანიშნავად გრძნობდა და მიზეზსაც კარგად ხედავდა. ამიტომ მოთმინებით ეგუებოდა სასამსახურო კარიერის დასასრულის მოახლოებას.

1868 წლის 1 თებერვალს რაფიელ ერისთავი ქუთაისის მომრიგებელ მოსამართლედ დანიშნეს და „კოლეჟსკი სოვეტნიკის“ ჩინი უბოძეს. ამით თითქოს კიდევ ერთხელ დააფასეს მისი ნაყოფიერი სახელმწიფო სამსახური, მაგრამ ერთ დროს ქუთაისის გუბერნიის პროკურორის და ზუგდიდის მაზრის უფროსად ნამსახური

პიროვნებისათვის, რასაკვირველია, ვერაფერი წინსვლა იყო მომრიგებელი მოსამართლეობა. სულ ცოტა ხანში კიდევ უფრო აშკარა გახდა მეფისნაცვლის ადმინისტრაციის ზრახვა პოეტის თავიდან მოშორებისა. 1870 წლის მაისში რაფიელ ერისთავი ქუთაისის მომრიგებელი მოსამართლეობიდან გაათავისუფლეს და რაჭის განყოფილებაში დაუპირეს გადაყვანა იმავე თანამდებობაზე. თავისთავად ეს ფაქტი რაფიელ ერისთავის სამსახურიდან დათხოვნას ნიშნავდა, რადგან არც ერთი მოხელე არ იკადრებდა ასეთ დამცირებას და გადადგომას მოითხოვდა. სწორედ ამას ვარაუდობდა კავკასიის მეფისნაცვალი და არც შემცდარა თავის განზრახვაში. შეურაცხყოფილმა პოეტმა გადადგომა ითხოვა, 1870 წლის 28 ივნისს მისი თხოვნა დააკმაყოფილეს. ამით დამთავრდა მეფის ადმინისტრაციის მიერ რაფიელ ერისთავის ფარული დევნა-შევიწროვება.

სახელმწიფო სამსახურიდან კი გადადგა პოეტი, მაგრამ ცხოვრება თავისას ითხოვდა. დაწვრილშვილებულ რაფიელს მძიმე ტვირთად დააწვა ოჯახის სიმძიმე. პოეტმა საარსებო სახსრების ძიებაში ვექილობას მოჰკიდა ხელი. მას იმედი ჰქონდა თავისი ნამსახურობის ავტორიტეტისა, მაგრამ მალე დარწმუნდა, რომ არსებულ ადმინისტრაციულ სისტემაში კეთილსინდისიერებით საარსებო ლუკმაპურს ვერ მოიპოვებდა. არაფერი გამოუვიდა რაფიელს. ვერც გაზეთ „დროებაში“ გამოქვეყნებულმა განცხადებებმა შესძინა მას ვექილობისათვის აუცილებელი კლიენტურა. ადვოკატობაში რაფიელმა სრული ფიასკო განიცადა. ორი წელი გაეპარა ასეთ ყოფაში და 1872 წელს საბოლოოდ დაბრუნდა თბილისში.

სახელმწიფო სამსახურის გარეშე დარჩენილი პოეტი დიდ მატერიალურ სივიწროვეს განიცდიდა. 70-იან წლებიდან სხვაგვარად გაბრწყინდა რაფიელ ერისთავის ლიტერატურული ნიჭი. განგებამ აქაც შეუმზადა პოეტს თავისებური სიურპრიზი. თავისთავად წარმოუდგენლად სისხლსავსე გახდა ქართული ლიტერატურული ცხოვრება. რაფიელის თბილისში დაბრუნება დაემთხვა საუკეთესო ეროვნული ძალების პერიფერიებიდან თბილისში თავმოყრას.

ქართული საზოგადოებრივი აზრი, რომლის არსებობისა და მეობის მტკიცების აქტუალურ ფორმად მწერლობა წარმოდგა, ამ დროს გაზეთ „დ რ ო ე ბ ი ს“ და ჟურნალ „კ რ ე ბ უ ლ ი ს“ გარშემო იყო შემოკრებილი. ერთგვარად მიყუჩებული იყო თერგდალე-

ულთა საზოგადოებრივი ამბოხი ძველი თაობის მიმართ, რადგან ბევრი პერიფერიებში იყო წასული და იქ ეწეოდა უჩუმარ მუშაკობას. თვით თერგდალეულთა იდეური წინამძღოლი ილია ჭავჭავაძე ამ პერიოდში დუშეთში მომრიგებელი მოსამართლის შეუმჩნეველ საქმიანობას ეწეოდა.

70-იან წლებში ყველასათვის ცხადი გახდა, რომ ქართველი ერის ეროვნული ცნობიერების გამოსაღვიძებლად დაწყებულ ბრძოლას გაგრძელება სჭირდებოდა, აუცილებელი იყო ქართული საზოგადოების ერთიანი აზრით შეკავშირება. ერთადერთი ადამიანი, ვინც ამ უძნელესი საქმის მეთაურობას გაუძღებდა, დიდი ილია იყო. ამას, უპირველეს ყოვლისა, თავად იმდროინდელი ახალგაზრდა ქართველი მოღვაწენი ხედავდნენ. სწორედ მათ მიმართეს ილია ჭავჭავაძეს თბილისში დაბრუნების და ეროვნული მოძრაობის სათავეში ჩადგომის თხოვნით. 1873 წელს ილია ჭავჭავაძემ თავი მიანება მოსამართლეობას და თბილისში დაბრუნდა.

თბილისში დაბრუნებული რაფიელ ერისთავი უპირველეს ყოვლისა ი. ჭავჭავაძეს დაუკავშირდა. ახალგაზრდა ილიას დიდ ინტელექტში ხედავდა იგი ეროვნული თვალსაზრისით საიმედო ძალას. თავის მხრივ, ილია და მისი თანამედროვე ახალგაზრდა თაობა რაფიელის ნაღვაწში ხედავდნენ იმ იდეათა მძლავრ წანამძღვრებს, რომელთა სინამდვილედ ქცევა შეადგენდა მათი სულიერ-ინტელექტუალური ცხოვრების შინაარსსა და მიზანს. ილია კარგად ხედავდა იმასაც, რომ რაფიელის პოეზიაში თანდათან სულ უფრო გამოკვეთილ სახეს იძენდა ქართული ეროვნული განცდა. მისი პოეტური ხედვა გასაოცარი უბრალოებით ამოზიდავდა ქართველი ხალხის სასიცოცხლო ინტერესების მყარ და გამძლე ორიენტირებს.

პოეტმა შინაგანად პირველობა ილიას მიაკუთვნა, თავისი როლი კი ამ დიდი პიროვნების მხარში ამოდგომით შემოფარგლა. რაფიელის და ილიას თანადგომას უნდა ნათელეყო სხვადასხვა თაობის ქართველ ეროვნულ მოღვაწეთა ერთობლივი მოღვაწეობის ნაყოფიერება და ეროვნული საქმის კეთებაში დიდი პერსპექტივების გადაშლა. ეს ამოცანა ორმა ბრწყინვალე მამულიშვილმა შესანიშნავად განახორციელა. ილიას დიდ ნიჭიერებას რაფიელმა საკუთარი მუყაითობა და ფუტკარსავით შრომის უნარი დაუკავშირა. ასე იშვა 1873 წელს ქართული ხალხური პოეზიის კრებული „გ ლ ე-

ხური სიმღერები და ანდაზები შეკრებილი რაფ. ერისთავისა და ილია ჭავჭავაძისაგან". ამ კრებულით კულტურის ორი დიდი მოღვაწე გამოეხმაურა ერთ ქართულ საშვილიშვილო საქმეს — ხალხური პოეტური შემოქმედების შეკრებასა და პუბლიკაციას. რაფ. ერისთავისა და ი. ჭავჭავაძის ერთობლივ კრებულს დიდი სიმბოლური და წამახალისებელი მნიშვნელობა ჰქონდა. XIX საუკუნის 70-იან წლებში საქართველოში ფართოდ გაიშალა მოძრაობა ქართული ხალხური პოეტური შემოქმედების ნიმუშების შესაკრებად. ყველა დიდი მოღვაწე საგულდაგულო ინტერესით ეკიდებოდა ამ საქმეს, რადგან ხალხური პოეტური შემოქმედების, როგორც ჩვენი ერის პოეტური ენერგიის გამოხატულებას, მთლიანად ქართული კულტურის ძირძველობისა და თავისთავადობის მამტკიცებელი ფაქტის ღირებულება ენიჭებოდა. ხალხური პოეტური შემოქმედება ანუ პოეტური ფოლკლორი ხალხში ზეპირად არსებული მხატვრული სიტყვიერებაა. არსებობის ზეპირი ფორმის გამო დროთა განმავლობაში ბევრი რამ ამ სიტყვიერებისა იკარგებოდა, უკვალოდ ქრებოდა. ამიტომაც საშური და გადაუდებელი იყო ფოლკლორული ნაწარმოებების ჩაწერა, ბეჭდვა და ამით დაკარგვისაგან გადარჩენა. რაფ. ერისთავი ახალგაზრდობიდანვე დიდი ინტერესით ეკიდებოდა ამ საქმეს. ხალხური პოეზიის ნიმუშები მან ჯერ კიდევ 1852 წელს შეკრიბა და ჩაწერა. ამ დროიდან მოყოლებული მას სიცოცხლის დასასრულამდე არ შეუწყვეტია ფოლკლორულ-შემკრებლობითი საქმიანობა და უაღრესად დიდი წვლილი შეიტანა ამ საშვილიშვილო საქმეში. 1873 წელს ჟურნალ „კრებულში" რაფიელმა რამდენჯერმე გამოაქვეყნა ხალხური პოეზიის ნიმუშები, 1879 წელს ცალკე წიგნად გამოსცა „ქართული გამოცანები".

პოეტის არქივში რაფიელის მიერ მოძიებული და გამოქვეყნებული მრავალი ზეპირსიტყვიერი ნაწარმოები და მასალა არის შემონახული.

თბილისში დაბრუნების შემდეგ გასაოცრად გაიზარდა რაფიელ ერისთავის შემოქმედებითი პროდუქტიულობა, უჩვეულოდ მრავალფეროვანი გახდა მისი შემოქმედებითი ინტერესებიც. რუსულ სამეცნიერო საზოგადოებასთან დაახლოებული პოეტი კარგად ხედავდა საქართველოში ეროვნული მეცნიერული აზრის განვითარე-

ბის არც თუ სახარბიელო მდგომარეობას, მისი ჩასახვა-განვითარებისათვის აუცილებელი პირობების უქონლობას. აქტიური შემოქმედებითი მუშაობის კვალდაკვალ იგი შეუდგა სპეციალური ლექსიკონების შედგენას, ცალკეული მეცნიერული დარგისათვის ტერმინოლოგიური ლექსიკონის შექმნას. ქართულ ლექსიკოლოგიასა და ლექსიკოგრაფიაში მუშაობა რაფიელმა იმით დაიწყო, რომ 1873 წელს გამოსცა უაღრესად დიდი მნიშვნელობის მქონე სამეცნიერო „შ ე მ ო კ ლ ე ბ უ ლ ი ლ ა თ ი ნ უ რ-რ უ ს უ ლ-ქ ა რ თ უ ლ ი მ ც ე ნ ა რ ე თ ა ლ ე ქ ს ი კ ო ნ ი“, რომელშიც 1000-ზე მეტი სიტყვა იყო განმარტებული.

რაფიელ ერისთავის რედაქტორობით პირველად გამოიცა ს უ ლ ხ ა ნ-ს ა ბ ა ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი ს „ქ ა რ თ უ ლ ი ლ ე ქ ს ი კ ო ნ ი“. შემდეგ, 1884 წელს მან გამოსცა „მ ო კ ლ ე ქ ა რ თ უ ლ-რ უ ს უ ლ-ლ ა თ ი ნ უ რ ი ლ ე ქ ს ი კ ო ნ ი; მ ც ე ნ ა რ ე თ ა, ც ხ ო ვ ე ლ თ ა დ ა ლ ი თ ო ნ თ ა ს ა მ ე ფ ო ე ბ ი დ გ ა ნ“. ამ ნაშრომებს უდიდესი მოწონებით შეხვდა ქართული საზოგადოება. ყველა გრძნობდა ამგვარი ლექსიკონის მნიშვნელობას ქართველი ერისათვის. „ლათინურ-რუსულ-ქართული ლექსიკონის“ გამოსვლას განსაკუთრებით აღფრთოვანებული რეცენზია-გამოხმაურება უძღვნა გაზეთმა „გ უ თ ნ ი ს დ ე დ ა მ“. წერილში აღნიშნული იყო: „ასეთი დიდი შრომის გაწევა ყველას არ შეეძლო. ყველა როდი კიდებს ხელს ასეთ საძნელო, მაგრამ საშურ საქმეს. ასეთ შრომას ერიდებიან ე. წ. ცრუ ლიტერატორები... მადლობა ღმერთს, რომ თითოოროლა კაცი კიდევ მოიპოვება, რომელნიც ადგანან უანგარო სასარგებლო შრომას და უყვირლათ, უქაქანოთ აკეთებენ საქვეყნო საქმეს“ („გ უ თ ნ ი ს დ ე დ ა“, 1873, № 17).

ზემოაღნიშნული ლექსიკონები მაინც სრულყოფილად ვერ წარმოაჩენს რაფიელ ერისთავის ღვაწლს მეცნიერების ამ სფეროში. მის არქივში უამრავი ხელნაწერი ინახება, რომელიც პოეტის ლექსიკოლოგიური და ლექსიკოგრაფიული ინტერესების მრავალმხრიობას წარმოაჩენს. ირკვევა, რომ ჯერ კიდევ ქუთაისსა და ზუგდიდში მოღვაწეობის წლებში რაფიელი აგროვებდა მასალას ქართული დიალექტოლოგიური და დიალექტების შედარებითი ლექსიკონებისათვის. ამ მასალის უმეტესობა პოეტს უკვე გარკვეულ სისტემაშიც მოუყვანია და სალექსიკონო ფორმაც მიუნიჭებია. საინტერესოა

ქართლურ-იმერული დიალექტების შედარებითი ლექსიკონი; მასალები მეგრულ-სვანური და იმერულ-ქართლურ-რუსული ლექსიკონისათვის, გეოგრაფიულ სახელთა ეტიმოლოგიური ლექსიკონისათვის, მედიცინისა და მეტროლოგიის, სამჭედლო და სადურგლო საქმის, თანამდებობათა აღმნიშვნელი, სამხედრო, საზღვაო, ასტრონომიული, გეოგრაფიის, ფიზიკის, ქიმიის, მეტეოროლოგიის ქართულ-რუსული ტერმინოლოგიური ლექსიკონებისათვის; მის ნაწერებში გვხვდება აგრეთვე უამრავი მასალა რუსულ-ქართული ანტონიმების ლექსიკონისათვის, საკუთარ სახელთა განმარტებითი ლექსიკონისათვის, თვეთა და ზოდიაქოს სახელებისა. მას შეუდგენია ტაბულა სიტყვა „ჯოჯოხეთისათვის“ სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონიდან.

ამავე პერიოდში რაფიელ ერისთავი ქართულ და რუსულ პერიოდულ პრესაში აქვეყნებს საინტერესო მეცნიერული ხასიათის ნაშრომებს სამეგრელოსა და სვანეთის ეთნოგრაფიის შესახებ, ბეჭდავს ნაირფეროვან კორესპონდენციებს, რაც მისი ინტერესების უსაზღვრობაზე მეტყველებს. შორიდან მაყურებელი კაცისათვის რაფიელ ერისთავი იმ ბედნიერ პიროვნებად გამოიყურება, რომელსაც ბრწყინვალე სახელმწიფო სასამსახურო კარიერის შემდგომ საშუალება მიეცა მთელი არსებით სანუკვარი საქმის კეთებაში ჩაღრმავებულიყო და მხოლოდ ის ეკეთებინა, რაც მას უნდოდა. სინამდვილეში კი პოეტი მატერიალურად არც თუ დალხენილი ცხოვრებით ცხოვრობდა. ოჯახში ხუთი ასული ჰყავდა, ყოველდღიური მოთხოვნილება დღითიდღე იზრდებოდა. რაფიელს კი სახელმწიფო სამსახურიდან პენსიაც არ გააჩნდა. ქისტაურის მამული დიდს ვერაფერს აძლევდა პოეტს. ამიტომაც ბევრს მუშაობდა იგი, მთელი არსებით იყო ჩართული საზოგადოებრივ ცხოვრებაში. არც ერთი მოვლენა არ რჩებოდა მისი ყურადღების მიღმა. ყველაფერს ეხმიანებოდა, აზრს გამოთქვამდა, აჯამებდა, განავრცობდა, აზოგადებდა და რაც მნიშვნელოვნად მიაჩნდა, წერდა, ბევრს წერდა. გასაოცრად ბევრს. წერდა მეცნიერულ ნაშრომებს რუსული სამეცნიერო საზოგადოებებისათვის ცოდნის სრულიად სხვადასხვა დარგში: ეთნოგრაფიასა და ფოლკლორში, ისტორიასა და ეკონომიკაში, სოფლის მეურნეობასა და მეაბრეშუმეობაში და სხვა; მან გალექსა სულხან-საბა ორბელიანის „სიბრძნე სიცრუისას“ იგავე-

ბი და ერთ კრებულად გაერთიანებული გამოსცა 1878 წელს სათაურით: „იგავ-არაკნი“ ამოკრებილნი „სიბრძნე სიცრუიდან“ და გალექსილნი თ. რაფ. ერისთავის მიერ“. პარალელურად რუსულიდან თარგმნა ცნობილი რუსი მეიგავის კრილოვის (1749—1844) იგავები და 1881 წელს გამოაქვეყნა სათაურით „იგავ-არაკნი“, კრილოვისაგან და სიბრძნე სიცრუიდან“ გალექსილნი თ. რ. ერისთავისაგან“. იგავ-არაკების გალექსვით, თარგმნითა და გამოცემით რაფიელ ერთისთავმა ერთგვარად გააგრძელა და გაამყარა XIX საუკუნის ქართულ მწერლობაში აკ. წერეთლის, ივ. კერესელიძის ტრადიციები. ქართველი საზოგადოება იგავ-არაკების თარგმნას და ლექსად გამოცემას დიდი მოწონებით შეხვდა, რადგან იგავებში არსებული სიმართლე ნართაული თქმით დაუბრკოლებლად აღწევდა ადრესატამდე და ამდენად ჩვენი ხალხის ეროვნული და სოციალური პროტესტის გამოხატვის ერთ-ერთ ეფექტურ ფორმას წარმოადგენდა. თვით პოეტი კრებულის წინასიტყვაობაში იგავ-არაკის დანიშნულებად ადამიანის ზნეობრივ-განწმენდას და სრულქმნას აცხადებდა და ამით იგავ-არაკთა მხატვრული გავლენის სფეროებს კიდევ უფრო აფართოებდა.

პოეტმა საგულდაგულო ინტერესი გამოიჩინა რუსეთ-თურქეთის ახალი ომისადმი. 1876-78 წლებში, წინა ომისაგან განსხვავებით, უფრო ხელსაყრელი ვითარება შეიქმნა თურქეთის მიერ მიტაცებული ქართული მიწების დასაბრუნებლად. რაფიელი ი. ჭავჭავაძის კვალდაკვალ პერიოდულ პრესაში სპეციალური ნარკვევების ბეჭდვით შეეცადა ქართული ეროვნული აზრის შექმნას და ყურადღება გაამახვილა სამხრეთ საქართველოს და კონკრეტულად აჭარის პრობლემებისადმი.

1878 წელს გაზეთ „დროებაში“ (№ 178) დაიბეჭდა რაფიელის სტატია „ნაცვლად ნეკროლოგისა“, რომელშიც რუსეთ-თურქეთის ომში მონაწილე ქართველი ქალების გმირობა იყო აღწერილი. ამ წერილით პოეტი თავის უმრწმეს დას, ანასაც, გამოეთხოვა, რომელიც სწორედ ამ ომში დაიღუპა. პოეტი არ დაკმაყოფილებულა მარტო საგაზეთო სტატიების პუბლიკაციით. იგი საგულდაგულოდ სწავლობდა თურქეთის მიერ მიტაცებული ქართული მიწების ისტორიას, იწერდა თურქეთის გავლენის სფეროში

დარჩენილ ქართულ მიწებზე მოსახლე მამულიშვილთა გვარ-სახელებს, აგროვებდა ტოპონიმებს, ქალაქების, სოფლების, ეკლესიების აღწერილობებს და ა. შ.

1876-1878 წლების ომში თურქეთი დამარცხდა. დედა საქართველოს დიდი ხნის განშორების შემდეგ დაუბრუნდა ბათუმი და აჭარის მნიშვნელოვანი ნაწილი. ამ ღირსახსოვარი ისტორიული მოვლენის აღსანიშნავად 1878 წლის 22 ნოემბერს თბილისში დიდი ზეიმი გაიმართა. ბათუმელებს გრ. ორბელიანთან და აკაკი წერეთელთან ერთად სიტყვით რაფიელ ერისთავმაც მიმართა და ამით გამოხატა თავისი უსაზღვრო სიხარული და აღტაცება ამ ისტორიული, ბედნიერი მოვლენის გამო. იგი დიდ ყურადღებას აქცევდა ოსმალთა მონობისაგან განთავისუფლებულ აჭარაში სკოლების გახსნის, განათლებისა და კულტურის გავრცელების საქმეს.

რაფიელი თავისი სულიერი ცხოვრებით უპირველესად მაინც პოეტი იყო, რადგან მოვლენათა მხატვრულად გარდასახვის უფრო ბუნებრივ ფორმად ლექსი მიაჩნდა. ქუთაისიდან თბილისში ჩამოსვლის შემდგომ მისი ლირიკა სულ უფრო აშკარა მებრძოლი სულისკვეთებით იმსჭვალებოდა; ნაზ, მგრძნობიარე ლირიკულ განცდას სოციალურად მძაფრი საპროტესტო განწყობილება ცვლიდა. ასეთი შინაგანი განწყობილებებით არის აღსავსე პოეტის მიერ ამ პერიოდში შექმნილი ლექსები: „ცრუ მოფიცარს“, „ჩემი ჯალათები“, „მოძმეთადმი“, „ერთი კაცის სურათი“ და მრავალი სხვა. ამავე პერიოდში რაფ. ერისთავმა ქართული ეროვნული ყოფის თავისებურებების, ყოფითი მრავალფეროვნების, ხიბლის მხატვრული ასახვის ახალი, ქართული მწერლობისათვის მანამდე უცნობი, ფორმა მოძებნა. 1870 წლიდან „სცენების“ სახელწოდებით მან მრავალი მწვავე სოციალური პროტესტის შემცველი ნარკვევი გამოაქვეყნა.

70-იანი წლების დასასრულიდან რაფ. ერისთავი აბსოლუტურად ყოველი ახალი წამოწყების სათავეებთან დგას ან მისი ერთ-ერთი აქტიური წევრია. 70-იანი წლების ბოლოს დაიწყო მოძრაობა ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების დასაარსებლად. რაფიელი ამ საზოგადოების დამფუძნებელთა შორის იყო და კარგა ხანს განაგებდა მის საფინანსო მეურნეობას.

1879 წელს აღადგინეს ქართული პროფესიული თეატრი, შეი-

ქმნა თეატრალური საზოგადოება. რაფიელი ამ საქმის ერთ-ერთი მესაძირკვლეთაგანი იყო, ხოლო 1884-86 წლებში თეატრალური საზოგადოების თავმჯდომარედაც იქნა არჩეული.

80-იან წლებში რაფიელ ერისთავის პოეტური აზროვნება კიდევ უფრო ცხოველმყოფელი ხდება. მიწის ძახილი, მიწასთან სისხლხორცეული ერთიანობის შეგრძნება უკვე ჭარმაგ რაფიელში მშობლიურ სოფელში ხშირად ყოფნის სურვილს ბადებს. ამიტომ გული ხშირად მიუწევს ქისტაურისაკენ. მამის სიკვდილის შემდეგ ფერშეცვლილი მამული ვაჟკაცის ხელს საჭიროებს. პოეტს გულიც ერჩის საკეთებლად, სულიც სოფელში ყოფნას სთხოვს, მაგრამ კვლავაც ძლიერად ძგერს საზოგადო საქმის კეთებას მიჩვეული გული. ქისტაურში მცირე ხნით ჩასული პოეტი ორ-სამ დღეში კვლავ თბილისისაკენ მიიჩქარის, კვლავ ვერ კმაყოფილდება ერთი რომელიმე საქმის კეთებით. წმინდა ლირიკულ ქმნილებებთან ერთად რაფიელი ეპოსშიც ცდის თავს. წერს პოემებს: „ასპინძის ომი“, „თამარიანი“; აქართულებს თუ თხზავს დრამატულ ნაწარმოებებს: „მასწავლებელი სასოფლო სკოლისა“, „ადვოკატები“.

80-იან წლებში რ. ერისთავის პოეზიაში განსაკუთრებით გამოიკვეთა ინტერესი ბავშვთა სამყაროსადმი. იგი აქტიურად თანამშრომლობდა იმდროინდელ ყველა ქართულ საბავშვო ჟურნალ-გაზეთში: „ნობათში“, „საბავშვო კალენდარში“, „ჯეჯილში“ და სხვ. თითქმის ყველა საბავშვო ჟურნალ-გაზეთის ახალი ნომერი რაფიელის საყმაწვილო ლექსით იხსნებოდა. იგი პოპულარული საბავშვო პოეტიც გახდა. ნორჩი თაობის საყვარელ ნაწარმოებებად იქცა რაფიელის ლექსები: „დედა ენა“, „მერცხალი“, „გაზაფხული“, „რთველი“, „მიპატიჟება სასწავლებელში“, „ზამთარი“, „ბზობა“, „ჩიტი“, „ჯერ შროჟა, მერე ხტომა“ და სხვ. მათ შორის განსაკუთრებული ელვარებით ბრწყინავს „მიპატიჟება სასწავლებელში“, რომელიც ი. გოგებაშვილმა შეიტანა თავის სასკოლო სახელმძღვანელოში.

პოეტი აქტიურად ეხმაურება ქართული საზოგადოებრივი ცხოვრების მსვლელობას. უდიდესი მნიშვნელობის ფაქტად მიიჩნევს ი. მეუნარგიას მიერ სამეგრელოში, ეკატერინე ჭავჭავაძის არქივში, ნიკოლოზ ბარათაშვილის მანამდე უცნობი მხატვრული ქმნილებე-

ბის აღმოჩენას და თავის აზრს გამოთქვამს გაზეთ „ობზორში“ (1880 წ. № 393). ქართველ საზოგადოებას მოაგონებს ნ. ბარათაშვილის ყველა შემორჩენილი ნაწერის და მის პიროვნებასთან დაკავშირებული ყოველი ფაქტის აღნუსხვისა და დაცვის საჭიროებას.

პოეტი კვლავ აგრძელებს ნაყოფიერ ლექსიკოლოგიურ და ლექსიკოგრაფიულ მუშაობას. საბოლოოდ დასრულებულ ფორმას აძლევს და აქვეყნებს ტერმინოლოგიურ ლექსიკონებს. აგროვებს მასალებს და იწყებს დიდი რუსულ-ქართული ლექსიკონის შედგენას. ამ ლექსიკონის გეგმას ბეჭდავს გაზეთ „ივერიაში“ (1880, № 144); აქვეყნებს შესანიშნავ სახელმძღვანელოს „ქართული ენის გრამატიკა ყრმათათვის“, ქმნის საჯარო ლექციების ციკლს. ქართული ენის წარმომავლობისა და ბუნების, ქართული მწერლობის ისტორიის შესახებ და დიდი წარმატებით კითხულობს ამ ლექციებს რამდენიმე წლის განმავლობაში. არა მარტო როგორც პოეტი და ხელოვანი, არამედ როგორც სწავლული და მეცნიერი, იგი ფხიზლად დგას ჩვენი ერის სასიცოცხლო ინტერესების სადარაჯოზე და მედგრად იცავს უმართებულო კრიტიკისა და ხელყოფის ცდებისაგან.

XIX საუკუნის II ნახევარში ქართულ სკოლებში გაძლიერდა დედაენის დევნა-შევიწროება. 1881—1885 წლებში კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველმა იანოვსკიმ ჩამოიგლიჯა ნიღაბი და ქართული სკოლის გარუსების აშკარა გზას დაადგა. რუსულ ენაზე სწავლების მოთხოვნას იმით ამართლებდა, რომ თითქოს ქართული ენა მწირი ენა იყო და არ ფლობდა თანამედროვე მეცნიერულ-ტექნიკურ ტერმინოლოგიას, ლოგიკური, ფილოსოფიური ცნებებით ოპერირების უნარს. ქართველ მამულიშვილებთან ერთად რაფიელ ერისთავმა მკაცრად გაილაშქრა ქართული ენისადმი ამგვარი დამოკიდებულების წინააღმდეგ და 1880 წელს გაზეთ „დროებაში“ დასტამბა წერილი „რამდენად მართალია, რომ ქართულ ენას სიღარიბე შესწამეს“.

1885 წლიდან რაფიელ ერისთავი ახალმა მამულიშვილურმა საქმემ დაინტერესა. ეს იყო ქართული საჯარო ბიბლიოთეკის დაარსების იდეა. რაფიელმა ქართული საზოგადოებისადმი მიმართვის სპეციალური ტექსტიც კი შეიმუშავა. თვითონ წერა-კითხვის საზოგადოების ბიბლიოთეკას შესწირა მდიდარი პირადი ბიბლიოთეკა.

1881 წლის თებერვალში ქართულ საზოგადოებრივ ცხოვრებაში მნიშვნელოვანი ამბავი მოხდა. შეიქმნა და მუშაობა დაიწყო შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის დამდგენმა კომისიამ. ქართული მწერლობის უპირველესი ქმნილება, რომელიც ჩვენი ერის მორალურ-ეთიკური და ზნეობრივი მეობის ყველაზე სრულყოფილ თვითგამოხატულებას წარმოადგენდა, უძველესი დროიდან რამდენიმე ხელნაწერით იყო მოღწეული. ეს ხელნაწერები ზოგიერთ შემთხვევაში დიდად განსხვავდებოდნენ ერთმანეთისაგან. დაკარგული იყო თვით რუსთაველის ხელიდან გამოსული ტექსტი. ყველა გრძნობდა „ვეფხისტყაოსნის“ შემორჩენილ ხელნაწერთა შეჯერება-შეპირისპირებით მეტ-ნაკლებად გამართული და დედანთან მიახლოებული ტექსტის დადგენის საჭიროებას. ამ მიზნით შეიქმნა კომისია, რომელშიც ყველა ის მოღვაწე შევიდა, ვისაც თავისი ნიჭითა და განათლებით არსებითი წვლილის შეტანა შეეძლო ამ საშვილიშვილო საქმეში.

1881 წლის 6 თებერვალს ჩატარდა ამ კომისიის პირველი სხდომა. კომისიის ოცდაორ წევრს „ვეფხისტყაოსნის“ ოცდაორი მოძიებული ხელნაწერი ჩამოურიგეს. დაიწყო პოემის ტექსტის განხილვა. პოემის ტექსტის კითხვა რაფ. ერისთავს მიენდო. კომისიის მეორე სხდომას უკვე რაფ. ერისთავი თავმჯდომარეობდა. მან პრაქტიკულადაც ბევრი გააკეთა პოემის ტექსტის გამოსაცემად და ხალხში გასავრცელებლად. პოეტი „ვეფხისტყაოსნის“ ერთ-ერთი საუკეთესო გამოცემის (ე. წ. ქართველიშვილისეული) ორგანიზატორი იყო.

მრავალმხრივი ინტერესით ცხოვრობდა რაფიელ ერისთავი. იგი თავდაუზოგავად იღვწოდა და სიცოცხლეშივე აღიარებული ეროვნული პოეტისა და მოღვაწის სახელიც დაიმკვიდრა, ბევრ საეროვნო საქმესაც დაადგა თავი, მაგრამ ვერა და ვერ მოაგვარა პირადი ცხოვრება. ოჯახი კვლავ ხელმოკლეობით იტანჯებოდა. მამაპაპეული მამული ვერა და ვერ გაუხდა ეკონომიკურ საყრდენად. საქმე იქამდეც კი მივიდა, რომ ვალების გადაუხდელობის გამო სათავადაზნაურო ბანკმა რაფიელის ოჯახს სოფელ ბოჭორმის მამული (900 დესეტინა სახნავ-სათიბი) საჯარო ვაჭრობით გაუყიდა. არც შემოქმედებითი თუ მეცნიერული მუშაობა იძლეოდა მინიმალურ ეკონომიკურ უკუგებას. ოჯახის ვალები დღითიდღე იზრდებოდა. მაინც

იმედიანად შესცქეროდა პოეტი მომავალს. აი, რას წერდა იგი ერთ-ერთ წერილში თავის სიძეს, ვასილ კახიძეს: „ძვირფასო ვასო! მივიღე შენი ალერსიანი წერილი, ჩემს სტატიას რომ შეეხება. დღევანდელ ნომერშიც არის გაგრძელება იმავე სტატიისა სვანეთის შესახებ. მაგრამ ეს ცოტას იძლევა: 3 კაპიკს სტრიქონზე. აი დავიწყებ წერას სამეგრელოზე და ეს სტრიქონზე 5 კაპიკს მომცემს“.

ერთ ხანობას რაფიელს თავად უცდია არა მარტო მამულის მოვლა-პატრონობა, არამედ ღვინის რეალიზაციაც. ჩარჩ-ვაჭართა თავგასულობას პოეტმა პატიოსანი კონკურენცია დაუპირისპირა. მან თბილისში სიკო გრძელიშვილთან ერთად ღვინის დუქანი გახსნა და ვაჭრობას შეუდგა, მაგრამ აქედანაც არაფერი გამოუვიდა. რაფიელის დუქანი უფრო ერთგვარ სალონად, ქართველ მოღვაწეთა თავშეყრის ადგილად იქცა. პატიოსანმა ვაჭრობამ კი ის მისცა რაფიელს, რომ გასავალმა შემოსავალს გადააჭარბა და გაკოტრდა.

უკვე ხანში შესული რაფიელი ისევ საარსებო წყაროს ძიებაში იყო და იძულებული შეიქნა კვლავ სახელმწიფო სამსახურს დაბრუნებოდა. 1889 წელს იგი კავკასიის საცენზურო კომიტეტში მოეწყო ცენზორად. აქაც თავისი პრინციპების ერთგული დარჩა პოეტი. რაფიელ ერისთავმა იმ დროს, საცენზურო რეჟიმის სიმკაცრის ვითარებაში, არა ერთი საეროვნო საქმის გაკეთება მოახერხა. დიდი რისკის ფასად გასცა მან ალ. ყ ა ზ ბ ე გ ი ს აკრძალული ოთხი ტომის დაბეჭდვის ნებართვა. ასევე დასაბეჭდად მისცა ვიზა მამია გურიელის ლექსების კრებულს. განსაკუთრებულ შეღავათებს აძლევდა იგი ქართულ ჟურნალ-გაზეთებს. ბუნებრივია, პოეტის ამგვარი დამოკიდებულება შეუმჩნეველი არ რჩებოდათ და მას ბევრი უსიამოვნების გადატანა მოუხდა. სულ უფრო შეუთავსებელი ხდებოდა ცენზორობა პოეტის სულიერ ინტერესებთან და ცხოვრებასთან და აი, 1896 წელს რაფ. ერისთავი უკვე სამუდამოდ გადადგა სახელმწიფო სამსახურიდან. შესამჩნევად მოდუნდა მისი საზოგადოებრივი აქტივობაც. შემოქმედებითი ინტერესებიც ერთგვარად დაუცხრა პოეტს. იშვიათად თუ გაიელვებდა მისი სახელი ქართული ჟურნალ-გაზეთების ფურცლებზე. 90-იან წლებში რაფიელი უმეტესად ადრე დაწყებული ცალკეული ნაშრომის გასრულებით იყო დაკავებული. მართალია, 1891 წლის მიწურულს კვლავ გაიბრწყინა რაფიელის პოეტურმა ტალანტმა, როცა თავის მხატვრულ შედევრებს შე-

მატა ბრწყინვალე ლირიკული ქმნილებები: „ნ ა ნ ა“, „ყ ვ ა ვ ი - ლ ებ ი ს ს ი მ ღ ე რ ა“, „მ გ ზ ა ვ რ ე ბ ი“ და სხვა, მაგრამ ისინი უკვე დაღლილი, ჩამავალი მზის ბრწყინვალებას წააგავდნენ, რომლის ღონემიცლილი დიდებულება თანდათან გარდაისახება და შეერწყმება მარადისობას.

ამ წლებში დასტამბა რაფიელმა „ნ ა რ კ ვ ე ვ ი ს ვ ა ნ ე - თ ი ს ე თ ნ ო გ რ ა ფ ი ი ს შ ე ს ა ხ ებ“. ეს ნაშრომიც ადრე დაწყებული კვლევის დასრულება იყო მხოლოდ. ამ წლებში ილია ჭავჭავაძის ინიციატივით დაიბეჭდა რაფ. ერისთავის მიერ ასევე ადრე შედგენილი იგავ-არაკების კრებული. პოეტი თანდათან გაერიდა თბილისს. უმეტეს დროს თავის მშობლიურ სოფელ ქისტაურში ატარებდა, ან ქალიშვილთან, ანასტასია კახიძესთან, სტუმრობდა თელავში. თავისი მშობლიური სოფლისადმი დიდი სიყვარულის გამოხატულებას წარმოადგენდა რაფიელის ზრუნვა სკოლის გასახსნელად. ჯერ კიდევ 1886 წელს გამოსთხოვა პოეტმა მთავრობას ნებართვა და იმავე წელს გაიხსნა კიდევ ოთხწლიანი სასოფლო სკოლა.

დიდ ჯაფას ნაჩვევი პოეტის არსება ადვილად ვერ ეგუებოდა მოხუცებულობის დუნე რიტმს და საქმეთაგან ჩამოშორებას. შემოქმედის ჟინს თავისი გაჰქონდა. პოეტი ცდილობდა მამულზე მზრუნველობაში დაეხარჯა მინავლებული პიროვნული ენერგია, სხეულის მიერ ნაღალატევი გულის წადილი. ერთხანს სამეურნეო საქმიანობასაც კი მიჰყო ხელი, მაგრამ მისი სასიცოცხლო შინაგანი ენერგიის არათანაბარი, აფეთქებადი პულსაცია მაინც ჩვეულ, შემოქმედებით ასპარეზს მოითხოვდა. რაფიელი გრძნობდა, როგორ უეცრად ინთებოდა მის არსებაში შემოქმედის ჟინი, როგორ ებრძოდა იგი სიბერის სიძაბუნეს და ყველაფერზე უარის მთქმელ მოთენთილობას. ამ ჟინის კარნახით შეუდგა უკვე ღრმად მოხუცებული პოეტი ლიბრეტოს წერას ოპერა „ნუგზარისათვის“, ისევ განაგრძობდა უმძიმეს სამუშაოს ქართულ-რუსული ლექსიკონის შესადგენად. სამშობლოს სალ კლდეებთან სულითხორცეული ერთიანობის მოტრფიალე პოეტი თავისი სოფლის თვალსაწიერიდან გონების თვალით გასცქეროდა მთელ საქართველოს და მიწის ძახილს დამორჩილებული თელავიდანაც დღენიადაგ ქისტაურისაკენ მიილტვოდა. იმ მიწას მიელტვოდა, სადაც განისვენებდა მისი ზვიადი წინაპრების დაუმორჩილებელ სულს გაცილებული ძვლები. პოეტი სულ უფრო ცხა-

დად გრძნობდა მარადისობის ზღურბლთან მიახლოებას და მისთვის ჩვეული სიმშვიდით ეგებებოდა მას.

თავისი ერის დიდ მადლობად მიჰყვებოდა მოხუცებულ პოეტს აკაკი წერეთლის თელავს ასვლა და მასთან სტუმრობა, ვითარცა მისი პიროვნებისადმი და მისი ნაღვაწისადმი დიდი სიყვარულისა და მოწიწების გამოვლენა. (უკანასკნელად ქართველ მოღვაწეთაგან რაფიელი აკაკი წერეთელმა ინახულა, 1897 წელს თელავში).

ყურადღება და სიყვარულის აღიარება პოეტს არც სხვებისაგან მოჰკლებია. ქართული პერიოდული პრესა ძალზე ხშირად აქვეყნებდა ცნობებს პოეტის თელავში ცხოვრების შესახებ.

1901 წლის 19 თებერვალს, ნაშუადღევის 3 საათზე, 77 წლის ასაკში აღესრულა რაფიელ ერისთავი. დიდ გლოვად გადაიქცა პოეტის გარდაცვალება.

რაფიელის სიძის, ვასილ კახიძის, სახლს იმავე დღეს დიდძალი ხალხი მიაწყდა თელავიდან თუ კახეთის სოფლებიდან. მეორე დღეს კი თელავისაკენ მთელი საქართველოდან დაიძრა დელეგაციები. ქართველმა საზოგადოებამ პოეტის იუბილეზე გამოხატული საყოველთაო სიხარულის საკადრისი მწუხარებით მოიყარა თავი თელავში. ეს უკვე მეორედ შეყარა და შეკრა ერთიან აზრად რაფიელ ერისთავმა მთელი საქართველო.

ქართველმა საზოგადო მოღვაწეებმა რაფიელის ნეშტის თბილისში გადასვენების და იქ დაკრძალვის აზრი შეიმუშავეს, მაგრამ პოეტის ანდერძს ვერავინ აღუდგა წინ. რაფიელს თავად ჰქონდა ამორჩეული საუკუნო განსასვენებლის ადგილი, ქისტაურის კარის ეკლესიის საგვარეულო საძვალე. დასაფლავების დღეს, 25 თებერვალს თელავში, აუარება ხალხმა მოიყარა თავი. დღის 3 საათზე გლეხებმა გამოასვენეს კუბო. სამგლოვიარო პროცესია ქისტაურის გზას დაადგა. პოეტი თელავიდან ქისტაურამდე ფეხით წაასვენეს. ძაძით შემოსილი ცხრა ცხენოსანი ხევსური მიუძღოდა ცხედარს. მათ მიჰქონდათ წარწერა „მოდით და იხილეთ სიკვდილი პოეტისა როგორ გადაიქცევის სიცოცხლედ". ღვიითა და დაფნის ფოთლებით მოფენილი გზის ორივ მხარეს თავდახრილი ხალხი მიაცილებდა პროცესიას. ზარით დაიტირეს პოეტი ქისტაურელებმა.

თბილისში პოეტს ქართველმა საზოგადოებამ სამგლოვიარო

წირვა და ჯანაშვილი გადაუხადა. ქართველი ერის სახელით რაფიელს ა კ ა კ ი წ ე რ ე თ ე ლ ი გამოეთხოვა.

1938 წელს მისი ნეშტი ქ. თელავს გადაასვენეს და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში ბარბარე ჯორჯაძისა და იოსებ დავითაშვილის საფლავებს შორის მიუჩინეს სამარადისო ადგილი. ახლა თელავის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის ეზოში რაფიელ ერისთავის საფლავს ადევს თეთრი მარმარილოს ქვა მოკლე და ლაკონური წარწერით: „რ ა ფ ი ე ლ ე რ ი ს თ ა ვ ი, 1824-1901 წ. გადმოსვენებულია 1938 წ.“.

1951 წელს, რაფიელ ერისთავის გარდაცვალების 50 წელთან დაკავშირებით სოფელ ქისტაურში გაიხსნა პოეტის სახლ-მუზეუმი, ხოლო 1974 წელს ზეიმით აღინიშნა მისი დაბადების 150 წლისთავი. ქ. თბილისში ერთ-ერთ ლამაზ სკვერში, რაფიელ ერისთავის ქუჩაზე, აღიმართა ე. ამაშუკელის მიერ შესრულებული სახელოვანი მამულიშვილის ძეგლი — ისეთივე სადა და შთამბეჭდავი, როგორიც იყო თავად პოეტის პიროვნება და მის მიერ განვლილი ცხოვრების გზა...

რაფიელ ერისთავი და ქართველი ერი

როგორ აღიქვა რაფ. ერისთავის პიროვნება და მისი მოღვაწეობა ქართულმა საზოგადოებამ? ამ თვალსაზრისით სიმპტომატურია რაფ. ერისთავის ხსოვნისადმი მიძღვნილ ლიტერატურულ საღამოზე აკაკი წერეთლის მიერ 1901 წლის 12 მარტს წარმოთქმული სიტყვა. აქ აკაკი აღნიშნავდა: „რაფიელ ერისთავი... რომ პოეტი არ ყოფილიყო, როგორც საზოგადო მოღვაწე, უყურადღებოდ დარჩებოდა. მით უფრო, რომ ის მოღვაწეობდა დასავლეთ საქართველოში, ესე იგი, იმერეთში, და არა საქართველოს იმ შუა გულში, რომელსაც „ქალაქი“ ეწოდება და სადაც ყოველი ნაბიჯი, გინდ მცირედიც იყოს, თვალსაჩინოა („ივერია“, 1901 წ., № 57). დიდი პოეტის ამ სიტყვებში ნათლად ჩანს რ. ერისთავის პიროვნებისადმი მისი თანამედროვე საზოგადოების დამოკიდებულების შინაარსი.

უნდა აღინიშნოს, რომ რ. ერისთავი, საერთოდ, ეროვნულ მოღვაწეთა შორის იმ ბედნიერ პიროვნებებს განეკუთვნება, რომელნიც სიცოცხლეშივე ეღირსებიან ხოლმე აღიარებასა და დაფასებას.

თანამედროვეთა დახასიათებით რ. ერისთავი „ალალი გულის პატრონი იყო, უეშმაკო, ადამიანს ადვილად ენდობოდა. ეს წუთისოფელი ისე მოჭამა, რომ ერთი განაწყენებული კაცი არა ჰყოლია“ (თ. სახოკია). სიკეთითა და ნათელი სულით სავსე, გულღია, ბავშვურად გულუბრყვილო, უეშმაკო, მეგობარ-ახლობელთათვის თავდადებული, ენამახვილი და გამჭრიახი — ასეთია რ. ერისთავი თანამედროვეთა დახასიათებით. ის ძალზედ ხშირად ქართული ყოფისათვის დამახასიათებელი საქმიანი თავყრილობისა, თუ ზომიერი, აზრიანი ნადიმის თავკაცი ბრძანდებოდა. სანადიმო სუფრაზე დიდ საეროვნო საქმეთა კეთება რ. ერისთავის თანამედროვე საზოგადოებრივი ყოფისათვის ბუნებრივ და, ერთი შეხედვით, აუცილებელ მოვლენასაც კი წარმოადგენდა. თავისი თანამედროვეობის არც ერ-

თი, მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვანი მოვლენა, ამბავი არ ჩატარებულა რ. ერისთავის მონაწილეობის გარეშე. განსაკუთრებით ილია ჭავჭავაძე იჩენდა ამ თვალსაზრისით რ. ერისთავისადმი გამორჩეულ ყურადღებას. ამიტომაც რაფიელი ჩვენი ერის სულიერი ცხოვრების ამ ბუმბერაზი თავკაცის წვეულებათა უცვლელი ხელმძღვანელი იყო.

1884 წელს თბილისში ჩამოვიდა ქართული კულტურის დიდი მოამაგე, გერმანელი მეცნიერი ა რ ტ უ რ ლ ა ი ს ტ ი. მან ერთ-ერთმა პირველმა გააცნო დასავლეთ ევროპას ქართული მწერლობა, გერმანულ ენაზე თარგმნა ბევრი ქართველი პოეტისა და მწერლის ნაწარმოები, მათ შორის რ. ერისთავის „სამშობლო ხევსურისა", „დედაენა", „ღამის მეხრე" და სხვა. იმავე წლის 1 ივნისს არტურ ლაისტი თავის ოჯახში მიიწვია ი. ჭავჭავაძემ. ამის თაობაზე ილია რ. ერისთავს აცნობებდა: „პარასკევს, 1-ს ივნისს, სადილად სამს საათზე ჩემს სახლში მოწვეული მყავს თქვენი პატივისმცემელი გერმანელი მწერალი არტურ ლაისტი. გთხოვთ თქვენც მობრძანდეთ". (№ 227).[1]

ი. ჭავჭავაძემ თავისი შესანიშნავი მოთხრობა „ოთარაანთ ქვრივი" რომ დაასრულა, ტრადიციულად ახალი ნაწარმოები ახლო მეგობართა წრეს გააცნო. მოთხრობის წაკითხვა მოეწყო ცნობილი ქართველი მოღვაწის, ჩვენი ეროვნული კულტურის დიდი მეცენატის დ ა ვ ი თ ს ა რ ა ჯ ი შ ვ ი ლ ი ს ოჯახში. კითხვას ესწრებოდნენ რაფიელ ერისთავი, ნიკო ნიკოლაძე, ივანე მაჩაბელი, პეტრე უმიკაშვილი, გრიგოლ ვოლსკი და სხვანი. მოთხრობამ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. წაკითხვის შემდგომ გაიმართა ვახშამი. თამადად, ბუნებრივია, რაფიელი აირჩიეს. ამ ფაქტის თვითმხილველი ი ა კ ო ბ მ ა ნ ს ვ ე ტ ა შ ვ ი ლ ი ს მოწმობით „...ლაზათი დასდო სუფრას თამადამ, მოხუცმა რაფ. ერისთავმა, რომელიც განთქმული იყო, როგორც ჩვენი მწერლობის პატრიარქი და გლეხთა მგოსანი... ვის სადღეგრძელოსაც დალევდა, უსათუოდ შესაფერ სახუმარო სიტყვითა მიჰმართავდა, ხან ექსპრომტად ლექსსაც ჩააკერებდა... პეტრე უმიკაშვილი ადღეგრძელა, ერთგული საზოგადო მოღვაწე და

---

1 საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტი, რ. ერისთავის ფონდი. აქაც და შემდგომაც არაბული ციფრით აღნიშნულია საქმის ნომერი.

მწიგნობარი. ალავერდი ნიკო ერისთავთან გადავიდა და თან დააყოლა: შენთვის მომინდვია, ყური უგდე პეტრეს და თუ ჭიქა არ გამოცალოს, ულვაში აუწიეო. ყველას სიცილი წასკდა, რადგან ყველამ და მათ შორის რაფიელმაც იცოდა, რომ პეტრე წვერ-ულვაშს არ ატარებდა, რაც მაშინ ქართველებში ძალიან იშვიათი იყო და რის გამოც პეტრე ნიშანში ჰყავდათ ამოღებული" (ი. მ ა ნ ს ვ ე ტ ა შ ვ ი ლ ი, მოგონებანი, 1936, გვ. 116-118).

წყნარი ბუნებისა და დარბაისლური იერის პიროვნება იყო რაფიელი. დიდი და ადამიანისადმი სიყვარულით სავსე სულს დაატარებდა ის. ადამიანი იყო მისთვის სამყაროს ყველაზე დიდი მშვენება; ადამიანში იყო გაცხადებული ყოფიერების სრულქმნილი სილამაზე და შინაარსი. ჭეშმარიტი ადამიანურობის ჰიმნი ამიტომაც იღვრება მისი ლექსებიდან, ამიტომაც მოისმის მის პოეზიაში აუმღვრეველი, მშვიდი, სოციალურად თავისუფალი ადამიანური ცხოვრების დაცვის მოთხოვნა. პიროვნულ ყოფაში მხოლოდ მაშინ შეიძვრებოდა და აბობოქრდებოდა მისი სული, როცა ამ სილამაზის ხელყოფას დაინახავდა. ადამიანის აბუჩად აგდება და მისი ღირსების დამცირება ესახებოდა ყველაზე დიდ ბოროტებად. ამიტომაც სხვისი უფლებების დაცვას და ჩაგრულის გამოსარჩლებას თავის უპირველეს მოვალეობად თვლიდა. ამაში არც ახლობელს ინდობდა და არც უცხოს. ერთი ქისტაურელი გლეხი იგონებს: „რაფიელს თავგასული ბიძაშვილი კიაზო ერისთავი ჰყავდა. ერთხელ კიაზომ თავის მოურავს ეზოში სოფლის საქონელი მოარეკინა და ჯარიმის გადაუხდელად უკან არავის ატანდა. შეწუხებული გლეხები რაფიელთან მივიდნენ დახმარების სათხოვნელად. რაფიელი წინ წაუძღვა მათ და მებატონეს პირუტყვის გამოშვება სთხოვა. მებატონემ უარი უთხრა. მაშინ რაფიელმა თელავიდან ფოტოგრაფი მოაყვანინა, დამწყვდეული პირუტყვის სურათი გადააღებინა და კიაზოს მუქარა შეუთვალა. „მარტო ტვინის (თხელი მაუდი) შარვლად ტარება არ გეყოფა, თავშიც უნდა გქონდეს ტვინიო". მებატონე შეშინდა და საქონელი გაუშვა (შ. ვ ა შ ა ყ მ ა ძ ე, რაფიელ ერისთავი, 1962 წ., გვ. 60).

ჩვეულებრივ კი რ. ერისთავი სულაც არ იმჩნევდა, რომ დიდმოხელე და ცნობილი პოეტი იყო. თავდაბლობა, პიროვნული სისადავე და უპრეტენზიობა მისი არსებობის ბუნებრივ ფორმად რჩებოდა. მას ხშირად მისი პიროვნებისათვის სრულიად შეუფერებელი

საქმის კეთებაც კი არ ეთაკილებოდა. თითქოს სულაც არ ფიქრობდა თავის პიროვნულ ღირსებებზე. მაგრამ ეს შთაბეჭდილება მაცდუნებული იყო. მატერიალური სივიწროვე ადგმევინებდა ხშირად რაფიელს მისი პიროვნებისათვის, ერთი შეხედვით, შეუფერებელ ნაბიჯს. სწორედ მძიმე ცხოვრების გამო იყო, რომ ერთხანს, თბილისში, პუშკინის ქუჩაზე, პოეტმა ღვინის დუქნის გახსნა და დახლიდარობაც კი იკისრა. ჩვეულებრივი თვალისთვის ეს ფაქტი ერთობ უცნაურად ჟღერდა, მაგრამ საცნაური და ადვილად გასაგები იყო ადამიანთა ბუნების ისეთი მესაიდუმლისათვის, როგორც აკაკი წერეთელია. ერთ-ერთ კრიტიკოსს აკაკი ასე უხატავდა რაფიელის ყოფის მართალ სურათს: ამბობთ რაფიელი ისევე განცხრომაში ცხოვრობდა, როგორც სხვა „სამოციანელებიო". „როდის და სად? იქ, იმერეთში რა გადახდა, ის ხომ არ გინდათ გაიგოთ? აბა ახლა ერთი აქაც მოიკითხეთ? ჰაერდახშულ სარდაფში გამომწყვდევა, ღვინის ყიდვა და მწვადების მომზადება სხვებისათვის, ვგონებ, რომ დიდი არაფერი ბედნიერება იყო?... და თუ ლევან მელიქოვს მისთვის ცენზორის ადგილი არ ეშოვნა, თქვენი ტაში და ბარაქალას ძახილი დიდხანს ვერ გააძლებინებდა" („ი ვ ე რ ი ა", 1901, № 70). ასეთი იყო საქმის რეალური ვითარება. მაგრამ სადაც არ უნდა ყოფილიყო რაფიელი, იმ დროისათვის თვით ცენზორის საჩოთირო პოსტზეც, ის ჩვენი ერის საქმეს აკეთებდა, მისი ინტერესების დამცველად გამოდიოდა. ქართველი საზოგადოების „თავმოსაწონებელი წევრი" იყო პოეტი, თითქმის ყველა საეროვნო საქმის მოთავე და ხელისშემწყობი, მაგრამ თავის მატერიალურ სივიწროვეს არავის შესჩიოდა. ეტყობა, ასეთი იყო დიდ მამულიშვილთა ბედი. დროდადრო თუ გაიელვებდა ძუნწი ცნობები, რომელთა მიხედვით დაკვირვებული თვალიც კი უფრო იგრძნობდა, ვიდრე დაინახავდა ამ სივიწროვეს. 1870-72 წლებში „დ რ ო ე ბ ა შ ი" ზედიზედ, რამდენჯერმე (№ 45, 46, 49) ქვეყნდება ხელმოკლეობით შეწუხებული რაფიელის განცხადებები „თ. რ. დ. ერისთავი აცნობებს იმ პირთა, რომელთაც აქვსთ ანუ ექნებათ საქმეები ქუთაისის გუბერნიის ყოველგვარ სასამართლოში, რომ ის კისრულობს სამოქალაქო და სისხლის სამართლის საქმეების ზემოხსენებულ სასამართლოში დაცვას". ქართველი საზოგადოება ვერც იმას ამჩნევდა, რომ ვალების გადაუხდელობის გამო საჯარო ვაჭრობით იყიდება

რ. ერისთავის საგვარეულო მამულის მნიშვნელოვანი ნაწილი — 900 დესეტინა სახნავ-სათიბი მიწები სოფ. ბოჭორმაში; უცნობი რჩება ისიც, რომ გამწარებით ეძებს პოეტი საარსებო წყაროს მთავრობის ოფიციალურ ინსტანციებში. ერთ-ერთ მოხსენებით ბარათში პოეტი წერს: „30 წელზე მეტია სახელმწიფო სამსახურში ვიმყოფები... გთხოვთ... დამინიშნოთ პენსია. ...მამული (ქისტაურში)... უყურადღებობით განადგურდა და შემოსავალს აღარ იძლევა. (№ 18). მხოლოდ შინაურებმა იცოდნენ, რომ რ. ერისთავი ყველანაირად ცდილობდა გაჭირვებისაგან თავის დაღწევას. 1898 წელს რ. ერისთავმა ნავთის საქმეშიც კი სცადა ბედი. მან მცირეოდენი თანხა დააბანდა და საქმის წარმოება თავის სიძეს, ნიკო ხიმშიაშვილს, მიანდო, თან დაარიგა „ჩემი წილი ეჯარით გაეცი და საქმე კარგად აწარმოეო“ (№ 1054).

ქართველი საზოგადოებისათვის რ. ერისთავი განსაცვიფრებლად მრავალმხრივი და ნაყოფიერი მოღვაწე, ერისკაცის ყველა თვისებით შემკული პიროვნება იყო. ის იყო მოღვაწე, რომელმაც „პირველი ხმა“ ამოიღო „სამწედ უსამართლოდ ჩაგრულთათვის, რომელმაც „პირველმა დაჰძრა ენა ადამიანის გაუპატიურებულ ღირსებისათვის და ჩამოაგდო სიტყვა ადამიანურ დატყვევნილ უფლების აღსახსნელად და აღსადგენად“ (ი. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე).

ქართველ საზოგადოებას, ერთი მისი თანამედროვის თქმით, „კარგად ესმოდა“ მისი... „ძლიერი სულის კვეთება“, რომელსაც გრძნობდა „დამაშვრალი ტვირთმძიმეთა წოდება, რომლის ვარამი და ყოფა-ცხოვრება ისე ხელოვნურადაა დასურათებული მის ნაწარმოებებში“ (კ. ა ლ შ ი ბ ა ი ა).

თანამედროვეთა ცნობიერებაში რ. ერისთავი განეკუთვნება იმ ადამიანებს, „რომელნიც ჩუმათ, უყვირლათ, უანგაროთ, თავისი ქვეყნის გულისტკივილით შესდგომიან საქმეს და შეძლებისდაგვარად, ცდილობენ მოუტანონ ჩვენს დავიწყებულს და დაჩაგრულს ქვეყანას სარგებლობა“ („გ უ თ ნ ი ს დ ე დ ა“, 1873 წლის № 17-ს შოწინავე). ამიტომაც საეროვნო საქმით გულშეძრული ყველა მოღვაწე რაფიელს სთხოვს შემწეობას, მხარში ამოდგომას. საფუძველს თავად რ. ერისთავი იძლევა. სახელმწიფო სამსახურში მყოფი ჩქარობს თანამდებობა ერის სასიცოცხლო ინტერესების საკეთილდღეოდ გამოიყენოს. ქართული ენის ცენზორად მყოფი მრავა-

ლი საშვილიშვილო საქმის გაკეთებას ასწრებს, მაგრამ გაკეთებული მაინც ეცოტავება და ითხოვს, „მე არ ვიცი ცენზორი როდემდე ვიქნები. თუ საეჭვო რამე გაქვთ დასაბეჭდი ცენზურის მხრივ, საჩქაროდ წარმომიდგინეთ ცენზურაში, სანამ იქა ვარ“ (ა ლ. ჯ ა ბ ა დ ა რ ი, მ ნ ა თ ო ბ ი, 1934, № 1-2, გვ. 273).

ქართველი მოღვაწენიც სთხოვენ თანამონაწილეობას, დახმარებას, თანადგომას ქართული ჟურნალ-გაზეთების, სხვადასხვა საზოგადოებების დაარსებაში. ...იქმნება XIX საუკუნის ყველაზე მნიშვნელოვანი — ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება. მისი მესვეურნი ი ლ ი ა ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე და დ ი მ ი ტ რ ი ყ ი ფ ი ა ნ ი შეახსენებენ პოეტს: „ჩვენ მონდობილი გვქონდა სხვათაშორის თქვენგანაც წარგვედგინა მთავრობისათვის წესდებულება წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებისა ქართველთა შორის და გვეთხოვნა მისი დამტკიცება. ეხლა ეს წესდებულება დამტკიცებულია და ერთი დაბეჭდილი ეგზემპლიარი ამასთანავე მოგვირთმევია თქვენთვის, როგორც საზოგადოების დამწესებელი წევრისათვის... გთხოვთ მობრძანდეთ საზოგადო კრებაში 15 მაისს დილის 11 საათზე ტფილისის თავად-აზნაურთა ბანკის სადგურში და წარმოადგინოთ სია იმ თქვენ ნაცნობ სანდო პირთა, რომელნიც ისურვებენ ჩვენი საზოგადოების წევრად გახდომას“. (№ 266).

XIX საუკუნის მეორე ნახევარში ლიტერატურული ჟიდილის რთულ პერიოდში ყველას თავის მომხრედ მიაჩნდა რ. ერისთავი, ბევრი მისი დახმარებით ცდილობდა საკუთარი პოზიციების განმტკიცებას. ი ვ ა ნ ე კ ე რ ე ს ე ლ ი ძ ე 1862 წლის 13 აპრილს აცნობებს რაფიელს, რომ ლიტერატურულ ჟიდილში მისი იმედით იქნება: „თუ შენ კარგა მყევხარ, მე არავისი არ მეშინიან... თუ ღმერთი გწამს შენებურად დაწერილი პროზა გამოგზავნე“ (კრებული: ლ ი ტ ე რ ა ტ უ რ უ ლ ი მ ე მ კ ვ ი დ რ ე ო ბ ა, წიგნი, I, 1936., გვ. 541).

რ. ერისთავი ყველასათვის თავმოსაწონი სასურველი პიროვნება იყო, რადგან მისი ნაღვაწი ნათელ კვალად აჩნდა ქართველი საზოგადოების სულიერ ცხოვრებას. სიყვარულით ხვდებიან მას პერიფერიებშიც. დიდ ზეიმში გადაიზრდება მისი სტუმრობა თიანეთში 1885 წლის 9 ივნისს, სადაც პოეტმა დაიწყო მოღვაწეობა. „განსაკუთრებით აღფრთოვანებულან გლეხები, რადგან „გარდა მოხე-

ლის თანამდებობისა, რაფ. ერისთავი თავისუფალ დროს ახმარდა, აქაური ხალხის ცხოვრების შესწავლას". (ნ. ხიზანიშვილი, „დროება", 1885, № 131).

პოეტის პიროვნებისადმი გამორჩეული ინტერესი და მისი ნაღვაწის უდიდესი დაფასება ქართველმა ერმა გამოხატა რ. ერისთავის საზოგადოებრივი მოღვაწეობის 50- წლისთავისადმი მიძღვნილ იუბილეში.

იუბილეს შემდგომ რ. ერისთავი განერიდა აქტიურ ცხოვრებას. თითქოს ერთბაშად დაცხრა მასში შემოქმედის ჟინი. მაგრამ ქართული საზოგადოება პოეტისაგან განუწყვეტლივ ელოდა „სიტყვას საქმიანს და საქმეს სიტყვიანს". არადა წლები გადიოდა, სიბერე ეპარებოდა პოეტს, თანდათან სუსტდებოდა მისი მოქალაქეობრივი მაჯისცემა. პოეტი ხშირად ჩვენი სულიერი ცხოვრების ცენტრს — თბილისსაც განარიდებს თავს. ამით უფრო საცნაური ხდებოდა პოეტის სიტყვის მოსაკლისება. ჩვენი ერის საზოგადოებრივი ცხოვრების საყრდენად ესახებოდა ქართველ საზოგადოებას მისი პოეტური ხმა. ამიტომ პირდაპირ მოთხოვნილებად იქცა მისი თანაარსებობა. ამის გამო ასეთი მიმართვაც გაისმა პოეტისადმი:

„შენი ჭირიმე, მოხუცო, ჩაგრულის ქვეყანისაო,
თუ ხელეური გამოსპერ, შეკვრაცა შესძელ ძნისაო,
ნუ გაგვიჩუმდი, ხმა გაგვე, ისმინე ხვეწნა ყმისაო,
კვლაე გაგვაგონე ხარხარი, ან სევდით მოთქმა ძმისაო".

(„თეატრი", 1889, № 1).

თბილისს განრიდებულ პოეტს მაინც არ ივიწყებდნენ. ამ დროს რაფიელისადმი ყურადღებიანობით აკაკი წერეთელი გამოირჩეოდა. 1897 წელს აკაკი თელავში ესტუმრა რაფიელს, გულისტკივილით უსმენდა მგოსანი მგოსნის „მწარე ღიმილით" ნათქვამს: „დავბერდი, დავჩაჩანაკდი, წვერი შემექნა ჭაღარა; შინ ცოლშვილს მოვძულებივარ, ბატონს ვუნდივარ აღარა".

ქართულ პრესაში დროდადრო იბეჭდებოდა რ. ერისთავის შესახებ: „ბევრი შრომისა და მეცადინეობის გამო ცოტა არ იყოს მოღალულ-მოქანცულია, მაგრამ გული ჭაბუკური აქვს და აღსავსე იმედებითო".

ქართული საზოგადოება და უპირატესად „თერგდალეულები" კვლავაც დიდი ინტერესით ეკიდებიან რ. ერისთავის ნაწერებს. გან-

საკუთრებულ მზრუნველობას ი. ჭავჭავაძე იჩენს. იგავ-არაკების კრებულის გამოცემის თაობაზე იგი ატყობინებს რაფიელს: „მე იმედი მქონდა ქართველთა წიგნთა მბეჭდავის საზოგადოების ფული მომეხმარა თქვენის იგავ-არაკებისათვის, მაგრამ ამ საზოგადოებამ ამას წინათ გადაწყვიტა, რაც ფულია, სულ ალექსანდრე ჭავჭავაძის ლექსების ბეჭდვას მოახმაროს. თუ ამ გზით აღარ გახდა რა, მაშინ ფულს მოვაგროვებთ და ზ. ჭიჭინაძის სტამბაში გამოვცემთ“ (№ 227). ასეთი ნაბიჯი იძულებითია, რადგან თვით საზოგადოებაც არ არის მატერიალურად დალხინებული. ხშირად ფულის შეგროვება რჩება მნიშვნელოვანი საეროვნო საქმის განხორციელების ერთადერთ გზად და საშუალებად. ასეთია მწარე სინამდვილე, რაც რაფიელისათვისაც კარგად არის ცნობილი. და მაინც, ქართველმა საზოგადოებამ არსებულ ვითარებაშიც შესძლო შეუძლებელი. მან ისევე დიდი სიყვარულით გამოხატა რაფიელის პიროვნებისა და მისი ნაღვაწისადმი ღრმა პატივისცემა, რა სიყვარულითაც უნათებდა გზას პოეტი თავის ერს მისი ისტორიული ყოფის ძნელბედობის წლებში. თავის მხრივ მადლიერი ქართველი საზოგადოება, ქართული მხატვრული სიტყვის დიდი ოსტატებიც არაერთგზის იხსენიებდნენ და სათანადო პატივს მიაგებდნენ რაფიელ ერისთავის პიროვნებას და პოეზიას, მის ნაღვაწს და შემონაქმედს. ყველაზე მძაფრად ეს განწყობილება გამოიხატა დიდი ვაჟას პოეტურად გამძლე სტრიქონებში, რომელიც სახელოვანი მემკვიდრის მიერ ღირსეული ლიტერატურული წინაპრის დაფასებაცაა და შეფასებაც.

„კურთხეულიმც ხარ სულითა,
ღმერთმა გიკურთხა ჭაღარა,

. . . . . .

სამშობლო ხევსურისამა
ყველასიც გული დაღარა.
გრძნობა შესწირე ზვარაკად
შენსა სამშობლო მხარესა,
გაესხივოსნა წყვდიადი,
ეხვეწებოდა მთვარესა,

. . . . . .

„ბარს ვინღა ასწევს მთამდინა,
ან მთას ვინ გააბარებსა?“

(„რაფიელ ერისთავის გარდაცვალებაზედ“, 1901 წ.)

რაფიელ ერისთავის მოქალაქეობრივი მრწამსი

„კაცი ის არის, ვინც მამულს ეტრფის და ეთაყვანება... ვისაც სამშობლოს ოხვრისთვის ლომ-გული მოეფხანება, ვინც დასთხევს მისთვის წმინდა სისხლს, მოწამეს დაემგვანება“. — ასე წერდა რაფიელ ერისთავი 1886 წელს, პოეტური სიმწიფის ჟამს. ამ სტრიქონებში გატარებული ღრმად პატრიოტული აზრი და განწყობილება არის სწორედ რ. ერისთავის პოეტური მრწამსის საყრდენი. ამიტომაც ჯერ კიდევ რ. ერისთავის თანამედროვეებმა ნათლად შენიშნეს, რომ პოეტმა თავისი ნაღვაწით გამოაღვიძა და მოამწიფა ჩვენი ხალხის ეროვნული ცნობიერება. ჩვენმა თანამედროვეობამ კი ამ ღვაწლის თვალსაჩინო არგუმენტად აღიარა რ. ერისთავის პოეტური ქმნილებები და მისი მოქალაქეობრივი სიმამაცე. სწორედ მხატვრულ იდეალთა და პრაქტიკული საქმიანობის ამ ერთიან მიზანსწრაფვაში აისახა მისი მრწამსი, ანუ ამ ქვეყნად სიცოცხლის საზრისად ქცეული „მართალი სარწმუნოებაც“.

დიდი აკაკის თქმისამებრ „მთისა“ და „ზღვის“ ერთად „შეხორცებაში“ იკითხება არა მარტო რ. ერისთავის შემოქმედების მნიშვნელობა ჩვენი მწერლობისა და კულტურის ისტორიისათვის, არამედ ამ დიდი მამულიშვილის მოქალაქეობრივი მრწამსიც.

როგორც ცნობილია, ხელოვნების ცნობიერებას, მის მოქალაქეობრივ მრწამსს გარკვეულწილად აპირობებს მისი თანამედროვე საზოგადოებრივი გარემოც. ამდენად თავისთავადი ინტერესის საგნად იქცევა იმის გარკვევა, თუ რა თავისებურებებით ხასიათდება რ. ერისთავის თანამედროვე საზოგადოებრივი ცხოვრება, რა სულიერ საზრდოს აწვდის მის ცნობიერებას, რა მოთხოვნებს აყენებს იგი პოეტის წინაშე.

რ. ერისთავის მოქალაქეობრივი მრწამსის განმსაზღვრელია ქართველად მყოფობის, ჩვენი ეთნიკური, ფსიქიკური და ზნეობრივ-ეთიკური მაჩვენებლების დაძებნა და ამით ეროვნული ცნობიერების საკუთრივი შინაარსის დადგენა. ვინ ვართ და რანი ვართ? რა ქმნის ქართველობის, ცხოვრების ქართული წესის შინაარსს? — აი, კითხვები, რომლებზე პასუხის ძიებად წარმოსდგება პოეტის მიერ ახალგაზრდობიდანვე ფართოდ გაშლილი მეცნიერულ-პუბლიცისტური მოღვაწეობა და რაც გარეგნულად საქართველოს ეთნოგრაფიულ და ფოლკლორული გაცნობის მისწრაფებაში ვლინდება. რას ნიშნავს და როგორ აშინაარსებს ქართველი კაცი კახეთს, თუშ-ფშავ-ხევსურეთს, სამეგრელოს, გურიას, სვანეთს, აჭარას?... რატომ არის ქართული ეროვნული ყოფა ერთდროულად ასეთი უსასრულოდ მრავალფეროვანი და მაინც ერთნაირი? ამ კითხვებზე საპასუხოდ, საქართველოს სხვადასხვა კუთხეს რ. ერისთავი არა გარეშე მაყურებლის, ან ტურისტის თვალით ხედავს და აღწერს, არამედ ღრმად იჭრება ჩვენი ხალხის სულიერ სასიცოცხლო გარემოში და მაღალი მამულიშვილური გრძნობითაც იკაფავს გზას მკითხველის გულებისაკენ, როცა აღნუსხავს, აანალიზებს და პოეტურადაც წარმოსახავს ქართველთა სულიერ ფსიქო-ეთნიკურ სამყაროს. წერილები „თ უ შ-ფ შ ა ვ-ხ ე ვ ს უ რ ე თ ი ს ო ლ ქ ი ს შ ე ს ა ხ ებ“, „წ ე რ ი ლ ებ ი ი მ ერ ე თ ი დ ა ნ“, ნ ა რ კ ვ ე ვ ებ ი ს ა მ ე გ რ ე ლ ო ზ ე, ს ვ ა ნ ე თ ზ ე და მრავალი სხვა, უცხო მკითხველს და პირველ რიგში თვით ქართველ მკითხველს უჩვენებდა ქართული ეროვნული ყოფის სპეციფიკას. ამგვარი ინტერესი რ. ერისთავის სულიერი ცხოვრების მუდმივ მოთხოვნილებად დარჩა სიცოცხლის ბოლომდე და გარეგანი აღწერა-დახასიათებიდან ქართული ფენომენის უღრმესი შრეების წარმოჩენის ცდებში გადაიზარდა.

რაში და როგორ ვლინდება ქართველი კაცის არსებობის შინაარსი ამქვეყნად? რაში მდგომარეობს მისი სიცოცხლის მიზანი? — ეს კითხვები ბუნებრივად დადგა რ. ერისთავის წინაშე. მან ქართველი კაცის სულიერი ცხოვრების შინაარსად მამულიშვილობა, სამშობლოსათვის „ტრფიალება“ და „თაყვანცემა“ გამოაცხადა; ხოლო ამის პირობად „მტრის ოქროთი“, მტრის „მკაცრი ბრძანებით“ პირფერუცვლელობა ჩათვალა. მამულიშვილობის ცნება „სხვათა სამოთხეზე“ გაუცვლელობის, სამშობლოს დედის ძუძუსავით ერთადერ-

თობის იდეით გაამყარა. პოეტმა ერის ეროვნულობის განმსაზღვრელად დედაენა გამოაცხადა და მის დაკარგვაში დაინახა ეროვნული სახიერების დაკარგვის საფრთხე; არამშობლიურ, შეთვისებულ სხვა ენაზე „გადასვლის“ შეუძლებლობა თავისი ეროვნული თავისთავადობის შენარჩუნების მიზნით ნიშნავს საკუთარი „ლხინის“, „მწუხარების“, „ჟირის“, „წყენის“, „ვაების“, „ჩივილის“, „გულისტკენის“ გადმოცემის შეუძლებლობას, რადგან მისივე სიტყვით „განმგებელია ამისი ზენა, ვინც გვიწყალობა ჩვენ დედაენა“.

ამიტომ რ. ერისთავის მრწამსით ყოველი ქართველის უზენაესი მიზანი დედაენის შენარჩუნება და მისი სიწმინდის დაცვაა. დედაენის დაკარგვის საშიშროება კი სწორედ მის თანამედროვე საქართველოს ემუქრებოდა. ამიტომაც იყო, რომ მან სიტყვაში ვეღარ დატია სათქმელი და თავისი პოეტური მრწამსის შესატყვისად პრაქტიკულადაც აქტიურად ჩაერთო მესამოცე წლებიდან გაშლილ „საწყალმართო“ მოღვაწეობაში.

ფაქტიურად პოეტის სამოქალაქო ცხოვრების პრაქტიკული გამიზნულობა, მიზანსწრაფვა და იდეალთა სიმაღლე ენაცვლება მისი პოეტური წარმოსახვის ნაყოფს. რ. ერისთავის აქტიურმა პრაქტიკულ-საზოგადოებრივმა საქმიანობამ ერთგვარად შეიწოვა მისი მრწამსის, პოეტური „მე“-ს გამომხატველი სათქმელი და მან უფრო აკადემიური ფორმა შეიძინა. ამიტომაცაა, რომ ასე ბევრს წერს და იღწვის ის ქართული ენის და კულტურის დაცვისათვის. ასე ერწყმის და ედუღაბება რ. ერისთავის პოეტური მრწამსი მისსავე მოქალაქეობრივი ცხოვრების შინაარსს და იქცევა ერთ მთლიანობად.

რ. ერისთავისათვის ქართული ენა — თვითმყოფადი ენაა. იგი არა ჰგავს მსოფლიოში არსებულ არც ერთ ენას. მისი მიკუთვნებ. ენათა რომელიმე ოჯახისათვის მცდარია. ამიტომ უსაფუძვლოა ევროპელ მეცნიერთა ძიებანი ენათა ნათესაობის დასადგენად და ამ ძიებათა სფეროში ქართული ენის მოქცევაც. სხვა რომ არა იყოს რა, „რამდენიმე ათეულის, ანუ ასეულის სიტყვის ფესვის მოძებნით სანსკრიტულში, ვერცა ინგლისელი მიაგნებს პირველ ენას და ვერცა სხვა“. დედაენის სიწმინდის და მისი მოქალაქეობრივი უფლების დაცვის პრობლემამ რ. ერისთავისათვის მშობლიურ ენაზე სწავლების დაცვის შინაარსიც შეიძინა.

რ. ერისთავი სასტიკად ილაშქრებდა იმათ წინააღმდეგ, ვინც ქართული ენის ხელყოფას ცდილობდა. მან გაზეთ „დ რ ო ე ბ ა შ ი“ (1880 წ. № 212) გამოაქვეყნა სტატია „რ ა მ დ ე ნ ა დ მ ა რ თ ა ლ ი ა, რ ო მ ქ ა რ თ უ ლ ს ე ნ ა ს ს ი ღ ა რ ი ბ ე დ ა ს წ ა მ ე ს“. აქ რ. ერისთავმა ქართული ენის ლექსიკური სიმდიდრის წარმოჩენის საკითხი ფაქტიურად სწავლა-აღზრდის გლობალურ პრობლემაში გადაზარდა. პოეტმა აქვე გარკვევით აღნიშნა, რომ „რუსული ენა უნდა ...იცოდეს ყოველმა ქართველმა“, მაგრამ არა ქართულის განდევნის ხარჯზე.

რ. ერისთავის აზრით, ქართული ენა უძველესი კულტურის ენაა. უძველეს დროშივე გააჩნდა მას ის სპეციალური ტერმინოლოგია, რაც თანამედროვე ცივილიზებულ ენათა უპირატესობად არის მიჩნეული. „მაშინდელი ქართული თხზულებანი რომ შეადარო ამავე დროის ევროპულის ლიტერატურის ნაწარმოებებს, მრავალზე უკეთესი თუ არ აღმოჩნდება, უკან მაინც არ ჩამორჩებიან“. მართალია, ქართულში ჯერ კიდევ არ დამკვიდრებულა თანამედროვე საზოგადოებრივი ყოფის შესატყვისი ბევრი ნეოლოგიზმი, მაგრამ ეს მოვლენა ენის ლექსიკური მარაგის შევსების კანონზომიერების გამოხატულებაა და „ქართველებს თამამად შეუძლიათ ამგვარი სიტყვები პირდაპირ მიიღონ, როგორც მიიღეს სხვადასხვა განათლებული ქვეყნის მცხოვრებლებმა და ზოგი, შეიძლება ადვილად დაასახელონ თავიანთებურ სახელწოდებითაც“.

რ. ერისთავი ფიქრობს, რომ სწავლა ურთულესი და უსათუოესი პროცესია და შედეგიც მთლიანად აზრის სიცხადეზეა დამყარებული. უცხო ენაზე სწავლა კი „იქნება უაზრო... თვითონ შეგირდისაგან გაუგებარი“. ამდენად სწავლის პროცესი შეიქნება „მსგავსი თუთიყუშისაგან ლაპარაკის სწავლისა“. ამიტომ რ. ერისთავი კავკასიის სასწავლო ოლქის მესვეურებს ურჩევს, ნუ ჩაერევიან უხეშად სწავლების პროცესში და თუ „ჩვენ სახელმძღვანელო წიგნების უქონლობით შევაბრკოლოთ სწავლა და მოსწავლენი, მაშინ სრული ნება ექნებათ აღმოფხვრან ქართული ენა“. „შეუბრკოლებლობის“ რწმენას კი რ. ერისთავს უნერგავდა ქართული ენის ლექსიკური მარაგის სიმდიდრე და, როგორც ამბობენ, „ქართველთა კულტურული შუბლი“. პოეტი თავის მხრივ შეეცადა გარკვეული წვლილიც შეეტანა ამ უაღრესად მამულიშვილურ საქმეში. ამის გამოხა-

ტულება იყო ის, რომ რ. ერისთავმა შექმნა არითმეტიკის, გეომეტრიის, ფიზიკის, ასტრონომიის, სამხედრო, „ზღვისა და შიგ ცურვის“ და სხვა ტერმინოლოგიური ლექსიკონები.

მან პირველმა გამოსცა სულხან-საბა ორბელიანის „ქართული ლექსიკონი“ (1884), „შემოკლებული ლათინურ-რუსულ-ქართული მცენარეთა ლექსიკონი“ (1873), „მცენარეთა, ცხოველთა და ლითონთა სამეფოდან — ქართულ-რუსულ-ლათინური ლექსიკონი“ (1884). პოეტის განსაკუთრებული ინტერესის საგანს შეადგენდა აგრეთვე „აზრი სრული რუსულ-ქართული ლექსიკონის შედგენის საშუალებაზე“, როცა აღნიშნავდა: „ჩვენ დღეს არა გვაქვს რუსულ-ქართული და ქართულ-რუსული ლექსიკონები, რომლებიც დღეს შეადგენენ მიუცილებელს ყოველდღიურს საჭიროებას, თითქმის როგორც თითოეულის კერძო პირისათვის და უმეტესად მოწაფეთათვის“.

რ. ერისთავი ქართული სკოლის მომძლავრებას განსაკუთრებული სიფხიზლით თვალს ადევნებდა აჭარაში, თურქეთის ბატონობისაგან ახლადგამოხსნილ ტერიტორიაზე. სკოლას ამ მხარეში ჯერ კიდევ უჭირდა. საქმე იქამდეც კი მიდიოდა, რომ უსახსრობის გამო დღის წესრიგში დგებოდა სკოლების დახურვის საკითხი. რ. ერისთავი პრინციპულად აყენებდა აჭარაში ქართული სკოლის აუცილებლობის. მისი შენარჩუნება-დაცვის მოთხოვნას: „თუ აქამდი სკოლა ვერ გამაგრდა, ეგ არაფერი (ადრეა, სულ 2 წელია, რაც სკოლა გაიხსნა და ხალხის ნდობა კი ვერ მოვიპოვეთ), იქაც ახლა ძლივს დამკვიდრდა ხალხი. ახლა გვიჭირს და უჭირთ იქ სკოლა. ბაირაღი გაგვიშლია სკოლისა და ნუთუ სირცხვილეულნი უნდა დავბრუნდეთ?“.

ქართული სულის ძალუმად წარმოჩენის სურვილი განსაზღვრავდა რ. ერისთავის მეცნიერულ-ფოლკლორისტული მოღვაწეობის შინაარსსაც. მან სხვადასხვა წლებში გამოაქვეყნა: „ქ ა რ თ უ ლ ი ს ა ხ ა ლ ხ ო პ ო ე ზ ი ი ს ნ ი მ უ შ ე ბ ი“, „ქ ა რ თ უ ლ ი გ ა მ ო ც ა ნ ე ბ ი“, ი. ჭავჭავაძესთან ერთად ცალკე წიგნად გამოსცა „გ ლ ე ხ უ რ ი ს ი მ ღ ე რ ე ბ ი, ლ ე ქ ს ე ბ ი დ ა ა ნ დ ა ზ ე ბ ი“ და მრავალი სხვაც.

ჩვენი ეროვნული ცხოვრების პრაქტიკული აუცილებლობით იყო ნაკარნახევი ისიც, რომ პოეტი აქტიურად თანამშრომლობდა კავკასიის სოფლის მეურნეობის საზოგადოებასთან, რუსეთის სოფ-

ლის მეურნეობისა და მრეწველობის საზოგადოებასთან, რუსეთის სოფლის მეურნეობის მოსკოვის საზოგადოების მეაბრეშუმეობის კომიტეტთან. კავკასიის სამეურნეო ჟურნალში დასტამბა რ. ერისთავმა ვრცელი ნაშრომი „ღვინის მოყვანისა და გასაღების მდგომარეობა ჩვენში“, „ნარკვევი იმერეთზე სოფლის მეურნეობის თვალსაზრისით“, შექმნა ნაშრომები მევენახეობის, მეთამბაქოეობის, მეფუტკრეობის, მეაბრეშუმეობის დარგებში.

XIX საუკუნის მეორე ნახევარში ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების თაოსნობით ჩვენში ფართოდ გაიშალა მუშაობა საჯარო ბიბლიოთეკის დასაარსებლად. ამ საშვილიშვილო საქმის ინიციატორი სწორედ რ. ერისთავი იყო. პოეტს სწამდა, „...რომ იმ წიგნებთაგანი თუ შეინახებოდნენ, ისინი სამუდამოდ არ დაიკარგებოდნენ იმ დაუდევრობით, რომლის მაგალითს გვიჩვენებს ხოლმე მეხილის და მეთევზის დუქნები, სადაც მოსამსახურეები ხშირად გაჰყიდიან ხოლმე ძველს ქართულს წიგნებს და ვაჭრებიც ამ ძველი წიგნების დარღვეულს ფურცლებში ახვევენ მოთალს, დოშს და ამგვარებს“.

რ. ერისთავმა თავისი წვლილი შეიტანა ეროვნული თეატრის განვითარებაში. ის იყო ერთ-ერთი დამფუძნებელი ქართული თეატრალური საზოგადოებისა, ამ საზოგადოების თავმჯდომარე წლების განმავლობაში, ნაყოფიერი დრამატურგი, თეატრალური კრიტიკოსი და მსახიობიც კი. ჯერ კიდევ მომრიგებელ მოსამართლედ სამსახურის დროს რ. ერისთავმა ითავა და ქუთაისში სცენისმოყვარეთა დასი ჩამოაყალიბა. ამ ფაქტს დიდზე დიდი მნიშვნელობა ჰქონდა იმხანად, რადგან ფაქტიურად ქუთაისის სამოყვარულო თეატრალურმა დასმა იტვირთა ქართული თეატრის მთელი სიმძიმე. პროფესიული ეროვნული თეატრის არარსებობის ვითარებაში ქუთაისის სცენისმოყვარეთა წრე განასახიერებდა ქართველი საზოგადოების თეატრალურ ინტერესს. ამას კარგად გრძნობდა იმდროინდელი საზოგადოება. მას აქტიურად ეხმაურებოდა ქართული პერიოდული პრესა და საკმაოდ მაღალ შეფასებას აძლევდა. ამას კარგად გრძნობდნენ თვით თბილისშიც. ამიტომ ქუთაისის სამოყვარულო დასს არაიშვიათად თბილისშიც იწვევდნენ.

ეროვნული დრამატურგიის შედარებითმა სიღარიბემ მიიქცია

რ. ერისთავის ყურადღება. პოეტმა დრამატურგიაშიც სცადა კალამი. ქართული თეატრის სცენაზე წარმატებით იდგმებოდა მისი „ადვოკატები“, „ბიძიასთან გამოხუმრება“, „პარიკმახერისას“, „ჯერ დაიხოცნენ, მერე იქორწილეს“ და სხვა. აღფრთოვანებული იყო ქართველი საზოგადოება, პერიოდული პრესის ფურცლებზე უხვად იღვრებოდა რაფიელის ქება: „რ. ერისთავს მახვილი კალამი და დამკვირვებელი თვალი აქვს. ამჟამად ჩვენში ორ-სამ მწერალს გარდა არავინ გვეგულება ისეთი, რომელიც ჩვენ ცხოვრებას რაფ. ერისთავზე კარგად იცნობდეს და უკეთ ხატავდეს ამ ცხოვრების სურათებს და ხასიათს“ („დროება“, 1872, № 19); „რ. ერისთავის პიესის „პარიკმახერისას“ თამაშის დროს მაყურებელს მუცლიდან ხელი არ მოუშორებია, იმდენს იცინოდნენ! („დროება“, 1880, № 236). „ადვოკატები“ ჩინებული სასცენო პიესაა... უბრალო მოქმედ პირსაც ვერ ნახავთ ამ პიესაში, რომ ნამდვილის ახლანდელ ჩვენის ცხოვრებიდან ამოღებული და გამოხატული არ იყოს. მიიღეთ მხედველობაში რ. ერისთავის მშვენიერი ენა, ზედმიწევნით ცოდნა სცენისა, მახვილად მოგონილი ინტრიგა პიესისა“ („დროება“, 1880 № 226).

ქართველი საზოგადოების ყურადღებას იქცევს რ. ერისთავის რეცენზიები ცალკეულ პიესაზე, თეატრალური სეზონების მიმოხილვები და შეფასებები. ამ პუბლიკაციებში საქმის დიდი ცოდნა და დახვეწილი გემოვნება მოჩანს. რ. ერისთავი წერს რეცენზიას აკ. წერეთლის პიესა „კინტოზე“, ა. ცაგარელის პიესაზე „რაც გინახავს, ვეღარ ნახავ“; წერს 1887 წლის ქართული თეატრალური სეზონის მიმოხილვას და დიდად წუხს ქართული თეატრის სავალალო ფინანსურ მდგომარეობაზე, იმაზე, რომ თეატრი იძულებული გახდა „თავადაზნაურობის კრებისათვის გაეშვირა ხელი შემწეობისათვის“ და ეს მაშინ, როცა „ზოგი ვაუბატონი... საფასურს არ დაზოგავს შესწიროს ან „პიკნიკს“, ან მეზურნეს, ან ბანქოს“.

რ. ერისთავის მოქალაქეობრივი მრწამსი გარკვეულად აირეკლება ქართულ სინამდვილეში კაპიტალიზმის შემოჭრა-დამკვიდრებისადმი მის დამოკიდებულებაშიც. ცნობილია, თუ რა მტკივნეულად განიცდებოდა ეს პროცესი XIX საუკუნის მეორე ნახევრის საქართველოში, რა მძაფრი ჭიდილის ვითარებაში მკვიდრდებოდა ახალი სოციალური ფენა — სავაჭრო ბურჟუაზია.

რ. ერისთავი ამაში ისტორიულ კანონზომიერებას ხედავდა და ბურჟუაზიული ყოფის საფუძველს — ვაჭრობას, კონკურენციას ქვეყნის ეკონომიკური წინსვლის უმთავრეს პირობად მიიჩნევდა. მაგრამ მისი აზრით, კაპიტალისტური საზოგადოებრივი ყოფის არსებით მახასიათებლად უნდა გამოსულიყო შინაგან პატიოსნებაზე დამყარებული სავაჭრო კონკურენცია. ამასთან, მისი რწმენით, არაფერი ჰქონდა საერთო ქართულ სინამდვილეში საკმაოდ ფესვგადგმულ ჩარჩობას, „ჩურუქ ვაჭრებს". რაფ. ერისთავი ამას ქართული სინამდვილისათვის შეუთავსებელ მოვლენად მიიჩნევდა: „მაგ ჩურუქ ვაჭრებს, გამოქნილთ პლუტობაში, მგლებს, ვერ შეეთვისებით; ეგენი არიან როგორც... კალია და თაგვები, მაგათგან ღმერთი გაგვათავისუფლებს და როცა კარგი ვაჭრები გამოჩნდებიან, წესიერს და სინდისიანს აღებ-მიცემას დაიწყებენ, ჩვენც მაშინ იმათ მივბაძავთ".

რ. ერისთავის მოღვაწეობის სფეროების უბრალო ჩამოთვლაც გვარწმუნებს, რომ მას თავისი დროის საზოგადოებრივი ცხოვრების არც ერთი სფერო არ დაუტოვებია „თავისი წვლილი არ შეეტანა და რითიმე არ გაემდიდრებია". განხილული კი ცხადყოფს, რომ რ. ერისთავის „მართალი სარწმუნოება", ანუ მრწამსი ბუნებრივად ერწყმოდა მისი მხატვრული შემოქმედების მამოძრავებელ მოტივებს, რაც თავის დროზე და დღესაც მონოლითურს ხდის ამ სიმპათიური შემოქმედ-მოღვაწის მოქალაქეობრივ პროფილსა და ლიტერატურულ მემკვიდრეობას.

რაფიელ ერისთავის შემოქმედება

რაფიელ ერისთავის პოეზია

რაფიელ ერისთავს სამწერლო ასპარეზზე გამოსვლა საზოგადოებრივი თვალსაზრისით უაღრესად ძნელ ვითარებაში მოუხდა. მეცხრამეტე საუკუნის 50-იანი წლები იწურებოდა, საქართველოს რუსეთის მფარველობაში ყოფნის ნახევარი საუკუნე სრულდებოდა. ცარიზმის სუსხისადმი ქართველი ხალხის პოლიტიკური ამბოხი უკვე საბოლოოდ იყო დათრგუნული. საზოგადოებრივი აქტიობის მაჯისცემა მოდუნებული იყო, განსაკუთრებით, 1832 წლის ცნობილი შეთქმულების დათრგუნვის შემდეგ. ეს მოდუნებულობა თითქმის პოლიტიკურ ინდიფერენტიზმში გადადიოდა. წარსულ დიდებაზე, დაკარგულ ეროვნულ თავისუფლებაზე გლოვა მხოლოდ ქართულ მწერლობაში მჟღავნდებოდა. ქართველი ერის ეროვნული პროტესტის გამოვლენის ერთადერთი სფერო მწერლობა იყო.

ქართულ მწერლობაში უკვე ახალი რეალისტური პრინციპების დამკვიდრების ტენდენცია შეინიშნებოდა, რაც თავისთავად რომანტიზმიდან რეალიზმზე გადასვლის გარდუვალობასაც მოასწავებდა. წმინდა ლიტერატურულ მიმდინარეობათა ასეთი თანაარსებობა პოეზიაში მოსული კაცის წინაშე თითქოს გარდუვალ ალტერნატივად აყენებდა მწერლობაში ახალ სიტყვასთან, ახალ მიმდინარეობასთან ერთად ძველი, მაგრამ ჯერ კიდევ პოპულარული ლიტერატურული პრინციპებისადმი ხარკის გაღებას.

ადრეული შემოქმედებითი ინტერესები. ქართულმა სალიტერატურო კრიტიკამ, როგორც ცნობილია, რაფიელ ერისთავის ადრეული ნაწერები რომანტიზმთან დააკავშირა. აქედან გამომდინარე, მისი პოეტური ქმნილებები ჩვენს მწერლობაში ამ მიმდინარეობის ნაგვიანევ გამოძახილად ჩათვალა. მართლაც, სინამდვილის პოეტური განსახიერების პროცესში რაფიელ ერისთავი ზოგიერთი ქართველი რომანტიკოსის მსგავსად ყურადღებას აჩერებს ქალის წმინდა ფიზიკურ სილამაზეზე, გარეგნობის აღწერაზე და ამ თემასთან

ბუნებრივად თანაზიარი ქეიფისა და დროსტარების კულტზე: „თ ვ ა-ლ ე ბ ი“, „ს ი ყ ვ ა რ უ ლ ი“, „ვ ი ნ შ ე ვ ი ყ ვ ა რ ო?“, ნ ა ტ-ვ რ ა“, რ ი ს თ ვ ი ს მ ი ყ ვ ა რ ხ ა რ“, „ს ი ნ ა ნ უ ლ ი“ და სხვა. თუმცა აღნიშნული თემატური სიახლოვე ამ შემთხვევაში რაფიელ ერისთავის რომანტიკოსობის საბუთად მაინც ვერ გამოდგება, რადგან თვისობრივ სხვაობას ქმნის მოვლენათა ასახვისა და მათი გადმოცემის გამორჩეული მანერა. რაფიელ ერისთავის ლირიკისათვის უცხოა რომანტიკოსთა სპეციფიური სუბიექტივიზმი, საგანთა და მოვლენათა გამოხატვა არა ისე, როგორც არის, არამედ, როგორც ამას პოეტი გრძნობს და სურს.

ამ მხრივ რ. ერისთავის სატრფიალო ლირიკას საერთო უფრო ხალხურ სატრფიალო ლირიკასთან გააჩნია, რადგან ხალხურის მსგავსად, სატრფიალო გრძნობა მის ცნობიერებაში ადამიანის სულიერი სრულყოფის გამოხატულებაა. ეს გრძნობა რაფიელის ლირიკულ ქმნილებებში დაცლილია უხეში ეროტიულობისაგან. აქ თავჩენილი სატრფიალო გზნების გულწრფელობა ხალხური პოეზიისათვისაა დამახასიათებელი და მიგვანიშნებს შემოქმედებით კავშირზე ჩვენი ზეპირსიტყვიერების წიაღთან, სადაც სიწრფელის მაუწყებლად საგანთა და მოვლენათა თავ-თავისი სახელებით მოხსენიება გამოდის.

რ. ერისთავი ადრეულ ქმნილებებში ბუნების ლაღი შვილის პოზიციიდან აშკარად და დაუფარავად წარმოაჩენს სატრფიალო ალმურს, სადაც მხატვრულ ეფექტს ადამიანში ამ მშვენიერი გრძნობის არსებობის უცაბედი აღმოჩენა ქმნის. სანიმუშოდ შეიძლება რ. ერისთავის ის პოეტური ქმნილებაც მოვიტანოთ, რომელიც ჯერ კიდევ პოეტის თანამედროვეებმა მიიჩნიეს მისი სატრფიალო ლირიკის მშვენებად. ესაა ლექსი „ქალი—აყვანა“. ცნობილმა მწერალმა ქალმა ე კ ა ტ ე რ ი ნ ე გ ა ბ ა შ ვ ი ლ მ ა პოეტის იუბილეზე რ. ერისთავის სატრფიალო ლირიკის არსის განმსაზღვრელ ნაწარმოებად სწორედ ეს ლექსი ჩათვალა: „...არც ერთმა შენმა მათაყვანებელმა არ გაიხსენა შენი სატრფიალო ლექსთა ყღერა. როგორ? ის ხანა პოეტის შემოქმედებისა, როდესაც სიჭაბუკე მას იწვევს დედაკაცის სადიდებლად, ის ხანა, როდესაც დედაკაცის მზერაში მას იდუმალი ძალა ახატვინებს თვისი ტურფა ქვეყნის საიდუმლოებით სავსე სურათს, ის ხანა პოეტის სიჭაბუკისა, როდესაც ის დედაკაცს აყენებს ღმერ-

თებთა ტოლათ, დედაკაცში ჰპოვებს თავის კალმისთვის ლექსთა გამოთქმის ძალას, დედაკაცს უმღერს საუკეთესო ჰანგებს ღვთიური მუსიკისას, უყურადღებოდ უნდა იყოს დატოვებული?... მე, როგორც დედაკაცი, როგორც აღსავსე გრძნობითა და თაყვანებით სიყვარულისადმი, რომელსაც მხოლოდ ძალუძს კაცის უკვდავება, სრულს უთანხმოებას ვუცხადებ ჩვენ ორატორებს ამ უყურადღებობისთვის და აღტაცებით ვიმღერ შენს სატრფიალო მშვენიერ ლექსებს:

„ბიჭი აენთო შმაგივით,
თვალები დააბრიალა,
წამოჯდა მარჯვედ, სალამურს
ჩაჰბერა, ჩააწკრიალა,
ჩააკაკანა ხმატკბილად,
სევდის ხმით შეაზრიალა,
შავთვალას გული მოუკლა,
გონება გაუტიალ“...[1]

ამ ლექსში სიყვარულის გაცხადების ხიბლი უაღრესად ბუნებრივ, ნაცნობ ყოფით სიბრტყეზეა განფენილი და ეს აპირობებს ლექსის მხატვრულ ემოციურობას, ეფექტს, მისი გავრცელების არეალს. ყოფით მასალასთან ამგვარი თანაზიარობის წყალობით პოეტი იმთავითვე ასცდა რომანტიკული სალონურობისაკენ ლტოლვას და სატრფიალო გრძნობის გამოსახვა ხალხური ლირიკის პრინციპებზე ააგო. ეს არ იყო შემთხვევითი და მოულოდნელი. რ. ერისთავის პოეტური ნიჭისათვის რომ არსებითი ხალხური პოეზიასთან სიახლოვე აღმოჩნდა, ეს უკვე მისმა თანადროულმა სალიტერატურო კრიტიკამაც კარგად შენიშნა. ამ სიახლოვის თვალსაზრისით რ. ერისთავის გამორჩეულობა იმდენად აშკარა და თვალშისაცემი იყო, რომ იგი ქართულ მწერლობაში ახალი ლიტერატურული სკოლის — „მ თ ი ს პ ო ე ტ უ რ ი ს კ ო ლ ი ს“ — შემქმნელადაც კი აღიარეს. ამ აზრს განსაკუთრებით დაბეჯითებით ჯერ კიდევ დიდი ილია ავითარებდა. ფაქტიურად ილია ჭავჭავაძისეულმა დახასიათებამ განსაზღვრა რ. ერისთავის შემოქმედების ადგილი და მნიშვნელობა ჩვენი კულტურის ისტორიაში. მისმა კვალიფიკაციამ შეანელა ქართულ სალიტერატურო კრიტიკაში გავრცელებული შეხედულება, რომლის მიხედვითაც არა მარტო პოეტის ადრეული ნაწერები, არამედ შემოქმედებითი სი-

[1] იხ. კრებული: „საერო დღესასწაული თ. რაფ. ერისთავის იუბილეს გამო“, ტფილისი, 1899 წ., გვ. 116-118.

მწიფის ასაკში შექმნილი თხზულებებიც თავადაზნაურობის ეთიკურ-ესთეტიკური იდეალების გაცხადებად ითვლებოდა. არადა, რ. ერისთავის ხალხურ პოეზიასთან სიახლოვე არც სიჭაბუკეში შექმნილ ნაწარმოებებში უნდა ყოფილიყო მაინცადამაინც საეჭვო, რადგან უკვე ამ დროს, წმინდა სატრფიალო ლირიკულ ქმნილებათა სიჭარბის დროსაც, იჩენდა თავს პოეტის ხალხურ მხატვრულ აზროვნებასთან მიახლოების და მასში ჩაღრმავების სურვილი. ამ ტენდენციის არსებობას თუნდაც 1853 წელს შექმნილი ლექსის „იავ-ნანა, ვარდო ნანა, იავ-ნანინაოს“ ზეპირსიტყვიერებასთან რიტმულ-მელოდიური სტრუქტურის სიახლოვე მეტყველებს.

ხალხურობა. რაფიელ ერისთავის პოეზიის უმთავრესი ნიშანი ხალხურ პოეზიასთან სიახლოვე და მის რიტმულ-მელოდიურ სტრუქტურაზე დამყარებაა. საამისო ტრადიცია მას მის თანადროულ ქართულ პოეზიაში დახვდა. მართალია, ეს ტრადიცია მაინცდამაინც თვალშისაცემი არ იყო, მაგრამ ერთგვარი ტენდენციის სახით მისი არსებობა ეჭვს არ იწვევს თუნდაც გრიგოლ ორბელიანისა და ნიკოლოზ ბარათაშვილის ცალკეულ ქმნილებებში (გრ. ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი ს მუხამბაზები, ნ. ბ ა რ ა თ ა შ ვ ი ლ ი ს უსათაურო ლექსი „— მადლი შენს გამჩენს...“).

ხალხურობის ნიშნით ავსებამ განაპირობა რ. ერისთავის პოეზიის საყოველთაო გავრცელებულობა და მისი ზემოქმედების ძალა. ხალხურ პოეზიასთან სიახლოვის თვალსაზრისით მიაწერეს რ. ერისთავს საკუთარი სკოლის შექმნა, რომლის ჭეშმარიტად ეროვნული ღირებულების განმსაზღვრელად დიდი ვაჟა, ბაჩანა, შიო არაგვისპირელი და სხვები მიიჩნიეს. ამ სკოლის შექმნის პირობად ქართულ პოეზიაში რ. ერისთავის მიერ ხალხური პოეზიის რიტმულ-მელოდიური სტრუქტურის, ანუ, როგორც მაშინ აღნიშნავდნენ, „მთის კილოს“ შემოტანა-დამკვიდრებას თვლიდნენ. ეს ფაქტი თვით ვაჟა-ფშაველამაც დაადასტურა. ერთ-ერთ თავის წერილში ვაჟამ პირდაპირ აღნიშნა რ. ერისთავის მთის პოეტური კილოთი ნაწერი ლექსების კეთილმყოფელი გავლენა საკუთარი პოეტური ხმის განსაზღვრაზე. ვაჟა წერდა: „რაფიელის ლექსებმა, როგორც საერო კილოთი ნაწერმა და ისიც ჩვენებურის მთის კილოთი, სხვანაირად ააჩქროლა ჩემი გული, სხვაგვარად შესძრა იგი. ჩვენმა სახელოვანმა მხცოვანმა მგოსანმა რაკი საერო კილო დაუმკვიდრა ლექსებს და ჟურნალ „ივე-

რიამ“ გზა დაუთმო, მეც გაბედულება მომემატაო“ (ვ ა ჟ ა-ფ შ ა ვ ე-ლა, გაზ. „ი ვ ე რ ი ა“, 1896 წ., № 43). ვაჟა-ფშაველას ეს სიტყვები უეჭველს ხდის რ. ერისთავის პოეზიის ძალუმ გავლენას მის თანამედროვე ქართულ პოეზიაზე და წარმოაჩენს იმ ფაქტს, რომ ზემოთ აღნიშნული თვალსაზრისით იგი თავისზე გაცილებით დიდი ნიჭით ცხებულ ხელოვანთათვისაც წარმოსდგა ერთგვარ ლიტერატურულ წინამორბედად, განსაზღვრული ლიტერატურული პრინციპების ფუძემდებლად. ეს აზრი შემდეგში კიდევ უფრო განავრცო ტიციან ტაბიძემ. იგი აღნიშნავდა: როგორც ინგლისში არსებობენ „ტბის სკოლის“ პოეტები, ისე საქართველოშიაც არის ეგრეთ წოდებული „მთის სკოლა“... ეს სკოლა არის რ. ერისთავის, სანდრო ყაზბეგის, ვაჟა-ფშაველასი (და ყველა რაზიკაშვილების), ნაწილობრივ შიო არაგვისპირელისაც... მარტო „სამშობლო ხევსურისა“ გამოდგებოდა ამ სკოლის ბაირაღად“ (ტ. ტ ა ბ ი ძ ე, თხზ., ტ. II, 1966 გვ. 29, 60).

როგორც ვაჟას შემოქმედებითი მემკვიდრეობა გვარწმუნებს, რ. ერისთავის პოეზიასთან ვაჟა-ფშაველას სიახლოვე ვაჟას შემოქმედებითი სიმწიფის ჟამსაც იჩენს თავს. ამას მოწმობს ვაჟას ლექსები „ვინ არის კაცი“ (1902 წ.), „კაი ყმა“ (1909 წ.), რომელთაც ლიტერატურული სათავე რაფიელის 1886 წელს შექმნილ ლექსში „კაცი ის არის“ ეძებნება:

რაფიელ ერისთავი	ვაჟა-ფშაველა
კაცი ის არის, ვინც მამულს გამოადგება შვილადა, ვისაც სამშობლო ტაძრად აქვს, თავი — სამსხვერპლო წილადა, ქვეყნისა ცრემლი ჭირად უჩნს, შისი ღიმილი — ლხინადა, ვინც მისთვის თავსა შესწირავს, მას შამოავლებს ფთილადა! კაცი ის არის, ვინც მამულს ეტრფის და ეთაყვანება, ვისაც ვერ დასძლევს მტრის ოქრო, ვერც მისი მკაცრი ბრძანება, ვისაც სამშობლოს ოხვრისთვის ლომ-გული მოეფხანება, ვინც დასთხევს მისთვის წმინდა სისხლს, მოწამეს დაემგვანება!“.	კარგ ყმად ვინა ვსთქვათ, ვაჟებო, ნათქვამი არა გვცხეენოდეს, ... ვინც მიეგებოს მტერს წინა, წინ-წინ ვინც რისხვას ეტყოდეს, სახე-სისხლგადამდინარი ტკივილს არ გამოიტყოდეს, თავზარსა სცემდეს სიკვდილსა, ზედ ქორებულად ფრინავდეს, სიცხეში სიოდ დაჰბეროს, დაათბოს, როცა ჰყინავდეს. პირველად ომის დამწყები, ბრძოლის ვეულ ბოლოს სწირავდეს... სხვანი იყოფდნენ ნადავლსა, ის ისევ მტრის წინ გრგვინავდეს“...
(„კაცი ის არის“, 1886 წ.)	(„კაი ყმა“. 1909 წ.)

მაინც რაში გამოვლინდა რ. ერისთავის პეოზიის სიახლოვე ხალ-ხურ პოეზიასთან, ან რა ნიშნების არსებობით განისაზღვრა მის მიერ ე. წ. „მთის სკოლის“ შექმნა? ამ კითხვაზე პასუხი თავად პოეზიის ხალხურობის ცნებასა და მის შინაარსში არის საძიებელი. ხოლო ამ ცნების შინაარსში გარკვევა, მისი გათვალისწინება იმ მხრივაც არის აუცილებელი, რომ, როგორც ცნობილია, პოეზიის ხალხურობის საკითხი სხვადასხვაგვარად არის გააზრებული. ზოგნი ხალხურობის გამოვლენად თვლიან ეროვნული ყოფის გარეგნულ აღწერა-დახასიათებას. სხვანი ხალხურობის ცნების ქვეშ ხელოვანის მიერ საკუთარი ხალხის ბუნების, ფსიქიკური წყობისა და იდეალების განსახიერების ფაქტს გულისხმობენ. მართალია, ყველა შემთხვევაში მაინც რჩება საფუძველი ხალხურობის ცნების ნაირნაირი ინტერპრეტაციისათვის, მაგრამ მის ზოგად ნიშნად მაინც ხალხის ეთიკურ-ესთეტიკური იდეალის წარმოჩენის დონე და ხარისხი გამოდის. ეს ფაქტი კი კონკრეტული სააზროვნო თუ პოეტური მასალის საგულდაგულო ანალიზის აუცილებლობას აყენებს. მაგრამ ასეთი კვლევა განსაკუთრებით ძნელია ლირიკის სფეროში, სადაც მხატვრული აზრის გამოვლენის ფორმად გარკვეული განცდა თუ განწყობილება გამოდის. ... ა თუ იმ ხელოვანის ლირიკულ ნაწარმოებთა ხალხურობა უპირატესად იმ მხატვრულ ხატთა სისტემის, პოეტური ინტონაციებისა თუ მელოდიურობის არსებობაში ვლინდება, რომელიც თავისთავად ყველაზე მკაფიოდ გამოხატავენ ხალხის სულს, მის მხატვრულ ენერგიას.

რაფიელ ერისთავის პოეზიაში, უპირატესად კი ლირიკაში, სწორედ ქართული სახალხო სულია ხელშესახებ ფორმაში მოწოდებული, ქართველი ხალხის პოეტური სტიქიონის გახსნის ცდაა მოცემული.

პოეტის ლირიკული ქმნილებების ხალხურობის პირობად პოეტური მეტყველების უაღრესი სისადავე და სინატიფე წარმოსდგება. მძაფრი სოციალური პრობლემატიკა საგანთა და მოვლენათა მიზეზების ძიებითა და ანალიზით კი არ არის ამოზიდული, არამედ თვით ამ საგანთა და მოვლენათა გარეგან აღწერა-დახასიათებაში იჩენს თავს. რაფ. ერისთავი ერთი მხრივ იმას ხედავს, რასაც ჩვეულებრივი თვალი ამჩნევს, იმაზე საუბრობს, რაც თვით გლეხკაცის ყოველდღიური ფიქრისა და საუბრის თემას შეადგენს. პოეტური განსიტყვების ეს ფორმა ქმნის რთული სოციალური მოვლენების მარტივად გადმოცემის მხატვრულ ეფექტს. ასეთი ფორმით არის მოწოდებული მთლი-

ანად ქართველი გლეხკაცის სულიერი სამყაროც, მისი განცდები და განწყობილებები, ლტოლვები და მისწრაფებები.

თანამედროვეობის სოციალური უსამართლობის, მისი უკუღმართობის, სისასტიკის წარმოსაჩენად სწორედ ამგვარი, ხალხური პოეტური აზროვნების პრინციპებზე დაყრდნობა ანიჭებს რაფ. ერისთავის პოეზიას დამაჯერებლობას და უტყუარობას.

რაფ. ერისთავის გლეხები თავიანთ ყოფაში ღრმად ჩაფლული ადამიანები არიან. მათი მზერა მარჩენალ მიწას დასცქერის, მიწაში ეძებს არსებობის და სულიერი ინტერესების საზრდოს, მიწა კვებავს მათ ადამიანურ ცნობისწადილსაც. ხსნის სხვა გზა ადმი რწმენა მათში მაინცდამაინც არ არის ფესვგადგმული. უსამართლობის სათავედ მხოლოდ მიწას სთვლიან, ხსნის გზად კი ზეცას მიიჩნევენ. სოციალური პროტესტის გრძნობა მათ, რასაკვირველია, გააჩნიათ, რადგან, მართალია, ჯერ კიდევ არ არიან ამაღლებულნი კლასობრივი ბრძოლის შეგნებამდე, მაგრამ პიროვნულ ღრმა წუხილში მაინც ავლენენ მას. ისინი მოთქვამენ, ტირიან, ჩივიან, წუწუნებენ, ოხრავენ ცხოვრებაზე მწარედ ჩაფიქრებულნი, ებრძვიან მიწას. ისინი არსებობის შენარჩუნების პრინციპს უმორჩილებენ ყველა ზრახვას, რადგან უკუღმართი სოციალური ვითარების გამო იძულებულნი არიან ფრთა შეაკვეცონ თავიანთ ლაღ ოცნებებს. ამიტომაც არის, რომ მოსავლით სავსე ყანა, ნაყოფით დატვირთული ხეხილი და, საერთოდ, გლეხობის ინტერესთა, მისი ხედვის არედან დანახული ბუნების სურათები იტაცებს მათ თვალს. ფიზიკური არსებობის შენარჩუნების საშუალებათა ძიება შეადგენს „თანდილას დარდს“, „სესიას ფიქრებს“, „ტეტიას მოთქმას“, „ბერუას ჩივილს“, „დედაბრის მოთქმას“, „ბერუას ჩაფიქრების“ მიზეზს.

ლექსებში „პურის მოსავალი“, „ყანა“, „თინიას მამითადი“ და სხვ. საზოგადოდ, მიწის მუშის გულისთქმა, ნატვრა და ოცნებაა გაცხადებული. აქ ამ გრძნობის საყოველთაობა ქმნის ხალხურობის შინაარსს. ხალხურობის ეფექტს აძლიერებს აგრეთვე რაფიელ ერისთავის პოეტური მეტყველების დაახლოვება ხალხურ მეტყველებასთან, პოეტური სამკაულების ხმარებაში უკიდურესი სისადავე და სინატიფე. ხალხური სულის ზედმიწევნით ზუსტად გაცხადების მიზნით ზოგ შემთხვევაში რაფიელ ერისთავი ცნობილი ხალხური პოეტური ნაწარმოებების პოეტურ პერიფრაზირებამდეც კი დადის და

მხატვრული აზროვნების იმავე სიბრტყეზე ხალხური ლექსის საკუთარ ინტერპრეტაციებს ქმნის. მხატვრული ეფექტი ასეთ შემთხვევაში ხალხური ლექსის ფსიქოლოგიური ქვეტექსტების ამოზიდვით, ზეპირსიტყვიერი მასალის მოტივების, განცდების დიფერენცირებისა და რაფინირების გზით მიიღწევა. აღნშნული თვალსაზრისით უაღრესად საინტერესო სურათია წარმოჩენილი ლექსებში: „აღზევანს წასვლა“, „ალები“, „მაჯლაჯუნა“, „ქოროღლი“, „ქალი—აყვანა“, „ბაზალეთის ტბა“ და სხვა. ამ ნაწარმოებებში ხალხურ მასალასთან რაფ. ერისთავის სიახლოვის მომასწავებელია ხალხური ლექსის ცალკეული სტროფის უცვლელად შეტანა, ან მათი გაშლა-განვრცობა. მაგრამ ყველა ვითარებაში ფოლკლორული სტროფები ამოვარდნილი კი არ არის ნაწარმოების საერთო ქსოვილიდან, ისინი განუყოფელ მთლიანობად რჩებიან ლექსში. რაფ. ერისთავის ლირიკაში ამნაირად მოწოდებული ხალხური სული მუდმივ ხატთა სისტემის სახესაც კი ღებულობს. ასეთია, მაგალითად, პოეტის წარმოსახვით გაცოცხლებული სურათი, როცა მკითხველს აწვდის შორ გზაზე მიმავალ მეურმეთა ბუნებრივ განცდებს ლექსში „აღზევანს წასვლა“ (1883 წ.).

„გაუწი, შინდაე, გიშერას,
ნუ სცრუობ, ნუ ხარ ავია!..
აღზევანს მიეალთ მე და შენ,
როგორ არ გაგვიხარდება,
ლოკე და ლოკე მარილი,
არავინ გაგიჯავრდება...

. . . . . .

აღზევანს წავალ მარილზედ,
მარილს მოვიტან ბროლსაო,
ჯერ დედას გადავეხვევი,
მერე შვილსა და ცოლსაო!...“

არაიშვიათად რაფ. ერისთავი ხალხური პოეზიისათვის დამახასიათებელი უტყუარი სიტუაციების შექმნითაც აძლიერებს ხალხურობის განცდას, რადგან მათ ხალხური პოეზიისათვის ნიშანდობლივი პოეტური ხატებით აწვდის მკითხველს. მაგალითად, ლექსი „გუთანი“ ხალხური პოეტური სტრიქონების გაშლილი მხატვრული ქსოვილების შთაბეჭდილებას ტოვებს („გადი-გამოდი, გუთანო, ღირღიტავ, ბანი უთხარო“). ამ ლექსის ხალხურობის ელფერს ამკვეთრებს მისი რიტმულ-მელოდიური სტრუქტურაც, სასიმღეროდ

გამიზნულობაც. ზოგიერთ შემთხვევაში ლექსის სასიმღერო ბუნებაზე რაფ. ერისთავი საგანგებოდ ნაწარმოების სათაურშივე მიგვანიშნებს. ასეთია ლექსები: „ფერხულის ხმაზედ“, „მევენახის სიმღერა“, „ღამის მეხრის სიმღერა“, „გოგოს ჭირიმე“ და სხვა.

რაფ. ერისთავის ხალხურ პოეტურ აზროვნებასთან სიახლოვე და ხალხური ლექსის რიტმულ-მელოდიურ წყობაზე დამყარების ტენდენცია კიდევ უფრო აშკარა ხდება მის მიერ გადმოკეთებულ მხატვრულ ნაწარმოებებში.

საყოველთაოდ არის ცნობილი, თუ რა დიდ სირთულეებთან არის დაკავშირებული ერთი ეროვნული პოეტური ფენომენის სხვა ენაზე პოეტურადვე ამეტყველება, დედნისეული ხიბლის, გრძნობის, ემოციის, რიტმულ-მელოდიური სტრუქტურის დაცვა თარგმანში. ასეთ ვითარებაში წარმატების პირობად აღიარებულია უცხო პოეზიის სრულყოფილად შეგრძნება და მთარგმნელის მიერ შორეული მხატვრული სახეების, იდეალების, ემოციების მიტანა მკითხველამდე თავისი ხალხისათვის უაღრესად ნაცნობი და გასაგები ადექვატური განცდა-განწყობილებების დაძებნით. ასეთი თარგმანის უმთავრეს ღირსებად მთარგმნელის მიერ საკუთარი პოეტური ინდივიდუალობის შენარჩუნების შესაძლებლობა და თარგმანის შემოქმედებით პროცესად გადაქცევაც არის ჩათვლილი.

რაფ. ერისთავის გადმოკეთებულ ლექსებში ქართული ხასიათის და მსოფლგანცდის თავისებურებათა შეტანით არის მიღწეული ახალი მხატვრული ეფექტი, შენარჩუნებულია, შემოქმედებითი თავისუფლება და გადმოცემულია დედნისეული უცხო ემოციური, რიტმულ-მელოდიური სტრუქტურა. ასეთი ტენდენცია განსაკუთრებით აშკარაა ლექსში „ყანა“, რომელიც რაფ. ერისთავმა რუსი პოეტის ი. ჟადოვსკაიას ანალოგიური სახელწოდების ლექსიდან გადმოაკეთა. თარგმანში დაცულია დედნისეული ლექსის ინტონაციები და რიტმულ-მელოდიური სტრუქტურა, მაგრამ ამასთანავე ქართული ეროვნული თვალთახედვისათვის ორგანული ინტონაციების ჩართვით მიღწეულია მისი ორიგინალურად აღქმაც. მაგალითად, რუსული „ოქროს ყანა“ რაფიელის მიერ „ოქროს ქოჩრიანად, ტურფა და ლერწამ-ტანად“ არის გააზრებული. ხშირად რაფ. ერისთავი რუსულზე უფრო ზუსტი ქართული ადექვატების მიგნებით დედნისეულ ლექსსაც კი აჭარბებს და უფრო შთამ-

ბეჭდავ მხატვრულ ეფექტს ქმნის. ზემოაღნიშნულის მიხედვით რაფ. ერისთავი ყველა შემთხვევაში ახერხებს პოეტური მეტყველების ხალხური ლირიკის სიტყვიერი ფაქტურის და რიტმულ-მელოდიური სტრუქტურის პრინციპებთან მიახლოებას და ამით ზედმიწევნით ზუსტად, ხელშესახებ ფორმაში აწვდის მკითხველს ქართული სახალხო სულის რაობასა და სპეციფიკას.

ხალხურ პოეტურ სტიქიონთან მისვლით, ხალხური ლექსის რიტმულ-მელოდიურ სტრუქტურაზე დაყრდნობით შეძლო რაფ. ერისთავმა საჭირბოროტო, ეპოქალური პრობლემატიკის არა მარტო დაყენება, არამედ მისი დამარწმუნებლად ჩვენებაც. ხალხურთან სიახლოვემ გამოააშკარავა ქართველი ხალხის სასიცოცხლო ინტერესების რაგვარობა, სულიერი სიმყარის ნიშნები. ქართველი გლეხკაცის ყოფით გარემოს და მსოფლშემეცნების სპეციფიკის თავისთავადობის მაუწყებელი მისწრაფებების ამოზიდვით პოეტმა შექმნა მყარი დასაყრდენი ქართველი ხალხის ერთიანი აზრით შეკავშირებისა, ყოფითზე ამაღლებისა და სამერმისო იდეალისაკენ მობრუნებისა.

სოციალური და ეროვნული მოტივები

რაფიელ ერისთავი ქართულ ლიტერატურაში ის მწერალია, რომლის შემოქმედებაში მჭიდროდაა ურთიერთთან გადაჯაჭვული სოციალური და ეროვნული მოტივები. ეს ორი თემა მის ნაწერებში ცალცალკე კი არ ძევს, არამედ ერთმანეთის გამაშინაარსიანებლად და გამაღრმავებლად გამოდის. და ეს არაა შემთხვევითი ფაქტი. ი. ჭავჭავაძის დარად რაფიელ ერისთავი ქართველ გლეხს, მის ბედზე ფიქრს ეროვნული მეობის ქვაკუთხედად და საქართველოს ბედზე ფიქრის დიდ ნაწილად თვლის. ამიტომაცაა, რომ მის შემოქმედებაში უმწვავესი სოციალური სატკივარიც ეროვნულ ასპექტშია დანახული და გამოხატული. ჯერ კიდევ სამეგრელოში შექმნა რაფიელმა პოეტური ნაწარმოები, რომელშიც ქართულ სინამდვილეში პირველად გაცნობიერდა ბატონყმობის, როგორც სოციალური ფორმაციის, ანტიჰუმანური არსი, სათავე დაუდო ადამიანური ღირსების ხელყოფის კრიტიკას. ეს იყო. „მთხოვნელი მსაჯულისადმი“ (1857). როგორც ცნობილია, ამ ლექსმა ისეთი ფართო ყღერადობა შეიძინა, რომ იგი რაფ.

ერისთავის პოლიტიკური დევნის მიზეზი შეიქნა. ლექსის მძაფრი პოლიტიკური და სოციალური ეღერადობის დიდი მნიშვნელობა ქართული მწერლობისათვის საზოგადოებას ილია ჭავჭავაძემ გაუცნობიერა. მან აღნიშნა რაფიელ ერისთავის პრიორიტეტი ჩვენში ბატონყმობის კრიტიკაში: „რაფ. ერისთავი ჯერ კიდევ ბატონყმობის გადავარდნამდე რამდენიმე წლით ადრე გამოეხმაურა საჭირბოროტო საგანს ცხოვრებისას და თავისი ლექსით „მთხოვნელი მსაჯულისადმი" პირველმა აღიმაღლა ხმა ბატონყმობის წინააღმდეგ", — წერდა დიდი ილია. ლექსში „მთხოვნელი მსაჯულისადმი" პირველად იქცა პოეტური გამოხატვის ობიექტად ყმაგლეხის სრული უუფლებობა და უსასოობა. აქ მწვავე კითხვის სახე აქვს მოხუცებული, დავრდომილი დედის ხვეწნა-მუდარას გულქვა ბატონისადმი, რომ დაუბრუნოს ერთადერთი წართმეული შვილი. ბატონს კი სრულიადაც არ ანაღვლებს მოხუცი ქალის სასოწარკვეთა. „ხმად მღაღადებლისა უდაბნოსა შინა" რჩება გამწარებული დედის წყეულა-კრულვიანი კითხვა, რომელიც მთლიანად უსამართლობაზე დაფუძნებული ცხოვრებისადმია მიმართული:

„სხვა რად ჰპატრონობს ჩემსა ნაშობსა,
რისთვისა სტანჯავს მანდ მდგომი სვავი?"

რაფიელ ერისთავის ამ ლექსის დიდი შემოქმედებითი ძალა და მისი ლიტერატურული რემინისცენციების არსებობა დიდი ილიას შემოქმედებაშიც შენიშნა ქართულმა ლიტერატურათმცოდნეობამ. აქ იგულისხმება, რაფ. ერისთავის ლექსის გავლენა ი. ჭავჭავაძის პოემაზე „რამდენიმე სურათი ანუ ეპიზოდი ყაჩაღის ცხოვრებიდან". ეს ფაქტი უკვე თავისთავად მეტყველებს რაფიელ ერისთავის პოეზიის აქტუალურ, სოციალურ ხასიათზე.

„მთხოვნელი მსაჯულისადმი" არ იყო ერთადერთი ლექსი, სადაც რაფიელ ერისთავის სოციალური პრობლემატიკისადმი ინტერესი გამოჩნდა. სოციალური უსამართლობის სისასტიკე პოეტის მუდმივი შემოქმედებითი ინტერესის საგანი იყო. საზოგადოებრივი ყოფა, სიტუაცია XIX საუკუნის 60-იან წლებამდე ჯერ კიდევ არ ქმნიდა ადამიანის იურიდიული და ფიზიკური მონობის აშკარა კრიტიკის შესაძლებლობას. მით უფრო შეუძლებელი იყო ეს რაფიელ ერისთავის-

თვის, როგორც მეფისნაცვლის მმართველობითი აპარატის მოხელისათვის, რომელიც გამუდმებული ყურადღების ცენტრში იმყოფებოდა. არადა პოეტი ვერც თავის შინაგან მოთხოვნილებას, სინდისის ხმას აღუდგებოდა წინ და ვერც დარჩებოდა ინდიფერენტული სოციალური ბოროტებისადმი. მის არსებაში უკვე სავსებით გაცნობიერებული იყო ეროვნული და სოციალური პროტესტის გამოხატვის აუცილებლობა. ამ სურვილთან ერთად ბუნებითმა პიროვნულმა სიფრთხილემ რაფიელი ჯერ ლიტერატურულ ფსევდონიმს ამოაფარა, ხოლო როცა მის სანდობაში დაეჭვდა, მწერლობაშ კარგად ნაცად გზას, ნართაულად ოქმის პრინციპს დაადგა და იგავ-არაკული ფორმა მიანიჭა თანადროულობის სამხილს.

1857 წლიდან ერთი მეორის მიყოლებით შექმნა პოეტმა იგავ-არაკული ლექსები: მაგალითად, „ყადის ჯორი", სადაც ეროვნული ყოფის უარყოფისა და ევროპულით გაუმართლებელი გატაცების მწვავე პრობლემა დააყენა, „ბუზები", რომელშიც ფუქსავატობა და შრომისათვის თავის არიდების მავნე ტენდენციები გააკრიტიკა და სხვა. ამავე პერიოდში შექმნა რაფიელ ერისთავმა მძაფრი სოციალური პრობლემატიკით აღსავსე ლექსი „მთხოვარა გლახაკი", რომელიც თემატურად ი. ჭავჭავაძის „მუშას" დაუახლოვდა. ე. ი. ლექსი თერგდალეულებთან რაფიელ ერისთავის იდეურ-თემატური დაახლოების კიდევ ერთ გამოვლენას წარმოადგენდა.

სოციალური პრობლემატიკისადმი რაფიელ ერისთავის ინტერესი უფრო ინტენსიური გახდა 70-იანი წლებიდან და მისი პოეზიის ერთი მძლავრი ნაკადი შეადგინა. სოციალური ჩაგვრის კრიტიკასთან ერთად რაფიელმა ყურადღება მიაქცია მეფის რუსეთის ადმინისტრაციული მმართველობითი სისტემის ბიუროკრატულ არსს, მეფისხელეთა ზნეობრივ-ეთიკურ გახრწნილებას, ქრთამის, როგორც სოციალური ბოროტების დამღუპველ გავლენას და ა. შ. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ რაფიელ ერისთავის მამხილებელი პათოსი აზიდული იყო ზოგადის პლანში და ამ ზოგადობის ძალით მისი ღირებულება კონკრეტული, ლოკალური ყოფითი მოვლენების დახასიათებით კი არ შემოიფარგლებოდა, არამედ მთელი სოციალური სისტემის იერსახეს წარმოაჩენდა.

მნიშვნელოვანია ისიც, რომ რაფიელ ერისთავი სოციალური ბოროტების მოსპობის გზად ამ პერიოდში ადამიანის ზნეობრივ-ეთი-

კურ სრულქმნას მიიჩნევდა. ბატონყმობისა და არსებული საზოგადოებრივი წყობის კრიტიკის იმ ადრეულ ეტაპზე, რომლისთვისაც ჯერ კიდევ უცხო იყო კლასობრივი ბრძოლის აუცილებლობის შეგნება, შექმნილი სიტუაციიდან გამოსვლის ეფექტურ ფორმად, ბუნებრივია, ნაცადი და ტრადიციული ჟანრი და ფორმა უნდა გამოსულიყო. ეს მით უფრო, რომ საზოგადოებრივი ყოფის ზნედაცემულობის, სიწამხდრის, მორალურ-ეთიკური კრიტერიუმების გაუფასურების თავიდან აცილების საშუალებათა ძიების თვალსაზრისით რაფ. ერისთავს ქართულ მწერლობაში უკვე დახვდა მყარი ტრადიციები სულხან-საბა ორბელიანისა და დავით გურამიშვილის სახით. მართალია, რაფ. ერისთავის თანადროულობისათვის საზოგადოებრივი ყოფიერების ზნეობრივ-ეთიკური განწმენდით სტაბილიზების შესაძლებლობა, რასაც თავის დროზე სულხან-საბა ორბელიანი და დავით გურამიშვილი აყენებდნენ, ყველაზე ნაკლებად იყო ეფექტის მომტანი, რადგან ამ შემთხვევაში უპირატესად უცხო, თავს ძალად მოხვეული სოციალური სისტემის არსებობა ქმნიდა დამატებით სიძნელეებს, მაგრამ რაფიელ ერისთავს მაინც სწამდა მხილების გზით ადამიანის ზნეობრივი სრულქმნისა, მასში ყოფითობაზე ამაღლების სურვილის გაჩენისა.

იგავ-არაკული ჟანრისადმი პოეტის საგულდაგულო ინტერესის გამოხატულებას წარმოადგენდა არა მარტო ორიგინალური ნართაულობის იერის მქონე ლექსების თხზვა („მომკალი და კელა", „დათვი და ცხვრები" და სხვ.), არამედ სულხან-საბა ორბელიანის „სიბრძნე სიცრუისადმი" მიქცევაც. რაფიელ ერისთავმა ხელი მიჰყო სულხან-საბას იგავ-არაკების გალექსვას. სოციალური აქტივობის გაძლიერების მიზნით დაიწყო პოეტმა ცნობილი რუსი მეიგავის კრილოვის იგავ-არაკების თარგმნა. მოგვიანებით ორჯერ, 1878 და 1881 წლებში რაფიელ ერისთავმა ცალკე წიგნადაც კი გამოსცა ჯერ კიდევ 60-იან წლებში სულხან-საბა ორბელიანის 16 გალექსილ-გადაკეთებული იგავ-არაკი („კუ და მორიელი", „დათვი და გლესი", „მეფე და მხატვარი" და ა. შ.), სხვადასხვა დროს თარგმნა და გამოაქვეყნა კრილოვის 50-ზე მეტი იგავ-არაკი („ჭრიჭინა და ჭიანჭველა", „მაიმუნი და სარკე", „ყრილობა ერისა", „მგელი და მელა" და მრავალი სხვა).

ეროვნული თემატიკა რაფიელ ერისთავის პოეზიაში ქართველი ხალხის ეროვნული ცნობიერების გამოღვიძების პრობლემით წარ-

მოჩინდა. აქ მისი პოეტური მრწამსი ორგანულად შეერწყო თერგდალეულთა ეროვნულ-გამათავისუფლებელი ბრძოლის იდეებს. რაფ. ერისთავის პოეტური თვალთახედვა სოციალური მანკიერების მხილებიდან ჩვენი ხალხის ეროვნულ-სასიცოცხლო ინტერესების უტყუარი და გაუხუნარი ორიენტირების ძიებისაკენ მიემართებოდა. პოეტის ცნობიერებაში ეროვნული პრობლემის შეჭრა-დამკვიდრების მომასწავებელი იყო ლექსის „დათვი და ცხვრების" შექმნა, რომელშიც ეროვნული იდეალები კვლავ შეფარვით, ნართაული ფორმით არის წარმოდგენილი. ამ ლექსში იგრძნობა ეპოქის განახლების პოლიტიკურ სიოსთან პოეტის სულიერი სიახლოვე. ამგვარი ტენდენციების არსებობა განსაკუთრებით საცნაურია ლექსში „მოძმეთადმი" (1876 წ.), რომელიც ბულგარეთის, იუგსოლავიის და რუმინეთის ხალხების თურქ დამპყრობელთა წინააღმდეგ ბრძოლის აღტაცებითა და მხარდაჭერის სურვილით არის გამსჭვალული.

ეროვნული ცნობიერების გამოღვიძების ხელშესახებ ფორმას რაფიელ ერისთავმა უპირატესად მაინც 80-იან წლებში მიაგნო. ქართველი ხალხის მდგრადი და დროითი თვალსაზრისით გამძლე ორიენტირების ძიებამ იგი თანდათან მიიყვანა ქართველ გლეხკაცთან, მის ყოფასთან, ანუ იმ გარემოსთან, სადაც თვლემდა ჩვენი ერის ჭეშმარიტი სასიცოცხლო ძალა. ჩვენი ერის საარსებო პერსპექტივების ძიებამ პოეტს ნათლად დაანახა, რომ ეროვნული მეობისათვის საყრდენად, ყველა ვითარებაში ეროვნული ცნობიერების შეურყვნელ დამცველად, ქართველი გლეხობა გამოდიოდა. მის ყოფასა და მსოფლგანცდაში ფეთქავდა ქართველი ხალხის სასიცოცხლო ნერვი, მის წიაღში იყო შეუბღალავად დაცული სამშობლოს სიყვარულის ყველაზე გაუხუნარი გრძნობა ამტანობისა, გამძლეობისა, ამოუწურავი ოპტიმიზმისა და ა. შ.

რაფ. ერისთავმა ისიც კარგად დაინახა, რომ სოციალური და ეროვნული ჩაგვრის პირობებშიც შეუმღვრეველად მაინც გლეხობა იცავდა ცხოვრების ქართულ ეროვნულ წესსა და რიგს. რაფიელ ერისთავმა სწორედ ამ ჭეშმარიტების წარმოჩენა ჩათვალა აუცილებლობად. მან ეროვნული დამოუკიდებლობისათვის აქტიური ბრძოლის ვითარებაში თერგდალეულთა მიერ წამოწყებული მოძრაობისათვის მყარი და უტყუარი დასაყრდენი შექმნა. ამით იყო შეპირობებული

რაფიელ ერისთავის პოეზიაში უმთავრეს თემად ქართველი გლეხკაცის ყოფის, მისი სასიცოცხლო სულიერი ინტერესების ჩვენება. ამ შემთხვევაშიც რაფ. ერისთავი ისევ ხალხისავე პოეტური აზროვნების ფორმებს დაემყარა.

რაფიელმა ინტუიციით მიაგნო ქართველი ხალხის ეროვნული ცნობიერების ხელშესახებად მოწოდების ყველაზე უტყუარ ფორმას — ეროვნული იდეალების გადმოცემის აუცილებლობას ხალხის თვალთახედვით.

რაფ. ერისთავმა ქართველი კაცის სანუკვარი ოცნებები, მისწრაფებები, მისი სულიერი მეობის გამომხატველი მოვლენები და საგნები მოაქცია თავის ინტერესთა სფეროში. მის პოეზიაში სულ უფრო და უფრო დიდი ადგილი დაიკავა პატრიოტულმა განწყობილებებმა. ასეთ შემთხვევაშიც სოციალური პრობლემატიკა პატრიოტული მისწრაფებების მნიშვნელოვან გამაშინაარსებელ ფონად გამოდის. რაფიელ ერისთავის პოეტური ცნობიერების ასეთი სვლა მისი სრულქმნის გამოხატულებადაც წარმოდგა.

რაფიელ ერისთავის პატრიოტული მიზანსწრაფვა ეროვნული ყოფის ყველაზე გამძლე და უტყუარ ორიენტირებს ეყრდნობა. ასეთ ორიენტირად მას, ბუნებრივია, ქართველი კაცის ყველაზე სანუკვარი და დიდი საფიცარი — სამშობლო — ესახებოდა. როგორც ითქვა, სამშობლოს გადარჩენის ძალა და იმედი მან გლეხკაცობაში დაინახა. ასეთი ოპტიმისტური იდეალები კი ქართველი გლეხკაცის სიმღერებში იჩენდა თავს. „სიმღერა“ სოციალური არტახებით შებოჭილი ძლიერი სულის დრტვინვა იყო, რომელიც ადამიანებს ყოფით ტვირთს უმსუბუქებდა და მიწიდან ზეცისაკენ ეწეოდა.

პოეტმა ხალხისათვის ბუნებრივი „სიმღერის“ ფორმით გამოხატა ქართველი კაცის რელიგიური თაყვანისცემის რანგში აზიდული სიყვარული ვაზისადმი. ვაზი ხომ უხსოვარი დროიდან დამკვიდრდა ქართველი კაცის ცნობიერებაში არა მარტო როგორც სასოფლო-სამეურნეო კულტურა, არამედ ქართული ეროვნული სულის, მისი მეობისა და რწმენის გამოვლენა, ქართული სახელმწიფოებრიობის არსებობის დიადი სიმბოლო, ეს სიმბოლო საქართველოს მტრებმაც იმთავითვე გაიაზრეს როგორც ეროვნული არსებობის გამოვლენა და თავიანთ რისხვას და სიძულვილს უპირველესად ვაზზე ანთხევდნენ, საქართველოს სახსენებლის ამოძირკვას ვაზის აჩეხვით იწყებდნენ. რაფ.

ერისთავამდე არსებობს კიდეც ჩვენს სინამდვილეში ამ იდეის ხორცშესხმის ბრწყინვალე ნიმუშები არა მხოლოდ ქართული სიმღერების, არამედ დემეტრე პირველის შესანიშნავი საგალობელისა და ვახტანგ ორბელიანის ლექსის „ჯვარი ვაზისას“ სახით. რაფიელ ერისთავმა შეძლო ამ უაღრესად მნიშვნელოვანი სათქმელისთვის შესაბამისი ფორმა გამოეძებნა. ხალხური „სიმღერის“ სევდა-ნაღველს შეაფარა პატრიოტული ცნობიერების გამოსაღვიძებლად ამეტყველებული განცდა და ამით კიდევ უფრო უყტუარი და დამაჯერებელი გახადა პოეტური ხატი: „ვაზო, შვილივით ნაზარდო, ულვაშებ გადგიგრეხია, ჩაჰკონებიხარ ჭიგოსა, შუაზე გადგიტეხია“... („მევენახის სიმღერა“, 1886 წ.).

რაფიელ ერისთავის პოეზიაში „სიმღერების“ არსებობა („ფერხულის ხმაზედ“, „ღამის მეხრის სიმღერა“, „მორიგი ჯარის სიმღერა“ და სხვ.) ნათელყოფს, რომ პოეტი თავისი პატრიოტული განწყობილებების გამოსახატავად ზოგ შემთხვევაში პოეტური მეტყველების ამ ფორმასაც მიმართავს.

ეროვნული ცნობიერების გამოღვიძებაა რაფ. ერისთავის პატრიოტული ლირიკის მიზანი. სამშობლოს სიყვარულის ქადაგება კი მხოლოდ მაშინ შეიძენდა ქმედით ძალას, როცა ის დაეფუძნებოდა ეროვნული ყოფისა და ისტორიის გაუხუნარ ორიენტირებს, როცა ეს ნაქადაგარი შორს იქნებოდა ყალბი პათეტიკურობისა და უშინაარსო, ზერელე შეგონება-სენტენციებისაგან. ამიტომ იყო, რომ იგი თავისი პატრიოტული განწყობილებების გადმოსაცემად ქართველთა ცხოვრებიდან, ისტორიიდან და ეთიკური ტრადიციებიდან ყველაზე ნათელ და ხელშესახებად უტყუარ ხატებსა და მაგალითებს ეძიებდა. სახელმწიფოებრიობის და ეროვნულობის კიდევ ერთ საყრდენს მიაპყრო რაფიელ ერისთავმა თანამედროვეობის ხედვა. ეს იყო დედაენა, ეროვნული მეობის შენარჩუნების ჭეშმარიტი ბალავარი. დედაენის ამგვარ მნიშვნელობაზე გაამახვილა ყურადღება რაფიელ ერისთავმა ლექსში „დედაენა“, როცა თავის მკითხველს დაანახა, რომ, ვაჟას სიტყვებით რომ ვთქვათ, „ენა დედაა ერისა“. დედაენაშია გაცხადებული მისი მატარებელი ერის ფსიქო-ეთნიკური ბუნება. დედაენის შეცვლის ყოველგვარი ცდა ყოველთვის წარუმატებლად დასრულდება, რადგან მასზე უარის თქმა საკუთარი არსებობის უარყოფას ნიშნავს. ადამიანი ენის შეცვლას ვერასოდეს შეძლებს, რად-

გან დაკარგავს ყოფიერების უმთავრეს მიზანს — თვითგამოხატვის უნარს. პოეტის აზრით, როგორც „მტრედი ვერ შეძლებს კატის ჩხავილს, ბულბული — ყროყინს, თევზი — კნავილს, კრავი უმანკო — შელის ხავილსა, გვრიტი — ჭიხვინსა, ბუზი—ბღავილსა“, ასევე ადამიანი ვერ შეძლებს მშობლიური ენის უარყოფას და მის მაგიერ უცხოს წარმატებით მომარჯვებას. დედა ენის დაკარგვა პოეტის ცნობიერებაში „აკვნის“ და „საფლავის“ დაკარგვას ნიშნავს, ანუ ეროვნული ყოფიერების ძირფესვიან ამოძირკვას, უკვალოდ გაუჩინარებას მოასწავებს.

ეროვნული თავისთავადობის დაცვისაკენ ამ ფორმით მოწოდებას განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა რაფ. ერისთავის თანამედროვეობისათვის, როცა სასტიკად იდევნებოდა ქართული ენა და ამ ყოვლად გაუმართლებელ ტენდენციას აყოლილი ფეოდალური არისტოკრატიის ზოგიერთი უნიათო წარმომადგენელი ევროპულ ცივილიზაციასთან ზიარებად მშობლიური ენის უარყოფას თვლიდა. ამ მძიმე დროს სწორედ დიად გაფრთხილებად და სინდისის ხმის გამოსაღვიძებლად გაისმა რაფიელ ერისთავის ავტორიტეტული სიტყვა:

„ნუ გრცხვენის, ძმაო, როცა გაქვს წყენა,
მშობელს ენაზედ მოთქმა, ცრემლთ დენა...
აკვანს და საფლავს ნუ ჰკარგავ შენა,
თორემ დაგწყევლის შენ დედაენა!..“

(„დედაენა“)

ლექსი „დედაენა“ ეპოქის აქტუალური, საჭირბოროტო მოთხოვნების გამოძახილს რომ წარმოადგენდა, იმაშიც გამჟღავნდა, რომ 1881 წელს „ივერიაში“ გამოქვეყნებისთანავე აიტაცეს იგი ქართულმა ჟურნალ-გაზეთებმა. უფრო მეტიც, მრავალი წერილისა და პუბლიკაციის ეპიგრაფად იქცა რაფ. ერისთავის სიტყვები — „ენით ვცოცხალვარ, მით მიყვარს ლხენა, მიყვარს სამშობლოს მე დედაენა“!. ეს ლექსი იქცა ქართული ენის სიწმინდის დაცვის აქტუალური მოთხოვნილების საიმედო დასაყრდენად და მშობლიური ენის შენარჩუნების აუცილებლობის მძლავრ არგუმენტად.

იმავე წელს რაფ. ერისთავმა შექმნა ლექსი „სამშობლო ხევსურისა“, რომელიც თავისი მნიშვნელობით იმთავითვე გასცდა დიდი პატრიოტული სულისკვეთებით აღსავსე ერთი ლექსის ღირსებას და

ქართველი ხალხის მეობის გამომხატველი მორალურ-ეთიკური კოდექსის რანგში აიზიდა. რაფ. ერისთავის თანამეროვეებმა ლექსს „ქართველი ერის მეთერთმეტე მცნება“ უწოდეს. ამით ყველაფერი იყო ნათქვამი. ქრისტიანობის მიერ დამკვიდრებულ ათ ცნებას, რომლისადმი ერთგულების ნიშნით არსებობდა ქართველი ხალხი საუკუნეთა განმავლობაში, XIX საუკუნის ბოლოს „მეთერთმეტე მცნებად“ დაემატა სამშობლოს სიყვარულის გამომხატველი რაფ. ერისთავის მიერ მიგნებული ყველაზე უტყუარი ხატი, ყველაზე ნათელი და ხელშესახები ორიენტირი -— მამა-პაპათა სამყოფელთან თანშეზრდის, მასთან სულითხორცეული ერთიანობის იდეა. ამ ლექსში თავისი საყოველთაო გავრცელებით იმთავითვე დაიფარა თავად რაფ. ერისთავის სახელი. „დედაენის“ მსგავსად „სამშობლო ხევსურისა“ ყველა ქართულმა ჟურნალ-გაზეთმა გამოაქვეყნა. მისი უდიდესი ღირსება იმაში მდგომარეობდა, რომ აქ კონკრეტული შინაარსი შეიძინა თერგდალეულთა და, უპირველესად, დიდი ილიას მიერ დამკვიდრებულმა „მამულის“ ცნებამ.

რაფ. ერისთავმა მკითხველს უჩვენა, რომ სამშობლოს ცნება დროით და სივრცით განსაზღვრული მიწა-წყლით არ ამოიწურებოდა. მშობლიურ გარემოსთან თანშეზრდა მხოლოდ ამ მიწა-წყალთან მიჩვევას არ ნიშნავდა. აქ მთავარი იყო სულით, ხორცით ერთიანობის გააზრებული განცდა, როცა სამშობლოს თოვლიან-ყინულიანი კლდეები ხალხის ეროვნული მეობის წარმომჩენ ფაქტორად მოიაზრებოდა. გაივლის ხანი და XX საუკუნის დიდი ინტელიგენტი, გენერალი ქიქოძე, ქართველი ხალხის გადარჩენის პირობად მთას ჩათვლის, როცა მრავლისმეტყველი სათაურით გამოაქვეყნებს ესსეის „ქართველი ერი მთის ხალხია!“ ეს სალი კლდეები იყო სწორედ ქართველი კაცის სულიერი სიმყარის, უტეხობის გრძნობის გასაგნებული გამოხატულება. პოეტმა დაანახა თავის თანამედროვეებს, რომ ის, რითაც ისინი ამაყობდნენ, რითაც განასხვავებდნენ თავიანთ თავს სხვათაგან, რასაც ქართული ეროვნული სულისა და მსოფლგანცდის სპეციფიკას უწოდებდნენ, სწორედ მშობლიურ გარემოსთან — სამშობლოსთან — სისხლხორცეული თანაზიარობის გამოხატულებას წარმოადგენდა. აქედან გამომდინარე რაფ. ერისთავმა თავისი თანამედროვის მარადიულ საეროვნო ფასეულობებისა და ღირებულებისადმი ინდიფერენტულ, გულგრილ ცნობისწადილს ამ ფასეულობათა

თუ ღირებულებათა გაუხუნარად არსებობის ფაქტი გაუთვალსაჩინოვა და ყოფიერებაში სულიერი მეობის საყრდენად სამშობლოს „სხვა ქვეყნის სამოთხეზე“ გაუცვლელობის იდეა შესთავაზა.

ჩვენი ერის ისტორიული ყოფის ყველაზე რთულ ვითარებაში გაისმა ქართველი კაცის ეროვნულ ამბოხად, მარადიულ ეროვნულ ფასეულობათა გაუფასურების მოსურნეთა საწინააღმდეგოდ რაფ. ერისთავის სიტყვები:

„სამშობლო, დედის ძუძუ, არ გაიცვლების სხვაზედა,
ორივ ტკბილია, ძმობილო, მირჩევნის ორსავ თვალზედა,
როგორც უფალი, სამშობლოც ერთია ქვეყანაზედა...,
არ გავცვლი სალსა კლდეებსა, უკვდავებისა ხეზედა,
არ გავცვლი მე ჩემს სამშობლოს სხვა ქვეყნის სამოთხეზედა,...“

(„სამშობლო ხევსურისა“ 1881 წ.)

„სამშობლო ხევსურისას“ გარკვეულად ეხმიანება რაფ. ერისთავის ლექსი „კაცი ის არის“, სადაც მამულიშვილობის ცნების პოეტისეული გაგება ისევე სამშობლოს სიყვარულის და მისდამი თავდადების რანგშია აზიდული. პოეტი ადამიანის უწმინდეს მოვალეობად და მის ამ ქვეყანაზე არსებობის გამართლებად აცხადებს „სამშობლოს ოხვრისათვის“ პიროვნების „ლომ-გულის მოფხანვას“, როგორც სამშობლოს ბედიღბლისადმი „წმინდა სისხლის დასანთხევად“ მზად მყოფი ადამიანის სულიერი ძლიერებისა და ინტელექტუალური სრულყოფის გამოხატულებას.

რაფ. ერისთავის პატრიოტული ლირიკის დიდ თემატურ რკალში ერთიანდება აგრეთვე ლექსები: „რას ერჩი მაგ ბიჭს, თათარო“, „ნეტა რას სტირი, დედილო“, „დაკოდილი“, „ხმა ღვთისა და ხმა ერისა“, „რაზე მიწყრები, ყეენო“ და სხვა მრავალი. ყველაფერი ეს კი ნათელყოფს, რომ რაფიელ ერისთავმა პატრიოტულ განწყობილებათა შემოტანითაც შეძლო უაღრესად მნიშვნელოვანი წვლილის შეტანა ჩვენი ხალხის ეროვნული ცნობიერების გამოღვიძებაში XIX საუკუნის უაღრესად რთულ ვითარებაში. ამით დაიმკვიდრა სწორედ მან არა მარტო მაღალმხატვრული გემოვნების მქონე პოეტის სახელი, არამედ ნათელყო ჭეშმარიტი მამულიშვილობა და გამოავლინა თავისი ხალხის სასიცოცხლო ეროვნული ინტერესების დაცვის უნარიც.

ქართველი კაცის სულიერი ძლიერების, ისტორიულ ქარტეხილებთან შერკინების დიდი უნარის წარმოჩენის მიზნით რაფ. ერისთავმა ისტორიული თემატიკის დამუშავებაც სცადა. დიდი ამბავი დიდსავე მხატვრულ ტილოს, პოეტური მეტყველების შესატყვის ფორმას საჭიროებდა. რაფ. ერისთავმა შესაბამისად თხრობის ეპიკურ სიბრტყეზე გადაინაცვლა და ისტორიულ თემატიკაზე ორი პოემა შექმნა: „ასპინძის ომი“ და „თამარიანი“. მიუხედავად იმისა, რომ რაფ. ერისთავის პოემებს თავის დროზე ინტერესით შეხვდა მკითხველი საზოგადოება, ისინი მაინც ვერ ჩაითვლება პოეტის შემოქმედებით წარმატებად და არა მხოლოდ იმიტომ, რომ ეპიკურ სიბრტყეზე რაფიელმა ვერ გამოავლინა პოეტური აზროვნების ის მაღალი დონე, რაც მისი ლირიკისათვის არის დამახასიათებელი.

„ასპინძის ომი“. პოეტური ჩანაფიქრის, ისტორიული ფაქტის მისი თანამედროვეობისათვის მნიშვნელოვანი სულისკვეთებით აღვსების თვალსაზრისით რაფ. ერისთავმა ამ პოემაში მართლაც, მიაღწია მხატვრულ ეფექტს, მაგრამ შედარებით სუსტი აღმოჩნდა პოემის მხატვრულ-გამომსახველობითი მხარე. მიუხედავად ამისა, რაფ. ერისთავის პოემაში გარკვეული პასუხი გაეცა უკვე ისტორიის კუთვნილებად ქცეულ საჭირბოროტო საკითხს — ასპინძის ცნობილ ომში ერეკლე მეორისადმი გენერალ ტოტლებენის ღალატის მიზეზებს და ტახტის მემკვიდრის გიორგი ბატონიშვილის, მისი მომხრე თავადების ბრძოლისაგან გაუმართლებელ განზე გადგომას, ერეკლე მეორის მიერ საქართველოს გაერთიანების ტენდენციისათვის ზოგიერთი ქართველი თავადის დაპირისპირების ფაქტს.

„ასპინძის ომში“ ზედმიწევნით ზუსტად არის დაცული ისტორიული ფაქტის სისწორე, გენერალ ტოტლებენის ღალატი აწყურთან, ერეკლე მეორის მარტოდ დარჩენა მტრის პირისპირ და მისი ძლევამოსილი გამარჯვება. ამ ფონზე რაფ. ერისთავს აქცენტი გადატანილი აქვს უბრალო ადამიანებზე, ქართველ ხალხზე. პოეტი აჩვენებს, რომ იმ ურთულეს ვითარებაში სამშობლოს ინტერესებისადმი ერთგულნი სწორედ ქართველი ხალხი, უბრალო ადამიანები დარჩნენ. მათთვის უცხო იყო პოლიტიკური ქვენაგრძნობები და პირადი ინტერესების საქვეყნო საქმისადმი დაპირისპირება. ჭეშმარი-

ტი თავგანწირვის მაგალითები სწორედ ხალხმა აჩვენა. ამ იშვიათი თავგანწირვით მოხერხდა რიცხვმრავალ მტერზე სასწაულებრივი გამარჯვება. ხალხის სულისკვეთების გამომხატველად ნაწარმოებში რაფ. ერისთავმა გამოიყვანა უბრალო ქართველი კაცი ივანე, რომელმაც სამშობლოს სიყვარულში ბევრად აჯობა ანგარებიან ქართველ ფეოდალებს, მათ მოჩვენებით პატრიოტობას.

გადმოცემული ამბის ისტორიზმის სრულყოფის მიზნით რაფ. ერისთავმა ასპინძის ომის მონაწილეებად აქცია ქართულ ზეპირსიტყვიერებაში უკვდავყოფილი სახალხო გმირებიც — თუში კოხიო ბობღიაშვილი და ნაკუდა ქუიძეს შვილი. ამავე მიზნით პოეტმა პოემაში უცვლელად ჩართო ამ სახალხო გმირებზე ხალხის მიერ შექმნილი ლექსის სტროფებიც:

„ნაკუდა ქუის ძეს შვილი, რა კანჯარივით ხტებაო,
შეიდი დაკაფა ხმალ და ხმალ, რიგი ხანჯალზედ დგებაო“,

ეს ლექსი თვითონ რაფიელ ერისთავს ჰქონდა ხალხისაგან ჩაწერილი და 1873 წ. ჟურნალ „კრებულშიაც“ (№ 7) გამოაქვეყნა. თავისთავად ისტორიულ მოვლენაში ხალხის როლის წინ წამოწევა გაბედული ექსპერიმენტი და პოეტის იდეურ-მსოფლმხედველობრივი სიმწიფის გამოხატულება იყო, მაგრამ უკმარობის შეგრძნებას იწვევს ხალხური მასალის პოემაში ნედლად, დაუმუშავებლად შეტანის ფაქტი. მიუხედავად ამისა, როგორც აღინიშნა, საკითხის გააზრების თვალსაზრისით „ასპინძის ომი“ მაინც ინარჩუნებს თავის მნიშვნელობას.

„თამარიანი“ პოემა ცალკე წიგნად გამოქვეყნდა 1887 წელს. რაფიელ ერისთავი დიდი ხნის მანძილზე მუშაობდა ამ ნაწარმოებზე. „თამარიანი“, როგორც თვით პოეტი მიუთითებდა პოემაზე დართულ წინასიტყვაობაში, „ქართლის ცხოვრების“ ფაქტებით საზრდოობს და გარკვეულად ემყარება გრ. რჩეულიშვილის რომანს „თამარ ბატონიშვილს“. „თამარიანში“ რაფ. ერისთავს XIII საუკუნის საქართველოს ერთი ეპიზოდი — ჯალალედინისა და მონგოლთა ურდოების მიერ ჩვენი ქვეყნის გაჩანაგებისა და თბილისის დაპყრობის ამბავი აქვს გაცოცხლებული. ამბის წმინდა ლიტერატურული განსახიერების თვალსაზრისით რაფ. ერისთავს უკვე დახვდა გარკვეული ლიტერატურული ტრადიცია. ამ ისტორიული

ამბის სხვადასხვა მხატვრული გააზრების ცდები გრ. რჩეულიშვილის გარდა აქვთ ს. გუგუნავას (პოემა „თამარიანი“), კ. მესხს (5 მოქმედებიანი დრამა „თამარიანი“).

ქართულმა სალიტერატურო კრიტიკამ რაფ. ერისთავის „თამარიანი“ დაბალი მხატვრული ღირსების ნაწარმოებად ჩათვალა. მისი მხატვრული სისუსტის გამოვლენად მიიჩნია რაფ. ერისთავის ქართული ფეოდალური არისტოკრატიის პესიმიზმის და უიმედობის პოზიციაზე დგომა, ისტორიულ მოვლენაში დაბალი სოციალური ფენის — ხელოსნების და ხალხის როლის გაუთვალისწინებლობა. ნაწარმოებში პოეტისათვის წარსულის იდეალიზაციის ბრალდების წაყენების არავითარი საფუძველი არ არსებობს. რაფ. ერისთავი ნაწარმოებში, პირველ რიგში, სწორედ ისტორიული სინამდვილის დაცვას შეეცადა და ეს გარკვეულად შეძლო კიდეც. ყოველ შემთხვევაში, მას ამ თემაზე არსებულ ნაწარმოებთაგან თავისი ქმნილების განსასხვავებელ ნიშნად, სწორედ, ისტორიული ობიექტურობა ესახებოდა.

პატრიოტული განწყობილებების, საერთოდ, პატრიოტული პრობლემატიკის დაყენების თვალსაზრისით რაფ. ერისთავმა შეძლო საკმაოდ გახმაურებული, მოარულ სიუჟეტად ქცეული ამბის ახლებური გააზრება. რაფ. ერისთავის „თამარიანის“ საკმაოდ დიდი მოცულობა სწორედ ეროვნული საკითხის გამოკვეთის ტენდენციამ განაპირობა. პოეტი შორიდან იწყებს თხრობას. ჯერ თამარ მეფის დროინდელი საქართველოს დიდებით ამაყობს. შემდეგ რუსუდანისა და ლაშა გიორგის მეფობის ტრაგიზმზე ამახვილებს ყურადღებას, რათა მკითხველს საქართველოს დაცემა-დაკნინების შინაგანი მიზეზებიც წარმოუჩინოს. ასეთ მიზეზებად პოეტი ასახელებს ქართველი ფეოდალების თავკერძობას, მტრობასა და შურს. ამ ფონზე წარმოაჩენს რაფ. ერისთავი ჭეშმარიტ მამულიშვილებს, სამშობლოსათვის თავდადებულ ადამიანებს — თამარ ბატონიშვილის, შალვა ერთგულაძის, ელიზბარის სახეებს. სწორედ ამ ადამიანების ტრაგიკული ხვედრის მაგალითზე აცოცხლებს პოეტი ხალხის ისტორიული ყოფის სპეციფიკას. ამ ნაწარმოების მხატვრული ღირსება მაინც იმაში იჩენს თავს, რომ ისტორიულ ფაქტს რაფ. ერისთავთან მისი თანამედროვეობისათვის აქტუალური ეღერადობა აქვს შეძენილი. ნაწარმოების პათოსი ადამიანის სამშობლოსადმი

თავდადების იდეის პროპაგანდაში იკითხება. ამიტომ ეს პოემა, თუ შეიძლება ითქვას, პუბლიცისტური ხასიათით გამსჭვალული ქმნილებაა. ეს კი ნათელყოფს, რომ რაფიელ ერისთავმა ქართველი ხალხის ეროვნული ცნობიერების გამოღვიძების ამოცანები დააყენა ეპიკურ ქმნილებებშიც, სადაც სამშობლოსათვის თავდადების ისტორიული ფაქტების მოხმობით ამ ფაქტებს აქტუალური თანადროული ღირებულება შესძინა.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინება დამაჯერებლად ნათელყოფს რაფ. ერისთავის პოეზიის დიდზე დიდ ეროვნულ მნიშვნელობას. ნათელი ხდება, რომ რაფიელ ერისთავის პოეზიაში აირეკლა XIX საუკუნის მეორე ნახევრის ქართული საზოგადოებრივი ყოფის ყველა თავისებურება, წარმოჩინდა ქართველი ხალხის სულიერი სასიცოცხლო ინტერესები, ხელშესახები ორიენტირების სახით გათვალსაჩინოვდა ჩვენი ხალხის ენერგიის მკვებავი წყაროები და კონკრეტულ, უტყუარ ხატად გაბრწყინდა სამშობლოს სიყვარულის იდეა. ქართველი კაცის ცნობიერებაში პატრიოტული შინაარსით დატვირთული რაფ. ერისთავისეული პოეტური ხატები მუდამაც იმ ჭეშმარიტების უტყუარ დასტურად დარჩებიან, რომლებიც ამტკიცებენ, რომ სამშობლოს სიყვარული გაუხუნარ და მარადიულ ფასეულობად დარჩება მანამ, ვიდრე იარსებებს მისი მატარებელი ერი.

რაფიელ ერისთავი როგორც საბავშვო პოეტი

არის რაღაც კანონზომიერება იმაში, რომ ჩვენს თანამედროვეობას რაფ. ერისთავი უპირატესად საყმაწვილო თხზულებებით შემორჩა. წლიდან წლამდე, როგორც წესი, რაფ. ერისთავის ლექსები უცვლელად ისტამბება „დედაენაში“, დაწყებითი კლასების „მშობლიური ლიტერატურის“ სახელმძღვანელოებში. სამყაროს იდუმალებათა შეცნობის კარიბჭესთან მყოფი მკითხველის ცნობიერებაში გაუხუნარ ათინათებად კიაფობენ მისი „დედაენა“, „მიპატიჟება სასწავლებელში“, „გაზაფხული“, „ჯერ შრომა, მერე ხტომა“, „ზამთარი“, „მერცხალი“, მისი პოეზიის გვირგვინი „სამშობლო ხევსურისა“. ეს ქმნილებები ხან უცვლელად, ხან შემოკლებით, ხანაც უმნიშვნელო სახესხვაობით ი. გოგებაშვილის მიერ დამკვიდრებული

„დედა ენის“ და „ბუნების კარის“ უცვლელ „საკითხავებს“ წარმოადგენენ.

რაფ. ერისთავის საბავშვო თხზულებების პოპულარიზებას და მის საბავშვო პოეტად აღიარებას მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი ი. გოგებაშვილმა, როცა უხვად შეიტანა პოეტის ლექსები თავის სახელმძღვანელოებში.

აზრობრივი სიცხადე, ხატოვანება, ფაქიზი სიყვარული სათნოებისა და სიკეთისა, პატრიოტიზმის ნათელი გრძნობა, სიცოცხლით სიხარული და აღტაცება — აი, რაფ. ერისთავის პოეზიის ის მხარეები, რამაც მიიქცია დიდი პედაგოგის ყურადღება, როცა ასე ფართოდ გაუღო მათ საბავშვო სახელმძღვანელოების კარი.

ქართველი საზოგადოება რაფ. ერისთავის საბავშვო თხზულებებში მაღალ სულიერ შინაარსს პოულობდა. ბუნებრივია, რაფ. ერისთავამდეც იქმნებოდა საბავშვო ნაწარმოებები და მის დროსაც არსებობდნენ საბავშვო პოეტები და პროზაიკოსები, მაგრამ ქართულ ეროვნულ სინამდვილეში ნაკლებ გამოკვეთილი იყო დიდ ხელოვანთა მიერ ბავშვებისათვის წერის ტრადიცია. ამ ვითარების კვალი ატყვია „დედა ენას“, „ბუნების კარს“ და ყრმათათვის შედგენილ სხვა საკითხავ წიგნებსაც. მაგალითად, ი. გოგებაშვილის ადრეულ წლებში გამოცემულ სახელმძღვანელოებში თვალში საცემია უცხო ენებიდან, უპირატესად, რუსულიდან გადმოქართულებული ნაწარმოებების სიუხვე, რისი მიზეზიც, ბუნებრივია, ორიგინალური ქართული საყმაწვილო ლიტერატურის სიმწირე იყო.

საყოველთაოდ არის ცნობილი, თუ რა ძნელია წერა ბავშვებისათვის. ამ ფაქტის აღიარება არ უთაკილიათ საყმაწვილო ლიტერატურის სიძნელეთა წარმატებით მძლეველ ისეთ მაღალნიჭიერ ხელოვანთ, როგორიც იყო ვაჟა-ფშაველა. მწერლურ ზენიტში მყოფი ვაჟა მაღალი შემოქმედებითი თვალსაწიერიდან 1915 წელს ასე აყალიბებდა საბავშვო პოეტად გახდომის შინაარსს: „ნურავის ჰგონია ადვილი იყოს საბავშვო ლექსების და მოთხრობების დაწერა. ყველაზე ძნელი სწორედ ესაა, და თუ არ ღვთიური ნიჭით მირონცხებულს და სულით მდიდარს, რაიცა ერთგვარად 5-6 წლის ბავშვს აახლოებს 40 წლის ადამიანს, არ შეუძლიან გახდეს საბავშვო მწერალი“. ლიტერატურათმცოდნეობაში საგანგებოდ არის გამახვილებული ყურადღება იმაზე, რომ „ადამიანი კი არ უნდა შე-

იქმნას, არამედ დაიბადოს საბავშვო მწერლად". ნიჭი, ტალანტი ამ შემთხვევაში არ კმარა ფონს გასასვლელად, უამრავი ფაქტორის არსებობაა ამისათვის აუცილებელი, „სული — მადლიანი", „ბავშვურად გულუბრყვილო", „გონება — ამაღლებული", ხოლო რაც მთავარია, ეს ყველაფერი უნდა დაექვემდებაროს ერთ მიზანს — ხელოვნის ბავშვად, „მოზრდილ ბავშვად" ქცევას" (ბ. ბ ე ლ ი ნ ს კ ი). ეს კი არც თუ იოლად მისაღწევი მიზანია, რადგან იგი ნიჭიერებასთან — პოეტური წარმოსახვის დიდ უნართან ერთად, ბავშვობისდროინდელ გაუხუნარ ნათელ ოცნებებთან შესახვედრად ხელოვანის სულის შემზადებას გულისხმობს. თუკი ვერწმუნებით აზრს, რომ ხელოვანის ქმნილებებში, უპირველესად, თვით ხელოვანის სული არის მხატვრულად არეკლილი, მაშინ უნდა ვაღიაროთ, რომ საბავშვო მწერლის თხზულებებში უპირატესად მისი ბავშვობაა გახსენებული, მეხსიერებაში შემონახული ბავშვობისდროინდელი წმინდა და გულუბრყვილო ნათელით შეფერადებული ოცნებები და მისწრაფებებია გაცოცხლებული. ბავშვობისდროინდელი ოცნებებით და წარმოსახვით ზღვარდაუდები ხსოვნა, ბავშვის ცნობიერებისათვის ნიშანდობლივი საგნობრივ-სურათოვანი ფორმით ინახავს ამ სამყაროს განუმეორებელი ხიბლის შეგრძნებას. მისი დაფიქსირება, ბუნებრივია, მხოლოდ დიდ ნიჭს ძალუძს.

რაფ. ერისთავის საბავშვო თხზულებებში ერთი ტენდენცია ვლინდება: ესაა ბავშვის სულიერი სამყაროს, მისი განცდების, ოცნებებისა და ლტოლვების საგნობრივი, სურათოვანი წარმოსახვა.

ბავშვის სულიერი სამყარო რ. ერისთავის ლექსებში სიცოცხლით დაუღალავი აღტაცებით არის ავსებული. გულწრფელი სიხარული გაზაფხულის, ზაფხულის, შემოდგომის, ზამთრის დადგომის გამო, წელიწადის ყველა დროის განუმეორებელი მშვენიერების ახალი და ახალი განცდა ქმნის ბავშვური სამყაროს შინაარსის სპეციფიკას. რაფ. ერისთავი ზედმიწევნით ზუსტად იცნობს ამ სამყაროს, ამიტომაც დამაჯერებლად ახერხებს იმის ჩვენებას, თუ რა ახარებს და ხიბლავს ბავშვს, როგორ აღიქვამს მისი მეოცნებე ბუნება ყოფით მოვლენებს, როგორ გამოხატავს ამ სიხარულსა და ხიბლს.

ბუნების იდუმალების ყოფიერებაში გაცხადების მოვლენებად განიცდება წელიწადის დროთა ცვლა რაფ. ერისთავის ლექსებში „გაზაფხული", „ზაფხული", „რთველი", „ზამთარი" და სხვ. გაზა-

ფხულზე ბავშვის ცნობიერებაში შეიჭრება ის, რომ „თოვლი ატირდა ლანქერად, ადიდდა ჩვენი „წყლებია“. რომ ცაში „ისრად დამწკრივებული „წეროები მიფრინავენ თავისი რიგით, მერცხალიც ჰაერში ცელქად დანავარდობს და, რაც მთავარია, „სიცოცხლე მოსწყურებია“ ყველასა და ყველაფერს: „სულ ყველა ბარობს და გალობს, სირი იმზადებს ბუდესა... ბუნებაც ჰყვავის მრავალფრად“ („გაზაფხული“).

რაფ. ერისთავი ცალკეულ საბავშვო თხზულებაში აშინაარსებს ქრისტიანულ დღესასწაულებთან დაკავშირებულ ტრადიციებს. ამ ლექსებში განსახიერებულია შობის, ბზობის, აღდგომის დღესასწაულებით აღძრული ბავშვური სიხარული. ამ შემთხვევაში ლექსის შინაარსი დაცლილია რელიგიურობისაგან და ყოფით ტრადიციათა სიბრტყეზეა განთავსებული. მაგალითად, შობა ბავშვის ცნობიერებაში მცირეხნიანი არდადეგების, სასწავლებლიდან მშობლიურ გარემოში დაბრუნების ასოციაციად არის ქცეული:

„საშობაოდ დაგვითხოვენ,
დავისვენოთ ცოტა ჩვენა...
გასწი, ბიჭო, სოფლისაკენ,
გასწი, ბიჭო, შენათკენა!..“

(„ზამთარი“ 1880)

მსგავსი შინაარსით არის ავსებული ლექსები: „ბზობა“, „აღდგომა“ და რაფ. ერისთავის ამ რიგის სხვა საბავშვო ლექსები. ასეთნაირი შინაარსით ავსებული ბავშვის სულიერი სამყარო წარმოაჩენს ნორჩების ოცნებისა და მისწრაფებების რაობას. ამ ოცნებათა და მისწრაფებათა რაობაც სიცოცხლით სიხარულსა და აღტაცებაში იკითხება.

საყურადღებოა, რომ რაფ. ერისთავი ბავშვის სულიერ სამყაროში შეღწევის გზად სახავს საკუთარი ბავშვობის ხ ს ო ვ ნ ი ს სურათოვან გადმოცემას. ხსოვნის ფორმით „მოზრდილი ბავშვის“ ცნობიერების დონემდე დასვლის გარდუვალი კანონზომიერება ხელშესახებად არის გაცხადებული ლექსში „ზამთარი“. აქ ხსოვნით, მეხსიერებით ცოცხლდება ბავშვობისდროინდელი განცდის და ხილვის სიწმინდე და იხატება საოცრების იერით შეფერილი ზამთრის კონკრეტული სურათი:

„მახსოვს, როცა ბალღი ვიყავ,
მიხაროდა თოვლის მოსვლა,
თოვლის გუნდის გაკეთება,
სროლა, თოვლში გორვა, მოსვრა“.

(„ზამთარი“, 1880)

მსგავს სურათებად წარმოსდგება მშვილდ-ისრით, კაკანათითა და ლახტით დევნა შაშვებისა და ბეღურებისა, ციგით სრიალი და კოტრიალი — „კოტრიელა, კოტრიელა“.

რაფ. ერისთავის საბავშვო ლექსების ერთ წყებაში ნაზად და პირველქმნილი სიწმინდით მოჩანს ბავშვის მეოცნებე თვალით ხილული სამყარო, მისი ლაღი ოცნებებისა და გულწრფელი სიხარულის მიმნიჭებელი ყოფა. მხატვრული ეფექტი გადმოცემის დიდი უშუალობით არის შექმნილი.

არც ერთი ზედმეტი დეტალი არ ამრუდებს და არ არღვევს ბავშვობისდროინდელი წარმოსახვის ბუნებრიობას. გაზაფხულის სურათიც ისეა მოწოდებული, როგორც ბავშვობისდროინდელმა შთაბეჭდილებებმა აღბეჭდა, შემოდგომისაც, აღდგომისაც, ბზობისაც და ა. შ. აი, როგორია ბუნების გამოღვიძების პროცესი ლექსში „გაზაფხული“:

„თოვლი ატირდა ლანქერად,
ადიდდა ჩვენი წყლებია,
ბალღებს უხარის, დარბიან,
პაპას გაუთბა ძვლებია,
მიმჯდარა ბერი მუუდროზე,
ყავარჯენს მისჩერებია,
ქვეყანამ გამოიღვიძა
სიცოცხლე მოსწყურებია“.

(„გაზაფხული“, 1881)

ამრიგად მოწოდებულ პოეტურ სურათს ის ღირსებაც აქვს, რომ არა მარტო ბავშვში აღძრავს სიცოცხლით სიხარულს და სიცოცხლის წყურვილს, არამედ მოზრდილ მკითხველშიც აცოცხლებს მის წარსულს... ეს ფაქტი განვლილი ცხოვრების სილამაზისა და სიდიადის ცნობიერებას ამკვიდრებს მოზრდილ ადამიანში.

ნორჩი მკითხველის თვალწინ ასეთივე სრულქმნილი ხატოვანი

სურათების სახით გაიელვებს ზაფხულის, შემოდგომის, ზამთრის კადრები და სიცოცხლის სილამაზის ჩვენებით სიხარულისა და აღტაცების მიმნიშველი პოეტური ხატები. სიცოცხლის წყურვილის აღძვრისაკენ პოეტის მოწოდება განსაკუთრებით თვალსაჩინოა ლექსში „გაზაფხული“ („ამგვარი ძალა, სიცოცხლე, ვინ არის, რომ არ სწყურდესა?!“). თუ გაზაფხულის მოსვლა ყმაწვილის წარმოსახვაში აირეკლება „თოვლის ლანქერებად ატირებაში“, „წყლების ადიდებისა“ და „ქვეყნის გამოღვიძებით სიცოცხლის წყურვილში“, ზაფხულის დადგომა „გაზაფხულის გაფრენით“, სიმინდების გათოხნით, თიბვით, ანეულის გალაღებით, ყანებში „ჰოპუნას“ ძახილით, ქერისა და პურის მკით, დიდი სიცხეების დადგომით განიცდება. შემოდგომის სურათოვან შინაარსად რთველი და მისი დიდებულება გამოდის. დამწიფებული ყურძნის „წითლად ღუილი“, „კოღო, ბუზის ბზუილი, მტევნების კრეფა“ და ჭირნახულის ხილვით აღძრული სიცილი, გოდრების ტვირთვა, ყურძნის წურვა შემოდგომის მსუყე სუნის მრავალფეროვნებით აღიბეჭდება ყმაწვილის მეოცნებე ხასიათში. ასეთი ხატებით გადაუშლის რაფ. ერისთავი ნორჩ მკითხველს სიცოცხლის სილამაზეს და ამით უხსნის გზას აღტაცებას, სიცოცხლით მოხიბლულობას.

დიდია ამ თხზულებათა ზნეობრივი და ესთეტიკური გავლენის ძალა ყმაწვილებზე, რადგან თავიანთი აზრობრივი სიცხადით, მაღალეთიკური გამიზნულობით, ხატოვანებითა და უშუალობით ისინი მკითხველში აღძრავენ გრძნობას სიკეთისას, სამშობლოს სიყვარულისას, შრომის სიდიადისას და ბუნების ტრფიალებისას.

მსგავსი პოეტური ინტონაციებით არის აღწერილი სკოლაში წასვლით გამოწვეული სიხარული და აღტაცება ლექსში „მიპატიჟება სასწავლებელში“. ცნობილია, რომ ეს ლექსი რაფ. ერისთავმა რუსულიდან გადმოაქართულა, თუმცა იმდენად გააეროვნულა ლექსის რიტმულ-მელოდიური სტრუქტურა და ისეთნაირად აავსო იგი ბავშვური სამყაროსათვის ბუნებრივი, ქართული სურათოვანი ხატებით, რომ ჯერ კიდევ პოეტის სიცოცხლეში სალიტერატურო კრიტიკამ ლექსი რაფ. ერისთავის ორიგინალურ თხზულებად აღიქვა. დედნისეული ლექსის სიტყვიერი ფაქტურა აქ ქართული ყოფისათვის დამახასიათებელი სურათოვანი ხატებით არის შეცვლილი:

„მინდორი და ველი ჰყვავის,
ნამი ბზინავს ათას ფერად,
მზემაც თვალი გააჭყიტა,
ამოვიდა მათ სამზერად...
ჭინჭველები ველს მოედენენ,
თითქოს რაღაც ჯოგიაო,
მოლაღურიც გაიძახის
მაღლა: „ბიჭო-ბოგიაო!..“

(„მიპატიჟება სასწავლებელში“, 1883)

სწავლის პროცესი ამ ლექსში ადამიანის საყოველთაო შრომითი საქმიანობის ფორმადაა ჩათვლილი და ბუნების საერთო გამოღვიძების კონკრეტულ გამოვლენად არის მოაზრებული. ასე რომ, რაფ. ერისთავის საბავშვო პოეზიაში ერთ დიდ თემატურ რკალს ქმნის სიცოცხლის მშვენიერების და სიცოცლის წყურვილის აღძვრის ტენდენცია. სიცოცხლის მშვენიერების მაუწყებელ პოეტურ ხატებად პოეტის მიერ მოხმობილია ბავშვის ცნობიერებისათვის უაღრესად ნაცნობი და გასაგები ყოფითი მოვლენები: „ჭია-ღუას“ მიერ „სარჩოს ზიდვა“, ფუტკრის „ბზუილი თაფლის საშოვნელად“, საერთოდ „კაცის, მხეცის, ჩიტების“ მიერ თავ-თავისი საქმისათვის ხელის მოკიდება. მეთევზის მიერ ბადის გაშლა, მუშაკის მიერ ცელის ქნევა და ა. შ. სიცოცხლის გამოღვიძების მშვენიერების შეგრძნებით ნორჩ მკითხველს გზა ეხსნება სამყაროს უსასრულო მრავალფეროვნებაში თანამონაწილეობისათვის. რაფ. ერისთავის საბავშვო თხზულებებში დიდი ადგილი უკავია შრომის პროცესის ჩვენებას. შრომის ლაღი რიტმით ბავშვის აღტაცება შრომის სიყვარულში გადაზრდის მიზანდასახულობას შეიცავს. ეს კი თავისთავად იმაზე მეტყველებს, რომ რაფ. ერისთავის საბავშვო თხზულებებშიც ვლინდება მისი პოეზიის არსებითი თავისებურება — შრომის, როგორც ადამიანური ყოფის, სილამაზის აღქმა. რაფ. ერისთავი საბავშვო თხზულებებშიც ამახვილებს „განსაკუთებულ ყურადღებას,.. რათა ეს სილამაზე არ დაიკარგოს, მშვენიერებიდან სიმახინჯედ არ გადიქცეს“ (ჯ. ღვინჯილია) შრომის სოციალური მონობის უღელში მოქცევით.

შრომის სიდიადეში სიცოცხლის სილამაზის აღქმა განსაკუთრებით თვალსაჩინოა რაფ. ერისთავის იმ ლექსებშიც, რომლებიც წე-

ლიწადის სხვადასხვა დროთა სურათოვან აღწერას ეძღვნება. მაგალითად, გაზაფხულზე ბავშვის ცნობიერებაში მძლავრად იჭრება „სახნის-საკვეთის წვერვა“, „ბოსტნებისათვის ზღუდეების შემოვლება“ („გაზაფხული“), ზაფხულში — „თივის დადგმა“, „ჰოოპუმას“ დაძახილი, ქერისა და პურის მკა, სახეგაცისკროვნებული „მომკალი“, რომელსაც „გულ-გაღებულს თავზე ქუდი არა ჰხურავს, ხელსახოცი შუბლს წაუკრავს, დასძახის და ოფლში ცურავს“. შემოდგომითაც, წელიწადის ამ დროისათვის დამახასიათებელი მშვენიერება ბუნებისა ადამიანური შრომის ფონზე იძენს განუმეორებლობას:

„ყურძენი დამწიფებულა,
დახე, როგორ წითლად ღეის,
ჩქარა, ჩქარა რთველი, თორემ
ყოლო, ბუზი თავს დაჰბზუის.
შეიკრიბნენ მკრეფავები,
ამოუდგნენ თითო ვაზსა,
ყურძენს [ჰკრეფენ], იცინიან
და მოაბეს მხარი მხარსა“.

(„რთველი“, 1861)

ბავშვის მეოცნებე ფანტაზიას, როგორც ცნობილია, უპირველესად სამყაროს კანონზომიერებას დაქვემდებარებული ყოფითი მოვლენების არსებობის მექანიზმი აოცებს და აინტერესებს. უამრავი „რა არის“ და „რატომ“ კითხვებით გამოიხატება ბავშვის ცნობისწადილის უსაზღვროება და სირთულე, ხშირად მოზრდილთათვისაც რომ ძნელად პასუხგასაცემ შეკითხვებად დგება. რაფ. ერისთავის საბავშვო ქმნილებების ერთ წყებაში ამ რიგის შეკითხვების ხიბლი არის წარმოჩენილი ბავშვისათვის შეძლებისდაგვარად დამარწმუნებელი ფორმით.

რაფ. ერისთავმა შეძლო უაღრესად ნათელი, გამჭვირვალე ფორმა მოეძებნა და დიდი ტაქტით და სიფაქიზით გადაეტანა ბავშვურ მეოცნებე სამყაროში ქართველად შეცნობის, ქართველობის გაცნობიერების, სამშობლოს ერთადერთობის, სხვაზე გაუცელელობის იდეები, მამულიშვილობის რაობის არსი, ყმაწვილის თავის ერთან განუყრელობის განცდა. ბავშვის მეოცნებე წარმოსახვის ეროვნულ

ორიენტირებზე შეჩერება და რაღაც დიდთან, მთლიანთან გ ა ნ უ-
ყ ო ფ ლ ო ბ ი ს შეგრძნების გაღვივება პოეტური ხატების უკიდუ-
რესი სინათლის, გამჭვირვალობის და სურათოვნების აუცილებლო-
ბის წინაშე აყენებდა პოეტს. სწორედ პოეტური მეტყველების სუ-
რათოვნება უნდა შენაცვლებოდა ბავშვისათვის უცხო და მიუღე-
ბელ განყენებულ ასოციაციურ მსჯელობა-სენტენციებს. ასეთი გა-
მიზნულობისაა ლექსები: „დედაენა", „კაცი ის არის", „სამშობლო
ხევსურისა", ადამიანის ზნეობრივ-ეთიკური შინაარსის წარმომჩე-
ნი იგავ-არაკული იერის ქმნილებები: „ლომი და კოღო", „სპილო
საერისთაოზე" (თარგმანი), ადამიანის შრომითი საქმიანობის რაო-
ბის ამსახველი ლექსები: „გუთანი", „პურის მოსავალი", „ყანა" და
სხვა. ამ ლექსთა უმეტესობა საბავშვო ქმნილებებად პირობითად
შეიძლება ჩაითვალონ, რადგან მხოლოდ ყმაწვილთათვის არ არის
განკუთვნილი და თანაბარი ეფექტით აკმაყოფილებს მოზრდილი
მკითხველის ცნობისწადილსაც. მაგრამ საბავშვო მწერლობისათვის
საჭირო სიფაქიზის, შინაარსობრივი გამჭირვალობის პრინციპით
რაფ. ერისთავის ეს ნაწარმოებები იმთავითვე უპირველესად საყმაწ-
ვილო კრებულებსა და სასკოლო სახელმძღვანელოებში შეჰქონდათ.
ამ ლექსებით თაობები ეზიარებოდნენ სამშობლოს, დედის სიყვა-
რულს, დედაენის, მამულიშვილობის ხიბლს და სწავლობდნენ ქარ-
თველობის შინაარსს, ეროვნული სიამაყის საფუძვლებს, საკუთარ
ადგილს სამყაროს უსასრულო მრავალფეროვნებაში.

ლექსში „დედაენა" სწორედ მორალისტური ფორმით არის გა-
ცხადებული დედაენის, მშობლიური მეტყველების განუმეორებ-
ლობა და გამორჩეულობა. რა არის დედაენა და რატომ გვაქვს იგი?
ამ შეკითხვის პასუხის პლანშია მოაზრებული რაფ. ერისთავის ეს
ლექსი. „ყოველს სულიერს, ორფეხს თუ ოთხფეხს, სუსტსა და ძლი-
ერს, მცურავს თუ ფრინველს, მღილსა მიწიერს" ნაბოძები აქვს თა-
ვისი ენა. ენა სამყაროში მათი არსებობის გამოვლენაა, არსებობის
ფორმაა. ენა მათი თვითგამოვლენის, თვითშეცნობის გზა და სა-
შუალებაა. დედაენის შინაარსის ამნაირი გასაგნება რომ უფრო და-
მაჯერებელი იყოს ბავშვის ცნობისწადილისათვის, რაფ. ერისთავი
ცნების გასაგნების, გასურათოვნების ასეთ, კიდევ უფრო მაღალ სა-
ფეხურსაც იშველიებს:

„მტრედი ვერ შესძლებს კატის ჩხავილსა,
ბულბული — ყროყინს, თევზი ქნავილსა,
კრავი უმანკო — მელის ხავილსა,
გვრიტი — ჭიხვინსა, ბუზი — ბღავილსა!...
ამ წესსა ვხედავთ ღვთიურსა ჩვენსა,
აქ სჩანს ბუნება და დედაენა!..,

(„დედაენა“, 1881)

აქ, შეუთავსებლობის იდეის ბავშვის გონებამდე დაყვანის, მართლაც, ბრწყინვალე ფორმაა მოძებნილი კონტრასტულობის ხერხით.

რაფ. ერისთავი კვალდაკვალ მიჰყვება ბავშვის ნაირფერ და საოცრებათა ხილვას მოწყურებულ გონებას. დედაენის რაობის გაცნობიერების კვალად ნორჩი მკითხველის სათუთ ბუნებას სამშობლოს და საქართველოს შინაარსს წარმოუჩენს.

სამშობლოს შინაარსის საფუძვლად რაფ. ერისთავი ერის ისტორიულ ყოფასთან ადამიანის განუყოფლობას და თანაზიარობას აცხადებს. ადამიანი არსებობს აწმყოში, მაგრამ არსებობს წარსულშიც, რადგან მის გაჩენას წარსულმა შეუმზადა ნიადაგი და თავისი არსებობით ქმნის მომავალსაც. ამ წარსულის ხსოვნას ატარებს ადამიანის სასიცოცხლო გარემო, სამკვიდრო, სადაც დაიბადა, გაიზარდა, სადაც მამა-პაპათა საძვალეცაა. წარსულის ხსოვნის შემცველი სამკვიდრო არის სწორედ ის, რასაც სამშობლო ჰქვია და რაც ამ ხსოვნის შინაარსით დაბადებისთანავე განსაზღვრავს, გამოკვეთს ადამიანის მსოფლაღქმის სპეციფიკას. ეს სამკვიდრო ერთადერთია ამ ქვეყანაზე და მისი დაკარგვა ნიშნავს წარსულის ხსოვნის გაქრობას, ამით კი საკუთარი სახის დაკარგვის საშიშროებაც იქმნება. წარსულის ამ ხსოვნის ნათელი სურათოვანი ხატები რაფ. ერისთავმა წარმოაჩინა ლექსში „სამშობლო ხევსურისა“. ასეთ ხატებად პოეტმა წარმოადგინა ქართული ბუნებისა და ხასიათის განმსაზღვრელი თოვლიან-ყინულოვანი სალი კლდეები და მამა-პაპათა კუბოს ფიცარი:

„სადაც ვშობილვარ, გავზრდილვარ და მისროლია ისარი,
სად მამა-პაპა მეგულვის, იმათი კუბოს ფიცარი,
სადაც სიყრმითვე ვჩვეულვარ — ჩემი სამშობლო ის არი“.

(„სამშობლო ხევსურისა“, 1881)

რაფ. ერისთავმა სამშობლოს ერთადერთობას და სხვაზე გაცვლის შეუძლებლობასაც მოუძებნა ყმაწვილისათვის უაღრესად ნათელი და დამარწმუნებელი არგუმენტი — დედის ძუძუ. როგორც დედის ძუძუა ერთადერთი და შეუცვლელი, ასევე სამშობლოა ერთადერთი ამ ქვეყანაზე. ამიტომაც შეუძლებელია მათი თუნდაც „სხვა ქვეყნის სამოთხეზე“ გაცვლა: „სამშობლო დედის ძუძუი, არ გაიცვლების სხვაზედა!“ ეს სიტყვები სწორედ სამშობლოს სიყვარულის ყველაზე ნათელ და „ხელშესახებ არგუმენტად“ ჩვენი ხალხის ისტორიული ყოფის უაღრესად რთულ ვითარებაში წარმოსდგა. ამ არგუმენტის მიგნებაში არის სამართლიანად დანახული რაფ. ერისთავის პოეზიის უდიდესი საეროვნო ღირებულებაც, რაც განსაკუთრებულ შინაარსს XIX საუკუნის ქართულ საბავშვო ლიტერატურისათვისაც იძენს.

სამშობლოს შინაარსის დადგენასთან ერთად პოეტი მისი დროსა და სივრცეში არსებობის სახესაც უთვალსაჩინოებს ნორჩ მკითხველს. პოეტი ბავშვს თავისი სამკვიდროს სამყაროში გაცხადების შინაარსსა და ფორმას აცნობს. ქართველთა სამკვიდრო, სამშობლო ორ ზღვას შუა მდებარე მიწა-წყალია, „გულოვანი, მოყვასი, უხვი, მხნე, ქრისტეს მორწმუნე, მტკიცე რჯულის, კისკასი“ ხალხით, მტრისაგან დაუძლეველი, ცალ ხელში ჯვრის, მეორეში ხმლის მტვირთველი ვაჟკაცებით. ამ ლექსში გასაგნებულია ცხოვრების ქართული წესი, ქართველი ხალხის ფსიქო-ეთნიკური ბუნება; მისი არსებობის ისტორიული მისია — ქრისტეს ჯვრის მტვირთველობა:

„ორ ზღვას შუა მდებარეობს ქართველთა მიწა-წყალია,
ჰყვავის და ჰყვავის მუდმისად, ყინვისგან დაუმზრალია;
შიგ ბანოვანნი ყეკლუცნი მტრის თვალმა ჯერ ვერ დალია,
ვაჟკაცთ ცალს ხელში ჯვარი აქვთ, მეორე ხელში — ხმალია!“

(„ასპინძის ომი“)

დედაენის, სამშობლოს, საქართველოს შინაარსის გასაგნების ფონზე გაათვალსაჩინოვა რაფ. ერისთავმა ეროვნული ფასეულობებისადმი ადამიანის მიმართების ზნეობრივ-ეთიკური კრიტერიუმების არსი. დიდი სიფრთხილე იყო საჭირო, რათა პოეტური ხატები სურათოვნებას არ ასცდენოდა და ქართველობის, მამულიშვილობის შინაარსი ბავშვისათვის მხოლოდ მსჯელობებისა და სენტენციების

ფორმაში არ გადაზრდილიყო. რაფ. ერისთავი ჩაგონების, სენტენციების მოშველიებისაგან განზე გადგა და ნორჩი მკითხველისათვის გასაგები ფორმით გადმოსცა მამულიშვილობის ზნეობრივ-ეთიკური არსი. ვინ არის კაცი? რაში გამოიხატება სამშობლოს სიყვარული? როგორი ადამიანი შეიძლება ჩაითვალოს მამულიშვილად? ამ კითხვაზე პასუხი პოეტური ფორმით ჩამოაყალიბა რაფ. ერისთავმა ლექსში „კაცი ის არის“.

„კაცი ის არის, ვინც მამულს გამოადგება შვილადა,
ვისაც სამშობლო ტაძრად აქვს, თავი-სამსხვერპლო წილადა,
ქვეყნისა ცრემლი ჰირად უჩნს, მისი ღიმილი ლხინადა,
ვინც მისთვის თავსა შესწირავს, მას შემოაელებს ფთილადა!“

(„კაცი ის არის“ 1886)

ასეთნაირად მიჰყვებოდა პოეტი მოზარდის სულიერ ლტოლვებს და ცნობისწადილს, ასწავლიდა მოზარდ თაობას სამშობლოს სიყვარულს.

ლექსში „ჯერ შრომა, მერე ხტომა“ ბავშვური ყოფისათვის უაღრესად ბუნებრივი კითხვა-პასუხის ფორმით არის წარმოდგენილი ყმაწვილის სიბეჯითე. ამ ლექსში მოზარდის თამაშისადმი დაუოკებელი ლტოლვაა წარმოსახული. „სწავლობს გიგლა ტიტინა“, გულმოდგინეობს, გარემო კი მას თავისთან უხმობს. მზე, ჩიტი-ჩიორა, ალუბალი, სხვა ხილი მაცდურად ეპატიჟება გიგლას თავის საუფლოში. მათ ადამიანურად მეტყველების და ქცევის უნარი აქვთ შეძენილი. ბავშვის ცნობიერება ამას რეალურად აღიქვამს, თამაშის წარმოსახვით სამყაროში ეს ყველაფერი მისთვის აბსოლუტურად შესაძლებელია და ჩვეულებრივადაც კი გამოიყურება. ბუნების საგნები და მოვლენები „გიგლა ტიტინას მოყვარენი“ არიან. მათ შეუძლიათ სიცილი, შეპატიჟება და ა. შ.

„მზე უცინის გიგლასა,
ჩიტი უგალობს მასა,
ალუბალი დარცხვენით
აწვდის დიდ კუნწულასა“.

(„ჯერ შრომა, მერე ხტომა“, 1884)

აღსანიშნავია, რომ ეს ლექსი რაფ. ერისთავმა რუსულიდან თარგმნა და 1884 წელს ჟურნალ „ნობათში“ დაბეჭდა. რუსულ ენაზე კი თავის დროზე პოეტმა ლ. მეიმ თარგმნა გერმანული ენიდან. რაფ. ერისთავამდე იგი ი. გოგებაშვილმა გადმოაქართულა ჯერ კიდევ 1868 წელს. რაფ. ერისთავის თარგმანი ბევრად უფრო მაღალი ღირსებისა იყო და ამის გამო ქართულ საბავშვო მწერლობაში მისმა თარგმანმა მოიკიდა ფეხი.

ამდენად, რაფ. ერისთავის საბავშვო თხზულებებში ყველაფერი აგებულია წარმოსახვის თამაშზე. ასეთ ქმნილებებში, როგორც ცნობილია, უკვე სავსებით წაშლილია ზღვარი რეალურსა და ფანტაზიურს შორის. ფანტაზიის წყალობით ყველაფერს ყველაფრად ქცევის ფართო შესაძლებლობები ექმნება (დ. უ ზ ნ ა ძ ე). ასეთ სამყაროში არარეალურიც რეალურობის და დამარწმუნებლობის ფორმით არის წარმოდგენილი. ამნაირი სურათი განსაკუთრებით თვალშისაცემი მაშინ ხდება, როცა რაფ. ერისთავის პერსონაჟებად ადამიანები კი არ გამოდიან, არამედ ცხოველები და მწერები. ეს ცხოველები და მწერები ადამიანურად იქცევიან: მსჯელობენ, მცდელობენ, ებრძვიან ერთმანეთს და ა. შ. ქცევის ეს გადატანითობა აპირობებს ნაწარმოების მხატვრულ ეფექტს, რომელიც საბოლოოდ უმანკო, ბავშვური სიცილის გამომწვევ პირობად იქცევა. როგორც აღნიშნავენ, ამ შემთხვევაში სიცილის პირობა პერსონაჟთა ქცევასთან, მათ ბუნებასთან შეუთავსებლობაა. ეს კი არამც და არამც არ ნიშნავს იგავ-არაკულ ნართაულობას და ალეგორიულობას, რადგან რაფ. ერისთავთან, ვაჟა-ფშაველას მსგავსად, ცხოველთა და „ფრინველთა ცხოვრება კი არ არის... ადამიანური ცხოვრების სიმბოლო, მისი გასაღები, არამედ პირუკუ, ადამიანის ცხოვრებაა ფრინველთა ცხოვრების შინაარსში შესასვლელი საშუალება“ (ს. დ ა ნ ე ლ ი ა). ამნაირ ტენდენციაზეა აგებული რაფ. ერისთავის ლექსები „ბუზი“ და „თაგვების და კატების ომი“.

აღნიშნულია, რომ ბუნებაში შეჭრის ტენდენციაში, როცა არაადამიანურიც ადამიანურით არის აღვსებული და როცა გამორიცხულია იგავ-არაკული ალეგორიულობა, რადგან ასეთ ვითარებაში გამორიცხულია ავტორის მიერ ობიექტის რომელიმე მხარის დაგმობა ან გაკიცხვა, საქმე გვაქვს ერთგვარ ფსიქოლოგიურ თამაშთან — ხუმრობასთან. როგორც ცნობილია, ხუმრობას აქვს დაცინვის ფორ-

მა, მაგრამ შინაარსით ობიექტისადმი სიყვარულს შეიცავს (ი. ე ვ-
გ ე ნ ი ძ ე).

ასეთი სახუმარო ვითარება იქმნება ლექსში „ბუზი“, როცა ნა-
ჯაფარი ხარის რქაზე შემომჯდარ ბუზსა და გზად შემოყრილ მეორე
ბუზს შორის შემდეგი დიალოგი იმართება:

„ბუზი შამოხვდათ გზაზედა,
შესძახა მეორე ბუზსა,
შავ ხარს რომ აჯდა რქაზედა;
— „სადა ყოფილხარ, დობილო?
რად დაგვივიწყე ჩვენაო?“
მან უპასუხა: „ვმუშაობთ,
ვერ მოვიცალე მენაო,
გუთანი გვება მინდორში,
გამოვიყვანეთ ალოო,
ახლა პური გვაქვს სალეწი,
უნდა გავმართოთ კალოო!...“

(„ბუზი“, 1885)

თაგვებისა და კატების ადამიანური მოქმედება იქცევა ბავ-
შვურ ფანტასტიკურ, გულუბრყვილო, წმინდა, ანკარა სიცილის სამ-
ყაროში შესვლის გზად ლექსში „თაგვების და კატების ომი“.
იუმორს აპირობებს მათი ცხოვრების წესიც. თაგვებს და კატებს
აქვთ თავთავიანთი სახელმწიფო, ტახტზე უზით მეფეები, აქვთ სა-
ხელმწიფო სამმართველო აპარატი და ჰყავთ ხელისუფლების ნების
აღმსრულებელი ნაზირ-ვეზირები. თაგვებისა და კატების სახელმწი-
ფოები ერთმანეთს მტრობენ, ეომებიან, მაშველი ჯარის მოშველი-
ებასა და მოკავშირეების ძებნასაც არ უცხოობენ, გააჩნიათ ცბიერი
დიპლომატიისა და მისი განხორციელების უნარი. თაგვებისა და კა-
ტების ერთი დიდი სამკვდრო-სასიცოცხლო „ამბავი“ არის მოთხ-
რობილი ზემოაღნიშნულ ლექსში. ავად გახდა თაგვთა მეფა და ეს
ამბავი კატების მეფეს მიუვიდა. წამსვე შეყარა მეფემ ვეზირები სა-
თათბიროდ. ერთმა წერილის გაგზავნა და თაგვთა მეფას მოკითხვა
ურჩია მეფეს, მეორემ მოსაკითხად „ლელვის ჩირის“ გაგზავნა არ-
ჩია, სხვამ პირდაპირ ომის დაწყება ჩათვალა საჭიროდ. მაინც წე-
რილის და ავადმყოფი მეფას ჩქარა ხილვის სურვილის შეტყობინე-
ბა ამჯობინა კატების მეფემ. თაგვებს თავზარი დაეცათ, მიხვდნენ,

რასაც უქადდათ კატების მეფის სტუმრობა და უარი შეუთვალეს. მთელი მოქმედება ლექსში ასეთი ადამიანური ცხოვრებისათვის დამახასიათებელ პლანში მიმდინარეობს. როგორც აღინიშნა, ხუმრობას, იუმორს და ჯანსაღ სიცილს სწორედ კატების და თაგვების ადამიანურად მოქმედება და მსჯელობა აპირობებს. აი, მაგალითად, როგორ არის გადმოცემული ლექსში თაგვთა მეფას ავადმყოფობა:

„თაგვთა მეფა ავად იყო,
სიდამწვრით თუ ქეციოთაო,
ბუმბულები ქვეშ დაეგო,
მოეფინა ბეწვითაო:
წამალს მეფა არ ნებულობს,
არცა დიდის ხეწნითაო;
და მას ვირთხა ექიმბაშობს,
სწამლობს მხოლოდ წეწვნითაო!..

(„თაგვების და კატების ომი“, 1877)

აღნიშნულ ლექსში იუმორისტული ელფერი განსაკუთრებით თვალშისაცემია „მეფეების“ დიპლომატიურ წერილებში, სადაც ღიმილს და სიცილს იწვევს გაზვიადების ხერხიც. მაგალითად, კატების მეფის მიერ თაგვთა მეფა დახასიათებულია „სამი ამბრის მფლობელად და ნიგვზით ხარკის ამკრეფად“. თაგვთა მეფა თავის მხრივ კატების ხელმწიფეს უწოდებს „დიდ ხელმწიფეს“ და „ვეფხის ბუდის ტომს“. ადამიანური ყოფისათვის ნიშნეული დრამატულობით არის ავსებული თვით ომის პერიპეტიები, თაგვების მარცხი, კატების ლაშქრის გაქცევა და ა. შ. რაფ. ერისთავის პოეტური ცნობიერების სპეციფიკა წარმოსახვის საზღვრების უსასრულოდ გაფართოება ნათელ, გულუბრყვილო, სიცილად იღვრება ნორჩი მკითხველის გულებში და სიცოცხლის ხალისს, სიცოცხლის წყურვილს აღძრავს მკითხველში. ამგვარი ტენდენცია, როგორც ცნობილია, განსაკუთრებით გამოიკვეთა და მხატვრულობის მაღალ დონეს მიაღწია ვაჟა-ფშაველას საყმაწვილო მოთხრობებში: „სათაგური“, „ჩხიკვთა ქორწილი“, „ბუნების მგოსნები“, „მელია-კუდაგრძელია“ და პოეზიაში „თაგვთა ამბოხება“, „ბაყაყთა აჯანყება“, პოემა „ნახევარწიწილა“ და სხვ. ეს გარემოება კი ნათელყოფს, რომ რაფ. ერისთავის საბავშვო პოეზიაში უკვე თავისებურად გამოჩნდა საყ-

მაწვილო ლიტერატურის ის ტენდენციები, რაც შემდგომ მასზე უფრო დიდი პოეტური ნიჭით ცხებულ ხელოვანთა შემოქმედებაში უფრო სრულყოფილად წარმოჩინდა და რამაც შეადგინა ქართული საბავშვო ლიტერატურის ოქროს ფონდი.

რაფიელ ერისთავის პროზა

რაფიელ ერისთავის ნიჭი ძირითადად პოეზიის, უპირატესად ლირიკის სფეროში გამჟღავნდა. პროზა არ ყოფილა მისი მოწოდება. ეს პროზაულ თხზულებათა რაოდენობრივ სიმცირეშიც გამოიხატა. სულ სამი მოთხრობა შექმნა რაფ. ერისთავმა: „ბეჩავი“, „ნინო“ და „ლიტერატურული საღამო“. აქედან ერთი — „ბეჩავი“ რუსულ ენაზე დაწერა მწერალმა. ბუნებრივია, მისი მხატვრული პროზის ღირსებას სრულიადაც არ განსაზღვრავს რაოდენობრივი ფაქტორი. რაფ. ერისთავის მოთხრობათა მნიშვნელობა ჩვენი მწერლობისათვის უპირველესად, თავისთავადი მხატვრული დონით და მათი თანადროული ლიტერატურული პროცესების აქტუალურ მოთხოვნებთან მიმართებაში, მათთან შესაბამისობაშია საძიებელი. ამ თვალსაზრისით კი რაფ. ერისთავმა ერთგვარ წარმატებას მიაღწია და ქართულ პროზაში თუ განსაკუთრებული მხატვრული დონე ვერ შექმნა. გარკვეულ პრობლემათა წამომჭრელად მაინც წარმოდგა. მის მოთხრობებს ნათლად ამჩნევია თანადროული ლიტერატურული მიმდინარეობისთვის ანგარიშის გაწევის კვალი, ამის გამო, XIX საუკუნის 50-იანი წლების ქართული პროზისათვის დამახასიათებელი ე. წ. სენტიმენტალური იერით არის აღბეჭდილი მისი „ბეჩავი“ და „ნინო“.

მოთხრობა „ბ ე ჩ ა ვ ი“ 1855 წელს დაიბეჭდა რუსულ ალმანახ „ზურნაში“. რუსულ ენაზე პუბლიკაციის გამო ეს მოთხრობა ქართულ სალიტერატურო კრიტიკას შეუმჩნეველი დარჩა. სამაგიერთოდ, მან რუსული კრიტიკის საგანგებო ყურადღება მიიპყრო. მოთხრობას პირველი გამოეხმაურა საქართველოში ნაცხოვრები რუსი მწერალი ვლადიმერ სოლოგუბი, შემდეგ, საერთოდ, ალმანახ „ზურნას“ და, კერძოდ, რაფ. ერისთავის მოთხრობას ყურადღება მიაქცია ნ. ჩერნიშევსკიმ. მან ცნობილ ჟურნალ „სოვრემენნიკში“

რეცენზიაც დასტამბა. მაგრამ როგორც ერთ, ისე მეორე შემთხვევაში რუსული სალიტერატურო კრიტიკისათვის მნიშვნელოვანი აღმოჩნდა მხოლოდ საქართველოში რუსულენოვანი მწერლობის გამოჩენის ფაქტი და მისი რუსული მწერლობის განვითარებაზე კვალის დაჩნევის შესაძლებლობა.

ალმანახ „ზურნაში“ გამოქვეყნებული მხატვრული პროდუქციის ღირსება ერთ-ერთი პირველი ცდის მნიშვნელობაზე დავიდა და მასალის ეგზოტიკურობით შეფასდა. ამითვე განისაზღვრა რაფიელ ერისთავის მოთხრობის ღირსებაც. რუსული სალიტერატურო კრიტიკისათვის უცნობი დარჩა რაფ. ერისთავის მოთხრობის იდეური მხარე და პრობლემური სიახლე. ეს ქართულ მწერლობისათვის კერძოობითი მნიშვნელობის ფაქტი იყო და ამის გამო, ბუნებრივია, არც ვ. სოლოგუბის და არც ნ. ჩერნიშევსკის კრიტიკულ წერილებში მოთხრობის ამ მხარეზე არაფერი თქმულა. სავარაუდოა, რომ რაფ. ერისთავის მოთხრობისადმი ამნაირმა დამოკიდებულებამ განაპირობა ნაწარმოებისადმი ქართული ლიტერატურათმცოდნეობის ერთგვარი ინდიფერენტიზმი, რომლის არასამართლიანობაზე თავის დროზე ყურადღება გაამახვილა რაფ. ერისთავის შემოქმედების მკვლევარმა შოთა ვაშაყმაძემ.

არადა მოთხრობა „ბეჩავი“ XIX საუკუნის ქართული ეროვნული პროზის (რუსულ ენაზე პუბლიკაციის მიუხედავად) განვითარების თვალსაზრისით და მისი იდეურ-თემატიკური შინაარსის განსაზღვრის მხრივ მრავალნაირად საყურადღებო მხატვრულ ნაწარმოებს წარმოადგენს. ამ მოთხრობაში ჩვენს ეროვნულ სინამდვილეში პირველად გამოჩნდა საქართველოს მთის თემატიკა თავისი მართლაცდა განუმეორებელი ეგზოტიკით. ამასთანავე ქართულ მწერლობაში პირველად გაცნობიერდა მთის ადათობრივი სამართლით შეპირობებული საზოგადოებრივი ყოფის ნიადაგზე ამოზიდული კონფლიქტი საზოგადოების მორალურ-ეთიკურ მოთხოვნებსა და ადამიანის სულიერი თავისუფლებისაკენ ლტოლვის სურვილს შორის. რაფ. ერისთავმა ამით წარმოაჩინა ადამიანის ვალდებულებებისა და თავისუფალი მისწრაფებების შეუთავსებლობით განპირობებული დიდი ადამიანური ტრაგიზმი. ამით რაფ. ერისთავი ქართულ მწერლობაში ისეთ დიდ ხელოვანთა ლიტერატურულ წინამორბედად წარმოსდგა, როგორებიც იყვნენ ალ. ყაზბეგი და ვაჟა-ფშაველ-

ლა. მოთხრობა „ბეჩავში“ უკვე საესებით კონკრეტული სახე აქვს შეძენილი ადათობრივი სამართლის ნორმებზე დამყარებულ საზოგადოებასა და პიროვნებას შორის წარმოქმნილ იმ რთულ კონფლიქტს, რაც გარკვეული ასპექტით ვაჟა-ფშაველას ქმნილებათა მასალადაც იქცა.

რაფ. ერისთავს, პირველყოვლისა, რუსი მკითხველისათვის აქვს გამიზნული ეს მოთხრობა. ამიტომაც არა მარტო სათავგადასავლო იერი მიანიჭა მოთხრობის სიუჟეტურ ქარგას, არამედ გზა და გზა ყოფითი სპეციფიკის შინაარსის წარმოსაჩენად სათანადო შენიშვნა-განმარტებებიც დაურთო მოთხრობაში ასახული ამბის პასაჟებს.

„ბეჩავში“ გადმოცემული ამბავი შეუვარებული ფშაველი ქალ-ვაჟის, მშვენიერი მერცხალასა და ვაჟკაცობით ცნობილი ლაშქარას სიყვარულს ეხება. მოთხრობის ტრაგიკული კოლიზიის მიზეზად სისხლის ძიების ადათი გამოდის. უკვე დაწინდულ მერცხალასა და ლაშქარას ბედნიერებას წინ აღუდგა მათ თემებს შორის ამ_ტყდარი კონფლიქტი და კაცის კვლა. მერცხალას თემის წევრის სისხლში გასვრილ ლაშქარას თემის და პირადად მის წინაშე გადაულახავ დაბრკოლებად აღიმართება სისხლის ძიების ადათი, რომელიც თვით მიჯნურებსაც კი ერთმანეთის მტრობას ავალდებულებს. ტრადიციული ყოფითი მორალურ-ეთიკური ღირებულებები აქ წყვეტენ ერთმანეთზე გადაკიდებული თემების წევრთა სამიჯნურო სწრაფვების შესაძლებლობებს. მოთხრობის იდეა სწორედ ადათის მიერ დადებული ამ ზღვარის გადალახვისაკენ ლტოლვაში იკითხება. მერცხალასა და ლაშქარას ცნობიერება უკვე ყოფით გარემოზე ამაღლებისაკენ მიილტვის, რადგან მათში უკვე დაწყებულია პიროვნებად ჩამოყალიბების პროცესი. ჭეშმარიტ ადამიანურ ღირებულებათა შეგრძნება მათ ბედნიერების მოსაპოვებლად ადათობრივი არტახების ხელყოფის აუცილებლობას უკარნახებს. რაფ. ერისთავი მკითხველს უჩვენებს, თუ განცდათა რა დიდი შინაგანი ჭიდილის ფასად მაღლდებიან მისი პერსონაჟები სისხლის ძიების ადათის უსამართლობის და მისი დარღვევის შეგნებამდე. ამ შინაგანი სულიერი ჭიდილის არსი უფრო სრულყოფილი და მოტივირებულია მერცხალას განცდათა ფონზე. ლაშქარას სახე ამ თვალსაზრისით ნაკლებ გამოკვეთილია.

პიროვნების სულიერი თავისუფლებისაკენ ლტოლვის სიმძაფრე, სატრფიალო გზნებასა და მოვალეობას შორის ჭიდილით განპირობებული ტრაგიზმის სიღრმე განსაკუთრებით სრულყოფილად არის წარმოჩენილი მოთხრობის ფინალში, იქ, სადაც გონიერების ზღვარს სცდება ადათისადმი ფანატიკურად ერთგული ადამიანი და ადათის აღსრულებით სპობს სამყაროს მშვენიერებასა და სილამაზეს — ადამიანის სიცოცხლეს.

სისხლიანი დრამა მერცხალას სახლში გათამაშდა. ადათის მიერ დაცილებულმა მიჯნურებმა გაქცევა და სხვაგან ერთად ცხოვრება გადაწყვიტეს, რადგან სხვაგვარად ადამიანური ბედნიერების მოპოვება არ შეეძლოთ. მათ პიროვნულ პროტესტს თემის მორალურ-ეთიკურ ღირებულებათა წინაშე თვითგამოხატვის არავითარი სხვა პერსპექტივა არ გააჩნდა. თემი ჯერ კიდევ ძლიერი იყო თავისი შეუვალობით და ყრუ, ადამიანის იმ სულიერ მისწრაფებათა მიმართ, რომელნიც მისი არსებობის საფუძველთა საფუძვლის რყევის მომასწავებელი შეიქნებოდა. მერცხალას უჩუმრად წაყვანის მიზნით ლაშქარა ღამით შეიპარა მის სახლში. სიბნელეში გაუფრთხილებელმა მოძრაობამ გასცა შეყვარებულები. მერცხალას გამოღვიძებულმა მამამ, გამიხარდიმ, მის სახლში მტრადწაკიდებული ყოფილი სასიძო რომ იხილა, თოფს წამოავლო ხელი. მშობლიური სიყვარულის ძალას დანდობილი მერცხალა მიჯნურს აეფარა, მაგრამ ადათისადმი ფანატიკურმა ერთგულებამ მშობელში დაბინდა მამაშვილური გრძნობა. გამიხარდიმ თოფი თავის ერთადერთ ქალიშვილს დაახალა. მალე მერცხალას ბედი ლაშქარამაც გაიზიარა — ხმაურზე მოცვენილმა მეზობლებმა ლაშქარაც გამოასალმეს წუთისოფელს. მაგრამ ამით არ დასრულდა ამბავი. გამიხარდიმ ვერ გაუძლო ფსიქოლოგიურ დაძაბულობას და გაგიჟდა.

ასეთნაირად წარმოადგინა რაფ. ერისთავმა თავისი გმირების ტრაგიკული ფერისცვალება, სადაც ნათელი ადამიანური იდეალების მიღწევამ და პიროვნული თავისუფლებისაკენ ლტოლვამ უდიდესი მსხვერპლის გაღება მოითხოვა. აქ ერთი შეხედვით ისეთი შთაბეჭდილებაც იქმნება, თითქოს რაფ. ერისთავთან სიყვარულის და მოვალეობის პრობლემა მისი ტრადიციული ხალხური გადაწყვეტის სიბრტყეზე იყოს დანახული, რომლის მიხედვით სიყვარულის ყოვლისშემძვრელი ძალა ამსხვრევს ყოველგვარ არტახებს.

მაგრამ, ჯერ ერთი, ასეც რომ იყოს, თვით ხალხურშიც სიყვარულის უძლეველობა, პირველ ყოვლისა, ყოფით ღირებულებაზე ადამიანის ამაღლების მაუწყებელია, თავისთავად ადამიანის სულიერი თავისუფლებისაკენ ლტოლვის მაჩვენებელია, მეორეც, რაფიელ ერისთავთან ეს პრობლემა რომ ხალხურისაგან განსხვავებულ პლანშია გააზრებული, ამას ნათელყოფს თანამედროვეობისათვის აქტუალური ეროვნული და სოციალური საკითხების კიდევ უფრო გამკვეთრების ტენდენციაც. ამ ტენდენციის არსებობა განსაკუთრებით საგრძნობი ხდება მოთხრობის დასასრულს. ეს ხოშორაში დატრიალებული ამბისადმი რუსული ადმინისტრაციის დამოკიდებულებაში ჩანს.

რუსულმა მართლმსაჯულებამ ალღო ვერ აუღო მკვლელობის სისხლის ძიების ადათით განპირობებულობას და ამის გამო თავად ადათის ნაცვლად სრულიად უდნაშაულო ადამიანს — ლაშქარას დედას, სანდუას, — აგებინა პასუხი. ამბის ასეთი დასრულებით რაფ. ერისთავმა „ბეჩავის“ ფინალურ ნაწილში თავისი თანამედროვეობის კიდევ ერთი აქტუალური პრობლემა დააყენა. მან ნათელყო არა მარტო ადათობრივ სამართალზე დამყარებულ მორალურ-ეთიკურ ღირებულებათა დამლუპველობა პიროვნული თავისუფლების მოსურნე ადამიანისათვის, არამედ თავად ამ მორალურ-ეთიკურ ღირებულებაზე დამყარებული საზოგადოებრივი ყოფის ხელყოფა უცხო საზოგადოებრივი პრინციპების მხრივ, თემის ადათობრივ-საზოგადოებრივი ცხოვრების ნორმათა მსხვრევა რუსული ადმინისტრაციის მიერ. ეს პრობლემა შემდგომ მთელი სისრულით აისახა ალ. ყაზბეგის მოთხრობებში. ასე, რომ რაფ. ერისთავი ამ თვალსაზრისითაც მოგვევლინა ჩვენში ერთგვარი ლიტერატურული ტრადიციის დამამკვიდრებლად. მაგრამ რაფ. ერისთავი ამ მოთხრობით კიდევ ერთი ასპექტით წარმოსდგა ალ. ყაზბეგის ლიტერატურულ წინამორბედად. ესაა ადათისადმი ფანატიკური ერთგულების ექსტაზით შეპყრობილი ადამიანის მიერ ადათის დამრღვევი შვილის მკვლელობის მოტივი, რომელიც თავისი შემაძრწუნებელი სისრულით „ხევისბერ გოჩაში“ გამოვლინდა. ყველაფერი ეს კი თავისთავად მეტყველებს არა მარტო რაფ. ერისთავის „ბეჩავის“ მხატვრულ ღირსებაზე, არამედ მისი ქართულ მწერლობაში გავრცელების ძალაზეც და არეალზეც.

„ბეჩავში“ გამოჩნდა აგრეთვე მეფის მთავრობის ბიუროკრატიზმის კრიტიკის ტენდენციაც, რაც გარკვეული თვალსაზრისით ნაწარმოებში ამბის ეგზოტიკას არის ამოფჯრებული.

1857 წლის „ცისკრის“ მეხუთე და მეექვსე ნომერში გამოქვეყნდა რაფ. ერისთავის ვრცელი, მძაფრი სოციალური შინაარსით დატვირთული მოთხრობა „ნ ი ნ ო“. ამ მოთხრობაში უკვე ნათლად გამოიკვეთა ქართულ ეროვნულ ყოფაში რუსული კაპიტალიზმის შემოჭრის ნიადაგზე დაწყებულ ღირებულებათა გადაფასების რთული და ხანგრძლივი პროცესი; ოდესღაც ძლიერი ფეოდალური არისტოკრატიის ეკონომიკური საყრდენის რყევა, ამის საფუძველზე ეკონომიკური დაძაბუნების და დაუძლურების მტანჯველი განცდის გაცნობიერება თავადაზნაურთა შემეცნებაში, ძველ ზნეობრივ და მორალურ-ეთიკურ ღირებულებათა შინაარსისაგან დაცლის საშინელება და ფეოდალური არისტოკრატიის მიერ ამ გაუფასურებულ მოვლენათა დაცვის უაზრობით განპირობებული ადამიანური ტრაგიზმი, რეალობასთან შეუთავსებლობის მტანჯველი გრძნობის გაჩენა. მართალია, „ნინო“ აღნიშნული თვალსაზრისით, პრობლემის სრულყოფილად ჩვენების მხრივ, არ არის გასრულებული; მოთხრობაში არა ჩანს კაპიტალიზმის პირმშოს — სავაჭრო ბურჟუაზიის გამოსვლა საზოგადოებრივ ასპარეზზე, მაგრამ ამით მოთხრობას არ აკლდება სოციალური სიმძაფრე და საზოგადოებრივი ეღერადობა. მოთხრობაში კაპიტალიზმის შემოჭრის პროცესი შორეული, ჯერ ნაკლებად გაცნობიერებული, მაგრამ სავსებით კანონზომიერი და გარდაუვალი ახალი ყოფითი მოთხოვნების სახით არსებობს. იგი, მართალია, ჯერ გამოკვეთილად არ არის გაცნობიერებული, მაგრამ იმდენად საგრძნობი კი ‍ გამხდარა, რომ ტრადიციული ეროვნული ყოფა სავსებით მისი კანონზომიერების ზეგავლენას ექვემდებარება. რაფ. ერისთავს მოთხრობაში „ნინო“ უმთავრესად ამ ახალი კანონზომიერებებისადმი ეროვნულ-საზოგადოებრივი ყოფის დაქვემდებარების შინაარსის ჩვენება აინტერესებს. მისთვის სწორედ ძველი ღირებულების გაუფასურების მტანჯველი პროცესისა და ქართველი ადამიანის ფსიქიკაზე მისი ზემოქმედების ჩვენება არის მთავარი. ამგვარი ტენდენცია რთული სოციალური პროცესის ცალმხრივად წარმოჩენის საფრთხეს ქმნის და რაფ. ერისთავიც ვერ აცდა მას. ძველისადმი, ეროვნულ-საზოგადოებრივი ყოფის ზნეობ-

რივ, მორალურ და ეთიკურ ღირებულებებზე ყურადღების გადატანამ ერთგვარი სენტიმენტალურ-რომანტიკული იერი შესძინა მოთხრობას. მიუხედავად ამისა, რაფ. ერისთავმა მაინც შეძლო ურთულეს სოციალურ ცვლილებათა წარმოჩენა და ამაში მას ქართული ეროვნული ყოფის ზედმიწევნითი ცოდნა დაეხმარა.

რთული სოციალური მოვლენები მოთხრობაში კლასიკური მწერლობისათვის კარგად ცნობილი სასიყვარულო ურთიერთობის ფონზეა გადმოცემული. ნაწარმოებში სიუჟეტურ კვანძს ქმნის ადამიანთა ის რთული და დაძაბული ურთიერთობა, რომლის სხვადასხვა პოლუსზე დგანან ერთგული ცოლი, ოჯახური სითბოსადმი გულგრილი ქმარი და უარყოფილი, მაღალი ინტელექტის მქონე ახალგაზრდა კაცი. თუმცა ამ თავითვე უნდა აღინიშნოს, რომ რაფ. ერისთავი არ გაჰყვა ტრადიციულ გზას და ადამიანური დრამა არ დაუფუძნა ცოლის, ქმრის და მიჯნურის კლასიკურ სამკუთხედს. მან ამბავი ქართულ ეროვნულ ყოფით ტრადიციებზე გაშალა და სიყვარულისა და მოვალეობის პრობლემებში გადაზარდა. მან აჩვენა საზოგადოების ეთიკურ ღირებულებათადმი ბრმა მორჩილების დამღუპველი გავლენა ადამიანის ბედზე. კლასიკური მწერლობის ტრადიციული „ტრაგიკული სამკუთხედის“ მოხმობაც ამ მიზანს დაუქვემდებარა.

„ნინოში“ ასახულია XIX საუკუნის 50-იანი წლების ქართული ქალაქური ყოფა, საზოგადოების სულიერ-ინტელექტუალური ცხოვრების საწყისი ეტაპი, ძველი ტრადიციების აბსოლუტური ბატონობა საზოგადოებრივ აზრზე, ადამიანის გაღვიძებული პიროვნული ნების უძლურება საზოგადოების მორალურ-ეთიკურ ღირებულებათა წინაშე.

ახალგაზრდა თავადს, რუსეთში სწავლა-განათლებამიღებულ ალექსანდრე მერცხალაძეს, რომელიც თავისი ნიჭით და პიროვნული კეთილშობილებით საზოგადოებაში დიდი სიყვარულით სარგებლობს, შეუყვარდება სათნო და მომხიბვლელი ქალიშვილი ნინო. ახალგაზრდა თავადი თავისი ინტელექტით ბევრად მაღლა დგას თანამედროვეებზე. მან უარი თქვა ყმებზე და მამულზე და თავისი ცხოვრების მოწყობა სულიერი ინტერესების შესაბამისად განიზრახა. მაგრამ არც თვითონ აღმოაჩნდა საამისოდ აუცილებელი პიროვნული ურყეობა და არც მისი სასიცოცხლო ყოფითი გარემო აღმოჩ-

ნდა ამისათვის შემზადებული, ყმა-მამულზე უარის თქმამ იგი სულიერად ძლიერი ადამიანის მდგომარეობაში კი არ ჩააყენა საზოგადოების თვალში, არამედ სუსტი, მეოცნებე და ღარიბი კაცის სახელი დაუგდო. საზოგადოებრივი აზრი ყრუ აღმოჩნდა მისი ადამიანური იდეალების მიმართ. სწორედ სიღარიბის გამო დაიწუნა ალექსანდრე მერცხალაძე ნინოს დედამ და უარი განუცხადა სიძეობაზე. ალექსანდრეს ნაცვლად მან ქალიშვილი მდიდარ თავადს ლევან გორდაძეს მიათხოვა. ამ შემთხვევაში მშობლისათვის ადამიანის სულიერ შინაარსზე უკეთესი შვილის მატერიალური კეთილდღეობა აღმოჩნდა. ბედნიერების ნაცვლად მას ლამაზი იდეალები და იმედები თვალ და ხელშუა დაემსხვრა, რადგან ქართულ ეროვნულ ტრადიციებზე აღზრდისა და მეუღლეობის, დიასახლისობის ტრადიციული ზნეობრივ-ეთიკური შინაარსი უკვე გაუფასურებული იყო. კონკრეტულ სიტუაციაში ამ ფასეულობათა გადაფასებისადმი მოუმზადებელი აღმოჩნდა ნინოს ცნობიერება. ამან განაპირობა მისი ადამიანური ტრაგედია, ცხოვრების მრწამსად ქცეული იდეალების თვალწინ მსხვრევამ რომ გამოიწვია. ტრადიციულ ზნეობრივ-ეთიკურ ღირებულებათა გაუფასურების, შინაარსისაგან დაცლის საშინელება ლევან გორდაძის ცხოვრების ფონზე არის გათვალსაჩინოებული. ლევანმა თავისი უზნეო, ფუქსავატი ცხოვრებით საკუთარი ოჯახის ბედნიერება დაამსხვრია. მისმა უზნეობამ იმსხვერპლა უცოდველი მცირეწლოვანი შვილიც და ნინოც. მან ყველა გადაიყოლა, გაანადგურა ადამიანური თვალსაზრისით წმინდა და უბიწო, თავად კი ამ დანაშაულის შეცნობამდეც ვერ ამაღლდა.

რაფ. ერისთავმა შესძლო შთამბეჭდავი ყოფითი სურათის დახატვა, მაგრამ სათანადოდ ვერ გამოკვეთა მისი სოციალური იერ-სახე. რაფ. ერისთავი ნაკლებ ყურადღებას აქცევს იმ გარემოებას, თუ როგორ აპირობებს სოციალური სინამდვილე მისი პერსონაჟების ხასიათს და მრწამსს. სპორადული და ფრაგმენტულია საზოგადოებრივი წყობის კრიტიკა. მიუხედავად ამისა, მის პერსონაჟებს მხატვრული ტიპების შინაარსი აქვთ შეძენილი. ალექსანდრე მერცხალაძე, ნინო, ლევან გორდაძე ქართული მწერლობის ახალ ტიპებად შემოვიდნენ მკითხველის ცნობიერებაში, რადგან თითოეულის პიროვნული სამყარო, ცხოვრების წესი ჩვენი ეროვნული ყოფისათვის მეტად დამახასიათებელი აღმოჩნდა. რაფ. ერისთავის მოთხრო-

ბის ღირსებაა სწორედ ლიტერატურული ტიპების ხატვის ოსტატობით არის განსაზღვრული.

ქართულ ლიტერატურათმცოდნეობაში საგანგებოდ არის კიდევაც აღნიშნული რაფ. ერისთავის ამ მოთხრობის მხატვრული პერსონაჟების ტიპურობა და მითითებულია მათი დიდი გავლენის ძალა თანადროულ ქართულ მწერლობაზე. მაგალითად, ლევან გორდაძე აღიარებულია გ. წერეთლის იერემიად წარბას, ე. ნინოშვილის ტარიელ მკლავაძის წინამორბედ ტიპად. საერთოდ, „ნინოს“ დიდ ზემოქმედებას ხედავენ დანიელ ჭონქაძის „მორჩილზე“. ამ თვალსაზრისით. სპეციალური კვლევა-ძიებაც კი არის ჩატარებული და გამოვლენილია ტიპური პასაჟებიც.

მოთხრობის ერთ-ერთი მთავარი პერსონაჟი ახალგაზრდა, სათნო ქალიშვილი ნინო, რომელიც საზოგადოების ზნეობრივ-ეთიკური კრიტერიუმების გაუკუღმართების უცოდველ მსხვერპლად არის გამოყვანილი, თავისი პიროვნული სამყაროთი და მისწრაფებებით წარმოდგება XIX საუკუნის ქართული მწერლობის ერთ-ერთი საინტერესო ტიპის ადრეულ მხატვრულ სახედ. ნინო დ. კლდიაშვილის ირინეს („ირინეს ბედნიერება“) არქესახედ შეიძლება ჩაითვალოს.

რაფ. ერისთავმა ნათელყო, თუ რა ხელაღებით იქელებოდა ფეხქვეშ უკუღმართი საზოგადოებრივი ყოფის მიერ უპრეტენზიო, ეროვნულ-ზნეობრივ ნორმებზე აღზრდილი და მათი ხელაღებით დამცველი ქალის ადამიანური ღირსება. ნინო მორჩილი, პასიური, თვინიერი ადამიანია, მისთვის უცხოა პიროვნული შეუვალობის და ღირსების დაცვის გრძნობა. ტრადიციული აღზრდა მას ქმრისადმი და ოჯახისადმი ერთგულებას და ჭირთა თმენას ავალდებულებს. ქალურობის ტრადიციული სტატუსის ბრმად დაცვა კი მშობლის ნება-სურვილისადმი უსიტყვოდ მორჩილებას აიძულებს. ნინო პირველი ნახვისთანავე მოიხიბლა ალექსანდრე მერცხალაძის პიროვნებით. მის მამაკაცურ ღირსებაში დაინახა თავისი სიქალწულის ნაზი ოცნებების ხორცშესხმა. ხიბლი უცაბედადვე ალექსანდრესადმი სიყვარულში გადაეზარდა და სულის სიღრმეში უკვე შეჰხაროდა ამ ოცნებათა ცხოვრებაში აღსრულების ბედნიერი წამების დადგომას. მაგრამ ნინო არ იყო თავისი ბედის განმგებელი და სიყვარულით ნაბოძები ბედნიერება ვერ დაიცვა, ვერ შეინარჩუნა. დედის გული ყრუ აღმოჩნდა ქალიშვილის პიროვნული მისწრაფებებისადმი. მან

ხელის ერთი დაკვრით დაამსხვრია ნინოს ოცნებები. შვილი ალექსანდრე მერცხალაძეზე ბევრად მდაბალი ღირსების ადამიანს, ლევან გორდაძეს, მიათხოვა, რომელიც ალექსანდრესთან შედარებით მდიდარი იყო — ბევრი ყმის და დიდი მამულის პატრონი. ნინოს არავინ ჰკითხა, სურდა თუ არა მას ლევან გორდაძესთან ოჯახის შექმნა, მაგრამ მოთხრობაში მთავარი იმის ჩვენებაც იყო, რომ ორც ნინოს უცდია თავისი სიყვარულის დაცვა, ერთი სიტყვითაც არ გამოუხატავს პროტესტი დედის უსამართლო გადაწყვეტილების მიმართ. დედის პირით ნინოს აღზრდის ტრადიცია და ზნეობრივ-ეთიკური ნორმები უყენებდნენ მორჩილების მოთხოვნებს. გრძნობდა ქალწული თავის დაღუპვას, მაგრამ ნუგეშად მსხვერპლის გაღების გარდუვალობაღა რჩებოდა. ნინო ბოლომდე ამ ბრმა მორჩილების ერთგული დარჩა და მის მსხვერპლად იქცა. მრავალი დამცირება და აბუჩად აგდება გადაიტანა ნინომ ქმრის ხელში. ქმარმა მასზე გული აიცრუა, ღალატით შებღალა მათი ცოლქმრობა, უზნეობით გაამწარა ქალი და ა. შ. ნინო კვლავ აღზრდის ტრადიციებზე დაყრდნობილი მოთმინებითა და ქმრის ნებისადმი უსიტყვო მორჩილებით ვარაუდობდა მეუღლის სიყვარულის და პატივისცემის დაბრუნებას. მაგრამ იგი იმასაც კარგად ხედავდა, თუ როგორ ღრმავდებოდა თანდათან გაუგებრობის უფსკრული მასსა და ლევანს შორის, თუ როგორ გაუსაძლისი ხდებოდა დღითიდღე ქმრის წარმოუდგენელი უზნეობა და აღვირახსნილობა. დიდი დარდის გაუზიარებლობა გახდა ნინოს ცხოვრების სულიერი ტანჯვის კიდევ ერთი ფორმა. საქმე იქამდე მივიდა, რომ ნინოში საბოლოოდ ჩაკვდა ადამიანი, მისთვის ცხოვრებამ საერთოდ დაკარგა აზრი. მისი სულიერი კვდომა ცხოვრებასთან მაკავშირებელი უკანასკნელი სიმის გაწყვეტამ — შვილის საშინელმა სიკვდილმა დაასრულა. უზნეო ლევან გორდაძემ თავის ერთადერთ ჩვილ ვაჟიშვილს ღვინო შეასვა და ძალით დაათრო ბავშვი. სიმთვრალემ იმსხვერპლა ბიჭუნას სიცოცხლე. ამ საშინელების ატანა ვეღარ შეძლო ნინომ და შვილის ბედი გაიზიარა. ასე დაასრულა სიცოცხლე ადამიანმა, რომლის ცნობიერებაში პიროვნული ბედნიერების მიღწევის გზად ტრადიციული აღზრდის ზნეობრივ მოთხოვნათა ზედმიწევნით დაცვა წარმოსდგებოდა.

ლევან გორდაძის სახით რაფ. ერისთავმა წარმოადგინა XIX საუკუნის საზოგადოებრივი ყოფის მიერ სულიერად დამახინჯებუ-

ლი და დეგრადირებული ადამიანის ტიპი. მართალია, რაფ. ერისთავი ნაკლებ ყურადღებას აქცევს ლევანის ცნობიერების სოციალური გარემოთი განპირობებულობის ასპექტს, მაგრამ დიდი სიზუსტით ხატავს მსგავსი ტიპების ცხოვრებაში გაჩენის რთულსა და მტანჯველ პროცესს.

ლევან გორდაძე ჩვეულებრივი ყმაწვილი იყო, მისი წრის ბავშვებთან ერთად სწავლობდა სასწავლებელში, მაგრამ შემდეგ მის ცხოვრებას გაუკუღმართების კვალი დაეტყო. ეს ჯერ სწავლისადმი გულაცრუებაში გამოიხატა, შემდეგ საქმე იქამდე მივიდა, რომ მან მასწავლებელზე აღმართა ხელი. რაფ. ერისთავი ლევანის არსებაში მომხდარ უკეთურ ძვრებს ახსნას თავისი პერსონაჟის ბუნებაში უძებნის და უგულებელყოფს სოციალური სინამდვილის გავლენას, სწავლების უკუღმართი სისტემის დამღუპველობას და ა. შ. ამ მხატვრული სისუსტის მიუხედავად მწერალი მაინც ახერხებს თავისი პერსონაჟის სულიერი დაცემის ჩვენებას. ამ ტენდენციაში ირეკლება რაფ. ერისთავის მიერ ამბის ზნეობრივ ასპექტში გამოსახვის მოთხოვნილება. აქ მწერალს საზოგადოების მორალურ-ეთიკურ ღირებულებათა გაუფასურების მიზეზად ადამიანის ზნეობრივი დაკნინება მიაჩნია.

ლევან გორდაძის უზნეობაში მწერალი ბრალს სდებს მის აღმზრდელ მამიდას, რომლის შემეცნებაში წოდებრივი პრივილეგიები ზნეობრივი და მორალური კოდექსისაგან გათავისუფლების უფლებას ანიჭებს ფეოდალური არისტოკრატიის წარმომადგენლებს. ბატონყმური მორალი მებატონეს აბსოლუტურ პიროვნულ თავისუფლებას ანიჭებს. რაფ. ერისთავი ნათელყოფს, რომ სწორედ ქცევის ეს აბსოლუტური თავისუფლება ღუპავს ლევან გორდაძეს.

სწავლაზე გულაცრუება ლევანის მამიდამ დიდ ცოდვად არ ჩათვალა. ადრე დაობლებულ ძმიშვილს ცხოვრების ტრადიციული ასპარეზი შესთავაზა — ყმა-მამულის მოვლა-პატრონობა. ლევანიც სიხარულით დათანხმდა მამიდას და სოფელს მიაშურა. რაფ. ერისთავი ამ ადგილას მეტ თანმიმდევრობას და მოქმედების მეტი მოტივირების უნარს იჩენს. იგი უჩვენებს მკითხველს, რომ ლევან გორდაძე პიროვნულად შეუმზადებელი აღმოჩნდა საამისოდ. მამულის მოვლა-პატრონობა დიდი ტვირთი იყო გონიერი ადამიანისათვის, მაგრამ არსებული საზოგადოებრივი წყობა სრულიადაც არ

აგრძნობინებდა თავადს ამ უკმარობას. მამულის მოვლა-პატრონობა საკმაოდ პირობით ცნებად რჩებოდა, რადგან იგი მებატონის თავგასულობის და დროსტარების უნარში გამოიხატებოდა. ლევან გორდაძეს სოფლის ეგზოტიკა იზიდავდა და არა მამულის ბედი. ლოთობას და გართობას გადაყოლილი მებატონე მალევე დაუბრუნდა ქალაქს, რადგან სოფლური ყოფა ამ მხრივ ნაკლებად პერსპექტიული აღმოჩნდა მისთვის. ლევან გორდაძისათვის დიდი ხანია აზრი ჰქონდა დაკარგული ოჯახს, სიყვარულს, ნათელ ადამიანურ იდეალებს. მან ცოლიც მისი მზითვების გამო შეირთო, რადგან ხელგაშლილი ცხოვრებისათვის მის მადაგახსნილობას უფულობა ბოჭავდა, ნინოს მზითვად კი საკმაო თანხა და მამული მოჰყვებოდა. ამან კიდევ უფრო დააჩქარა ლევან გორდაძის ჩაძირვა უკვე დეგრადაციის გზაზე დამდგარი თავისი ღვიძლი სოციალური კლასის უკანასკნელ ნაშიერთა უშინაარსო ყოფაში. მან სიცოცხლე მოუსწრაფა ერთადერთ შვილს, სიცოცხლე მოუშხამა ცოლს და ნაადრევად მიიყვანა სამარის კარამდე, მაგრამ ვერაფერმა გამოაფხიზლა მისი გონება, მათ შორის ვერც დიდი პიროვნული დანაკარგის ტრაგიზმის საშინელებამ. ბახუსის ბურანში მყოფის ცნობიერებაში წამიერად გაიელვებდა საკუთარი ყოფის უაზრობის შეგრძნება, შემდეგ მისი არსება კვლავ უაზრობის უკუნში იძირებოდა.

ლევან გორდაძის სახის ტიპურობა თავად რაფ. ერისთავის თანადროულმა საზოგადოებრივმა ყოფამ ნათელყო და ქართულ მწერლობაში მისი მსგავსი ადამიანების გაჩენითაც დადასტურდა.

XIX საუკუნის 60-იანი წლებისათვის უაღრესად დამახასიათებელ ტიპად წარმოსდგა მოთხრობის კიდევ ერთი პერსონაჟი ალექსანდრე მერცხალაძე. იგი ქართულ ლიტერატურათმცოდნეობაში სამართლიანად ჩაითვალა ე. წ. ზედმეტი ადამიანის ერთ-ერთ ადრეულ სახედ. ალექსანდრე მერცხლაძის ტრაგედია საზოგადოების მორალურ-ეთიკურ ღირებულებაზე ამაღლებული პიროვნების ტრაგედიაა. იგი იმ ადამიანების ერთ-ერთი ადრეული წარმომადგენელია, რომელთა სულიერ მისწრაფებათა მიმართ ყრუ რჩება საამისოდ შეუმზადებელი საზოგადოებრივი ყოფა. მისი ნიჭი, განსწავლულობა უსარგებლო გამოდის საზოგადოებისათვის, რადგან პრაქტიკული გამოყენების ასპარეზი თუ პერსპექტივები ჯერ კიდევ არ ჩანს. ალექსანდრე მერცხალაძემ ფეხი ვერსად მოიკიდა, ნიჭიერე-

ბა ვერ გამოდგა ცხოვრების საყრდენად. ყველგან უადგილოდ და უწილოდ დარჩა. ვერც ყმებსა და მამულზე უარის თქმა გაუგეს სწორად. მის სულიერ ინტერესებს მხოლოდ ბოჰემური ცხოვრების პერსპექტივა შეაგება ეროვნულმა ყოფამ, თუმცა ეს ცხოვრება, უპირველეს ყოვლისა, ამ სულიერ ინტერესებს დაემუქრა მოსპობით. ამიტომ ალექსანდრემ სხვა გზას დაუწყო ძიება. მაგრამ მას არ აღმოაჩნდა ცხოვრებაში თვითდამკვიდრების უნარი. უწილოდ დარჩენა გახდა მისი არსებობის ნიშანი, რადგან, ძლიერი ინტელექტის მიუხედავად, მას არ აღმოაჩნდა არც პიროვნული ინტერესების დაცვის სურვილი და უნარი. სიძეობაზე უარს იგი ისევე ბრმად დაემორჩილა, როგორც მისი გულისრჩეული ნინო. ნინოს მსგავსად არც მან სცადა სიყვარულის გადარჩენა, ბედს ბრმად დაემორჩილა და დიდი ნაღველის მუდმივი თანამგზავრობა დაიტოვა პირველი სიყვარულის ნათელ მოგონებად. ასე, ყველასაგან უარყოფილმა და მიუსაფარმა, დაასრულა თავისი სიცოცხლე ჩაჩნეთის ომში.

ნაწარმოებში გადმოცემული ამბის მიხედვით ნინოს გათხოვებიდან რამდენიმე წლის შემდგომ ალექსანდრე მერცხალაძე ყოფილი მიჯნურის მამულის განმგებლად გვევლინება. როგორც მამულის მზრუნველისათვის, ალექსანდრესათვის საყვარელ ადამიანთან სიახლოვის ახალი პერსპექტივები გადაიშალა. ქმრისაგან ნინოს უარყოფა და აბუჩად აგდება ერთი შეხედვით ამ სიახლოვის დამატებით პერსპექტივებზე ოცნების საფუძველსაც აპირობებდა. ამბის ამგვარი მოტივაცია არცთუ ისე უცხოა კლასიკური მწერლობისათვის. რაფ. ერისთავმა ეს პასაჟი იმიტომაც შეიტანა მოთხრობაში, რათა ამ ფონზე უფრო დამაჯერებელი გაეხადა თავისი პერსონაჟების ზნეობრივი სრულყოფილება. გულში ღრმად ჩამარხული, მაგრამ ჯერ კიდევ ცოცხალი სატრფიალო გზნების არსებობის მიუხედავად (მის არსებობაზე კი ალექსანდრეს ნინოს მამულის მზრუნველობაზე თანხმობა მიგვანიშნებს), ნინომ და ალექსანდრემ ბოლომდე შეინარჩუნეს ზნეობრივი უბიწოება და პიროვნული ღირსება. ისინი არასოდეს დასულან ლევან გორდაძემდე. ბოლომდე იმ შეგნებით დარჩნენ, რომ ჭეშმარიტი ადამიანურობა ტანჯვასა და ამ ტანჯვის ატანის უნარში იკითხება. სწორედ ადამიანური სიცოცხლის ამგვარ გააზრებაშია რაფ. ერისთავის მოთხრობა „ნინოს“ დიდი ღირსება და

ამ ნიშნითაც გამოდგა იგი მნიშვნელოვანი XIX საუკუნის 60-იანი წლების ქართული მწერლობისათვის. ამის გამოხატულება იყო მოთხრობისადმი ის საყოველთაო ინტერესი, რომელიც ქართველმა საზოგადოებამ და ქართულმა თუ რუსულმა ლიტერატურულმა კრიტიკამ გამოიჩინა. მწარე წკეპლასავით გაიტყლაშუნა მოთხრობის მამხილებელმა პათოსმა. „ცისკრის" რედაქტორის, ივანე კერესელიძის, მოწმობით ლევან გორდაძის სახეში იმდროინდელ ქართველ მებატონეთა შორის რეალური პროტოტიპიც კი შეიცნეს. ეს კი გარკვეულად მოთხრობის დიდი მხატვრული სიმართლის მაუწყებელი იყო, რაც მისი სიცოცხლისუნარიანობის პირობადაც წარმოსდგებოდა.

მოთხრობა „ლიტერატურული საღამო" 1862 წელს გამოქვეყნდა ჟურნალ „ცისკრის" მეთერთმეტე ნომერში. იგი რუსული სათაურით დაიბეჭდა — „ლიტერატურნი ვეჩერ". ამ მოთხრობაში რაფ. ერისთავმა XIX საუკუნის 60-იანი წლების ქართველი ინტელიგენციის ერთი ნაწილის ინტელექტუალური უნიათობა და ყალბი მამულიშვილობა აქცია მკაცრი გაკიცხვის ობიექტად. აქტუალობის, დროის მოთხოვნებთან შესაბამისობის თვალსაზრისით „ლიტერატურულმა საღამომ" დაჩრდილა ყველა სხვა ნაწარმოები და დიდი მნიშვნელობა იქონია ეროვნული ცნობიერების ჩამოყალიბებაზე.

რაფ. ერისთავმა ამ მოთხრობაში გააცნობიერა და დაუნდობელი გაკიცხვის საგნად აქცია ცრუ პატრიოტობის, მოჩვენებითი მამულიშვილობის მავნე და უაღრესად საშიში ტენდენცია, რომელიც განსაკუთრებით თერგდალეულთათვის უნიჭო მიმბაძველობის სახით დამკვიდრდა და სიყალბის გამო საიმდროო ჭეშმარიტი ეროვნული იდეალების გაუფასურების საშიშროება შექმნა. მოთხრობის სიუჟეტური ქარგა ისეთნაირად ააგო მწერალმა, რომ მთლიანად გააშიშვლა ამ მავნე ტენდენციის არსი და მისი ნაირ-ნაირი გამოვლინებანი. „ლიტერატურული საღამოს" მხატვრული პერსონაჟებისათვის მიკუთვნებულ გვარ-სახელებშიც ჩააქსოვა რაფ. ერისთავმა მათი „იდეალების", მოქალაქეობრივი პოზიციის სიცრუე და უნიათობა. გიორგი ქარიბერტყოვი, ივანე ლაფანოვი, დიმიტრი მოლაროვი, აპოლონ მრავალძარღვოვი ის ადამიანები არიან, რომელთა

მცდელობა ეროვნული ლიტერატურის აღორძინებისათვის მხოლოდ საზოგადოებისათვის თავმოსაწონებელი ნიღაბია. ამ ნიღბებით ცდილობენ ისინი დროის მდინარების „მღვრიე წყალში“ თევზის დაჭერას. უნიჭობას და მოქალაქეობრივ სიბეცეს, მაღალპათეტიკურობას აფარებენ და ერისათვის მრავალტანჯულ მაშვრალებად ასაღებენ თავს. ეს მაშინ, როცა სხვის ფეხის ხმას აყოლილებს ეთაკილებათ კიდევაც ქართული ეროვნული ყოფის ბუნებრივ ზნე-ჩვევათა დაცვა, რადგან ვითომცდა მათი „მაღალი ინტელექტუალური თვალსაწიერიდან“ ისინი ჩვენი ხალხის მდაბალი გემოვნების გამოვლენად ეჩვენებათ. ეროვნულისადმი ტრფიალი ასეთი ადამიანებისათვის მხოლოდ პოზაა, რომლის მიღმიდანაც აბსოლუტური უვიცობა იმზირება. ამ მხრივ ტიპურია „ლიტერატურული საღამოს“, როგორც ეროვნული მწერლობის განვითარების ერთი ფორმის, „სულისჩამდგმელი“ გიორგი ქარიბერტყოვი. ყველაზე მოხერხებულად სწორედ ეს პიროვნება ფარავს პიროვნულ უვიცობას და ცრუპატრიოტობას. მას ოჯახში გარეგნულად ზედმიწევნით ეროვნული გარემო შეუქმნია. ოთახები დაუმშვენებია ქართული ყოფისათვის დამახასიათებელი ხალიჩებით, თასებით, აზარფეშებით, ეროვნული სამუსიკო საკრავებით, მაგრამ მაინც ვერ დაუფარავს ამ გარემოს ეროვნული სულით აღუსებლობა. ეს უკვე ოჯახში დამკვიდრებულ დამახინჯებულ რუსულნარევ მეტყველებაშიც ვლინდება.

მშობლიური ლიტერატურის სვე-ბედზე „მძაფრი კამათის“ ფონზე თვალსაჩინოდება მათი ცრუმამულიშვილობის კიდევ ერთი ნიშანი — კამათის საგნის — ქართული მწერლობის სრული უცოდინარობა. ამ კამათს თავისთავად მამხილებელი მიზანდასახულობის გარდა კიდევ უფრო დიდი და მნიშვნელოვანი ქვეტექსტი გააჩნია. რაფ. ერისთაეი თავად იმ ადამიანთა სჯა-ბაასის ფორმით უცნობიერებს მკითხველს ქართული მწერლობის, ჟურნალ-გაზეთების სავალალო მდგომარეობას, რომელთა ყალბი მოქალაქეობრივი პოზიცია აყენებს მათ ასეთ მდგომარეობაში. თავისთავადი მნიშვნელობა ჰქონდა სწორედ ამ მდგომარეობის ყველა ნიუანსის წარმოჩენას. მკითხველი, მწერლის ჩანაფიქრით, სწორედ ამ მძიმე მდგომარეობას უნდა ჩაეფიქრებინა და ქარიბერტყოვებისაგან, მოლაროვებისა თუ მრავალძარღვოვებისაგან განსხვავებული, რეალური გზე-

ბი უნდა ეძებნა ჩვენში ლიტერატურული ცხოვრების გამოსაცოცხლებლად.

„ლიტერატურულ საღამოში“ რაფ. ერისთავმა მძაფრი კრიტიკის საგნად აქცია ცრუპატრიოტების მიერ ასევე გაუაზრებელი დაცვა მშობლიური ენის „ხელშეუვალობისა“. დაცინვისა და გაკიცხვის ღირსად სცნო მწერალმა ყავლგასული და უკვე შინაარსდაკარგული ლიტერატურული თემებისადმი ერთგულება და ქართული მწერლობის წინსვლა-განვითარების უტყუარ გზად მისი ცხოვრებასთან დაახლოება, მძაფრი ეროვნულ-სოციალური პრობლემატიკით ავსება გამოაცხადა. პოეტის მამხილებელი ტენდენციის გამომხატველად მოთხრობაში ქართველი თავადი სოლომონ მოლაღურაშვილი გამოდის. დიდი მოქალაქეობრივი ღირსებით არც ეს პიროვნება გამოირჩევა, მაგრამ მას სხვებთან ერთი უპირატესობა მაინც გააჩნია: ქართული მწერლობის სასიცოცხლო ინტერესებისაგან შორს დგომას იგი არ მალავს და არც სხვებს ურჩევს მამულისათვის ჯვარცმულობის უნიჭოდ მორგებული ნიღბის ტარებას. დიდ ბოროტებად სოლომონ მოლაღურაშვილი სწორედ ცრუპატრიოტიზმს მიიჩნევს. ქართული მწერლობის ბედ-იღბალზე „მზრუნველი“ ახალგაზრდების ორთაჭალაში საქეიფოდ წასვლის შეთავაზებით და დროსტარებისადმი მათი დახარბებულობით სოლომონ მოლაღურაშვილი საბოლოოდ აშორებს მათ პოზიორობის ნიღბებს. ორთაჭალისაკენ მსრბოლავი ეტლების ხმაურში დიდ წუხილად გაისმის რაფ. ერსთავის სიტყვები: „ვაი, ქართულო ლიტერატურავ!“ ასე მთავრდება ეს დიდი მხატვრული ღირსების და უფრო დიდი ეროვნულ-სოციალური ეღერადობის მოთხრობა, რომელიც თავისი მამხილებელი მიზანდასახულობით ქართული მწერლობის საჭირბოროტო საკითხების ჩვენებასთან ერთად თვით ავტორის აქტიურ მოქალაქეობრივ პოზიციასაც წარმოაჩენს.

რაფ. ერისთავის მოთხრობათა განხილვა უეჭველს ხდის მისი პროზაული თხზულებების ღირსებას. თან ეს თანაბრად ეხება როგორც მისი თხზულებების აქტიურ ეროვნულ-სოციალურ პრობლემატიკას, ასევე წმინდა ლიტერატურული თვალსაზრისით ახალი თემების შემოტანას. მიუხედავად პროზაული თხზულებების რაოდენობრივი სიმცირისა, რაფ. ერისთავმა ქართულ მწერლობაში შემოიტანა და დაამკვიდრა ის თემები, რომელთა შემდგომში დაყენე-

ბასა და პასუხში გამოიკვეთა XIX საუკუნის ქართული მწერლობის სახე და შინაარსი. ამ თემათა და პრობლემათა აქტუალობა შემდგომში სხვა ქართველ ხელოვანთა მიერ მათი ნაირ-ნაირი ასპექტით წარმოჩენაშიც გამჟღავნდა. ყველაფერმა ამან კი ნათელყო, რომ, პოეზიასთან ერთად, რაფ. ერისთავის პროზასაც აღმოაჩნდა ზემოქმედების ის ძალა, რომელმაც მწერალი ბევრი ქართველი მწერლის ერთგვარ ლიტერატურულ წინაპრად აქცია.

რაფ. ერისთავის პროზაულ ქმნილებათა სიბრტყეზე განსახილველია მწერლის მხატვრულობის ნიშნით გამორჩეული მცირე მოცულობის ყოფითი სურათებიც, ე. წ. **„სცენები“**, ანუ **„სურათები ხალხის ცხოვრებიდან“**.

ქართულ ლიტერატურისმცოდნეობაში თავისი მხატვრული ეფექტის გამო „სცენები“ რაფ. ერისთავის დრამატულ ნაწარმოებებთან არის გათანასწორებული. ამის საფუძველი, მართლაც, არსებობს. რადგან ზოგიერთი „სცენის“ მხატვრული სტრუქტურა შეიცავს სასცენო განსახიერების შესაძლებლობებს. სცენებში მწერლის იდეური ჩანაფიქრი მჟღავნდება მოქმედ პირთა დიალოგებში. პერსონაჟთა მეტყველება დაახლოებული არის ხალხის სამეტყველო ენასთან, ენობრივი მეტყველების ფორმები ქართველი გლეხკაცის ლექსიკას ეფუძნება და ა. შ. მაგრამ ამასთან ერთად „სცენები“ მაინც რაფ. ერისთავის პროზაულ ქმნილებათა დამოუკიდებელ სახეობად უნდა ჩაითვალოს, რადგან ქართული ეროვნული ყოფითი სიტუაციების ამნაირად მოწოდების ტენდენციაში გამჟღავნებულია არა იმდენად ეროვნული ყოფის დრამატურგიული განსახიერების სურვილი, რამდენადაც სწრაფი რეაგირება ყოფით მოვლენებზე და მკითხველისათვის მისი ნატურალისტური სიზუსტით მიწოდება. რაფ. ერისთავი აღნუსხავს, აფიქსირებს თვით ყოფით დეტალებს, ობიექტური და მხატვრული სიზუსტის დაცვის მიზნით თავისი აღწერა-დახასიათებითა და რემარკებით არ ამძიმებს ამბავს და არ უცვლის ბუნებრიობას. თვით უმძაფრესი სოციალური და ეროვნული საკითხები „სცენებში“ ხალხის თვალით არის დანახული. დრამატული ნაწარმოებებისათვის დამახასიათებელ ავტორისეულ რემარკებს, ან მწერლის იდეის მხატვრული პერსონაჟის პირით გაცხადებას აქ ადგილი არა აქვს. მწერალი საერთოდ არ ჩანს. მწერლის ნიჭიერება „სცენებში“ ყოფიდან ტიპური მომენტების შერჩევაში

მეღავნდება. ეს უნარი და მხატვრული სიტყვის ყოფისადმი დაქ-ქვემდებარების ტენდენცია განსაკუთრებით დამახასიათებელია მისი პროზაული თხზულებებისათვის. „სცენების“ პროზაულ ნაწარმოებებად აღქმის მართებულობაზე სხვასთან ერთად მეტყველებს მათდამი მწერლის თანამედროვეთა დამოკიდებულებაც. ცნობილია, თუ რა დიდი გულისყურით ეკიდებოდა რაფიელის თხულებებს მისი თანამედროვეობა. სცენაზე სხვადასხვა დროს განსახიერდა მისი თითქმის ყველა ორიგინალური თუ გადმოკეთებული დრამატული ნაწარმოები, „სცენებს“ კი მსახიობები კითხულობდნენ დივერსიმენტების განყოფილებაში. ჟანრობრივ კუთვნილებას ამ შემთხვევაში არა აქვს პრინციპული მნიშვნელობა. მთავარი ის არის, რომ რაფ. ერისთავმა მცირე მოცულობის ქართული ყოფის ამსახველ მხატვრულ ნაწარმოებებში — „სცენებში“ — მოახერხა აქტუალური ეროვნულ-სოციალური პრობლემების გამომზეურება. „სცენების“ მხატვრული აზრი და ფუნქცია მწერალმა ქართველი ერის სოციალური და ეროვნული პროტესტის გაშინაარსიანების და ქართველი კაცის ეროვნული ცნობიერების გამოღვიძების მიზანს დაუქ-ვემდებარა.

რაფ. ერისთავის თანამედროვე სალიტერატურო კრიტიკამ მაღალი შეფასება მისცა „სცენებს“ და ისინი თანადროული ცხოვრების ფოტოგრაფიულ სურათებად სცნო. მათში, მართლაც, იშვიათი სიზუსტით გაიელვებს XIX საუკუნის მეორე ნახევრის ქართული ეროვნული ყოფის ნიუანსები, რომლებიც ტიპურობის ძალით ზოგად მახასიათებლად წარმოსდგება.

ერთ „სცენაში“ ფოკუსირებულია ორი ქალაქელი ყმაწვილკაცის ბონდოსა და ნაგლეჯუას შეხვედრა და საუბარი. ამ „სცენის“ მხატვრული ღირსება გამქღავნებულია, უპირველეს ყოვლისა, თვით ყოფითობის, ადამიანური ურთიერთობის, სასაუბრო ლექსიკის სპეციფიკაში, მეორეს მხრივ, კახელისა და ქართლელის მეტყველების დიალექტური თავისებურებების წარმოჩენაში. იქვე სხვა ყოფითი სიტუაციის ფონზე ნაჩვენებია ენობრივი რეფორმის მწვავე პრობლემისადმი რაფ. ერისთავის ზოგიერთი თანამედროვის დამოკიდებულების ხასიათი. „ალექსანდროვსკის“ ბაღში „ევროპულად ჩაცმული“ ახალგაზრდები, ევროპული ცივილიზაციის თვალსაწიერიდან „მაღალფარდოვნად“ მსჯელობენ ქართული ენის ბედ-იღბალზე, ენი-

სადმი დამოკიდებულებებზე. ამ საუბრის ფონზე პერსონაჟთა მეტყველებაში უადგილო, გაუმართლებელი რუსიზმების სიჭარბე წარმოაჩენს მათი მოქალაქეობრივი პოზის მოჩვენებითობას და სიცრუეს. რაფ. ერისთავი ამ მავნე და საშიში მოვლენის არსებობას ყოველგვარი მწერლური ჩარევის გარეშე, პერსონაჟთა მეტყველების ბუნებრივი სტილისა და ფორმის დაცვით ახერხებს.

ყოფითი კოლორიტის დაცვა აპირობებს აგრეთვე იმ სცენის მხატვრულ ღირსებას, რომელშიც ასახულია აზნაურების: ქაიხოსრო ქველიძის, პაპუნა ზავთიანის და ახალგაზრდა გურული გლეხის გიტოია გალოგრეს მგზავრობა და საუბარი. ამასთან ერთად პერსონაჟთა სჯა-ბაასში არის გათვალსაჩინოებული მათი ყოფითი ინტერესები, სოციალურ პრობლემათა შინაარსი და სხვა.

ზოგიერთ „სცენაში" ასახულია ძველი ქალაქური ყოფის უაღრესად შთამბეჭდავი კოლორიტი. კინტოების ვაჭრობა, დიდგვაროვან ქალბატონთა ყოფითი და სულიერი ინტერესები და, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, ქალაქის ისტორიული წარსულისათვის საინტერესო ცნობები, რომლებიც კვლავ პერსონაჟთა ყოველდღიურობაზე რეაგირების ფორმით არის მოწოდებული. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ამ თვალსაზრისით ერთი „სცენა" — „რამდენიმე სურათი ჩვენი ხალხის ცხოვრებიდან", რომელიც რაფ. ერისთავმა 1870 წელს გაზეთ „დ რ ო ე ბ ა შ ი" (№43) გამოაქვეყნა. ამ სცენებში მოხუცებული აზნაურის, ოთარ გვერდელისა და ბარძიმ ხბოსფეხაშვილის, საუბარია გადმოცემული. ქალაქიდან დაბრუნებული ბარძიმ ხბოსფეხაშვილი თანამოსაუბრეს უამბობს დედაქალაქის აღმშენებლობის ამბებს, რომლებმაც გააოცეს ეს დროული კაცი თავისი მასშტაბებით. „კაი ქალაქი გაკეთებულა! ყაბახს ვეღარ იცნობ; გარეთუბანს ...ხომ გახსომს, რამოდენა ნახნავები იყო ხოლმე ქაშვეთს ზემოდან!.. ახლა, ორი ამ ნიგვზის სიმაღლე სახლები დაუდგამთ, ავანაანთ ხევი აღარ არის. ამოუმსიათ. დიღმის კარი რომ იყო, იქ ღვდლის შვილებისათვის სასწავლებელი დაუდგამთ; იმის პირდაპირ რომ გალავანი იყო ბატონისშვილის ბაღამდინ, იქ ახლა სულ სასახლეები და დუქნები გაუჭიმავთ"... ეს პატარა ყოფითი დეტალია ნაწარმოებში, მთავარი სასამართლოს ბიუროკრატიული სისტემის და მართლმსაჯულების ანგარებიანობის მხილება, მაგ-

რამ, როგორც ვხედავთ, ეს პატარა დეტალიც დიდ შინაარსს იტევს. დროის სრბოლა თურმე მაშინაც უსწრაფესად უცვლიდა იერსახეს თბილის ქალაქს. მისი ყოფითი კოლორიტი მაშინაც თვალსა და ხელს შუა იცვლიდა ფერს. რაფ. ერისთავი შესანიშნავად გრძნობდა ძველი სურნელის სამომავლოდ დაფიქსირების საჭიროებას და პერსონაჟთა დიალოგის ფორმით ყველაზე ბუნებრივ სურათს ქმნიდა. XIX საუკუნის მეორე ნახევარში იერს იცვლიდა ძველი თბილისის ტოპონიმიკაც, უკვალოდ ქრებოდა ძველი უბნები. მათი არსებობა კი არაიშვიათად ასეთი აღწერილობებით დასტურდება.

„სცენებში" რაფ. ერისთავმა აბსოლუტური სიზუსტით დააფიქსირა ეპოქის საზოგადოებრივი მაჯისცემა, ის ღრმა ცვლილებები, რომლებიც ქართველი ერის ისტორიაში ცხოვრების კაპიტალისტურ წესზე გადასვლას ახლდა. ამ ნაწარმოებების მამხილებელი ტონი, ყოფითი მოვლენების, უმეტეს შემთხვევაში, სატირულ სამოსელში გახვევა ამ მოვლენებისადმი მწერლის დამოკიდებულებასა და მის მოქალაქეობრივ პოზიციას ათვალსაჩინოებდა. ეს პოზიცია ნათელყოფდა, რომ რაფ. ერისთავი დემოკრატიულ გარდაქმნათა მოსურნე ახალი თაობის გვერდით იდგა. კაპიტალიზმის შემოჭრით განპირობებული ზნეობრივ, მორალურ, ეთიკურ ღირებულებათა გადაფასების რთულ პროცესს იგი ჭეშმარიტი მამულიშვილის პოზიციიდან აფასებდა. საზოგადოებრივ გარდაქმნათა ამ რთულ პროცესში იგი ქართველი ხალხის სასიცოცხლო ინტერესებისა და სამერმისო იდეალებისადმი დაქვემდებარების გზებს ეძიებდა. ეს ნათელყოფს, რომ კაპიტალიზაციის და ევროპეიზაციის პროცესი ჩვენში მაინც არ იყო სტიქიური. მან ვერ დათრგუნა ერის სამერმისო იდეალებისაკენ, ვითარცა ეროვნული ყოფის პერსპექტივებისაკენ, იმედიანი მზერა, ხოლო ამის გამო თავად პროცესი ამ ყოფის აღმოფხვრის გამოვლენად კი არ წარმოსდგა, არამედ ქართველი ერის ისტორიული განვითარების კანონზომიერ, სავალდებულო სტადიად იქცა.

რაფ. ერისთავის პროზაულმა თხზულებებმა თავიანთი თემატიკური სიახლითა და აქტუალობით მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს ქართული მწერლობის, კერძოდ, ქართული პროზის თემატიკისა და პრობლემატიკის სრულყოფაზე.

რაფ. ერისთავის დრამატურგია თანადროულობის მოთხოვნათა ნიშნით არის აღბეჭდილი.

მე-19 საუკუნის 50-იან წლებში გარკვეულად შემზადებული აღმოჩნდა ნიადაგი ეროვნული ყოფის დრამატურგიული განსახიერების მოთხოვნათა აღსაძვრელად. ამის საფუძველს ქმნიდა თვითშეცნობის შინაგანი მისწრაფება.

რაფ. ერისთავის ორიგინალურ და გადმოქართულებულ დრამატულ თხზულებათა სიუხვე ნათელყოფს მწერლის შემოქმედების ინტერესს დრამატურგიული განსახიერებისადმი. მაინც რით შეიძლება აიხსნას რაფ. ერისთავის გამორჩეული ინტერესი ეროვნული დრამატურგიისადმი?

როგორც ჩანს, რაფ. ერისთავის ლირიკული ტალანტი სავსებით შესაფერისი აღმოჩნდა იმისათვის, რომ ჩვენი ხალხის შეგნების მომწიფების პროცესში დრამატურგიულად მიმართულიყო და ამგვარივე ფორმა მიეცა თავისი ქმნილებისათვის, თუმცა ისიც აღსანიშნავია, რომ ხელოვანისათვის, რომელიც მხატვრული გამოსახვის საუკეთესო ფორმად ლირიკულ ჟანრს თვლიდა, უაღრესად მძაფრი სულიერი დატვირთვა იყო საჭირო, თავისი პიროვნული განცდებისათვის, დრამატურგიული ფორმა რომ მოეძებნა.

ლირიკოსი პოეტისათვის ეს იმდენად უფრო რთულია, რამდენადაც პიროვნული ადამიანური ლტოლვილებით თვითგამოხატვის ლირიკული ფორმა დრამატურგიაში ნაკლებ მისაღები ხდება. დრამატურგია ხელოვანისაგან მოითხოვს ისეთ ყოფით სიტუაციათა შემჩნევას და აღწერას, რომელიც თავისი ღირებულებით სცილდება უბრალო ყოფით კოლიზიას და განზოგადების ძალით საყოველთაო მნიშვნელობამდე აიზიდება. ამის მიუღწევლობა ხელოვანს ჩვეულებრივი ყოფით აღმწერის მოკრძალებული და სამწუხარო პერსპექტივის წინაშე აყენებს.

ამ კანონზომიერების ძალით დრამატული ნაწარმოების ავტორი უაღრესად რთული ამოცანის წინაშე დგას ყოველთვის. მან, როგორც ხელოვანმა, უნდა შეძლოს მრავალნაირად შესძრას მკითხველი, ე. ი. ნაირ-ნაირ სიტუაციაში ჩააყენოს იგი, რათა გაუთვალსაჩინოვოს მას დრამატული ნაწარმოების ამა თუ იმ პერსონაჟის,

ყოფითი სიტუაციის არსებობის ფაქტი, ხოლო ამ გზით საბოლოოდ დააჩქაროს ცნობიერების გამოღვიძების ურთულესი პროცესი. რაფ. ერისთავის შემოქმედება და მისი ცხოვრების გზა გვარწმუნებს, რომ მან ამ თვალსაზრისითაც შეძლო შთამბეჭდავი სიტყვის თქმა როგორც შემოქმედებით, ისე პრაქტიკული მოღვაწეობის სფეროში.

1850 წელს აღდგა ქართული თეატრი, რომელსაც სათავეში ჩაუდგა გ ი ო რ გ ი ერ ი ს თ ა ვ ი. ქართული თეატრი რეალისტურ დრამატურგიას დაეფუძნა, რაც თავისთავად მოასწავებდა ეროვნული ყოფის წიაღში მიმდინარე სოციალური ძვრების, ზნეობრივ ღირებულებათა გადაფასების სასცენო განსახიერებისადმი საგანგებო ინტერესის არსებობას. ამით ქართული პროფესიული თეატრი ქართველი ხალხის უმთავრესი ამოცანის — ეროვნული ცნობიერების გამოღვიძების — გადაწყვეტის რთული სოციალური პროცესის გასრულების საქმეში ჩაება. გ. ერისთავის თეატრმა და თეატრალურმა სკოლამ მძაფრი სატირა აქცია თანამედროვეობის სასცენო განსახიერების ეფექტურ ფორმად. გ. ერისთავის, ზ. ანტონოვის, ა. ცაგარლის, ბ. ჯორჯაძის, ი. კერესელიძის და სხვა ქართველ დრამატურგთა კომედიოგრაფია ასაზრდოებდა განახლებული ქართული თეატრის რეპერტუარს. ბუნებრივია, რომ ქართული კომედიური ჟანრი აბსოლუტური სისრულით წარმოაჩენდა ეპოქის სულისკვეთებას — კაპიტალისტურ საზოგადოებრივ, ზნეობრივ-ეთიკურ ფასეულობათა დამკვიდრების პროცესს ჩვენს ეროვნულ სინამდვილეში. ასე გაგრძელდა 1856 წლამდე, ვიდრე კვლავ შეწყდებოდა გ. ერისთავის თეატრის მაჯისცემა.

ქართული პროფესიული თეატრის დახურვა, ბუნებრივია, არ ნიშნავდა, საზოგადოდ, თეატრისა და დრამატურგიისადმი ქართველი საზოგადოების ინტერესის დაკარგვას. თეატრის, როგორც ქართველი ერის თვითარსებობის მტკიცების, ეროვნული პროტესტის გამოხატვის ერთი ფორმის, არსებობის ფასი ყველას შესანიშნავად ესმოდა. მისი გაუქმება სწორედ ძლიერმა მამხილებელმა პათოსმა და ეროვნული სასიცოცხლო ინტერესების საგანგებოდ წინა პლანზე დაყენების ტენდენციამ გამოიწვია.

თეატრის გაუქმებას არ მოჰყოლია ეროვნული დრამატურგიის განვითარებაზე უარის თქმა. პირიქით, ქართული დრამატურგია

დროის აქტუალურ მოთხოვნათა პოზიციიდან ფხიზლად ადევნებდა თვალს საზოგადოდ, დრამატურგიის განვითარების მსვლელობას და აქტიურად ეხმაურებოდა ყველა სიახლეს ამ სფეროში. ამ ინტერესების გამოხატულება იყო ქართულ სინამდვილეში ვოდევილის გაბატონება. XIX საუკუნეში 50-იანი წლებიდან ევროპული (საფრანგეთი) და რუსული დრამატურგიის ზეგავლენით ქართულ დრამატურგიაში გაბატონდა ვოდევილი. ევროპისა და რუსეთის მსგავსად ჩვენშიც ვოდევილი ბურჟუაზიული საზოგადოების ესთეტიკური ცნობისწადილის გამოხატულებად წარმოდგა. რა თქმა უნდა, ვოდევილის გაბატონებას მნიშვნელოვანი პოლიტიკური ქვეტექსტიც გააჩნდა: ყოფითობაზე, ეგზოტიკურობაზე ყურადღების გადატანის მიზანი სოციალური პრობლემატიკის მიჩქმალვა და ბურჟუაზიული ცხოვრების წესის იდეალიზაციაც იყო.

ვოდევილი ქართულ სინამდვილეში მკვიდრად უკვე 70-იანი წლებიდან დაეფუძნა. ვოდევილმა ქართული სცენიდან განდევნა კომედიაში გამოხატული მამხილებელი პათოსი. აკაკი წერეთლის („ბატონობა"), ბ. ჯორჯაძის, დ. ერისთავის, ვ. გუნიას, ი. გომართელის, ვ. აბაშიძის ვოდევილებმა შეადგინა 70—90-იანი წლების ქართული დრამატურგიის შინაარსი და ხასიათი. ამავე პერიოდში გამოჩნდა რაფ. ერისთავის პიესა-ვოდევილები: **„ჯერ დაიხოცნენ, მერე იქორწინეს"** (1868), „მბრუნავი სტოლები" (1868), „იქვიანი" (1870) და სხვა. რაფ. ერისთავმა აღიარებულ და მოდურ დრამატურგიულ ჟანრს მისი ბუნებრივი სახიერებისათვის ერთი შეხედვით სრულიად მოულოდნელი შინაარსი შესძინა — მძაფრი სოციალური პრობლემატიკა წამოსწია წინ, ხოლო ვოდევილისათვის დამახასიათებელი ყოფითი კოლორიტი ამ სოციალურის არსებობის ფონის ფუნქციით შემოფარგლა. ეს მნიშვნელოვანი სიახლე იყო, რამაც განაპირობა კიდევაც რაფ. ერისთავის დრამატურგიის აქტუალური ელერადობა და ღირებულება.

რაფ. ერისთავის დრამატული ნაწარმოებების უმეტესობა რუსულიდან არის გადმოკეთებული. ამ ნიშნით იგი. ბუნებრივია, ვერ ჩაითვლება ქართული დრამატურგიის მეტრად და კანონმდებლად, მაგრამ კონკრეტულ ვითარებაში მან მაინც დიდი როლი შეასრულა ქართული თეატრალური ცხოვრების განვითარებაში, მისდამი ინტერესის გააქტიურებაში. ათეული წლების განმავლობაში იდგმე-

ბოდა რაფ. ერისთავის კომედია-ვოდევილები ქართულ სცენაზე. ბევრმა მათგანმა ჩვენი თანამედროვეობისათვისაც შეინარჩუნა აქტუალური ყღერადობა. განსაკუთრებით ეს ითქმის კომედია-ვოდევილზე „ჯერ დაიხოცნენ, მერე იქორწინეს“, რომლის ნათელი იუმორი, ძველი ქალაქური ყოფითი კოლორიტი, თბილისის მკვიდრთა სოციალური სინამდვილით შეპირობებული ადამიანური ლტოლვები დღესაც კვებავს ჩვენი თანამედროვის ესთეტიკურ მისწრაფებებს.

რაფ. ერისთავის კომედია-ვოდევილების დროის მოთხოვნათა აღბეჭდილობას ნათელყოფს ერთი ტენდენციაც. თითქმის ყველა მათგანი შეფარდებულია კონკრეტული მსახიობის აქტიორულ მანერასთან და შესაძლებლობებთან. ამით შექმნილია პერსპექტივები როგორც მსახიობის სრული, ამომწურავი თვითგამოვლენისა, ასევე (და ამ გზით) ნაწარმოებში ჩაქსოვილი იდეური ჩანაფიქრის ზუსტი რეალიზებისათვის. ამ თავისებურებასაც უპირველესად რაფ. ერისთავის თანამედროვეებმა მიაქციეს ყურადღება. აღნიშნული თვალსაზრისით საინტერესო ცნობა აქვს შემონახული აკაკი წერეთელს. იგი მოგვითხრობს, თუ როგორ შეიქმნა რაფ. ერისთავის ცნობილი კომედია-ვოდევილი „ბიძიასთან გამოხუმრება“, რომელიც მწერალს. საგანგებოდ, ცნობილი ქართველი მსახიობების კ. ყიფიანის და მაკო საფაროვა-აბაშიძისათვის დაუწერია. რაფიელი და აკაკი სტუმრად ყოფილან ერთ ოჯახში, სადაც ახალგაზრდა, 16—17 წლის მაკო საფაროვას უთამაშნია და ყველა გაუოცებია თავისი აქტიორული ნიჭიერებით. ისეთი დიდი შთაბეჭდილება მოუხდენია ამას რაფიელ ერისთავზე, რომ მას სწორედ მაკო საფაროვას სამსახიობო ხელწერის შესატყვისად გადმოუკეთებია პიესა „ბიძიასთან გამოხუმრება“.

რაფ. ერისთავის ორიგინალური დრამატული თხზულებები „დედაკაცმა თუ გაიწია, ცხრა უღელი ხარის უმძლავრესია“, „პარიკმახერისას“, „ადვოკატები“, „ქაჩუა“ და სხვა ვოდევილური ელფერის მიუხედავად ქართული რეალისტური დრამატურგიის ტრადიციებს აგრძელებენ. რაფ. ერისთავის სიახლოვე გ. ერისთავის დრამატურგიულ სკოლასთან დასტურდება არა მხოლოდ თემატური სფეროთი, არამედ მხატვრული გამომსახველობის თვალსაზრისითაც. გ. ერისთავის შემოქმედებით სამყაროსთან ნათესაობა განსაკუთრებით აშკარაა კომიკური ეფექტის საშუალებათა ხმარებაში. ესაა ქარ-

თული ენის, პერსონაჟთა ლექსიკის, სასცენო მეტყველებაში ჟარგონის შემოტანის აშკარა ტენდენცია, სიტუაციური კომიზმის მისაღწევად მსგავსი ყოფითი სიტუაციების შემოტანა, ერთგვარი შტამპების გამოყენება და სხვა. რასაკვირველია, კომიკური ეფექტის, როგორც მხატვრული დონის შექმნის ასეთი ტენდენცია მაინცდამაინც ვერ ჩაითვლება. რაფ. ერისთავის ნიჭიერების, ანდა თავად მისი დრამატული ნაწარმოებების დიდი მხატვრული ღირსების დამახასიათებლად, აზროვნების სიღრმის დასტურად, მაგრამ ამ შემთხვევაში მხატვრული ეფექტი ყოფითობის ზუსტი კოპირების მიზანს ექვემდებარება.

თავისი ორიგინალური კომედია-ეოდევილების ერთ წყებაში რაფ. ერისთავი მიმართავს ჯერ კიდევ გ. ერისთავის მიერ დამკვიდრებულ და თავისი თანადროულობისათვის მოარულად ქცეულ სიუჟეტურ ქარგას. სიტუაციური კომიზმის საფუძვლად აქცევს ხელმოკლე ქართველი თავადიშვილისა და მდიდარი სომეხი ბურჟუას ანდა ჩარჩ-ვაჭრის დამოყვრებას, ვაჭრის მიერ ფეოდალური არისტოკრატიის უუნარო ნაშიერის სიძეობაზე უარს. უცვლელი რჩება რაფ. ერისთავთან კომიკური ეფექტის მიღწევის მხატვრული ხერხები, მხატვრული პერსონაჟები: არისტოკრატიული იერის ხელმოკლე ქართველი თავადი, კომიკური იერის სომეხი ვაჭარი, მისი ლამაზი გარეგნობის ასული, ხელზე მოსამსახურე იმერელი ბიჭი, და ა. შ. კომიკურ ეფექტს აძლიერებს დიალექტებზე და ჟარგონზე დაფუძნებული პერსონაჟთა ლექსიკა და მეტყველების მანერა. ასეთი ტენდენცია ყველაზე აშკარად შეინიშნება პიესაში „დედაკაცმა თუ გაიწია, ცხრა უღელი ხარის უმძლავრესია". კომიზმს ამ პიესაში გაკოტრებული თავადის გრიგოლ სირმაძის და მდიდარი ვაჭრის არტემ მინაიჩ დოვლათოვის ქალიშვილის, კეკელას, სიყვარული აპირობებს, კეკელა მამის სურვილის წინააღმდეგ ჩუმად მიჰყვება გრიგოლ სირმაძეს.

ვოდევილს ფორმითაც და შინაარსობრივი თვალსაზრისითაც უფრო მეტად უპასუხებს პიესა **„პარიკმახერისას"**, სადაც კომიზმი მიღწეულია ყოფითი სიტუაციის უჩვეულობით. პარიკმახერის შეგირდის, გიგო თავხელიანის, და მისი სატრფოს, ნინოს, მაქციაობას — ვაჟის ქალად და ქალის ვაჟად გადაცმას, ქალის ტანსაცმელში გამოწყობილი გიგოს ქართველი თავადის მიერ ქალად მიღებას

და მისადმი ფლირტს ეფუძნება პიესის კომიკური ეფექტი. რაფ. ერისთავი ვერც ამ შემთხვევაში ასცდა ერთგვარ სიუჟეტურ ტრა ფარეტს. პიესის გასართობი გამიზნულობა ვერ გადაზარდა ჭეშმარიტი მხატვრული ღირსების განმაპირობებელ მძაფრ სოციალურ შინაარსში. ამის გამო მწერალმა ვერ შეძლო პერსონაჟთა ხასიათის და მოქმედების ფსიქოლოგიური ქვეტექსტების მოტივაცია. თუმცა ამის მიუხედავად პიესას გააჩნდა თავისი ხიბლი, რაც მის მრავალჯერად სასცენო განსახიერებაშიც გამოვლინდა. 1880 წელს პიესაში გიგოს როლი ითამაშა ვასო აბაშიძემ, ნინოს როლი შეასრულა მაკო საფაროვამ. ქართული თეატრალური კრიტიკა დიდი მოწონებით შეხედა პიესას, რომლის მხატვრულ ღირსებას, ბუნებრივია, უბადლო მსახიობური ოსტატობაც აპირობებდა. პიესა „პარიკმახერისას" 1888 წელს ცალკე წიგნადაც დაიბეჭდა. რაფ. ერისთავის თანამედროვეობისათვის ამ ნაწარმოებში განსაკუთრებით ფასეული აღმოჩნდა პიესის კომპოზიციური არქიტექტონიკა, ყოფითი სიტუაციების უტყუარობა და, რაც მთავარია, პერსონაჟთა მეტყველება წმინდა ხალხური ენით. ჩვენი თანამედროვეობის თვალსაწიერიდანაც რაფ. ერისთავის ამ პიესის ღირსების განმსაზღვრელი პ ე რ ს ო ნ ა ჟ თ ა ე ნ ო ბ რ ი ვ ი დ ა ხ ა ს ი ა თ ე ბ ი ს ხერხის გამოყენება აღმოჩნდა. თითოეული პერსონაჟის განსხვავებული, მაგრამ ყველა ვითარებაში ზედმიწევნით წმინდა ქართული ენა მშობლიური ენის ლექსიკური შესაძლებლობების საოცარ სურათს ქმნის. წმინდა ყოფითთან ერთად ეს გარემოებაც აპირობებდა პიესისადმი საგანგებო ინტერესს.

ჭეშმარიტად მაღალმხატვრულობას რაფ. ერისთავმა მიაღწია პიესა „ა დ ვ ო კ ა ტ ებ ‘ მ ი", რომელიც პირველად 1880 წელს „ი ვ ე რ ი ა ს ი" გამოქვეყნდა. ამ თხზულებაში უკვე სრულყოფილად გამოვლინდა რაფ. ერისთავის შემოქმედებითი სპეციფიკა — ვოდევილურ ჟანრში მისთვის ერთი შეხედვით უცხო სოციალური პრობლემატიკის შეტანა. ამის გამო „ადვოკატების" მხატვრული დონე განაპირობა არა სიტუაციურმა კომიზმმა, არამედ მეფის მთავრობის სამართალწარმოების სისტემის და სასამართლოს მოხელეთა მამხილებელმა პათოსმა. მის კომიზმს, სიცილს მძლავრ ქვეტექსტად ცრემლი შეერწყა და „ცრემლიანი სიცილის" ფორმით მკითხველში სულიერი კათარსისის პერსპექტივები წარმოაჩინა.

უვიცი ხელოსნის, ხარაზ გაბრო მორგვაძის, გაადეოკატების გზა და მისი ადვოკატად გახდომის ხელშემწყობი პირობების არსებობა საზოგადოებაში ეოდეეილიდან უკვე მძაფრ სატირაში გადაიზრდება, რაც თავისთავად საზოგადოებრივ ღირებულებათა უშინაარსობას და პირობითობასაც წარმოაჩენს. ყველაფერია ამ პიესაში. ქართველი თავადაზნაურობის გაუნათლებლობაც, ჩინოვნიკების თაღლითობაც, საზოგადოებრივი ცხოვრების წესის კრიტიკაც, რაც ასე მნიშვნელოვანი იყო იმ დროს ქართული დრამატურგიისათვის. ამის გამო იყო, რომ „ადეოკატების" გამოსვლას აღფრთოვანებული შეხვდა ქართული კრიტიკა. გაზეთი „დროება" პიესის დიდ ღირსებად თანამედროვეობის რეალისტურ ასახვას და მნიშვნელოვანი ყოფითი მოვლენების განზოგადების ტენდენციას თვლიდა. იგივე აზრს ავითარებდა ჟურნალ „იმედის", რეცენზენტი დ. აბდუშელიშვილი. მისი აზრით, რაფ. ერისთავმა ქართველ ხალხს თვალი აუხილა და დაანახა ზნეობრივი დაქვეითების დიდი საფრთხე, „სიმართლის სიცრუედ ქცევა, სიცრუის და ფიცის ვატეხის ჩალის ფასად გახდომა" (ჟურნალი „ი მ ე დ ი", 1882, №1).

რაფ. ერისთავის თანამედროვე ქართველი საზოგადოება ასევე დიდი ინტერესით მოეკიდა მის პიესას „ქაჩუა". კომიკურ ეფექტს ამ პიესაში ქმნის ხალხური მასალის სიჭარბე, რომელიც ცალკეული ყოფითი სიტუაციისა თუ პერსონაჟის ხასიათის გამოსაძერწად არის გამოყენებული.

რაფ. ერისთავის დრამატურგიულ ნაწარმოებებში დიდია გადმოკეთებულ, გადმოქართულებულ პიესათა ხვედრითი წონა. საყოველთაოდ არის ცნობილი ის სიძნელეები, რაც მხატვრულ თარგმანს ახლავს. ისიც ნათელია, თუ რაოდენ დიდია ორიგინალის ეპიგონობის საფრთხე, რომლის წინაშეც დგას მთარგმნელი. ერთადერთი გზა ამ შემთხვევაში, გზა სწორი და უტყუარი, თარგმანის შემოქმედებით პროცესად ქცევა და ამით ინდივიდუალური სახიერების შენარჩუნებაა.

რაფ. ერისთავის თარგმნილი და გადმოქართულებული დრამატურგიული ნაწარმოებები ნათელყოფენ, რომ მან შეძლო არა მარტო დედნისეული მხატვრული სულის დაუფლება-გათავისება, არამედ ქართული ადექვატების მოძებნით მან სრულიად ახალი, გა-

მორჩეულად ქართული ეროვნული სულით აევსო ეს პიესები. ამ თვალსაზრისით რაფ. ერისთავი ისეთ სრულყოფას აღწევდა, რომ ხშირად მის გადმოკეთებულ ნაწარმოებებს ორიგინალურ თხზულებებად აღიქვამდა ქართველი საზოგადოება. მაგალითად, მისი გადმოკეთებული პიესის „ჯერ დაიხოცნენ, მერე იქორწინეს“ ორიგინალობის შესახებ იმდენად გავრცელდა აზრი, რომ რაფ. ერისთავი იძულებული შეიქნა საჯაროდ, ჟურნალ „ცისკრის“ ფურცლებიდან განეცხადებინა პიესის არაქართული წარმომავლობა და აღენიშნა, რა ეკუთვნოდა მას და რა ორიგინალის ავტორს.

რაფ. ერისთავმა გ. სუნდუკიანთან ერთად ქართულად თარგმნა ამ სომეხი დრამატურგის ცნობილი პიესა „პეპო“, რომელიც ჩვენს დროშიც წარმატებით იდგმებოდა ქართულ სცენაზე. მან რუსულიდან გადმოაკეთა ი. ტურგენევის კომედია „სადილი მარშლისას“, პ. კარატაგინის მიერ ფრანგულიდან ნათარგმნი ვოდევილი „მასწავლებელი სოფლის სკოლისა“. დრამატული საზოგადოების დავალებით რაფ. ერისთავი თარგმნიდა ა. ნ. ოსტროვსკის პიესას „ცოფიანი ფული“ და ა. შ.

ყველა თარგმნილი თუ გადმოკეთებული პიესა რაფ. ერისთავის მიერ ქართული საზოგადოებრივი ყოფის მოთხოვნილებებისადმია მისადაგებული, ეროვნული სულით არის ავსებული. ეს გარემოება აპირობებს მისი დრამატული ნაწარმოებების აქტუალობას არა მარტო მისი თანამედროვეობის, არამედ სადღეისო თვალსაზრისითაც.

* * *

რაფიელ ერისთავის მხატვრული და მეცნიერულ-პუბლიცისტური შემოქმედება ,მისი მოქალაქეობრივი ცხოვრება იმ რწმენას ეფუძნებოდა, რომ დიადი მიზნით შეკავშირებული ეხილა თავისი ერი, ენახა „საერთო გრძნობა და ძმობა ერთბაშად გაღვიძებული“. მამულიშვილობისა და სამშობლოს „ყველაზე დიდი არგუმენტის“ დაძებნით, „ქართველი ერის კულტურული შუბლის“ წარმოჩენით მან გამოაღვიძა ჩვენი ხალხის „ეროვნული ცნობიერება“ და „სამერმისო ნათელი იდეალებისაკენ მიმართა მისი მზერა“.

შინაარსი

შესავალი 3
რაფიელ ერისთავის ცხოვრების გზა 5
რაფიელ ერისთავი და ქართველი ერი . . . 54
რაფიელ ერისთავის მოქალაქეობრივი მრწამსი . 62
რაფიელ ერისთავის შეფოქმედება . . . 70
ა. ერისთავის პოეზია 70
ბ. ერისთავი როგორც საბავშვო პოეტი . . 92
გ. ერისთავის პროზა 107
დ ერისთავის დრამატული ნაწარმოებები . . 127